

(226)9
J-932



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ისტორიის

პრობლემები

თბილისი
1998 წ.

3 (4 1224) → 499962-4-31 + 91(479224/014)

-) ავტობიოგრაფია
-) ავტობიოგრაფიული ჟურნალი
-) ავტობიოგრაფიული ცომილი



შეფარება და რეაბრირება:

ავტობიოგრაფიული ჟურნალი - შიშლი ალმანახი

ავტობიოგრაფიული ცომილი - ვალერი ვაშაძე

K 226336
3

საქართველოს
ბიბლიოთეკის
სისტემის

სარჩევი



შეკვრენითიდან	4
გრი აშხაზაძე - აფხაზეთის ეთნოგრაფიის განვითარების (რა ენაზე შეტყუვებულია აფხაზეთი)	6
მიხეილ ბაგრატიონი - ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნოგრაფიის ისტორიის კვლევისათვის	14
გრი აშხაზაძე - დღევანდელი სოფლის მეურნეობის განვითარების დარღვევისათვის	64
ზურაბ ბაგრატიონი - დღევანდელი აფხაზეთი XIII-XV საუკუნეებში	67
ბაგრატ ბაგრატიონი - ეთნოგრაფიის მონაცემები სრულიად კავკასიაში და აფხაზეთი	87
მიხეილ ბაგრატიონი - ეთნოგრაფიის მონაცემები აფხაზეთისა და ეთნოგრაფიის შესახებ	101
ზურაბ ბაგრატიონი - აფხაზეთის მონაცემების ეთნოგრაფიის • შესავალი XIX საუკუნის მარჯვენა ნახევარში	113
ზურაბ ბაგრატიონი - აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის სათავეები	138
მიხეილ ბაგრატიონი - აფხაზეთის ტომობრივი	154
მიხეილ ბაგრატიონი - დ. ველის აფხაზეთის ეთნოგრაფიის შესახებ	167
მანუჩი ბაგრატიონი - აფხაზეთი - საქართველოს მარჯვენა ნახევარის ავტონომიური ერთეული (1918-1921 წწ.)	180
მანუჩი ბაგრატიონი - შავი ზღვისპირეთის არქეოლოგიური კვლევების მონაცემები და აფხაზეთი (1970 წლის მარჯვენა)	193



შემდგენელთაგან

უკანასკნელ წლებში აფხაზეთის წარსულსა თუ აწმყოზე ბევრი დაიწერა და ითქვა, მაგრამ ერთგვარი უკმარისობის გრძნობა მაინც რჩება. ისტორიულ მეცნიერებას ის თავისებურება ახასიათებს, რომ ხშირად არ იძლევა პრობლემების გადაჭრის გასაღებს და ვერ სცემს პირდაპირ და ამომწურავ პასუხს დღევანდელ შეკითხვებზე წყაროთა მონაცემების სიმცირისა და წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო. ასეთი ვითარება მკვლევარს წარმოსახვის დიდ თავისუფლებას და ერთსა და იმავე პრობლემასა თუ წყაროსთან დაბრუნების შესაძლებლობას უტოვებს.

ყველა საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გარკვევაზე პრეტენზია არც წინამდებარე კრებულს აქვს. ერთ-ერთი პრინციპი, რომლის გატარებასაც ვცდილობდით, შეძლებისდაგვარად კატეგორიული ტონის მოხსნა და კითხვითი ნიშნის დატოვება იყო, იმ შემთხვევების გარდა, სადაც ერთადერთი დასკვნა წყაროთა მონაცემების და ყოველმხრივი დასაბუთების საფუძველზეა მიღებული.

კაცობრიობის ისტორია პოლიტიკური საზღვრების გადაადგილება და ტერიტორიისათვის ბრძოლაა. დღევანდელ მსოფლიოში ეს ბრძოლა ეთნოკონფლიქტების სახით მიმდინარეობს. მთელი XIX-XX საუკუნეების მანძილზე დიდი იმპერიებიდან მცირე სახელმწიფოებისაკენ სულა ამჟამადაც გრძელდება.

გაერთიანების და ინტეგრაციული პროცესების პარალელურად ღრღღა გამოყოფისა და პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრების დამთხვევისაკენ დროის ნიშანია. უკანასკნელი არასდროს არსებულა წარსულში და ძნელი წარმოსადგენია მომავალშიც, განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში, რომელიც ისტორიულმა ტრადიციამ დიდი ხნის წინ ეთნიკურ და კულტურულ მოზაიკად ჩამოაყალიბა. მაგრამ ისტორია ის სფეროა, სადაც ტენდენციას ხშირ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ისტორია პოლიტიკასთან ყველაზე ახლო მდგომი მეცნიერებაა და ამის გამო ხშირად კონიუნქტურულიც კი. და თუმცა ეთნოკონფლიქტების გადაჭრისას ისტორიას მფორენარისხოვანი როლი აქვს, მეცნიერები გარკვეულ ტერიტორიაზე ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების უფლების დასასაბუთებლად კვლავ ისტორიას მიმართავენ. წლების მანძილზე აფხაზეთთან დაკავშირებით ამ თვალსაზრისით გარკვეული გამოცდილება დავროვდა, მაგრამ, როგორც მკითხველი კრებულში წარმოდგენილი მახალითაც დარწმუნდება, ისტორიული წყარო, ისევე, როგორც მისი შესწავლის მეთოდიცა, პრაქტიკულად ამოუწურავია.

ეთნიკური დაპირისპირებანი გარდამავალ ეტაპზე განსაკუთრებით მწვავედება და ერ-სახელმწიფოს ჩამოყალიბების თანმხლები ნიშანი ხდება. ტრადიციის და



პრეცედენტების გათვალისწინების აუცილებლობა კვლავ წარსულისაკენ მიჯვარდება. აფხაზეთის პრობლემა საქართველოს ისტორიაში „არახალია“ დაბარჩენი ქართულ სამყაროსთან აფხაზეთის დაპირისპირება არაერთხელ უცდიათ სხვადასხვა გარეშე თუ შინაურ ძალებს. მაგრამ თუ წარსულ გამოცდილებას დაუბრუნდებით, ფრელი ასეთი შემთხვევა ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში კიდევ უფრო მკვიდრად დაბრუნებით მთავრდებოდა. ამას მოითხოვდა, როგორც ჩანს, ქვეყნის ბუნებრივი განვითარება და მხარის და მისი მოხახლეობის ინტერესები.

ვინაიდან ისტორია კონკრეტული ეთნოსის, ერის განვითარებას სწავლობს, ის პატრიოტული მეცნიერებაა. აქ ისე, როგორც არსად, მნიშვნელობა აქვს მკვლევარის ამოსავალ პრინციპებს და მის პოზიციას, რაც სრულიადაც არ ნიშნავს ობიექტურობაზე უარის თქმას. კრებულში ვცდილობდით შეძლებისდაგვარად თავიდან აგვეცილებინა წინააღმდეგობანი და ძირითად საკითხებზე მაინც ერთი შეთანხმებული პოზიცია დაგვეყვას. სამწუხაროდ, ამ პრინციპის პოლომდე გატარება ვერ მოხერხდა. კითხვასხვაობები წყაროთა მონაცემებში, წყაროთა, ტოპონიმთა, ან სხვა ენობრივი მასალის განსხვავებული ინტერპრეტაციები, რომელსაც მკითხველი აქ შეხვდება, პირდაპირი ცნობების სიმცირით და ირამი მანქვანებლებით ოპერირებით აიხსნება.

აფხაზეთში დღეს ისევ გრძელდება ომი. საქართველოს სახიფათო პრობლემების კვანძის გახსნა სწორედ ამ კუთხეს უკავშირდება - ქვეყნის პრესტიჟის, ღირსების აღდგენა, შეზობლებთან ურთიერთობის მოწესრიგება, დაბარჩენი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების მოგვარება. ამიტომ ძალზე მწველია აფხაზეთის ისტორიის პრობლემებზე წერა დღევანდელი ვითარებისაგან მოწყვეტით. მაგრამ კრებული სწორედ ამ მიზანს ისახავს - მაქსიმალურად გამოიჯნოს მეცნიერება პოლიტიკისაგან.

კრებულის ყველა ავტორი ცნობილი მეცნიერია, რომელთა გამოკვლევები მუდამ პროფესიონალიზმით და კეთილსინდისიერებით გამოირჩევა და რომლებიც აფხაზეთის ისტორიის პრობლემებს წლების მანძილზე საგანგებოდ სწავლობენ.

დარწმუნებული ვართ, მათი აქ წარმოდგენილი ნაშრომებიც საქართველოს ერთ-ერთი კუთხის აფხაზეთის წარსულის უკეთ შესწავლასაც შეუწყობს ხელს.

*ვიულო აღასანია
ვალერი ვაშაკიძე*



**აფხილთა ეთნიკური ვინაოზისათჳს
(რა ანაზა მაცხველავდნჳ აფხილავი)**

ნაშრომი შექრულავუღდა საქ.მეცნიერებათა აკადემიას ვრანტით N 1948

ეთონიზმი „აფსილი“ (ვარ. „აფშილი“) ბერძნულ-ლათინური წყაროების მიხედვით დასავლეთ საქართველოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში ჩნდება ახ.წ. I ს-დან და მეტნაკლები აქტიურობით არსებობს VIII საუკუნემდე.

როგორც ქართველ, ისე არაქართველ მკვლევართა დიდი ნაწილი ამ სახელის მატარებლად აფხაზურ-ადიღური წარმოშობის ეთნიკურ ერთეულს მიიჩნევს, სახელის „აფს“ ძირველი კომპლექსის გამო, რომლის უშუალო კავშირს ხედავენ დღევანდელ აფხაზთა თვითდასახლებასთან - „აფსუა“ [1]. აფსილებს ქართველურ ტომად თვლიდნენ პ.ინგოროვცა, ქ.ბერძენიშვილი, ნ.კეკელიძე [2]. ერთგვარი შუალედური პოზიცია უკავია მ.ინაძეს. იგი აფსილებს გაქართველებულ აფხაზურ-ადიღურ ტომად მიიჩნევს [3].

აფსილთა ეთნიკური ფიზიონომიის გასარკვევად ჩვენ ვაპირებთ როგორც წერილობითი წყაროების, ისე ნივთიერი-არქეოლოგიური ფაქტების ანალიზს და მათთან კომპლექსში ლინგვისტური მასალის განხილვას. წინამდებარე ნარკვევში კი აქცენტირებული იქნება ეს უკანასკნელი. იგი თითქოს საშუალებას მოგვცემს ვივარაუდოთ აფსილთა ენობრივი კუთვნილება. აფსილთა ენის შესახებ უკვე აღრეზიანტიური ხანის წყაროშია გარკვეული მინიშნება; საკმე ეხება აგათია სქოლასტიკოსის (VI ს-ის ავტორის) ცნობას, მაგრამ იგი მაინც არ იძლევა თითქოს ზუსტ და უმკველ ორიენტაციას (მასზე კონკრეტულად ქვემოთ შევიჩრდებთ).

სანამ უშუალოდ ფაქტებს შევხებოდეთ, გვსურს შევახსენოთ მკითხველს, თუ როგორი იყო აფსილეთის გეოგრაფიული მდებარეობა.

ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით (პლინიუსი, ფლავიუს არიანე, V საუკუნის ანონიმი, აგათია სქოლასტიკოსი, თეოფანე ჟამთააღმწერელი, პროკოპი კესარიელი და სხვები) [4] გვიანანტიკური ხანის და აღრეშუასაუკუნეთა დასაწყისის აფსილეთის ტერიტორია დაახლოებით ასე შემოიფარგლებოდა. იგი ზღვისპირეთის გასწვრივ ახალი ათონიდან კოდორის შესართავამდე ვრცელდებოდა. შემდეგ მიუყვებოდა მდინარე კოდორის ქვედა



წელს დაახლოებით დღევანდელ პუნქტ ამზარამდე, რომელიც წებულდის მახლობლად, ოდნავ აღმოსავლეთითაა. აქ აფსილები ემეზობლებოდნენ მისიმიანთა ლებს. აფსილეთის ჩრდილო საზღვარი კი სავარაუდოა, რომ მდინარე ვულკანის ხეობისა და ამტყელის ტბის წყალგამყოფს მიუყვებოდა და მათ მიჯნავდა ბზიფისა და ჩხალთის ხეობებიდან [5]. აფსილთა დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით აბაზგები ბინადრობდნენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, როგორც აღვნიშნეთ, მისიმიანთა სვანური ტომი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ლაბ-მეგრელები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეული მინიმუმება აფსილთა (და მისიმიანთა) ენობრივ კუთვნილებაზე გვხვდება VI ს-ის ბიზანტიელ ავტორთან აგათია სქოლასტიკოსთან, რომელიც აღწერს იუსტინიანე კეისრის მეფობას [6]. თავის ნაშრომის მესამე წიგნში აგათია მოგვითხრობს, რომ ბიზანტიელი სტრატეგოსი „სოტერიქე ჩავიდა ეგრეთწოდებულ მისიმიანთა ქვეყანაში, რომლებიც კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან, მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და ბჭვა კანონებსაც მოსდევენ (ხაზი ჩემია ნ.ა.); ისინი ამ აფსილთა ტომებზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთისკენ“ [7]. ისტორიული წყაროს ეს მონაცემი უფლებას გვაძლევს ერთი უძველესი დასკვნა გავაკეთოთ, რომ აფსილთა ენა მისიმიანთა ენისაგან განსხვავებულია; რაც თითქმის ყველა მკვლევარისთვის გასაგები იყო, მათთვისაც, ვინც აფსილებს აფხაზურ-ადიღურენოვან ეთნოსად მიიჩნევს და მათთვისაც, ვისთვისაც აფსილები ქართველური, მეგრულ ენაზე მოუბარი ტომია. მისიმიანთა სვანურენოვნებაში კი ეკვი არცერთ ოდნავ ობიექტურად განწყობილ მკვლევარ-ისტორიკოსს არ შეპარვია, თვით სახელის, ეთნონიმის არსის, თუ ამ ტომის განსახლების არეალის გამოც [8].

გარკვეული აზრით აგათია სქოლასტიკოსის ნაწარმოების მოტანილი ნაწყვეტის კონტექსტიდან თითქოს ისიც ჩანს, რომ აფსილთა ენა არ განსხვავდება კოლხთა (ლაბთა-მეგრელთა) ენისაგან [9]. ამის სასარგებლოდ მიგვითითებს როგორც ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებული, ისე დღეს შემორჩენილი შესასწავლი რეგიონის ტოპონიმები (ორონიმები, ჰიდრონიმები...), რომლებიც განხილული აქვთ ს.ყუბჩიშვილს [10], პ.ინგოროყვას [11], თ.მიბზუანს [12], გ.გასვიანს [13], მ.ინაძეს [14]. (და სხვათა), იგი უშთავრესად ქართველური ენობრივი მასალით იხსნება. მაგრამ ამგვარად გვსურს ყურადღება გავამახვილოთ სხვა ტიპის ენობრივ მასალაზე, ლექსიკურ ნასესხობებზე, რომელიც, როგორც ჩანს, მიუთითებს, ერთი მხრივ, ქართველურ ენათა, სვანურ-მეგრულის ძლიერ,

აქტიურ და ძველ კონტაქტებზე ალანურ-ოსურთან შესასწავლ ხანაში და რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს დასმული საკითხის გადაწყვეტამდე.

კერძოდ, ცნობილმა ენათმეცნიერმა ვ.აბაევმა ოსურ ენაში აღმოაჩინა „მეგრელიზმები“ და „სვანელიზმები“. მათგან ოსურში მეგრულადან შესული სიტყვები ელემენტები ერთ ათეულს ღიდად არ აქარბებს, მაგრამ ვ.აბაევი მათ სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, კერძოდ : „Осетинские слова, которые рассматриваем как мегрелизмы, своим характером, и значением, и употреблением говорят об интимности и глубине связей (ხაზი ჩვენია, ნ.ა.), существовавших между двумя народами. Речь идет не о каких-нибудь второстепенных и малоупотребительных словах, а самых насущных обиходных понятиях: огонь, камень, жердь, столб, скамья, шерсть, серна, нос. К некоторым из этих слов трудноприменно даже наименование „заимствования“. Мысль возвращается настойчиво к другому лингвистическому и культурно-историческому понятию: „субстрат“... [15]. მოტანილი ციტატის ავტორი მიახლოებით განსაზღვრავს კიდევ მეგრულ-ოსთა შესაძლო კონტაქტის ხანასა და არეალსაც. გამომდინარე იქიდან, რომ ოსურში საკმაოდ ძლიერი ჩანს სვანური და აფხაზური ნასესხობანიც, ავტორის აზრით არც ერთი „მეგრელიზმი“ არ შეიძლება მოხვედრილიყო ოსურში XIV ს-ზე გვიან, ე.ი. იმ ხანაზე უფრო გვიან, ვიდრე ოსები განსახლებული იყვნენ მდინარე ყუბანის სათავეებში და საიდანაც შეეძლოთ უშუალო ურთიერთობა ჰქონოდათ მეგრელებთან, სვანებთან და აფხაზებთან [16]. ვ.აბაევი აზუსტებს კიდევ, ს.ჯანაშიაზე დაყრდნობით, მეგრელთა და ოსთა შესაძლო კონტაქტის არეალს და ამ ადგილად მას კოდორის ხეობა მიაჩნია [17]. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმავე ვ.აბაევის დაკვირვებით კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანია სვანური და აფხაზური ლექსიკური ელემენტები ოსურში. მათგან სვანური 40-ზე მეტი და ისინი მოიცავენ ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა სფეროს (მაგ. ზევი, ჟოლო, მარწყვი, ჰეავი, ჰიანჰველა, თხა ნ თვიდან 1 წლამდე ასაკის, ტუჩი, წამწამი და სხვ.) [18].

თავის შხრივ რიგი ენობრივი ელემენტები ალანურ-ოსურიდან სვანურსა და მეგრულშია [19] შესული. რაც მთავარია სვანურ (და აფხაზურ) ფოლკლორში გვხვდება „ნართული“ სიუჟეტების მთელი სერია [20]. ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს ალან-ოსთა სვანებთან და მეგრულ-ლაზებთან ადრეულ კონტაქტებს,



რაც მათ დღევანდელი აფხაზეთის მოსახლერე ყუბანის სათავეებში ყოფნისას უნდა მომხდარიყო. ეს კი დასტურდება როგორც წერილობითი ისტორიული წყაროების მონაცემებით, ისე არქეოლოგიური აღმოჩენებით [21]. უფრო მეტიც, როგორც იმავე სახის ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, კოდორის ხეობაში, მისიმიანთა ქვეყანაში, მომხდარა კიდევ ალანთა ეთნიკური შემოღწევა, რაც გამოკვლეული აქვს ლ.მუსხელიშვილს: „...ალან-ოსთა ექსპანსიას ოდესღაც კოდორის სათავეებში შჭონია ადგილი, ამას თეოდოსი განგრეელის გარდა სრულიად სხვა წყაროებიც მოწმობს, კერძოდ ამის დამადასტურებელი უნდა იყოს კოდორის სათავეებში, მდ. ელიჩის და მდ. საკენის შესართავთან არსებული სოფელი „ალანდა“, სწორედ ბუქლოვს//ბუკლურის ციხესიმაგრის ნანგრევების მახლობლად“ [22]. ეს ის ციხესიმაგრეა, რომელიც მისიმიელთა ქვეყანაშია და აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით დაახლოებით 554 წლისათვის ბიზანტიელებს გადაუწვევტიათ ალანებისათვის გადაეცათ. დაახლოებით 100 წლის შემდეგ იგი მართლაც ალანთა ხელში ჩანს [23]. „ამასვე უნდა გვიმოწმებდეს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ალანი არს სვანეთის დასავლით და ბედიის ჩრდილოეთით. აქუს აღმოსავლეთ კავკასი და საზღვარი სვანთა; სამკრით კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორის; დასავლით კავკასი; ჩრდილოეთცა კავკასი...“ აქედან უძველესი ხდება, რომ პირველ რიგში, ალანის მხარე სწორედ კოდორის სათავეებს გულისხმობს. შესაძლოა სწორედ ვახუშტისეული „ალანი“ უნდა ვიგულისხმოთ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის იმ ცნობაში, რომელიც გიორგი მეფეს შეეხება: „...ოდესმე, ეამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთიმერეთს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირნის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“ [24].

ქვეყანა ალანი რომ მდინარე კოდორის სათავეშია, ამას უნდა მოწმობდეს ე.წ. VIII-ის სომხური გეოგრაფია, სადაც აღნიშნულია „...აეზოვე ქვეყანას, რომელიც არის აფხილეთი და აფხაზეთი, ვიდრე მათ ზღვისპირა ქალაქ სევასტოპოლამდე, ხოლო იქიდან აგრეთვე ვიდრე მდინარემდე, რომელსაც ეწოდება დრაკონი ანუ ვეშაპი (ეს ამკარად კოდორი უნდა იყოს - ნ.ა.), რომელიც მოედინება ალანიდან (ტექსტში შეცდომით აღვანეთიდან - ნ.ა.) და განწყოფს აფხაზეთს და ეგროს ქვეყანას“ [25].

კოდორის სათავეებში, თაქტობრივად მისიმიანთა ქვეყანაში კი ალანები უნდა მოხედრილიყვნენ ყუბანის სათავეებიდან, სადაც ისინი განსახლებულ იყვნენ ადრეულ შუა საუკუნეებში [26]. სწორედ, ალბათ, აქ მისიმიანთა სუანურ ტომ-

თან კონტაქტისა და შესაძლოა მათი ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად არის ოსურში (=ალანური) შემორჩენილი საკმაოდ ძლიერი სვანური ლექსიკური ფენა და სწორედ აქ კოდორის ხეობაში, გვახსენდება რა ს.ჯანაშიას აზრის მითითება ვ.აბავეის მიერ, უნდა მომხდარიყო მათი კონტაქტი მეგრულენოვან ეთნიკურ მასივთან. მაგრამ აქ მისიმიელთა მოსაზღვრედ აფსილები (=ფშილები) ბინადრობენ და კოდორის სათავეებში დამკვიდრებულ ალან-ოსებს მხოლოდ მათგან, ან მათ შემკვიდრებებიდან შეეძლოთ მიეღოთ ვ.აბავეის მიერ ხაზგასმული სუბსტრატული „მეგრელიზმები“. მეგრულენოვან ეთნიკურ მასივთან ალან-ოსთა შეზობლობა და მჭიდრო კონტაქტი საქართველო-ჩრდილოკავკასიის სხვა მოსაზღვრე რეგიონებში გამორიცხულია. ავიღოთ თუნდაც რაჭა, რომელიც ესაზღვრება „ისტორიულ ოსეთს“. ერთი მხრივ, რაჭაში მეგრელიზმები (=ზანიზმები) არ გვხვდება. აქ დღეს გაბატონებულ ქართულ ეთნო-ლინგვისტურ სიტუაციას წინ უსწრებს მხოლოდ სვანური, რომელიც ზოგი მკვლევარის მიხედვით თითქმის გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისამდე არსებობდა აქ [27]. მეორე მხრივ კი, თვით ოსეთის (ე.წ. ჩრდილო ოსეთის) ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა ცხადყოფს, რომ მისი მთიანი ნაწილი ალან-ოსებს საკმაოდ გვიან აუთვისებიათ.

„...данные археологических источников говорят о том, что первым из осетинских обществ сложилось Дигорское, куда аланские элементы проникли рано и наиболее глубоко. Другие общества сформировались несколько позже; преимущественно в XIII-XIV в. в результате сильной миграции алано-осского населения с равнины в горы.“ რაჭის მოსაზღვრე დვალეთის, ანუ როგორც ოსი ავტორები უწოდებენ „ტულაგომის“ ასიმილაცია მათი აზრით XIV-XV სს-ში მომხდარა [28].

ამ თარიღისაგან, ჩვენი აზრით, გამოსარიცხია XIV ს., რადგან, როგორც „ნიკოლოზ დვალის წამებიდან“ ჩანს, ამ დროს დვალეთი ჯერ კიდევ ქრისტიანულ-ქართული ქვეყანაა [29].

ყოველივე ზემოთ განხილული მიგვითითებს, რომ ალან-ოსებს მეგრულენოვან, დასავლეთქართველურ ეთნიკურ მასივთან კავკასიონის ცენტრალურ რეგიონში, რაჭა, დვალეთი და სხვ. კონტაქტი ვერ ექნებოდა. ასეთი შეხების ერთადერთ შესაძლებლობას კვლავ კოდორის ხეობისაკენ მივყვართ, რაც ივარაუდა კიდევ ს.ჯანაშიამ. მხოლოდ აქაური ადრემუჟასაუკუნეთა ისტორიულ-ეთნიკური სიტუაციით იხსნება ის ლინგვო-კულტურული ფაქტები, რაც შემორჩენილია

ოსურში მეგრელიზმების, სვანიზმების სახით და პირიქით. თუნდაც ის, რომ მეგრელები დღესაც ყუბანის სათავეებში მცხოვრებ ყარაჩაელებს ალანებს ეძახიან [30]. საბოლოო და უმთავრესი დასკვნა კი ყოველივე ზემოთქმულიდან ისაა, რომ ალან-ოსებმა სუბსტრატული ტიპის მეგრელიზმები აფსილებთან (=აფშილებთან) კონტაქტის შედეგად მიიღეს, რის მიხედვითაც ვასკენით, რომ აფსილები (=აფშილები) ქართველური მეგრულენოვანი ტომია, რაზეც მოუთითებს თვით ეთნონიმის წარმოების ქართული ფორმა აფს-ილ-ი (აფშ-ილ-ი), რომლის ქართველურობას თვით ყველაზე არაობიექტურად (ქართული მასალის მიმართ) მკვლევარნიც კი აღიარებდნენ [31]. საფიქრებელია, რომ ეს ეთნონიმი ასეთი წარმოებით გაფორმებული ჩანს უკვე ძვ.წ. XII ს-ში ტიგლათფილესერ I-ის წარწერებში ნახსენებ სატომო სახელ აბემ-ლ-ა-ში [32]. ამდენად ეს ეთნონიმი უძველესი დროიდანვე ქართველურ ეთნოკულტურულ სამყაროსთან ჩანს დაკავშირებული.

ასეთია ამჟამად ჩვენი მოსაზრებანი აფსილთა (აფშილთა) ეთნიკური კუთვნილების შესახებ ზოგიერთი ენათმეცნიერული მასალის ფონზე. ზემოთ გამოთქმულს ისტორიულ-არქეოლოგიურ წყაროთა შემდგომი კვლევით შევამარტობთ.

დამოუკვეთელი ლიტერატურა:

1. ა.ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მხლოპელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ. 1950. გვ. 120; С. Джанашиа. *Абхазия в составе Колхидского царства и Лазики*. - *მაცნე* N 2, 1991; დ.ლეთოლიანი. აფხაზეთის, აფშილეთისა და ხანიკეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ვერისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში თბ., 1991; მ.ლორთქიფანიძე. აფხაზეთი და აფხაზეთი, თბ. 1990. Н. Ломоури. *Абхазия в античную и раннесредневековую эпохи* Тб. 1997; З.В.Анчабадзе. *Очерки этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976; Ш.Д. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми 1976; Ю.Н.Воронов. Тайна Цебельдинской долины, М., 1975.*
2. პინეოროვეა. ვიორგი მერაზლე, თბ. 1954; ქ.ბერძენიშვილი. წებელდის გვიანანტიკური ბანის კერამიკა. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის II. თბ. 1959; ფლაკიუზ არიანე. მოვ შაურობა შვი ზღვის გარშემო. თარგმანი ნ.კეკელაძისა. თბ. 1961.



3. მინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. მაცნე N 1, N2, 1992.
4. Гай Плиний Секунд. Естественная история.- ВДИ 1949. №2 გვ. 282-291; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო... გვ.12; ანონიმი V საუკუნისა - გეორგიკა, ტ. 2. თბ. 1965. გვ.8; აკათია სქოლასტიკოსი - გეორგიკა, ტ. 3. ტფ. 1936, გვ. 161-162 და სხვა; თეოფანე გამთაბაღმწერელი. - გეორგიკა ტ.IV ნაკვ. 1, თბ. 1941, გვ. 107 და სხვა. პროკოპი კესარიელი. გეორგიკა 2. თბ. 1965. გვ.128, 162. Армянская география VII века по р.Х. Издал К.Л.Патканов СПб., 1877.
5. ჩუენი ლოკალიზაცია თითქმის ზუსტად ემთხვევა პინგოროვას დასკვნას (იხ. ვიორგი მერჩულე. გვ.126) VI ს-თვის დაახლოებით იგივე დასკვნები აქვს დ.მუსხელიშვილს - (იხ.საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ. 1977, გვ. 98). ზოგადად ემთხვევა მინაძის კვლევის შედეგებზე (იხ.ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. - მაცნე 1992 N2, გვ.53).
6. აკათია სქოლასტიკოსი. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოცემა და განმარტებები დაურთო სიმონ გაუხნიშვილმა - გეორგიკა ტ.III. ტფილისი, 1936, გვ. 23-187; Агафий. О царствовании Юстиниана, перевод М.В.Левченко. М.-Л. 1953.
7. იქვე გვ. 86.
8. ს.გაუხნიშვილი. მისიმიანთა ტომი. - თსუ შრომები I, თბ. 1929. 3.В.Анчабадзе. История и культура древней Абхазии., М., 1964 გვ. 183; თ.მიძნუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლების და კულტურის ისტორიიდან. თბ. 1989. გვ. 128-143.
9. პინგოროვა. ვიორგი მერჩულე. გვ. 145.
10. ს.გაუხნიშვილი. გეორგიკა. ტ.VII. 1967. გვ. 113-117.
11. პინგოროვა. ვიორგი მერჩულე, გვ. 146-188.
12. თ.მიძნუანი. მისიმიანთა ეთნიკური ვინაობისათვის - მშათობი N 5, 1987. გვ. 162-165;
13. ვ.კასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ. 1991. გვ. 198-212; მისივე. ვინ იყვნენ მისიმიანები? - უცისკარი N 2, 1991. გვ. 152.
14. მინაძე. აფხაზეთის ძველი მონახლეობა. - მშათობი N 2, 1992. გვ.170.
15. В.М. Абазев. Осетинский язык и фольклор, т. I М.-Л. 1949. გვ. 329.
16. იქვე გვ. 309-322.
17. „По любезному осведомлению С.Н.Джанашиа мегрельский элемент был распространен в прошлом по Кодорскому ущелью нынешней Абхазии - факт особой важности, если иметь в виду



„**მноговековое соседство осетин-алан с Абхазией**“.- იქვე. **В.М.Абаев.**
 დასახ. ნაშრომი, გვ.329.

18. იქვე. გვ.294-300.
19. შუა ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I. თბ. 1966. გვ. 54-55;
20. **В.И.Абаев. Осетинский язык и фольклор.** გვ.304-306
21. შეიძლება ამის ანარეკლი იყოს წიგნის ავტორის ტაბის მამოსახლოვრებუ ავანური ტაბის კერამიკის აღმოჩენა. იბ. **Ю.Н.Воронов, О.Х.Бгажба, В.А.Логинов, Исследования в селе Цебельдой.**- ПИИ. 1983, Тб., с III-12 გვ.55.
22. დ.მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II. თბ. 1980. გვ. 54
23. იქვე. გვ. 53.
24. დ.მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II. თბ. 1980. გვ.54
25. **Армянская география VII века по Ф.А. Брассеру.**
26. **Е.П.Алексеева. Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии.** М.,1971; **В.А.Кузнецов. Аланские племена Северного Кавказа - МИА, N106** გვ. 131; ნაფხაზაყ. ალანები და საქართველო. - მაცნე N 3, 1991. გვ. 24-25.
27. ს.მაკალათია. მთის რაჭა. თბ. 1987. გვ. 15, 24,25; თბერძენ. რაჭა. თბ. 1983, გვ. 73; ვ.ვასვიაანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. გვ. 194-198;
28. **История Северо-Осетинской АССР т.I глава IX. Северная Осетия в XIV-XV вв.** (авт. **В.Х.Тменов, В.А.Кузнецов, К.Х.Гутнов, Ф.В.Тотоев**) **Орджоникидзе, 1987.** გვ. 139, 140, 142.
29. უცნობი ავტორი. ნიკოლოზ დვალის წამება - ქართული მწერლობა. ტ. 5. 1988. გვ. 326-328
30. მანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ. 1966. გვ. 142
31. **Ю.А.Воронов. Очерки Цебельдинской долины,** გვ. 140; **З.В.Анчабадзе. Очерки этнической истории абхазского народа,** გვ.39.
32. ვ.ვიორვაძე. ახურული ღურსმული ტექსტების „ქაშკა“ და „აბეშლა“ ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. (ხელნაწერი) თბ. 1997, გვ.9.



**ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა
„აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის“**

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა მკვეთრი დაპირისპირებაა იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ და სად ბინადრობდნენ ძველ წყაროებში ხშირად მოხსენიებული აფხაზები, რას ერქვა აფხაზეთი, მუდამ ცხოვრობდნენ თუ არა ამჟამინდელ აფხაზეთა წინაპრები აფხაზეთის ტერიტორიაზე და სხვა. ამ განსხვავების მიზეზთა შორის ორი მომენტი შეიძლება განსაკუთრებით გამოიყოს: 1. ზოგიერთი ისტორიული ეპოქის შესახებ არ არსებობს არაერთგვაროვანი წერილობითი წყარო; 2. არსებულ წყაროთა ნაწილის ცნობები ან ბუნდოვანია, ანდა არასწორად არის ინტერპრეტირებული. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია ისეთი მასალის მოპოვება, რომელიც შეაქვს წყაროთა უქონლობით ანდა ბუნდოვანებით გამოწვეულ ხარვეზებს. ამგვარ მასალად, უპირველეს ყოვლისა, ენობრივი მონაცემები გვესახება, რომელთაც ცალკეულ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება აღმოაჩნდეს აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევის საქმეში.

ამჟამად შესაძლებელი გახდა აფხაზურ-ადილურ და ქართველურ ენებში გამოვლენილიყო ისეთი ენობრივი მასალა, რაც ადრე საერთოდ არ იყო სამეცნიერო მიმოქცევაში, ან სხვაგვარად იყო ინტერპრეტირებული და რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ეთნიკური ისტორიისათვის. წინამდებარე ნაშრომში შეუძლებელია ვრცლად მთელი ამ მასალის განხილვა, ამიტომ ამჯერად წარმოვადგინთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ძირითად შედეგებს.

1. „აფხაზისა.. და „აფხაზეთის.. სვანებიკა კვალ წყაროთა მიხედვით

ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში შერ-ნაკლებად გაზიარებულია ტერმინების - „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ სემანტიკის შესახებ ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს ორი სახელი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში საქართველოში არსებული რეალური ისტორიული ვითარების კვალდაკვალ იცვლიდა მნიშვნელო-

* ნაშრომი წარმოადგენს ნაწილს მონოგრაფიისა „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური და ფოლკორული“, რომელიც მზადდება ეამონაქვეყნებლად.



ბას. კერძოდ, მოუთითებენ, რომ ახ.წ. IX საუკუნემდე „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ აღნიშნავდა საკუთრივ აფხაზებს (ეთნიკურ აფხაზებს, ანუ იმ ხალხს, ვინც ამჟამად საქუთარ ვინაობას „აფსუა“ სახელით აღნიშნავს) და მათ საბინადროს, საკუთრივ აფხაზეთს; VIII-XI საუკუნეებს შორის იგივე ტერმინები პარალელურად გამოიყენებოდა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლისა და ამ მხარის მცხოვრებთა აღსანიშნავადაც; XI საუკუნიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაქუცმაცებამდე და გვიანფეოდალური აფხაზეთის სამთავროს იმერეთის სამეფოსაგან გამოყოფამდე „აფხაზეთი“ სრულიად საქართველოსაც ერქვა, „აფხაზი“ კი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ყველა მცხოვრების განმაზოგადებელი სახელიც იყო, ამის შემდგომ კი დასახელებულ ტერმინებს საბოლოოდ შერჩათ ის მნიშვნელობა, რაც დღესაც აქვთ (ამ განმაზოგადებელი შეხედულების შესახებ იხ. ამიქბა, 1988, გვ. 3).

ამ მოსაზრებას აქვს საკმაოდ სერიოზული ნაკლოვანება და მოითხოვს დაზუსტებას. კერძოდ, არცერთ ძველ წერილობით წყაროში ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე არ დასტურდება „აფხაზი“, „აფხაზეთი“, ან მსგავსი ფლერადობის მქონე ხზვა ტერმინი არამცთუ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიისა და მის მცხოვრებთა, არამედ შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიისა და მის მცხოვრებთა აღსანიშნავადაც, რაც ფრიად საყურადღებო ფაქტია. მეტიც, ქართულ წერილობით წყაროთაგან ტერმინი „აფხაზეთი“ ყველაზე ადრე ახ.წ. V საუკუნის ამბებთან დაკავშირებით არის გამოყენებული „ქართლის ცხოვრებაში“. რაც შეეხება ამ ორ ტერმინთან ფონეტიკურად ახლოს მდგომ სხვა სახელებს, მათგან ტერმინი „აფსილი“ ახ.წ. I საუკუნიდან დასტურდება, ხოლო „აბასგი“ ახ.წ. II საუკუნიდან. მართალია, „აფსილი//აფსელ“ და „აბასგ“ სახელები ფონეტიკურად ახლოს დგანან აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუა“-სთან და აბაზათა თვითსახელწოდება „აბაზა“-სთან, მაგრამ სპეციალისტთა უმრავლესობისაგან განსხვავებით მიგვაჩნია, რომ ბაკითი ამ ტერმინთა იდენტურობის და აფშელუბისა და აბასგების აფხაზ-აბაზათა წინაპრებად მიჩნევის შესახებ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გარკვეული სათანადო უტყუარი ცნობების უქონლობის გამო. ამ მიზეზის გამო, სანამ მიკვლევლი არ იქნება უცქველი ცნობები აფშელუბისა და აბასგების მშობლიური ენის (ან ენათა) რაობის შესახებ, შეხედულება აფშელუბისა და აბასგების აფხაზებისა და აბაზების წინაპრებად მიჩნევის შესახებ მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზად თუ დარჩება, ვინაიდან სიტყვათა გარეგნული მსგავსება არ არის საკმარისი ამ სიტყვათა სემანტიკის გასაიგივებლად.



გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ეპოქებში ტერმინების - „აფხაზის“, „აფხაზეთის“, „აბასგის“, „აბასგიის“ ზუსტი სემანტიკის დასადგენად ვაძინებ მნიშვნელობა აქვს სათანადო წერილობით წყაროთა ობიექტურ ტექსტოლოგიურ ანალიზს. სამწუბაროდ, ჩვენში დღემდე არ ჩატარებულა ამგვარი საბუთაო არამართო ქართულ, არამედ უცხოენოვან წერილობით წყაროებზე, კრიტიკულად არ შეფასებულა წინა თაობის მკვლევართა ცალკეული მოსაზრებანი, არ დადგენილა წყაროთა მონაცემებს შორის არსებულნი შეუსაბამობის მიზეზები, არ გამოვლენილა რედაქციულ სხვაობათა მიზეზები და სხვ. მაგალითად, ჯერ კიდევ არ გასცემია პასუხი კითხვას: რატომ არ დასტურდება ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ V საუკუნის ამბების გადმოცემაში, მაშინ როდესაც ბერძნულ-ლათინურ წყაროებში აფშელეები ახ. წ. I, ხოლო აბასგები ახ.წ. II საუკუნიდან სისტემებრ იხსენიებიან დასავლეთ კავკასიაში.

ამ მნიშვნელოვანი კითხვის ერთ-ერთი შესაძლებელი პასუხი ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: ქართულ ენაზე „აფხაზეთი“ V-VI საუკუნეებამდე მაინც არ ერქვა არც ამჟამინდელი აფხაზეთის მთელ ტერიტორიას და არც მის რომელიმე ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიის ნაწილზე საკუთრივ ქართველურ ტომებთან ერთად უკვე ახალი წესით აღმოცენდა დასაწყისიდან შესაძლოა დასაბუთებული იყვნენ აფშელეები და აბასგები, რომელთა ეთნიკური ენობა, როგორც აღენიშნეთ, ჯერ კიდევ გასარქვევია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმეორებს დ.ლეთოდიანის მიერ გამოვლენილი ფაქტი ახ.წ. VI საუკუნეში ბერძნულ ენაში „აბასგია“ და „აბასგოს“ სახელთა ფართო მნიშვნელობით გამოყენებისა: ბიზანტიის მიერ ვერისის (ლაზიკის) შესუსტების მიზნით ერთ პოლიტიკურ ოდენობად გაერთიანებულ აბასგიასა და სანიგეთს ბერძნულ წყაროებში ამ დროს უკვე „აბასგია“ ზოგადი სახელით აღნიშნვდნენ, ხოლო აბასგ-სანიგთა განმაზოგადებელ სახელად ხმარობდნენ „აბასგოს“ ტერმინს (ლეთოდიანი, 1991, გვ.39), ე.ი. ადრინდელი ეთნონიმი (სატიშვილ-სახელი), რომელიც არც თვითონ დასტურდება შესაბამისი პერიოდის ქართულ წყაროებში და არც „აფხაზ“ ეკვივალენტით არის ჩანაწერიებული, ბერძნულში პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე სახელად, ანუ პოლიტონიად გადაიქცეა, რაკ ეს სიტყვა ფართო მნიშვნელობით უკვე V საუკუნეში დასტურდება ბერძნულ წერილობით წყაროებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით ბერძნულ ენაში იგი, შესაძლოა, ცოტა ადრეც, კერძოდ, V საუკუნეშიც იხმარებოდა პოლიტონიად. ყოველ შემთხვევაში, სათანადო პოლიტიკური საფუძვლები, შესაძლოა, არსებობდა უკვე V-VI საუკუნეთა



1998 წლის 11 თვის 11

მიზნაზე მაინც. აქვე უნდა გაეიხსენოთ ისიც, რომ VI საუკუნეებში რომის იმპერიის თვითონვე უწყობდა ხელს ლაზიკის (ეგრისის) გაძლიერებას, რათა შემდგომში შეეძლო მისი დასავლეთ საქართველოდან სასანიდური ირანი (პაპასჭირი, 1998, გვ. 109). მაგრამ როდესაც ეგრისის მეფეები ამკარად შეეცადნენ რომის იმპერიის გავლენისაგან თავის დაღწევას, იმპერიის ხელისუფლებამ მამინვე მიიღო ზომები ეგრისის შესუსტებისთვის და ამ მიზნით გააერთიანა მისი ჰეგემონიის ქვეშ მყოფი აბასგია და სანიგეთი, რომელიც თავის დასაყრდენად სჭირდებოდა.

სავარაუდოა, რომ ახლად გაერთიანებული აბასგია-სანიგეთის განმარტოვებულ სახელად ქართულ ენაშიც უნდა დამკვიდრებულიყო ფართო მნიშვნელობის შქონე პოლიტონიმი „აფხაზეთი“. თუ მივიღებთ ამგვარ ვარაუდს, მაშინ საკმაოდ იოლად იხსნება ის ფაქტი, რომ ტერმინი „აფხაზეთი“ „ქართლის ცხოვრებაში“ საერთოდ არ დასტურდება V საუკუნის ამბავთა გადმოცემებში (ცალკე დგას ტერმინ „აფხაზეთის“ გამოყენების ერთადერთი შემთხვევა ახ.წ. I საუკუნეში ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მოღვაწეობის აღწერისას. „ქართლის ცხოვრების“ ამ ადგილას ტერმინი „აფხაზეთი“ გვიანდელ ჩანართად მიიხსნება, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად ივ. ჯავახიშვილს. ივ. ჯავახიშვილი, 1977, გვ. 177). ამავე მონაცემთა საფუძველზე სავარაუდოა ისიც, რომ აბასგია-სანიგეთის პოლიტიკურ გაერთიანებასა და შემდგომში ბიზანტიის ანტიეგრისული პოლიტიკის შედეგად ახალი ერთეულის გაძლიერება-გაფართოებას ხელი უნდა შეეწყო ქართულ სიანმდვილეში ტერმინ „აფხაზის“ არა ეთნონიმის, არამედ პოლიტონიმის მნიშვნელობით, ბოლო ტერმინ „აფხაზეთის“ კიდევ უფრო ფართო ხელმძღვანელობის გამოყენებისათვის VI-VIII საუკუნეებში.

როგორც დადგენილია ისტორიკოსთა მიერ, VIII საუკუნის 10-იანი წლების დამდეგს დასავლეთ საქართველო ახალი ძალის, არაბთა ფაქტობრივ მფლობელობაში აღმოჩნდა, რასაც, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდა ბიზანტია (პაპასჭირი, 1998, გვ. 103). ბიზანტია იწყებს აქტიურ პოლიტიკურ ქმედებას, რის შედეგადაც მან მოახერხა მისი ჰეგემონიიდან დროებით გამოხსნილი აბასგიისა და აფშელეთის დამორჩილება. ჩვენი აზრით, სავსებით მართებულია ზ. პაპასჭირის ვარაუდი იმის შესახებ, რომ სწორედ ამ დროიდან იწყება ბიზანტიის ხელისუფლების მიერ „აფხაზეთის მთავრის“ პოზიციების განმტკიცება-გაფართოება (პაპასჭირი, 1998, გვ. 107). როგორც ვარაუდობენ, არაბთა დასავლეთ საქართველოდან განდევნისა და ეგრისის (ლაზიკის) საბოლოო შესუსტების მიზნით ბიზანტიამ ხელი შეუწყო ქართლის ერისმთავარ სტეფანოზის კონტროლის დამყარე-

226336
3

საბინათმშენებელი 17
04080000
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ბას ეგრისზე და აქ ანტიბიზანტიური პოლიტიკის გამტარებელი სერგი ბარნუკისძის საგვარეულოს მმართველობის დამხობას (პაპასქირი, 1998, გვ. 110). ამ ისტორიული მოვლენების საფუძველზე „... შეიძლება მსჯელობა ლაზიკა-ეგრისის ერთგვარ გადანაწილებაზე. იმპერიამ თავისთვის დაიტოვა აბაზგია-აფშილეთი (მდ. კელასურამდე), ხოლო ლაზიკის დანარჩენ ნაწილში ქართლის ერისმთავრის მფლობელობა ცნო. ეს თუ ასეა, ლაზიკის განაწილება კონსტანტინოპოლის დიპლომატიის უადრესად წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამით ბიზანტიამ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვა ლაზიკა-ეგრისს, როგორც ცალკე სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, რომელიც, როგორც ცნობილია, არაერთხელ დაპირისპირებია ბიზანტიის ინტერესებს ამიერკავკასიაში. ეგრისის დიდი ნაწილის ქართლისათვის მიერთებითა და ბიზანტიის ერთგული ქართლ-ეგრისის ერთიანი სახელმწიფოს შექმნით იმპერია განაერცობდა (იურიდიულად მაინც) თავისი გავლენის სფეროებს და ფაქტობრივად ცდილობდა იმ ვითარების აღდგენას, რომელიც შეიქმნა 628 წელს ჰერაკლე კეისრის მოკავშირეების ზაზარების მიერ თბილისის აღების შემდეგ“ (პაპასქირი, 1998, გვ. 110-111). საბოლოოდ, ბიზანტიის ხელისუფლების მხარდაჭერით თანდათან გაძლიერდა „აფხაზეთის“ სამთავრო, რომლის საზღვრებში VIII საუკუნის 70-80-იან წლებში შორს გადაიწია და თითქმის მთლიანად მოიცვა მთელი დასავლეთ საქართველო. ამისი დამადასტურებელი უეჭველი ცნობა მოიპოვება 786 წლის ახლო ხანებში დაწერილ იოანე საბანისძის „ჰაბოს წამებაში“, რომლის მიხედვითაც „აფხაზეთის სამთავროს“ პოლიტიკურ საზღვრებშია მოქცეული ტერიტორია ქალდეა-ტრაპეზუნტიდან ნაფსაის (ნიკოფსისის) ნავსადგურამდე, ხოლო მთელი ეს „ქვეყანა“ ბერძენთა („რონთა“) მეფის საბრძანისი (ეასალი) ყოფილა.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული მეტყველებს იმის შესახებ, თუ როგორ იფართოვებდა თანდათანობით სემანტიკას ტერმინი „აფხაზეთი“ VI-VIII საუკუნეებში. სამწუხაროდ, ასეთივე სიცხადით არ ჩანს ტერმინ „აფხაზის“ სემანტიკის ცვლა სათანადო მონაცემთა სიმწიარის გამო, მაგრამ სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ქართულ ზინამდევლეში VI-VIII საუკუნეთა მანძილზე ტერმინი „აფხაზი“ უფრო პოლიტონიმი შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე ეთნონიმი და ამ ვარაუდს მხარს უნდა უჭერდეს სწორედ ტერმინ „აფხაზეთის“ სემანტიკის ცვლის ფაქტი ამავე პერიოდში. ამ მიზეზთა გამო მკლარად არის მისაზნევი ნაშრომის დასაწყისში დამოწმებული მოსაზრება იმის შესახებ, თითქმის IX საუკუნემდე ტერმინი „აფხაზი“ აღნიშნავდა ეთნიკურ აფხაზებს, ხოლო „აფხაზე-



თი“- საკუთრივ აფხაზეთს. არსებული მონაცემები ცხადყოფენ, რომ საქმე პირველ იყო: V-VI საუკუნეთა მიჯნიდან IX საუკუნემდე პერიოდში ორივე ტერიტორია ქართულ ენაში უკვე გამოიყენებოდა ფართო მნიშვნელობით და ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად ფართოვდებოდა, ხანამ ამ ტერიტორიაზე არ მიიღეს მთელი დასავლეთ საქართველოსა და ამ ტერიტორიის მკხოვრებთა აღმნიშვნელი ვან ზოვადებული სახელების ფუნქცია.

ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილ დასკვნას თითქოს ეწინააღმდეგება VIII საუკუნის მოღვაწის ჭვანჭერ ჭვანჭერაიანის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ მონაცემები. ამ მატიაწევი ტერმინი „აფხაზეთი“ სულ 12-ჯერ არის გამოყენებული, ხოლო ტერმინი „აფხაზი“ ერთადერთხელ და ამ ერთადერთ შემთხვევაშიც მისი სემანტიკა ბუნდოვანია. ჩვენი დაკვირვებით, ჭვანჭერის თხზულების ქართულ ტექსტში ტერმინი „აფხაზეთი“ ორი მნიშვნელობით არის გამოყენებული: ა) აღნიშნავს საკუთრივ აფხაზეთს, რომლის საზღვრები არ ემთხვევა თანამედროვე აფხაზეთის საზღვრებს*; ბ) ჩვენი ვარაუდით, აღნიშნავს დასავლეთ საქართველოს, ან მის უდიდეს ნაწილს. მატიაწევი V-VIII საუკუნეთა ისტორიის აღწერისას ტერმინ „აფხაზეთის“ მეორე,

ფართო მნიშვნელობით ხმარება ლოგიკურად ბადებს ვეჭვს მატიაწის სათანადო ტექსტობრივი მონაკვეთების არაავტორიულულობის შესახებ, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, VIII საუკუნის II ნახევრამდე ამ სახელს ქართულ ენაში ჯერ კიდევ არ იყენებდნენ მთელი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად. ვეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს იმისი გათვალისწინებაც, რომ ჭვანჭერის მატიაწის ამჟამად არსებული ტექსტის ზოგი ცნობა ბუნდოვანია, ანდა წინააღმდეგობაშია სხვა წყაროთა ცნობებთან, რაზეც საკმაოდ ხშირად მოუთითებენ სპეციალისტები. მაგალითად, მატიაწის ამჟამინდელ ტექსტში საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი VIII საუკუნის 30-იან წლების ბოლოს დასავლეთ საქართველოში არაბი სარდლის მურვან იბნ-მუჰამედის („ყრუს“) ლაშქრობის, ანაკოფიასთან გამართული ბრძოლისა და ქართლის ერისმთავარ სტეფანოზის ვაჟების - შირისა და არჩილის თავგადასავლის, აგრეთვე აფხაზეთის მთავართან მათი ურთიერთობის შესახებ. ამ ცნობათა შეჭერებამ VIII საუკუნის ანონიმი ავტორის „დავით და კონსტანტინეს წამებასთან“ აჩვენა, რომ ორი თხზულების ცნობები აღნიშნული ამბების

* აღნიშნავთ, რომ, როგორც ისტორიკოსთა მიერ არის დადგენილი, ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორია XVIII საუკუნემდე არასოდეს ყოფილა ერთი განუყოფელი პოლიტიკურ-აღმნიშვნელოვანი ერთეული (იხ. პასტურო, 1998, გვ. 125-126).



შესაბამებ არ ეთანხმება ერთმანეთს (ბოგვერაძე, 1988, გვ. 178; შაპასჭირი, 1998, გვ. 113, შენ. 40). მსგავსი შეუსაბამობანი ჭიანჭურის მატყინის, ამჟამინდელი ტექსტისა და ლათინურ, ბერძნულ, სომხურ, ქართულ წყაროებში აღწერილი შორის სხვაც დასტურდება (ლეთოლიანი, 1991, გვ. 65-66 და სხვ.). ამიტომ საესეები ბუნებრივად მიგვაჩნია, დავსვათ საკითხი, ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდეს გვიანდელი ჩანართები ჭიანჭურის მატყინეში, აღდგეს თხზულების თავდაპირველი, ავტორისეული ტექსტი, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეხსნას ჭიანჭურის მისთვის უსამართლოდ მიწებებული ზედპირული და ნაკლებსანდო ავტორის იარაღი (იხ. ლომოური, 1997, გვ. 39).

ჭიანჭურის მატყინის თავდაპირველი ტექსტის დასადგენად, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს „ქართლის ცხოვრების“ XII საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებულ ძველ სომხურ თარგმანთან შეჯერებას. შესადაარებლად აეარჩიეთ „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. ანასეული ნუსხა, რომელიც ფაქტობრივად ანასეულის პირია (ნ. შოშიაშვილის დასაბუთებით). ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველ-ქართულ ხელნაწერებს შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით სერიოზული სხვაობა არ შეინიშნება.

მართალია, სომხური ტექსტი ხშირ შემთხვევაში ამოკლებს თავის წყაროს, მაგრამ იგი მაინც არ კარგავს გამაკონტროლებელ მნიშვნელობას ძველის ტექსტოლოგიური კვლევის დროს. ამასთანავე ქვემოთ წარმოდგენილი დასკვნები მიღებულია არა მხოლოდ სომხური ტექსტის საფუძველზე, არამედ პირველ რიგში ქართული ტექსტის ანალიზის შედეგად.

ქართული ტექსტის სომხურ თარგმანთან შეჯერებამ ფრიად საყურადღებო სურათი წარმოაჩინა. აღმოჩნდა, რომ 12-დან 8 შემთხვევაში, როცა ქართულ ტექსტში ტერმინი „აფხაზეთი“, ჩვენი აზრით, დასავლეთ საქართველოს უნდა აღნიშნავდეს, სომხური თარგმანის შესაბამის ადგილას ეს სიტყვა საერთოდ არ დასტურდება. მაგალითად, V საუკუნის 60-იან წლებში („ქართლის ცხოვრების“ ბარათაშვილისა და ფალავანდიშვილისეულ ნუსხათა მიხედვით - 467 წელს) ვახტანგ გორგასალი ათი წლისა ყოფილა, როცა აღმოსავლეთ საქართველოს თავს დასხმიან ოსები, მოუოხრებიათ მხარე და სხვებთან ერთად ტყვედ წაუყვანიათ ვახტანგის სამი წლის და. ამ ამბის აღწერის შემდეგ ანასეულ ნუსხაში წერია: „მაგვე ჭამა გამოვიდეს ბერძენი აფხაზეთად (ე.ი. აფხაზეთში - თ.გ.), რამეთუ ბერძენთა ქონდა ვერისწყალს (მდ. ლალიძგას - თ.გ.) ქვემოთი კერძი (დასავლეთით მხარე - თ.გ.) ყოველი, და დაიპყრეს ვერისწყლითგან ვიდრე ციხეგოჯამდე

(ნოქალაქევაძე - თ.გ.)". (ან. ქც. გვ. 94).

თავდაპირველად გავერკვეთ ამ ცნობის შინაარსში, ვცადოთ მისი ლინგვისტურ-ტექსტოლოგიური ანალიზი. ლინგვისტური თვალსაზრისით მდელი ეს მონაკვეთი წარმოადგენს ერთ რთულ წინადადებას და იყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილია მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება: „მასვე ვაშა გამოვიდეს ბერძენი აფხაზეთად, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ვგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი“. ამ წინადადებაში მაკავშირებელი „რამეთუ“ სიტყვის შემცველი დამოკიდებული წინადადება განმარტავს, თუ რა მიზეზის გამო შემოვიდნენ ბერძენი აფხაზეთში - იმიტომ, რომ მათ უკვე მითვისებული ჰქონდათ ვგრისწყალ-ლალიძის დასავლეთით მდებარე ყველა (ქართული) მხარე. სხვაგვარად რომ ითქვას, ამ წინადადებაში „აფხაზეთი“ გულისხმობს არა ლალიძის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალს, როგორც ეს უფრო ლოგიკური იქნებოდა, არამედ ლალიძის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას, ე.ი. ამჟამინდელ სამურზაყანო-სამეგრელოს. მამასადაძე, რაკილა ბერძენებს უკვე ჰქონიათ ფორპოსტი ლალიძის დასავლეთით, ამან ხელი შეუწყო და გაუადვილა მათ „აფხაზეთში“, ანუ ლალიძის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყლის დასაპყრობად შემოსვლა.

ამ შინაარსს ადასტურებს ტექსტის მომდევნო ნაწილიც, რომელიც პირველ ნაწილს ებმის „და“ კავშირით: „...და დაიპყრეს ვგრისწყლითგან ვიდრე ციხეგოჯადმდე“. ვფიქრობთ, ამ მარტივ წინადადებას სულაც არ სჭირდება ღრმა ანალიზი იმის გასაგებად, რომ მასში ლალიძიდან ნოქალაქევაძე მდებარე ამჟამინდელი სამურზაყანო-სამეგრელოს ბერძენთაგან დაპყრობა იგულისხმება. რაც მთავარია, მთელი ცნობის ტექსტი პირდაპირ და არაორაზროვნად გვეუბნება, თითქოსდა V საუკუნის 60-იან წლებში „აფხაზეთი“ ერქვა მდინარე ლალიძის აღმოსავლეთით თითქმის მთელი ამჟამინდელი სამეგრელოს მომცველ ტერიტორიას, რაც ყოველად წარმოუდგენელია ასე ყოფილიყო. მამასადაძე, ეს ცნობა არ შეესაბამება V საუკუნის რეალობას, რის გამოც საძიებელია შეცდომის წყარო.

რეალობასთან ტექსტში არსებული შეუსაბამობა შეუძენეია „ქართლის ცხოვრების“ გამომცემელს აკად. ს. ყაუხჩიშვილს, რომელსაც ანასეული ნუსხის „აფხაზეთად“ (ე.ი. აფხაზეთში) ფორმა ჩაუტანია სქოლიოში, ხოლო ძირითად ტექსტში მის ადგილას ჩაუწერია „აფხაზეთით“ (ე.ი. აფხაზეთიდან) ფორმა. ამ თიფქოსდა ლოგიკურმა ჩასწორებამ რადიკალურად შეცვალა ცნობის შინაარსი: თუ ანასეული ნუსხა მიუთითებდა, რომ ბერძენები „აფხაზეთში“ ანუ ამჟამინ-



დელ სამურზაყანო-სამეგრელოში გამოვიდნენ, სწორების შემდეგ გამოდის, რომ ბერძნები საკუთრივ აფხაზეთიდან გამოსულან ლალიძგის აღმოსავლეთით, რითაც საკუთრივ აფხაზეთის ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვრად *მ. ჯაფარიძის 60-*იანი წლებისათვის ვგრისწყალ-ღალიძგა კანონდება (სამწუხაროდ, ისტორიკოსთა ნაშრომებშიც და მათ მიერვე შედგენილ ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკებზეც ღალიძგა ამ პერიოდის ვგრის-აფხაზეთის ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვრად აღინიშნება, რასაც მხარს არ უჭერს არც ერთი სხვა წყაროს მონაცემები).

ბუნებრივია, ამ ცნობის ტექსტთან დაკავშირებით დაისვას საკითხები: როგორი იყო მატჩანის ამ მონაკვეთის თავდაპირველი, ავტორისეული ტექსტი? იქნებ მართალი იყო ს. ყაფხჩიშვილი და მართებული „აფხაზეთით“ ფორმის შეცვლა უმართებულო „აფხაზეთად“ ფორმით მატჩანის ტექსტის გვიანდელი გადაწყერის კალმისმიერი ლაფსუსია?

რა თქმა უნდა, ამ საკითხთა ასე თუ ისე გადაწყვეტა მხოლოდ ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე საბოლოო კემპარიტება ვერ იქნება და მხოლოდ ვარაუდად, სამუშაო ვიპოთუნად თუ დარჩება. მაგრამ სულ სხვა ვითარება გვექნება, თუ დასახელებულ ცნობას შევაჯერებდით დანაჩენ წყაროთა მონაცემებთან. როგორც აღვნიშნეთ, მდინარე ღალიძგა აფხაზეთის ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვრად V საუკუნის 60-იანი წლებისათვის არცერთ სხვა წერილობით წყაროში არ არის მითითებული, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია. ამიტომ ლოგიკურად ისმის ახალი საკითხი: ხომ არ არის მატჩანის თავდაპირველი ტექსტი თვითნებურად ჩასწორებული გვიანდელი რედაქტორის მიერ? აი, ამ საკითხის გადაწყვეტისათვის, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი იქნებოდა ისეთი შესანიშნავი საკონტროლო საშუალებების იგნორირება, როგორიც „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის მონაცემებია (ეს თარგმანი ხომ მინიმუმ 400 წლით მაინც წინ უსწრებს „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ნუსხებს?!). ქართული ტექსტისა და მისი სომხური თარგმანის შეჯერებამ დაადასტურა ქართული ტექსტის ლინგვისტურ-ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგები: მასში ტერმინი „აფხაზეთი“ სათანადო ადგილას საერთოდ არ დასტურდება, გეოგრაფიულ სახელთაგან გამოყენებულია მხოლოდ „ქუჯის ციხე“ (ციხეგოჯი) და „ვგრისწყალი“ (ღალიძგა). თარგმანში წერია: „გამოვიდნენ ბერძნებიც და აიღეს ვგრისწყლის ქვემოთ ქუჯის ციხემდის“ (ძველსომხ. თარგმ., გვ. 145).

მატჩანის ქართულ ტექსტში არსებული შეუსაბამობა ისტორიულ რეალობასთან, მსგავსი ცნობების დაუდასტურებლობა შესაბამისი პერიოდის ამსახველ



საისტორიო წყაროებში და სომხური თარგმანის მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ შემდეგი: ა) ჭუანშერის მატიანის ტექსტში „აფხაზეთი“ ფორმა ჩამატებული უნდა იყოს მას შემდეგ, რაც XII საუკუნის მეორე ნახევარში „ქართლის ცხოვრება“ ითარგმნა სომხურ ენაზე; ბ) სომხური თარგმანი უნდა ასახავდეს მატიანის თავდაპირველ ტექსტს; გ) ტერმინი „აფხაზეთი“ V საუკუნისათვის შესაბამისი შინაარსით გამოყენებული უნდა იყოს გვიანდელი რედაქტორის მიერ მისი თანამედროვე რეალური ვითარების ან წინა პერიოდის ვითარების გათვალისწინებით, როცა „აფხაზეთი“ ერქვა მთელს დასავლეთ საქართველოს.

ამ მოსაზრებათა გაზიარების შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ინფორმაციულია სომხური თარგმანის ტექსტი. მაგრამ საკმარისია ტექსტისათვის თვალის გადავლება, რომ დავრწმუნდეთ, სომხურ თარგმანში შენარჩუნებულია ძირითადი ინფორმაცია: ოსების თავდასხმის პარალელურად დასავლეთ საქართველოს შემოსევიან ბერძნებიც და დაუპყრიათ მიწა-წყალი ციხეგოჭამდე. აქვე არის მინიშნება იმის შესახებაც, რომ *ვერისწყალზე V საუკუნის 60-იან წლებში მართლაც ვადიოდა ბიზანტია-საქართველოს ბაზღვარი, ოღონდ ეს ბაზღვარი პოლიტიკური ვოფილა და არა ეთნიკური*, რაკი აქ „აფხაზეთი“ საერთოდ არც კი იხსენიება. ამ მიზეზთა გამოც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სომხური თარგმანის ტექსტის მიჩნევა ჭუანშერის მატიანის თავდაპირველ, ავტორისეულ ტექსტთან ახლომდგომად საეხებით დასაშვებად გვესახება. მსგავსი ვითარება დასტურდება ჭუანშერის მატიანეში კიდევ 7 სხვა შემთხვევაშიც (მათ შესახებ ვრცლად იხ. გვანცელაძე, 1977).

მიუხედავად საანალიზო საკითხის განხილვას. ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს, რომ V საუკუნემდე ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“, შესაძლოა, ქართულ-ქართველურ ენებში არ გამოიყენებოდა ვიწრო მნიშვნელობით, კიდევ უფრო განამტკიცებს ახ.წ. I-V საუკუნეების ბერძნულ-ლათინურ წყაროთა ცნობების ანალიზი, რაც შესანიშნავად შეასრულა დ.ლეთოლიანი (ლეთოლიანი, 1991, გვ. 3-33), თუმც ალაგ-ალაგ მის ნაბრევსაც ემჩნევა ადრე გავრცელებულ ტრადიციულ (ძირითადად შიპოთეზებზე დამყარებულ) შეხედულებათა ზეგავლენის კვალი. მკვლევარმა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ *დასაბუღებული პერიოდის (ახ.წ. I-V სს.) ბერძნულ-ლათინურ წყაროებში ცნობები აბასგების განსაზღვების შესახებ არც ისე ცხადი და უუჭველია, როგორც ეს აქამდე მიაჩნდათ*. მაგალითად, ახ.წ. II საუკუნეში, კერძოდ კი 131 წელს შავი ზღვის სანაპირო გარკვეული დავალებით მოიარა რომის იმპერიის დიდმოხელე



ფლავიუს არიანემ. მის „პერიპლუსში“ ნათქვამია:

„ლაზების მებობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იუდოანემ: მეფეთმა სვენი მამისაგან მიიღო. აფსილების მე ზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მე ზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება ზემასტოპოლიანი. სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი „(ფლავიუს არიანე. ქართული თარგმანი და კომენტარები ნ. კეკელიძისა. თბილისი, 1961, გვ. 43).

ამ ცნობის მიხედვით დაასკვნინდნენ, რომ II საუკუნეში აქ დასახლებული ტომები (ლაზები, აფსილები, აბასკები და სანიგები) სწორედ ამგვარი თანმიმდევრობით ყოფილან განსახლებულნი შავი ზღვის სანაპიროზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ხოლო აფსილები და აბასკები თითქოს უკვე დასახლებულნი ყოფილან აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილზე. როგორც დ. ლეთოდიანი აღნიშნავს, „გამოდის, რომ აბაზგები ახ.წ. II საუკუნის დასაწყისისათვის უნდა გამოჩენილიყვნენ სანაპიროზე აფსილებსა და სანიგებს შორის. მაგრამ ამ დროისათვის საამისოდ არ არსებობდა რაიმე ისტორიულ-რეალური მიტუყია“ (ლეთოდიანი, 1991, გვ.9) მართლაც, არცერთ სხვა წყაროში მსგავს ფაქტზე მინიშნებაც კი არ არის, ხოლო „ქართლის ცხოვრება“ ამ პერიოდის შავიზღვისპირეთის ეთნიკური ვითარების შესახებ სრულიად არაეითარ ცნობას არ გვაწვდის, რაც არცთუ ისე უმნიშვნელოა. არანაკლებ საყურადღებოა თვით ამ ცნობაზე დაკვირვების შედეგებიც. იმავე დ.ლეთოდიანის საესებით სამართლიანი აზრით, „ფლ. არიანე თავისი დროისათვის ხრულიადაც არ მიუთითებს აბაზგების ზღვის სანაპიროზე მოსახლეობას, ის მხოლოდ აფსილების, აბაზგების და სანიგების მებობლობას აღნიშნავს ერთმანეთთან, ხოლო რომელი მხრიდან ემე ზობლებთან ისინი ერთმანეთს, ამაზე ფლ. არიანე არაფერს ამბობს. ამ ტომების მართო თანმიმდევრობით ჩამოთვლა მასთან (ჯერ აფსილების, შემდეგ აბაზგების და სანიგების დასახელება) და მათი მებობლებად მოხსენიება სულაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ისინი თანმიმდევრობით განსახლებული წარმოვიდგინოთ სანაპიროზე. მაერთოდ, არიანეს ცნობა ვერ გვაძლევს კონკრეტულ ცოდნას აბაზგების საცხოვრისზე“ (ლეთოდიანი, 1991, გვ.10).

ლოგიკურად და გასაზიარებლად მიგვაჩნია დ.ლეთოდიანის თვალსაზრისი იმის შესახებაც, რომ არიანეს დასახელებული ცნობიდან სრულებით არ ჩანს, თუ კონკრეტულად სად ემიჯნებოდნენ ერთმანეთს აფსილები და აბასკები II საუკუნეში. რაც მთავარია, ამომდევნო საუკუნეებში მათი აქ (ზღვის სანაპიროზე -



თ.გ.) მოუხსენიებლობა (იგულისხმება იპოლიტე რომაელის, ეესევი კესარიელის, პროკოპი კესარიელის, იუსტინიანეს ნოველების, აგათია სქოლასტიკოსი და სხვა წყაროთა ცნობები - თ.გ.) მაინც ვერ აიხსნება მხოლოდ მძიმე მითითებების (ან IV-V სს-ში) მოხდა აბაზგთა ტომის მთლიანად გადასვლა სანიგების საცხოვრისზე, დღევანდელი გუმისთიდან ვიდრე მდ. ზნიფამდე (ან მდ. აბასკოსამდე-ფსოუმდე). ასევე სანიგების სამოსახლოზე სემასტოპოლიდან (სოხუმიდან) მდ. გუმისთამდე დაემკვიდრა აფშილების ნაწილი. მეცნიერთა ძირითადი ნაწილი (მ. კისლინგი, ს. ყაუხჩიშვილი, პ. ანგოროვცა, ნ. ბერძენიშვილი, ზ. ანჩაბაძე, გ. მელიქიშვილი, დ. მუსხელიშვილი, მ. გუნბა, შ. ანალი-თა და სხვა) სწორედ ასეთ შესაძლებლობაზე მიუთითებენ (ამ მოსაზრებას საფუძვლად დაედო მ. კისლინგის „*საბაზგთა, რომელსაც შემდგომში ახალ-ახალი ჰიპოთეზები დაემყენა და საყოველთაოდ გავრცელდა - თ.გ.*). თუმცა არა მარტო არ არსებობს რაიმე პირდაპირი წერილობითი წყარო, რომელიც პირდაპირ აღნიშნავს სანიგების მიწა-წყალზე აბაზგების მთლიანად და აფშილების ნაწილის გადასვლას და იქ მათ დამკვიდრებას, მათ უფრო სანიგების თავის საცხოვრისიდან აყრასა და ჩრდილოეთით მათ გადაადგილებას, არამედ აპრიორულადაც შეუძლებელია ამ აზრის გაზარება, რადგან სანიგების ეთნო-პოლიტიკური ერთეული საკმაოდ ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდა ფლავიუს არიანეს დროს, რომელიც სემასტოპოლ-სოხუმიდან მდ. აქქუნტამდე, ჭიქებამდე აღწევდა; ხოლო სემასტოპოლისში რომაელების საკმაოდ მონრდილი გარნიზონი იდგა და სემასტოპოლისი მტკიცე ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა“ (ლეთოლიანი, 1991, გვ. 11).

ჩვენ ვიზიარებთ დ. ლეთოლიანის მიერ ამგვარ მასალაზე დაყრდნობით გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „*პირველი წყარო, რომელიც პირდაპირ აღნიშნავს აბაზგების სანაპიროზე მოსახლეობას, არის VI ს-ის ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი, მაგრამ ის არ მიუთითებს აბაზგების განსახლების კონკრეტულ ადგილს...“* (ლეთოლიანი, 1991, გვ. 28), თუმცა მთლიანად ვერ დავეთანხმებით აკად. ს. ჯანაშიას ვარაუდსა და აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაზე დამყარებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „*...აბაზგები (აფხაზები) V ს-დან გამოჩენილან სანაპიროზე, პიტოენტსა და მდ. აბასკოსს (ფსოუ ან მძიმთა) შორის 240 სტადიონ მანძილში (დღევანდელი გაგრის რაიონში) და პოლიტიკურად გაბატონებულან კიდევ ტერიტორიის ამ მონაკვეთში სანიგებზე...“* (ლეთოლიანი, 1991, გვ. 30):

- ა) ვერ ერთი, დღემდე საბოლოოდ არ გარკვეულა, ნამდვილად იყვნენ თუ არა აბასგები ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები, რაკი უცნობია მათი მშობლიური ენა;
- ბ) საბოლოოდ არ მომხდარა აბასგთა მთავარი დასახლებული პუნქტის

ტრაქეის იდენტიფიკაცია. ამ საკითხზე აბრთა სხვადასხვაობაა: ტრაქეის ერთნი გაგრასთან აიგივებენ (ს.ჭანაშია, მ.ლორთქიფანიძე, ე.ლეექვინიძე), სხვანაირნი კი ანაკოფია - ახალ ათონთან (ზ.ანჩაბაძე, დ.მუსხელიშვილი, შინაღუფთაძე) ან პრაკოპი კესარიელს ტრაქეის ისეთი ტოპოგრაფიული აღწერა აქვს მოცემული, რომ ამ პუნქტის გაიგივება თავისუფლად შეიძლება არა მარტო გაგრასთან, ან ანაკოფია - ახალ ათონთან, არამედ გაგრიდან ამჟამინდელ ტუაფსემდე მდებარე მრავალ სხვა ზღვისპირა და კლდოვან ადგილთანაც.

გ) მდინარე აბასკოსის (ფსოუს ან მძიმთას) სახელწოდება, რომელიც ემთხვევა აბასგთა ბერძნული სახელწოდების ერთ-ერთ ვარიანტს (აბასგები ხომ ბერძნულად ხან „აბასგოს“ სახელით აღინიშნებოდნენ, ხან „აბასკოს“ და ხანაც „აბასხოს“ სახელებით!), შესაძლოა იმაზე მიანიშნებდეს, რომ მდინარეს სახელი შეერქვა მის სათავესთან ან ზემო წელში მცხოვრები ტომისაგან, რაც ფართოდ გავრცელებული ტოპონიმიკური კანონზომიერებაა. გაეიხსენოთ, რომ V საუკუნემდე ზღვის ნაპირას აბასგები პირდაპირ და უშუალოდ არცერთ წერილობით წყაროში არ იხსენიებიან.

დ) დ.ლეთოდიანის მიერ თავისი ზოგადად მართებული მოსაზრების გასამყარებლად მოხმობილი აფხაზური თქმულებები აფხაზების თავდაპირველად ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრების, ხოლო ამჟამინდელი გაგრა-განთიადისა და ბიჭვინთის მიდამოებში მათი გვიან ჩამოსახლების შესახებ (იხ.ლეთოდიანი, 1991, გვ.28-30), მათი დაკავშირება მაინცდამაინც V საუკუნის ამბებთან, აფხაზთა მიგრაციის პერიოდიზაციის ერთ-ერთ და არა ერთადერთ ცდად შეიძლება მივიჩნიოთ. საქმე ის არის, რომ სხვა მონაცემების მიხედვით აფხაზთა წინაპრები, როგორც ჩანს, მთლიანად არ გადმოსახლებულან ჩრდილოეთ კავკასიიდან თანამედროვე აფხაზეთში თუ მის მიმდებარე მიწა-წყალზე. მათი ძირითადი მასა XVI-XVII საუკუნეებშიც კი მდინარე ყუბანის აუზში ჩანს (იხ. ქვემოთ). ამიტომ თქმულებები აფხაზთა მიგრაციის შესახებ თავისუფლად შეიძლება ასახედდეს არა მაინცდამაინც V საუკუნის, არამედ გაცილებით უფრო გვიანდელ ამბებს.

ამ და ზოგი სხვა გარემოების გათვალისწინებით, რომელთა შესახებაც ვრცელ მსჯელობის საშუალება ამჟამად არ არის, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ აბასგები (თუკი ისინი ნამდვილად იყვნენ ამჟამინდელი აფხაზთა წინაპრები) აბ.წ. V საუკუნემდე მაინც ცხოვრობდნენ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით, ანდა მდინარე ფსოუს ან მძიმთის მაღალმთიან სათავეებში და ამ დროიდან ჩამოსახლდნენ შავი ზღვის სანაპიროზე. VI საუკუნიდან კი,



როცა მოხდა აბაძვია-სანიგეთის პოლიტიკური გაერთიანება, ბერძნულ ენაში „აბაძვოს“ და „აბაძვია“ სახელები, ქართველურ ენებში კი „აფხაზა“ (მეგრული ხეობა...
 ლი ამჟამინდელი აფხაზეთისა)“, აფხაზი“ და „აფხაზეთი“ სახელები კადალად შემოვიდა
 ზოგადი მნიშვნელობით. ჩვენი აზრით, სხვაგვარად აუხსნელი რჩება ის ფაქტი,
 რომ ქართულ წერილობით წყაროთა თავდაპირველ ტექსტში V საუკუნის ამბავ-
 თა გადმოცემამდე საერთოდ არ დასტურდება ტერმინები „აფხაზი“ და „აფხაზე-
 თი“, ხოლო V საუკუნიდან, საკმაოდ დიდი პერიოდის მანძილზე ისინი თითქმის
 შოლოდ ფართო, ზოგადი მნიშვნელობით არის გამოყენებული. IX-X საუკუნე-
 ებში, როგორც ეს მრავალგზის აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში, ტერ-
 მინები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ სისტემატერ გამოიყენება მთელი დასავლეთ სა-
 ქართველოსა და ამ მიწის მცხოვრებთა აღმნიშვნელ სახელებად, XI-XV საუკუ-
 ნეებში კი კიდევ უფრო გაიფართოვეს შინაარსი და აღნიშნავდნენ სრულიად სა-
 ქართველოსა და მის მცხოვრებთ, თუმც პერიოდულად ისინი აღნიშნავენ რო-
 გორც საკუთრივ აფხაზეთსა და საკუთრივ აფხაზებს, ისე დასავლეთ საქართვე-
 ლოსა და ამ შხარის მცხოვრებთაც.


საკვლევ ტერმინთა სემანტიკის ცვლის დინამიკური სურათი ნათლად ჩანს
 არამარტო ქართულ, არამედ ბერძნულ-ბიზანტიურ, არაბულ, სომხურ, სპარ-
 სულ, თურქულ, ძველსლავურ და ევროპულ ენებზე შესრულებული და ჩვენამდე
 მოღწეული წერილობითი წყაროებიდანაც, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ქარ-
 თულ წყაროთათვის დამახასიათებელი ერთი თავისებურება: როცა რომელიმე
 წყაროში საუბარია საკუთრივ აფხაზებზე ან საკუთრივ აფხაზეთზე, ავტორთა აბ-
 სოლუტური უმრავლესობა საჭიროდ არ მიიჩნევს, კონკრეტულად მოუთითოს,
 თუ სად, რომელ საზღვრებში მდებარეობდა საკუთრივ აფხაზეთი. როგორც ჩანს,
 ამისი მიზეზი ის იყო, რომ ამ ავტორებმაც და მათმა თანამედროვე მკითხველმაც,
 აგრეთვე გვიანდელმა რედაქტორ-გადაშწერებმაც კარგად იცოდნენ საკუთრივ
 აფხაზეთის ადგილმდებარეობა. მაგრამ არის გამონაკლისებიც. სწორედ ამგვარ
 შემთხვევასთან გვაქვს საქმე „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი მატჩიანის „ის-
 ტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“-ს ტექსტში, სადაც თამარის მამის, გიორ-
 გი მესამის (1156-1184 წწ.) მორჭმული მეფობის აღწერისას ნათქვამია: „თვთ
 მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებდა და ნადირობდა. ოდესმე, ჟამსა ზამთ-
 რისასა, გარდავიდის ლიხთ-იშერიის და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიბ და
 მოინადირის აღანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუად-
 მღე“ (ქც, II, 1959, გვ. 15).



ამ ცნობაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ *ეთნიკური აფხაზეთი* *ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევარში არ მდებარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე* - ამ კარად შავი, ანუ პონტოს ზღვიდან მოშორებით, ხმელეთის სიღრმეში, ალანთა ქვეყანასთან იგულისხმება. ამისი მიმანიშნებელია საპირისპირო მიმართულებით ზმნისწინებით გაფორმებული - *წვეა (მი-წვეა, მო-წვეა)* ზმნის განაწილება: როცა მეფე მიიწეოდა ლიხის ქედის იქით მდებარე პონტოს ზღვამდე, იგი არ გაივლიდა აფხაზეთს, მას ეს მხოლოდ საპირისპირო, აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობისას შეეძლო, ე.ი. XII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოდან (ყერძოდ, დედაქალაქ თბილისიდან) წასული კაცი ლიხის ქედის გადავლის მერე ხვდებოდა არა საკუთრივ აფხაზეთში, არამედ ჭერ უნდა მისულყო პონტოს ზღვამდე, როგორც ჩანს, უნდა აპყვოლოდა ზღვის ნაპირს ჩრდილო-დასავლეთისაკენ ალბათ მამინდელ ნიკოფსიამდე (ამჟ. სოფ. ნოვომიხაილოვსკო ქ. ტუფესეს ახლოს), სადაც მთავრდებოდა კავკასიონის ქედი და ახლოს იყო მდინარე ყუბანის შესართავი, შემდეგ უნდა მობრუნებულყო აღმოსავლეთისაკენ აპყვოლოდა მდინარე ყუბანს და „მოიწვედა“ საკუთრივ აფხაზეთში, რომელიც, ამ ცნობის მიხედვით, შედიოდა ალანთა ქვეყანაში. მამასადაამე: ა) რაკი ალანთა ქვეყანას არასოდეს უარსებია კავკასიონის ქედის სამხრეთით; ბ) რაკი ეს ქვეყანა მდებარეობდა პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, ხმელეთის სიღრმეში (ყერძოდ ყუბანის აუზში); გ) რაკი ალანთა ქვეყანა არ ყოფილა იმდროინდელი სრულიად საქართველოს, ანუ „აფხაზეთის“ განუყოფელი აღმინისტრაციული ნაწილი და მხოლოდ მისი ყმადნაფიცი ქვეყანა იყო; და რაკი იმავე მატეანეში ტერმინი „ალანი“ ამკარად არ უდრის „ოესს“ („ოესები“ და „ოესეთი“ მატეანეში ხშირად იხმარება, „ალანთა ქვეყანა“ კი ამ ერთადერთხელ!) და, შესაძლოა, აღნიშნავდეს ყარაჩაელ-ძალყარელთა წინაპრებს (შდრ. მეგრული *ალანი*, *ყარაჩაელი*“, *ალანკონი*, *ღონიერი*, ვაჟკაცი კაცი“ - იხ. ყიფშიძე, 1914, გვ. 193; ბალათური, 1997, გვ. 33), გამოდის, რომ *XII საუკუნის მეორე ნახევარში ეთნიკური აფხაზეთი მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში და იგი შედიოდა ალანთა, ანუ ყარაჩაელ-ძალყარელთა პოლიტიკურ გაერთიანებაში.*

ალანთა და აფხაზეთა უშუალო მეზობლობა ჩრდილოეთ კავკასიაში დოკუმენტურადაც დასტურდება ი. ტამბლუს მიერ გამოქვეყნებული 1654 წლის ლათინურ-ფრანგული რუკით, რომელსაც ზოგი მკვლევარი არქ. ლამბერტის შედგენილად მიიჩნევს (იხ. რუკა N 1). ამ რუკაზე მდინარე კოდორის სათავეებთან, კავკასიონის ქედის სამხრეთ მხარეს გამოსახულია დიდი კედელი ფრანგული მინ

წერით: Muraille de soixant (!) milles pour arrêter les incursions les Abbassas“ სამოცი ათასი(1) მილის [სიგრძის] კედელი აბასათა (მუსულმანების) (შემოჭრის) მოსაგერიებლად“. იქვე, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით; კედლის ჩრდილო-დასავლეთის ბოლოსაკენ არის ლათინური მინაწერი - Abkaschi hodie Abbassa „აფხაზი ანუ აბასა“ („აფხაზი“ ფორმამი შენარჩუნებულია ჭარ-თული სახელობითი ბრუნვის - ი ნიშანიც), ხოლო კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთის ბოლოსაკენ, კავკასიონის გადაღმავე მიწერილია Alani „ალანი“ (აქაც შე-ნარჩუნებულია სახელობითი ბრუნვის- ი ნიშანი), მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზე კი, თითქმის მდინარის მთელ სიგრძეზე კვლავ ფრანგული მინაწერია - Pays des Abbassas ou Abcassas „აბასას, ანუ აფხაზას ქვეყანა, მხარე“ (ტაბა-ლუა, 1986; გოგია, 1990, გვ. 70-71). ამ უკანასკნელ მინაწერში წარმოდგენი-ლია ტერმინ „აფხაზის“ მეგრული ვარიანტი „აფხაზა“.



№1. 1654 წლის ლათინურ-ფრანგული რუკა



N2. ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის რუკის ფრაგმენტი

აფხაზთა „ქვეყნის, მხარის“ მდინარე ყუბანის აუზში მდებარეობა დასტურდება აგრეთვე ჩვენს მიერ მიკვლეული ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის იტალიური რუკის მონაცემებითაც, რომელზეც „აფხაზთა ოლქი, ქვეყანა, მხარე“ (Abcvas regi) და დასახლებული პუნქტი აყვა (Acva) გამოსახულია არა შავი ზღვის ნაპირზე, არამედ სწორედ მდინარე ყუბანის აუზში (იხ. რუკა N 2). დასახლებული პუნქტი აყვა (Acva) ყუბანის აუზშია მითითებული აგრეთვე მერკატორის 1595 წლის, მერკატორ-ჰონდიუსის 1633 წლის, ფრედერიკ დე ვიტის 1671 წლის, დაეიდ დე ვილჰელმის XVIII საუკუნისა და იოან იანსონის XVII საუკუნის რუკებზე (იხ. რუკები N 3, 4. სამწუხაროდ, მერკატორის, მერკატორ-ჰონდიუსისა და ვიტის ატლასებიდან ასლების გადაღება არ მოხერხდა. დაინტერესებულ მკითხველს მათი მოძიება შეუძლია წიგნში: P.Allen, The Atlas of Atlases. The Map maker's vision of the World. Atlases from the Cadbury Collection, Birmingham Central Library. London, 1988, გვ. 72,85).



N3. დავიდ დე ვილკელმის რუკის ფრაგმენტი (XVII ს.).
 დაცულია ლუნდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (შვედეთი)



N4. თიანთა ხანის რუკის ფრაგმენტი (XVII ს.).
დაცულია ლუნდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (შვედეთი)

ამ საყურადღებო მონაცემებს ეხმიანება ქც. -ის გაგრძელების ცნობა იმის შესახებ, რომ XIV საუკუნეშიც, კერძოდ, თემურ-ლენგის შემოსევების დროს აფხაზები ჯერ კიდევ მთიელები ყოფილან, ოღონდ, საშწუხაროდ, მითითებული არ არის მათი ზუსტი საცხოვრისი, თემცა ჩანს, რომ აფხაზები ქართველ მეფეთა პოლიტიკური მორჩილების ქვეშ ყოფილან. ბერი ეგნატაშვილის ამ ცნობით, ბაგრატ მეფეს თემურისათვის უთქვამს:

“აწ მომეც სიმრავლენი სპათა თქვენთანი, და წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა, და მოვხადო კაცთა მყოფთა მთის ადგილისათა: მთიელთა, ოვსთა, დელთა, სენათა, აფხაზთა და ყოველთავე მუნ მყოფთა, და მე დავარწმუნო სჯელსა თქვენსა” (ახალი ქცა I ტექსტი, ქც. ტ. II. 1959, გვ. 330).

ამრიგად, არსებობს წერილობით და კარტოგრაფიულ ცნობათა მთელი კომპლ-



ლექსი, რომელთა ანალიზი სრულ უფლებას იძლევა იმხატვის, რომ თანამედროვე აფხაზთა თავდაპირველ ხაშშობლოდ ჩრდილოეთ კავკასია, კერძოდ კი ქუჩუბუნდ...
 აუზი ვიჯარაუდოთ, ბოლო აფხაზთა წინაპრების მცირე ნაწილს ამტკიცებდა...
 ბაზეთის ტერიტორიაზე ნაწილობრივ მდგრადობის დროდ აბ.წ. I საუკუნიდან V საუკუნემდე პერიოდი, საბოლოო ჩამოსახლების თარიღად კი XVII-XVIII საუკუნეები მივიჩნით.

2. ტერმინ „აფხაზის“ წარმოშობა და შრთიარტობა სხვა ფუძეებთან

ტერმინ „აფხაზის“ ეტიმოლოგიისა და ამ ფუძის მიმართების შესახებ ისეთი ტერმინებთან, როგორც არის „აფსუა“, „აბაზა“, „აბასგი“, „აფსილი//აფსელი//აფშელ“, „აფსარი“, აზრთა დიდი მრავალფეროვნებაა (ნ.მარი, ს.ჯანშია, ქ.ლომთათიძე, ს.ყუხიძე, ე.ოსიძე, თ.გამყრელიძე, თ.გვანცელაძე, ე.შენგელია, ჯ.პიტიტი, ვ.ჩირიკბა...). „აფსუა“ სახელის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისთაგან, ჩვენი აზრით, ყველაზე რეალურია შემდეგი: აფხაზთა ავტონომიიში „აფსუა“ * მომდინარეობს აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტში შენარჩუნებული სპეციფიკური სისინ-შიშინა ს თანხმოვნის შემცველი „აფს`ჟუა“ ვარიანტისაგან. ამ ფუძეში ჯ ხმოვნის ნაცვლად უნდა ყოფილიყო ა ხმოვანი, რაც დაცულია კიდევაც აბაზური ენის აშხარულ დიალექტში - აფსაჟა ← * აფს, აჟა, აგრეთვე აფხაზურ ენაში „აფსუა“ სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმებში - აფს ა-ცა//აფსა-ჟა „აფხაზები“. აფს`აჟა ფორმაში გამოსაყოფია აფს`ა და ჟა კომპონენტები, რადგანაც ჟა ელემენტი აფხაზურში აწარმოებს ეთნონიმებსა და სატომო სახელებს და მომდინარეობს „კაცის, ადამიანის“ აღმნიშვნელი ჟა ძირისაგან, აფხაზურ ა-ჟა-ჯჟ „კაცი, ადამიანი“ სიტყვაში რომ არის დაცული. შდრ. ერთი მხრივ, აფს`ა-ჟა აფს-ჟა „აფხაზი ადამიანი“ და მეორე მხრივ ა-ჟართ-ჟა „ჭართველი ადამიანი“, ა-შინ-ჟა, „სუანი ადამიანი“, აგჯრჟა//აგრ-ჟა „შეგრე-ლი ადამიანი“. თავის მხრივ აფს`ა კომპონენტში გამოსაყოფია სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- ← აა - პრეფიქსი (იხ. ლომთათიძე, 1947, გვ.726, ლომთათიძე, 1976, გვ. 8,12, 80-81, 103-104). დაჩენილ ფს`ა ძირველ ელემენტშიც სავარაუდოა თანხმოვნებს შორის არსებული თავდაპირველი ა ხმოვნის რელექტია-ამოვარდნა, ვინაიდან, როგორც დადგენილია, აფხაზურ-აბაზური ძირები და აფიქსები თავდაპირველად CV (თანხმოვანი + ხმოვანი), ანდა CVCV (თანხმოვანი+ ხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი) ტიპისა უნდა ყოფილიყო (ამის შესახებ იხ. ლომთათიძე, 1976, გვ. 240). ამ მიზეზის გამო ჩვენი აზრით, აფხაზ-



თა ავტოეთნონიმის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო *აფშელ-^{ქა-ფსქა-ქა-ქა} აფშელ, ხოლო აბაზათა ავტოეთნონიმი აბაზა უნდა მომდინარეობდეს *აფშელ-^{ქა-ფსქა-ქა-ქა} აფშელ-^{ქა-ფსქა-ქა-ქა} აბაზა სახეობათაგან.

აფშელთა და აბაზათა ავტოეთნონიმები მატერიალურ კავშირშია ლათინურ ამხილ-, ბერძნულ აფხილ-//აფხელ-, აბაშ-//აბაშკ-//აბაშზ-, ქართულ აფშელ- (გეოგრაფიულ სახელში აფშელ-ეთ-ი) და სომხურ აფშელ ფეძეებთან, თუმცა ამ ფეძეთა მატერიალური კავშირი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დასახელებული ფეძეების ეთნიკური წინაარსიც ერთნაირია. მათი სემანტიკა რეალური ვითარების შესაბამისად იცვლებოდა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, როგორც ეს ზემოთაც იყო ნაჩვენები ქართული “აფხაზ” და ბერძნული “აბასგოს” სახელთა მაგალითზე.

ქართულ აფშელ-ეთ- და სომხურ აფშელ ფეძეებზე, აგრეთვე ბერძნულ აფხილ-//აფხელ-, ლათინურ ამხილ ფეძეებზე (ქართულ წყაროებში არ დასტურდება ფორმა *აფშელი ან *აფშელი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ენაში არ არსებობდა. ბერძნულში კი ი.ჭავჭავაძისგან გამოვლენილი აქვს აფშელლოზ ვარიანტიც) დაკვირვება და შედარება აფხაზურ, აფს`ჯი ან *აფ-ფაშ`ა [-ფა] ვარიანტებთან ცხადყოფს, რომ ლათინურ-ბერძნულ და ქართულ-სომხურ ვარიანტებს საფუძვლად სხვადასხვა სახეობები დასდებია. აგებულების მიხედვით ყველაზე ძველი ჩანს ქართული აფშელ ფორმა, თუმც იგი წყაროებში ამ სახით ერთადერთხელ დასტურდება “აფშელ-ეთ-ი” გეოგრაფიული სახელის შემადგენლობაში. მკვლევართა უმრავლესობა აფშელ სახელში ქართულ სადატურობა-წარმოშობის აღმნიშვნელ -ელ სუფიქსს გამოყოფს, ხოლო ბერძნულ-ლათინურ ფორმებში არსებულ -ილ დაბოლოებას მის ვარიანტად მიიჩნევს (ოსიძე, 1993, გვ. 565-566; გამყრელიძე, 1993, გვ. 582; ლომთათიძე, 1997, გვ. 125; გვანცელაძე, 1993, გვ. 575-576...). სომხური აფშელ ფორმის ღ თანხმობიანი ქართულ ღ თანხმობის კანონზომიერი ბგერინაცვალია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფს`- ეა სახელის აფს`- ელემენტისაგან ყველაზე ადრე მიღებულია ქართული *აფშელ-ი ფორმა, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო, ერთი მხრივ, სომხურ აფშელ ფორმას, და, მეორე მხრივ, ბერძნულ-ლათინურ ამხილ-, აფხელ და აფხილ-სახეობებს, რომელთაც თან გაჰყოლიათ ქართული სადატურობის -ელ სუფიქსი. ამ ვარაუდს, ჩვენი აზრით, დაბრკოლებას ვერ უქმნის გვარსახელი აფშელ-ა-ვა, რომელშიც მოსალოდნელი -ელ სუფიქსის მაგიერ -ილ დაბოლოება გვაქვს. საქმე ის არის, რომ გვარსახელები შედარებით გვიან არის წარმოქმნილი. გვარი აფშელა-



ვა ამკარად მეტსახელისაგან ან ანთროპონიმისაგან ჩანს მიღებული იმ პერიოდში, როცა სატომო სახელი აფშელი ქართულ სინამდვილეში უკვე გამოხატული იყო აქტიური ლექსიკის შემადგენლობიდან, პასიური ლექსიკა კი იოლად მახინჯდება ფონეტიკურად. გარდა ამისა, სამეგრელოში გავრცელებულ გეარსახელებში არცთუ იშვიათია უხმოვნის ხმოვნით ცვლა. შდრ., მაგალითად: *ვაღელია - ვადილია*, *გაბესკირია - გაბისკირია*, *ღარასელია - ღარასალია*...

ზემოთ აღნიშნული საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ, რაკი ბერძნულსა და ლათინურში აფხუასახელის ძირეული ელემენტი უშუალოდ აფხაზურიდან კი არ არის ნასესხები, არამედ ქართულიდან, ხოლო *ამხილ-*, *აფხილ-*, *აფხელ-* ფუძეები უკვე ახ.წ. I-II საუკუნეებიდან დასტურდება წერილობით წყაროებში, ქართული *“აფშელი სატომო სახელი წარმოქმნილი უნდა იყოს ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე*. გარდა ამისა, იგივე მონაცემები გვაუარაულებინებს, რომ შესაძლებელია ძველ წყაროთა აფხილ - აფშელები არც ყოფილან ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები.

რაც შეეხება “ქართლის ცხოვრების” გვიანდელ მინაწერში დადასტურებულ აფხარ-ფუძეს, მასაც საფუძველად იგივე აფხუასახელის აფხ - ელემენტი ედევს, ოღონდ გაფორმებულია სადატურობა-წარმომავლობის ქართული - ელ სფექსის კანონზომიერი კოლხური - არ შესატყვისისით (შდრ. მეგრ.სენაკი - სენაკ-არფე - “სენაკელები”, ხენწი - ხენწ-არფე - “ხენწელები”.. გეარსახელები ცხომ-არია - ცხომ-ელ-იძე, ხენწ-არია...).

აქვე დაისმის საკითხი: რატომ არის აფშელ (აფშელეთი) და აფხარ ფუძეებში სხვადასხვა თანხმოვანი, ერთგან შიშინა *ჟ*, მეორეგან სისინა *წ*? საკითხი იოლად წყდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტში აფს'ტა სახელში დასტურდება გარდამავალი სისინ-შიშინა ს' თანხმოვანი, რომელიც სხვა ენაზე მეტყველთა ნაწილს შეუძლია აღიქვას როგორც სისინა ბგერა, მეორე ნაწილს კი - როგორც შიშინა ბგერა, რაც სავსებით კანონზომიერია პერსექუციული ფონეტიკის თვალსაზრისით (ლომთათიძე, 1997, გვ. 125).

“აფშელ- და *აფხარ-* ფუძეებიც მაგალითია იმისა, რომ ქართველთა ერთმა ნაწილმა აფს'ტა ფუძის სისინ-შიშინა თანხმოვანი სისინა თანხმოვნად აღიქვა, მეორე ნაწილმა კი - შიშინა ბგერად. რაც შეეხება ბერძნულ-ლათინურ მთანხმოვნიან ფორმებს, აქაც დაცულია პერსექუციული (აღქმითი) ფონეტიკის წესი: ქართული ენის მთანხმოვანი ბერძნულსა და ლათინურ ენებში ამ ბგერის უქონლობის გამო გადმოიკა სისინა მთანხმოვნით.



რაც შეეხება ბერძნულ აბაჟ-//აბაჟ-//აბაჟ- ვარიანტებს, უიჩინებენ რომ მათ საფუძვლად უდევს აბაჟა ეთონიმი, რის საფუძველზეც ამტკიცებენ რომ ძველბერძნულ წყაროთა აბასგები, რომელთა სახელსაც შეცდომით ზთანზმოვნიანი "აბაჟები" ფორმით წერენ კიდევაც, ამჟამინდელი აბაჟა ხალხის წინაპარი იყო და ისინი ამჟამინდელი აფხაზეთიდან გადასახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ მოსაზრებას სათავე ნ.მარმა დაუდო, რომელმაც სხვა შემთხვევებშიც ხელი შეუწყო დაუსაბუთებელ მოსაზრებათა მთელი წყების დამკვიდრებას კავკასიის ისტორიოგრაფიაში. ამ ვარაუდის მომხრე არცერთ ავტორს დამაჩერებლად არ აუხსნია ბერძნულში არსებული გ, კ და ზ თანხმოვნების რაობა, უამისოდ, კი ტერიმინის ეტიმოლოგია დადგენილად ვერ მიიჩნევა. არსებობს სხვა თვალსაზრისებიც (ქ.ლომთათიძისა, თ.გამყრელიძისა), მაგრამ დაბრკოლებანი მათაც ახლავს, რის შესახებაც, სამწუხაროდ, აქ ვრცლად ვერ ვიმსჯელებთ. სამუშაო მიპოთების სახით წარმოვადგენთ ჩვენს თვალსაზრისს ამ საკითხზე. თუ ბერძნულ წყაროებში დადასტურებული აბაჟ, აბაჟ- და აბაჟ- ფუძეთაგან უფრო ადრინდელად მივიჩნევთ კ თანხმოვნის ვარიანტს, რაც მართლაც ყველაზე უწინ გვხვდება II საუკუნის ავტორის ფლავიუს არიანეს "პერიპლუსში" დასავლეთ კავკასიის (და არა ამჟამინდელი აფხაზეთის) ტერიტორიაზე და გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბერძნულ ენაში შიშინა თანხმოვნების ექონლობის გამო სხვა ენათა შიშინა ბგერები გადმოიკეცმოდა არამარტო შესაბამისი რიგის სისინა თანხმოვნებით, არამედ ზოგჯერ სისინა თანხმოვნისა და უკანასასისმიერი თანხმოვნისაგან შემდგარი კომპლექსითაც (გავიხსენოთ ქართული სატომო სახელის თუშ-ფუძის გადმოკეცვის მაგალითი ბერძნულში ტუშკოჲ ფორმით), მაშინ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ბერძნული აბაჟ-იჲ "აბასკები" შეიძლება იყოს შიშინა თანხმოვნისანი * აბაჟა ← აბაჟ ა ფორმის ადაპტაციის მაგალითი. აფხაზურ-აბაზური *აბაჟა ფორმისაგან ბერძნულში ყველაზე უფრო მოსალოდნელი იქნებოდა *აბაჟ ფორმის მიღება ზ' თანხმოვნის ძთი ჩანაცვლების შედეგად. *აბაჟა ფორმა კი შეიძლება არსებულყო მხოლოდ იმ ენაში, რომელსაც არ ექნებოდა სისინ-შიშინა ბგერები, მათ შორის ზ' თანხმოვანიც. ასეთ ენად კი დასავლეთ კავკასიაში მხოლოდ ერთ-ერთი ქართველური ენა სავარაუდოდ. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გამოდის, რომ აბაჟების სახელი აფშულების სახლის მკვავსად ბერძნულ ენას უმეტებია ერთ-ერთი ქართველური ენიზაგან და არა აფხაზთა, ან აბაჟათა წინაპრების ენიზაგან. გარდა ამისა, ჩვენი ვარაუდის გამართლების შემთხვევაში ლოგიკურად დაისმის საკითხი იმის შესახებაც, რომ, თუ



ძველმა ბერძნებმა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ქართველთაგან ისტორიკოს როგორც აფშელუმის, ისე აბასგების აღმნიშვნელი სატომო სახელწოდებები გამოიყენებდნენ. პერიოდში მაინც აფშაბთა და აბაზათა წინაპრებს არ ჰქონიათ უძველესი მქილრო კონტაქტები ბერძნულ სამყაროსთან, რადგანაც ისინი, როგორც ჩანს, მართლაც არ ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე და მათი სამშობლო მდებარეობდა ხმელეთის სიღრმეში, მდინარე ყუბანის შუა წელზე (იხ. ზემოთ).

ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილ ვარაუდს პირდაპირ უჭერს მხარს ქართული აფშაბი და მეგრული აფშაბი სახელების ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგებიც. სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. მარი, ს. ჭანაშია, ქ. ლომთათიძე) აღნიშნებოდა ქართული აფშაბ-ფუძის შესაძლო კავშირის შესახებ ამჟამად ერთ-ერთი ჩერქეზული (ადიღური) ტომის აბაძეების (აბძახების) აღმნიშვნელ ჩერქეზულ ამაზაბა სახელთან (ტექნიკური მიზეზის გამო ამ სახელის ზუსტ ტრანსკრიფციას ვერ ვიყენებთ), მაგრამ ეს ვარაუდი არ დასაბუთებულა. საკითხის ახსნა სცადა ო. კახაძემ. მისი ვარაუდით, ფუძეთა მიმართება ასეთია: ჩერქეზ. *ამაზაბა → ჩერქეზ. *აზაბა - → მეგრ. *აბზაბა → ქართ. *აბზაბი (კახაძე, 1993, გვ. 557). ავტორი ამ შემთხვევაში ემყარება ს. ჭანაშიას ორ ძალზე საყურადღებო ცნობას: ა) ჩერქეზულში -ზა სუფიქსი გამოიყენება გვარსახელთა კრებითობისა და სატომო სახელთა მაწარმოებლად; ბ) აბაძეები XIX ს. 60-იან წლებამდე ცხოვრობდნენ მდინარე ყუბანის მარცხენა შენაკადების ნაპირებზე და დასავლეთიდან ემუზობლებოდნენ აბაზურ ტომებს (ბარაყაისა და ბალს) (ჭანაშია, 1959, გვ. 102; ჭანაშია; 1988, გვ. 227-228).

ტერმინი ამაზაბა ჩერქეზულ ენაზე ძალზე იოლად ეტიმოლოგიზდება: იგი შედგება ამაზა სახელისა და -ზა სუფიქსისაგან, რაც ო. კახაძესაც აქვს აღნიშნული ს. ჭანაშიას ცნობებზე დაყრდნობით, სატომო სახელთა მაწარმოებელიაო. მაგრამ ს. ჭანაშიას 1929 წელს ადიღეში მივლინებით ყოფნის დროს სხვა არანაკლებ საყურადღებო ცნობებიც აქვს ჩაწერილი ჩერქეზი ინფორმატორებისაგან. მის დღიურში რამდენიმეჯერ არის ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ მაშინ არც აბაძეები მიიჩნევდნენ თავს ნამდვილ ჩერქეზებად და მათ არც სხვა ტომის წარმომადგენლები მიათვლიდნენ ჩერქეზებს. მეტიც, ზოგ აბაძეს მოქმელს სწყინდა კიდევ, თუ ჩერქეზად (ადიღედ) მოიხსენიებდნენ, ხოლო სოფელ ულაფში მცხოვრები გაჩერქეზების გზაზე მდგარი აბაზები აბაძეებს თავიანთ უახლოეს მონათესავეებად აცხადებდნენ, ამაზაბა სახელს კი თარგმნიდნენ როგორც "აბზაბას ქვემოთ" (იხ. ჭანაშია, 1968, გვ. 74, 77, 98, 104, 110, 124...)



ეთნოგრაფიულ მონაცემებსა და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით რუსი ეთნოგრაფები ლ.ლავეროვი და ნ.ვოლკოვა ვარაუდობენ, რომ მშპმწმწმწმს ტომი შაფსულებთან, ნათხაჯებთან, მახვამებთან, ბეედელებთან და სხვა დაბავურ ჩერქებულ ტომებთან ერთად თავდაპირველად ეროვნებითაც და ენობრივადაც აბაზები ყოფილან და მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში გაჩერქებულას (ლავეროვი, 1964, გვ. 163; ვოლკოვა, 1973, გვ. 36). ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის წერილობითი წყაროები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ჩერქებები XVII საუკუნიდან XX საუკუნის თითქმის შუა წლებამდე ორ ძირითად შტოდ იყოფოდნენ - ჩერქებთა აღმოსავლური ჯგუფის ტომებს ყაბარდოელთა ჩათვლით განმარგადებულ სახელად აფაა ერჭვა, დასავლური ჯგუფის ტომებს კი აბაძებთა ჩათვლით ამაა //აბაა (ს.ბრონვესკი, ლ.ლულიე, ხან-გიორგი, ლ.ლოპატინსკი, ა.დირი, ლ.ლავეროვი, ნ.ვოლკოვა, ჯ.კოკოვი...). რუსული სადაზვერვო ცნობებით კი XIX საუკუნის 30-იან წლებში თვით აბაძებებიც ორ ძირითად შტოდ იყოფოდნენ: ყუბანის აღზის მდინარეების - ქერჭიფსის, ფუმხას, ფსეკუფსის, სჰაგვამის, ფსეფირის ქვემო წელში მობინადრე აბაძებებს ამააააა "ქვემო აბააა" ეწოდებოდა, ხოლო მათ ზემოთ, მთიან ზოლში მცხოვრებთ ებრალოდ - ამააა.

ამრიგად, ზემოთ განხილული მასალის ანალიზი საფუძველს ქმნის შემდეგი დასკვნების გამოსატანად:

ა) აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო *ა-აბააა → აბააა როგორც აფხაზურ-აბაზურ, ისე ჩერქებულ ენებზე. ეს სახელი თვით XIX ს. 30-იან წლებამდე შერჩათ როგორც საკუთრივ აბაძებს, ისე მთაში მცხოვრებ აბაძებებსაც.

ბ) ვინაიდან ჩერქებულ ენაში -ბა სუფიქსი გამოხატავს ცნებებს - "ქვევით", "მდინარის ქვემო წელისაკენ", "დასავლეთით" (ს.ჯანაშია, ჯ.კოკოვი), სახელი ამააააა შეიძლება ითარგმნოს როგორც "ქვემოტური აბააა", "აბააას ქვემოთ", "მდინარის ქვემო წელში მცხოვრები აბააა", ანდა "დასავლელი აბააა". ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამააააა სახელის ჩერქებულიდან ჯერ კოლხურ ენაში (მეგრულში) აფაააა ფორმით, შემდგომ კი კოლხურისაგან ჭართლში აფაააა ფორმით დამკვიდრების დრომდე და მომდევნო პერიოდებშიც არსებობდა ორი შტო - ზემოტური (მთაში, მდინარის ზემო წელში, ანდა აღმოსავლეთით მცხოვრები) აბააა და ქვემოტური (ბარში, მდინარის ქვემო წელში, ანდა დასავლეთით მცხოვრები) აბააა, იგივე აბააააა, ანუ აფსუა.



გ) ამოსავალი *მატაზა ფორმისაგან მომდინარე ქართველური *აფხაზური ლექსი
 მა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის ახლო ხანებში უნდა დასდებოდეს საქართველოში
 ლალ ძველბერძნულ ამატკოთ ფორმას, რომლისაგანაც მომდინარეობს ამატკოთ
 და ამატკოთ ვარიანტები. იმავე *მატაზა ფორმისაგან მომდინარე გვიანდელი ამა-
 ტასაბოლოოდ დაემკვიდრდათ ამჟამინდელ აბაზებს, ანუ ზემოურ, მთიულ, ანდა
 აღმოსავლელ აბაზებს.

დ) თავდაპირველი *ა-ფაზ ა-ჟა ფორმისაგან მომდინარე აფაზა-ჟა - აფაჟა
 აფხაზურ-აბაზურ ენაზე ამჟამინდელ აფხაზთა წინაპარი ტომების სახელი უნდა
 ყოფილიყო. ამ სახელის აფაზ სეგმენტისაგან არის მიღებული ქართული *აფა-
 ჟა - აფაჟა-ჟა, ქართული ფორმისაგან კი მომდინარეობს სომხური აფაჟა-
 ჟა, ბერძნული აფაჟაჟა - აფაჟაჟა და ლათინური აფაჟა, ოღონდ ამ ტერ-
 მინთა სემანტიკა ჭერ კიდევ სარკვევია. იმავე აფაზ სეგმენტისაგან დამოუკიდებ-
 ლად არის მიღებული კოლხური (მეგრული) აფაზის სახეობა.

ე) ჩერქეზული ეტიმოლოგიის მქონე მეგრული აფაზა და ქართული აფაზა ზი
 ნასესხები უნდა იყოს ახ.წ. V-VI საუკუნეებში და მას მაშინვე უნდა ჰქონოდა
 ფართო პოლიტიკური შინაარსი, რაც შემდგომში კიდევ უფრო გაფართოვდა
 რეალურ-ისტორიული ვითარების კვალდაკვალ. ქართველურ ენებში V-VI საუ-
 კუნეებამდე ნასესხები უნდა ჰქონოდათ *აფაჟა და აფაზის სახელები, რომლე-
 ბიც ვიწრო ეთნიკური შინაარსით უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

2. მართლწერილობითი სუბსტრატული აფხაზური ენის ფონოლოგიურ სისტემაში

ენიდან საისტორიო წყაროთა მონაცემები, აგრეთვე ეთნონიმებისა და სა-
 ტომო სახელთა ანალიზი ცხადად მიუთითებენ იმაზე, რომ ამჟამინდელ აფხაზთა
 წინაპრების ისტორიული სამშობლო მდებარეობდა არა თანამედროვე აფხაზე-
 თის ტერიტორიაზე, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში,
 რაც დოკუმენტურად დასტურდება XVI-XVIII საუკუნეთა კარტოგრაფიული
 მონაცემებითაც, ლოგიკური იქნება, აფხაზური ენის ფონოლოგიურ სისტემაში,
 ფონოლოგიაში, სინტაქსისა და დარგობრივ ლექსიკაში ვეძიოთ იმ ენის (ან ენა-
 რა) სუბსტრატის ნაკვალევი, რომელიც (ან რომელნიც) გაერცელებული უნდა
 ყოფილიყო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა წინაპრების მოსე-
 ლამდე. ამგვარ სუბსტრატულ საფუძვლად კი სავარაუდოა კოლხური (მეგრულ-
 ბერძნული) და სვანური ენები, რადგანაც მრავალი საისტორიო წყარო ანტიკური
 ხროდიდან გვიანდელ შუა საუკუნეებამდე დასახლებულ მიწა-წყალზე ეთი-



თებს კოლხურ, სვანურ და ნარევე სვანურ-კოლხურ ტომებს (საჭანშია, თ. შიბჩუანი, ბ. ზორაია, ზ. პაპასჭირი...). ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვჩვენა, რომ ქართველური სუბსტრატის კვალი ყველაზე მეტად შეინიშნება აფხაზეთში ენის დიალექტთა ფონოლოგიურ (ბგერით) სისტემასა და ლექსიკაში, ხოლო მორფოლოგიური და სინტაქსური სუბსტრატული მოვლენების ძიება დამატებით კვლევას მოითხოვს.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აფხაზეთი ენის დიალექტებად დიფერენცირების უმთავრესი საფუძველია თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით გავრცელებულ ზზიფურ დიალექტში იმ სპეციფიკური 9 ფონემის ერთობლივად არსებობა, რომლებიც სრულებით არ დასტურდება სამხრეთ-აღმოსავლეთით გავრცელებულ აბჟეურ დიალექტში, ხოლო აბაზურ ენასა და მის ორსავე დიალექტში (აშხარელსა და ტაპანთურში) ნაწილობრივ (2 ფონემის სახით) არის წარმოდგენილი. ტერიტორიულად ქართველურ ენათა უმეტესად მეზობლად გავრცელებული აბჟეური დიალექტის ფონოლოგიური სისტემა უფრო ახალიც არის და უფრო მარტივიც, ვიდრე, ერთი მხრივ, ზზიფური დიალექტისა და, მეორე მხრივ, აშხარელ-ტაპანთურისა (ლომთათიძე, 1976, გვ. 163-164). ზზიფურ დიალექტში არსებული სპეციფიკური ცხრავე ფონემა (სინ-შიშინა ძ', ც', წ', ზ', ხ', ზ'ა, ზ'ბ, ფარინგალური კ, კო) იმთავითვე უნდა ჰქონოდა არამარტო ყველა აფხაზეთ-აბაზურ დიალექტს, არამედ ყველა აფხაზეთ-ადიღურ ენასაც (აფხაზეურს, აბაზურს, ადიღურს, ყაბარდოულსა და უბიხურ ენებს), რისი მანიშნებელია ზ'ა, ზ'ბ ფონემათა გარდა დანარჩენი სპეციფიკური ფონემების არსებობა ჩერქეზულსა (ადიღურ-ყაბარდოულსა) და უბიხურ ენებში (ლომთათიძე, 1976, გვ. 227).

ზზიფურში არსებული 9 სპეციფიკური ფონემიდან ფარინგალური ზ' ფონემის ამოსავალი კ თანხმოვანი საერთოა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის და იგი დასტურდება სვანურსა, ძველქართულ ენასა და თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში (ხევსურულში, თუშურში, ფშაურში, მოხეურში, მთიულურსა და ინგილოურ კილოებში), დანარჩენ ქართულ დიალექტებსა და კოლხურ ენაში კი მის მაგივრად იხმარება ზ თანხმოვანი. კ და მისი ლაბიალიზებული კო თანაფონემა დასტურდება აბაზურში, ჩერქეზულსა და უბიხურში, მაგრამ არ არის კოლხური ენის მეზობელ აბჟეურ დიალექტში, სადაც ისინი ჩანაცვლებულია ზ, ზოთანხმოვნებით (მღრ. ქართველური ენების ვითარება), ზზიფურ დიალექტში კ, კო თანხმოვნების მაგივრად დასტურდება არა ზ, ზოთანხმოვნები, არამედ სპეციფიკუ-



რი ზ'; ზ'თანხმოვნები, რითაც ზიფერ დიალექტს შეაღებური, გარდამავალი საფეხური აქვს წარმოდგენილი, ერთი მხრივ, აბაზურ ენასა და, მეორე მხრივ, აბაზურ დიალექტს შორის, ვინაიდან აბაზურში კ, კჲ ფონემებს მყარად შეინარჩუნებენ აქვთ, აბაზურ დიალექტში კი ეს ბგერები ქართულურ ენათა (ყვარძლ, კოლხურის) შესგავს ვითარებას გვიჩვენებენ (ლომთათიძე, 1976, გვ. 170-172).

ზიფერ დიალექტის კილოკავებში ყურადღებას იპყრობს სპეციფიკური 9 თანხმოვნის გავრცელების ამკარად გამოხატული ზონური ზამათი: გუდაუთის რაიონის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით და გაგრის მიდამოებში გავრცელებულ ოთხარის კილოკავში უკლებლივ არის დაცული ცხრავე სპეციფიკური ფონემა, გუდაუთის რაიონის შუაგულში გავრცელებულ ლიხნის კილოკავში ცხრიდან შვიდი სპეციფიკური ფონემაა შემორჩენილი (აკლია ზ'ა, ზ'ბ), ხოლო გუდაუთის რაიონის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით გავრცელებულ ააცის კილოკავს ამ ცხრა ფონემიდან ოთხილა შემორჩენია - ზ'ა, ზ'ბ, ზ'გ, ზ'დ (შდრ. ლომთათიძე, 1976, გვ. 9).

რა თქმა უნდა, ამ სპეციფიკურ ფონემათა გავრცელება-მოშლის გეოგრაფიული არეალი შემთხვევითი არ არის: ზიფერ დიალექტში სპეციფიკური ფონემების მოშლის ტენდენცია ძლიერდება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (ოთხარის კილოკავიდან ააცის კილოკავისაკენ), ხოლო კოლხური ენის მუბობლად გავრცელებულ აბაზურ დიალექტში ეს ფონემები საერთოდ არ დასტურდება, რაც გამოწვეულია ქართულური ენების (უმირატესად კოლხურის) სუბსტრატული ფენის ზეგავლენის მეტი სიძლიერითა და სიახლით სამხრეთ-აღმოსავლეთით გავრცელებულ კილოკავებზე. ამ ძალზე საყურადღებო ფაქტის საფუძველზე ბრული უეჭველობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამჟამინდელი მზიფის აფხაზეთის (აწინდელი ვაგრისა და გუდაუთის რაიონების) უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აფხაზეთი გაცილებით უფრო ადრე უნდა მოხულიყვნენ და შემდგომ თანდათანობით უნდა გადმოეწკვლებინათ გურ სოფელ ლიხნისაკენ, შემდეგ სოფელ ააცისაკენ და ამის მერე გუდაუთისა და კოდორის აუზებისაკენ. გემისთისა და კოდორის ხეობებში აფხაზეთა ნაწილი ჩრდილოეთიდან, კავკასიონის ქედის უღელტეხილებიდანაც შემოსულა მოგვიანებით, რაც დასტურდება არქ. ლამბერტის, ე. შარდენის, ევლია ჩელებისა და სხვათა ცნობებით, აგრეთვე 1654 წლის ლათინურ-ფრანგული რეკითაც, რომელზეც აფხაზეთა განსახლების უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრად მდინარე კოდორია მითითებული.



ამ ვარაუდს კიდევ უფრო განამტკიცებს XIX საუკუნის 60-70-იანი წლებში აფხაზეთიდან აყრილ და ბათუმის მიდამოებში დასახლებულ აფხაზთა მემკვიდრეობის მემკვიდრეობის თავისებურებანიც. ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში კანგისაში, მინდასა და კახაბერში მცხოვრები აფხაზები, რომლებიც მდინარე კელასტრასა და დრანდას შორის არსებული მიწა-წყლიდან გასახლებულთა შთამომავლები არიან, თავიანთ მემკვიდრეობაში საერთოდ არ იყენებენ სპეციფიკურ სისინა-შიშინა ძ', ც', წ', ზ', ბ', ზ'ბ, ბ'ბ, თანხმონებს (კილბა, 1983, გვ. 7,10), მაშინ როდესაც ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში - ფერიაში, ერეხში, სალიბატურში, ქვედა სამებში, ადლიაში, ჭარნალში, ჩელტაში მცხოვრები აფხაზები, რომლებიც საკეთარ თავს მდინარე შიფსა და ადლერს შორის მცხოვრებთა შთამომავლებად მიიჩნევენ, სპეციფიკურ სისინა-შიშინა თანხმონებს ფართოდ იყენებენ (კილბა, 1983, გვ. 7,10).

ამრიგად, აფხაზური ენის აბგეურ დიალექტში სპეციფიკური 9 ფონემის სრული გაქრობა და ამ ფონემათა შიფერ დიალექტში შენიშნული გაქრობის ტენდენციის ზონური ხასიათი პირდაპირ და უეჭველად ასახავს ქართველური სტრატის ზეგავლენის ინტენსიურობის ხარისხსაც და აფხაზთა ამ მიწა-წყალზე მიგრაციის ტალღისებურ ხასიათსაც.

4. აფხაზურ ენაში კოლხური მარსხვიანულ-საქაღვო ლაშქის დამკვიდრების დროის შესახებ

ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ახ.წ. V საუკუნემდე მაინც აფხაზთა წინაპრებს არ ეცხოვრიათ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, საერთოდ შავი ზღვის სანაპიროზე და არ მჭონიათ პირდაპირი, მკიდრო კონტაქტი ბერძნულ სამყაროსთან, მხარს უჭერს აფხაზური ენის დარგობრივი ლექსიკის ანალიზიც. ამ თეალსაზრისით საყურადღებოა აფხაზურ ენაში არსებული ქრისტიანული საკულტო ლექსიკის შესწავლის შედეგები. ლეონტი მროველის "მეფეთა ცხოვრებაში" ანდრია პირველწოდებულს; სიმონ კანანელსა და მათ მოწაფეებს მიეწერებათ ახ.წ. I საუკუნეში ქრისტიანობის გავრცელება არამარტო კლარჯეთსა და მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველ ვერისში, არამედ "აფხაზეთშიც" (ან. ქც, 1942, გვ. 26). ცნობები ლაზების, აბაზგებისა და აფშელების IV-VI საუკუნეებში გაქრისტიანების შესახებ დაცულია აგრეთვე პროკოპი კესარიელის (V ს.) ჩანაწერებშიც (გეორგიკა, II, 1965, გვ. 128, 134-135, 213-215), მაგრამ სხვა წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიის მონა-



ცემები არ ეთანხმება ამ ცნობებს. წინააღმდეგობაა თვით წყაროთა შორისაც. ამ მიზეზთა გათვალისწინებით ი. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ცნობა ქრისტიანული ციკლთა "აფხაზეთში" მოღვაწეობის შესახებ ლეონტი მროველის "შეფეთა ცხოვრებაში" არ არის ავტორისეული და ტექსტში სიტყვა "აფხაზეთი" შეიძლება ჩამატებული იყოს მოგვიანებით (ჯავახიშვილი, 1977, გვ. 177).

ამრიგად, ეპიკვემ დგება საკითხი აფხაზეთა წინაპრების ადრეფეოდალურ ეპოქაში გაქრისტიანების რეალურობის შესახებ. საკითხის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზურ ენობრივ მასალას, რომელიც გვიჩვენებს, რომ აფხაზეთა წინაპრებს ძველ ბერძნულთან პირდაპირი და უშუალო კონტაქტი თითქმის არ ჰქონიათ. ამასვე მიანიშნებს ზემოთ ჩვენს მიერ აღნიშნული ფაქტი ბერძნულ ენაში ტერმინების - "აბასგისა" და "აფსელ//აფსილის" ქართველურ ენათაგან და არა უშუალოდ აფხაზურისაგან შეთვისების შესახებ, აგრეთვე აფხაზურ ენაში ბერძენთა აღმნიშვნელი ა-ბერძენ ტერმინის მგერულიდან და არა უშუალოდ ბერძნულიდან სესხება (ქართული ბერძენ-ფრეე მგერულში სახეცვლილია კანონ-ზომიერად: რათხზმოვნის მებობლად შთანხმოვანი სისტემებრ იძლევა შთანხმოვანს - ყურძენი - ყურზენი, ღერძი - ღირზე და სხვ. იხ. ლომთაძე, 1997, გვ. 69). არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ არამცთუ ბერძნული ქრისტიანული ტერმინები, არამედ სხვა დარგთა ბერძნული ლექსიკაც აფხაზურში უშუალოდ ბერძნული ენიდან კი არ არის შეთვისებული, არამედ ნასესხები ან ქართული ენიდან ანდა კოლხური ენის მგერული დიალექტის შუამავლობით. ამიტომ, თუკი აბასგები და აფსელები მართლაც აფხაზეთა წინაპრები იყვნენ (რასაც საბუთიანად მტკიცება ესაჭიროება), უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ქრისტიანობა ადრეფეოდალურ ეპოქაში მასობრივად არ მიუღიათ. ყუბანის აუზში მცხოვრები აფხაზეთა ძირითადი მასა წარმართად უნდა დარჩენილიყო გვიანდელ შუა საუკუნეებამდე, როცა ქართული სახელმწიფოს შესუსტებამ ხელი შეუწყო აფხაზეთა ექსპანსიურ მიგრაციას მანამდე ქრისტიანი ქართველური ტომებით დასახლებულ შავიზღვისპირა მიწა-წყალზე. სწორედ დამხედური ქართველური მოსახლეობისაგან უნდა შეეთვისებინათ მოსულ აფხაზებს სტრატატის სახით ქართველნიშებული ბერძნული ქრისტიანული ტერმინოლოგია.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი: ჩვენს მიერ გაანალიზებულ დიდძალ აფხაზურ ენობრივ მასალაში არ გამოვლინდა სვანური (ან სვანიზებული) ლექსიკა არცერთ დარგობრივ ჩტეფში, გარდა ტოპონიმებისა (იხ. ქვემოთ). სვანების ცხოვრება კი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ეძველესი დრო-



იდან უეჭველი ისტორიული ფაქტია. აფხაზურში სვანური ლექსიკის თითქმის არ-
 არსებობა, ჩვენი აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ მეგრულთა შტოვანობაში-
 ლაცია მომხდარა აფხაზთა წინაპრების ამჟამინდელი აფხაზურის ტერიტორიაზე
 მოსვლამდე დიდი ხნით ადრე (მეგრული და სვანური ტომების შერევა კი უკვე
 ადრეფეოდალური ეპოქიდან ჩანს დაწყებული, რაზეც წყაროებში ნარევი სვანო-
 კოლხების ტომის ხსენებაც მიანიშნებს). ამ მიზეზის გამო აფხაზურ ენაში სვანუ-
 რი სებსტრატული ლექსიკა პირდაპირი გზით ვერ დამკვიდრდებოდა. სამაგიე-
 როდ აფხაზურ ენას უხვად შეუთვისებია ყველა დარგის კოლხური, ან კოლხიზე-
 ბული ლექსიკა, რომელთაგან ნაწილი სებსტრატულ ფენას უნდა განეკუთვნებო-
 დეს, ნაწილი კი უფრო გვიან უნდა იყოს ნასესხები (საშუუხაროდ, ენათმეცნიერე-
 ბას ჭერ კიდევ არ მოეპოვება მეთოდოლოგია სებსტრატული და ნასესხები ლექ-
 სიკის ერთმანეთისაგან გასამიჯნად). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლხური
 ლექსიკა გაცილებით უფრო ჭარბად არის წარმოდგენილი აფხაზური ენის აბჯე-
 ურ დიალექტში, ვიდრე ბზიფურში, ხოლო აბაზური ენის დიალექტებში იგი თით-
 ქმის არ დასტურდება.

აფხაზურ ქრისტიანულ ტერმინოლოგიაში საგანგებო მნიშვნელობა აქვთ იმ
 ტერმინებს, რომლებიც სამუალებას იძლევა, მიხლოებით მაინც დადგინდეს
 აფხაზურ ენაში ქართველიზმების დამკვიდრების დრო. მაგალითად, ამ მხრივ სა-
 ყურადღებოა ეკლესიის, სალოცავის აღმნიშვნელი ტერმინი *ა-უაბამა*, რომე-
 ლიც დასტურდება როგორც აბჯეურ, ისე ბზიფურ დიალექტებში და მომდინა-
 რეობს მეგრული *ო-ბეამ-ე* "ეკლესია, სალოცავი" სიტყვისაგან. ამავე ძირის
 შემცველ სვანურ *ლაკეამ* "სალოცავი" სიტყვასთან შედარება გვიჩვენებს, რომ
 მეგრულ ფორმაში თავდაპირველად *ქ* თანხმოვანი უნდა გვექნოდა. *ქ* თანხმოვ-
 ნის *ბ* თანხმოვნით შეცვლის პროცესი ქართველურ ენებში X საუკუნის შემდ-
 გომ არის საყარაულო. ამიტომ, თუკი აფხაზური ენა ამ ტერმინს X საუკუნემდე
 ისესხებდა, მაშინ ბზიფურ დიალექტში *ქ* თანხმოვანი სპეციფიკური *ბ* თანხმოვ-
 ნით უნდა ყოფილიყო გადმოცემული, რაც ასე არ არის. რაკილა ტერმინი აბჯე-
 ურ და ბზიფურ დიალექტებში ზუსტად ერთნაირად ვლერს, სრულიად უეჭვე-
 ლია, რომ აფხაზურ ენას ქრისტიანული რელიგიისათვის ემნიშვნელოვანესი
 ცნების აღმნიშვნელი ეს ტერმინი უსესხებია მეგრულიდან X საუკუნის შემდ-
 გომ, როცა თვით მეგრულში ამოსავალი **ო-კეამ-ე* ფორმის ნაცვლად იხმარე-
 ბოდა მისგან მომდინარე *ო-ბეამ-ე* ვარიანტი. მამასადამე, როცა აფხაზურმა ის-
 ესხა ეკლესიის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა, თვით მეგრულში ამ ტერმინს უკ-



ვე ხანგრძლივი არსებობის ტრადიცია მქონდა, ხოლო მეგრული მოსახლეობა კარგა ხნის გაქრისტიანებული იყო.

ასევე გვიანდელი დამკვიდრებული ჩანს აფხაზურში ტერმინები *მესმარა* (აბგ. დიალ.) "*ძროხის მფარველი ღვთაება*", *ა-სმგარია* (ზიფ. დიალ.) და *ა-სქამგარია* (ზიფ. დიალ.) "*ზაქის მოგების კვირისთაზე ფურკამეჩისათვის გამოლოცვის რიტუალი*". ამთგან *ამქამგარია* სესხების კანონზომიერებათა სრული დაცვით არის მიღებული მეგრული *მესმგარია* "შიქელ-გაბრიელი" სიტყვისაგან, *ამქამგარია* მეგრულივე *მაშგარია*, ხოლო *ამქამგარია* **სამქამგარია* "სამიქელ-გაბრიელი" ფორმათაგან. უკანასკნელ ორ ფორმაში დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი მეგრული *ო-პრეფიქსის* ნაცვლად ამავე ფუნქციის მქონე საკეთრივ ქართული *მა-პრეფიქსის* არსებობა მოსალოდნელი არ არის დასავლეთ საქართველოში ქართვების ტომთა მასობრივ დასახლებაში და ამ მხარეში ბერძნულის ნაცვლად ქართული ენის ოფიციალურ ენად გადაქცევამდე, ანუ IX საუკუნემდე. სხვაგვარად რომ ითქვას, IX საუკუნემდე მაინც აფხაზური ენა ამ ტერმინებს ვერ ისესხებდა. გარდა ამისა, როგორც აბეჯურ, ისე ზიფურ ფორმათა ამკარად გამოხატული წარმართული შინაარსი იმაზე მიუთითებს, რომ ძირითადად მესაქონლეობის მიმდევარმა წარმართმა აფხაზებმა ეს ქრისტიანობისათვის უმნიშვნელოვანესი სახელები (მთავარანგელოზთა საკეთარი სახელები) მოარგეს საკეთარ არაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს, დაამკრეს მთავარანგელოზები. რაც მთავარია, მათ ქრისტიანობა, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გაითავისეს და ტერმინებს წარმართული შინაარსი ჩვენს დრომდე შეუნარჩუნეს. ამ მონაცემთა საფუძველზე ლოგიკურად ივარაუდება, რომ აფხაზთა ზედაპირულად "გაქრისტიანება" გვიანდელ შუა საუკუნეებამდე ძველად წარმოსადგენია.

აფხაზური ენის ორსავე დიალექტში დიდი ზომის ცვილის სანთლის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი *ა-კელატარი*, რომელსაც საფუძვლად უდევს მეგრული *კელატარი* სიტყვა. თავის მხრივ, მეგრული ფორმა მომდინარეობს ქართული *კელატარი* ფორმისაგან (მეგრულისათვის დამახასიათებელი არ არის ერთმანეთის მუზობლად ორი ყრუ მკვეთრი ხშული თანხმოვნის თავმოყრა, ამიტომ მკვეთრი ყრუ *კ* თანხმოვანი კანონზომიერად შეიცვალა მკლერი *ჩ* სონორით). ქართული *კელატარი* და მისი ამოსავალი ძველბერძნული *კეოლაპატერი* ფორმები თავდაპირველად აღნიშნავდა არა დიდი ზომის ცვილის სანთელს, არამედ სასანთელს, სანთლის სადგარს, რაც დოკუმენტურად დასტურდება კიდევაც 1042-1044 წლებში დაწერილ გიორგი მთაწმინდლის "იოვანესა და ექვთი-



მეს ცხოვრებამი” (მღრ. ძველბერძნული კერძ “სანთელი” და ლამპტერ “სასანთლე, სანთლის სადგარი”). ქართულში კელაქტარსიტყვას მნიშვნელობა მოგვიანებით, XI საუკუნის შემდგომ შესცვლია, რაც კარგად სცოდნია სელსან-საბა ორბელიანსაც, როცა ამ სიტყვის შესახებ 1685-1716 წლებს შორის შედგენილ “სიტყვის კონამი” წერდა: “კელაქტარი - სასანთლე, ხოლო აწ დიდს სანთელსა ეკმობენ ტყვილად” (საბა, 1991, ტ. I, გვ.364). ბუნებრივია, კელაქტარსიტყვაეც მეგრულში XI-XVII საუკუნეებს შორის შეიცვლიდა თავის მნიშვნელობას ქართლის ზეგავლენით, ხოლო აფხაზური ენა მეგრულიდან ტერმინს ეკვე შეცვლილი მნიშვნელობით ისესხებდა იმავე XI-XVII საუკუნეებს შორის.

მეგრულიდანვე არის აფხაზურში ნასესხები ძირითად ქრისტიანულ ცნებათა აღმნიშვნელი ისეთი ტერმინებიც, როგორიც არის: *ქარაზა*” 1. ქრისტე; 2. დეკემბერი; 3. ქრისტეშობის დღე, 25 დეკემბერი” (მღრ. მეგრ. *ქირსე*), *ა-ქარხანა* “ქრისტიანი” (მღრ. მეგრ. *ქირსიანი*), თარგაალაზ “შთავარანგელოზი” (მღრ. მეგრ. *თარგელოზი*), *წყარკუთხა* “წყალკურთხევა” (მღრ. მეგრ. *წაკურთხა* // *წყარკუთხა*), *ა-ჭუთანდარ* “ეპისკოპოსი” (მღრ. მეგრ. *ჭუონდ(ად)არი* “ჭყონდი-დელი”) და სხვ. აფხაზთა შორის ქრისტიანობის გვიან, თანაც ზედაპირულად გავრცელებასა და ამ რელიგიის პოზიციათა სისუსტეზე, გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა, ისიც მიუთითებს, რომ აფხაზურ ენაში არ დასტურდება ბიბლიური წარმომავლობის ფრაზეოლოგიურ-იდიომატური გამონათქვამები, რაც ჩვეულებრივ ქარბად დასტურდება ჭეშმარიტად ქრისტიან ხალხთა ენებში.

ამრიგად, განხილული ენობრივი მასალა გვიდასტურებს, რომ აფხაზთა წინაპრები ქრისტიანობას ზედაპირულად უნდა გასცნობოდნენ მეგრულთაგან არა აღრეული ფეოდალიზმის ხანაში, არამედ XI-XVII საუკუნეებს შორის. გარდა ამისა, ამავე მონაცემთა გათვალისწინება საეკვოს ხდის აფხაზთა წინაპრების თუნდაც ერთი ნაწილის ბინადრობას თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე V საუკუნეში ან მის ახლო ხანებში, რასაც ჩვენ ზემოთ ვვარაუდობდით.

5. მართლწარმოშობის ზოგი სოციალური ბარბინის აფხაზური სასხავის დროის შესახებ *ფარგინიძემოძაც იმაცონამ*

ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ეძველესი დროიდან აფხაზთა წინაპრების ცხოვრების შემთხვევაში აფხაზურ ენაში აეცილებლად მოსალოდნელი იყო სოციალურ ურთიერთობათა ეძველესი ქართული სისტემის ამსახველი ტერმინების ნაწილობრივ, თუნდაც



მნიშვნელობაშეცვლილი სახით არსებობა, ხოლო თუ ვირწმუნებთ ჯ. ჰიუიტის
 ჰიპოთეზას VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე აფხაზთა მიერ დასავლეთ საქართველოში
 დაპყრობის შესახებ (იხ. ჰიუიტი, 1990-91, გვ. 260-261), მაშინ მეგრულ-აფხაზურ
 ში, სვანურსა და დასავლურქართულ დიალექტებში ნასესხები უნდა იყოს სოცი-
 ალურ ერთიერთობათა ამახველი აფხაზური წარმოშობის ტერმინები. რეალურ-
 რად კი, როგორც გვიჩვენა შესაბამისი ქართველური და აფხაზური მასალის ან-
 ალიზმა, არც აფხაზურ ენაში ჩანს არამცთუ მონათმფლობელობის, არამედ აღ-
 რეფეოდალური და პატრონჟიმობის ეპოქათა ქართული სოციალური სისტემის
 ამახველი ტერმინები და არც ქართველურ ენებში დასტურდება აფხაზური სო-
 ციალური სისტემის რაიმე ნაკვალევი. აფხაზურ ენაში დასტურდება შემდეგი სო-
 ციალური ტერმინები: აჰ(ა) "შთაყარი; ბატონი", აჰკაყი "ჭალბატონი", ა-
 თაჟად "თავადი", აამჰთა "ზნაური", ა-უფშაჟლ "უფლისწული", ა-ჟაჰა "შო-
 ურაკი", ა-ნაჟჟ "გლეხი", ა-მაწურა ზეჟ/ა-მაწურა ზღუ "შონალე", ა-ბჟჟჟ
 "დოღმაზორე, ფარეში", ა-შნაყიშ "შინაყმა", ა-მაშაღლა "მოჭალაბე", აგრუა
 "მოჭალაბე; ტყვე", ა-ტჟა "ტყვე".

როგორც აღნიშნავენ ისტორიკოსები, ამ ტერმინებით წარმოდგენილი სო-
 ციალური ერთიერთობანი ასახავენ გვიანშუასაუკუნოვან ვითარებას (აფხაზ.
 ისტ., 1960, გვ. 111). ამ მოსაზრებას ადასტურებს არამარტო თვით ტერმინებით
 ასახულ სისტემაზე დაკვირვება, არამედ ქართველური წარმომავლობის ზოგი
 ტერმინის ანალიზიც. მაგალითად, ა-თაჟად "თავადი" სიტყვა ნასესხებია ქარ-
 თელისაგან, მაგრამ შეთვისებულია არაუადრეს XV საუკუნისა, ვინაიდან, რო-
 გორც დადგენილია, თვით ქართულში თავადისიტყვა XV საუკუნემდე სხვა მნიშ-
 ვნელობით გამოიყენებოდა (ნ. ასათიანი, ნ. ბერძენიშვილი, დ. გვრიტიშვილი,
 ო. სოსელია, გ. ჯამბურია...), რისი კვალიც აფხაზურ ენაში არ ჩანს. ასევე გვიან-
 დელ შუა საუკუნეებამდე არ დასტურდება ქართულ წერილობით წყაროებში
 ტერმინი შინაყმა, ხოლო აფხაზური ა-უფშაჟლ "უფლისწული" მომდინარეობს
 გერულ-მეგრული გვიანდელი უფლიშული ფორმისაგან (ბჟ თანხმოვანთკომ-
 ლექსის გამარტივება გერულსა და მეგრულში ჩვეულებრივია, ქართულ-ქართვე-
 ლური ბუ მარცვალი კი აფხაზურში სესხების დროს კანონზომიერად იცვლება
 ლაბიალიზებული, გაბაგისმიერებული ში თანხმოვნით. შდრ. მეგრ. ბუჯი "სე-
 რი" - აფხაზ. ა-შაჟ.).

აგრე-უა/აგერ-უა ტერმინი შეიცავს ეთნონიმებსა და სატომო სახელებში
 ბავრცელებელ ადამიანის აღმნიშვნელ ჯამირ-სუფიქსს (შდრ. ა-ჟა-ჟჟ "ადამია-



ნი, კაცი", *ა-ჭრთ-უა* "ქართველი ადამიანი", *ა-შაან-ჭა* "სვანი ადამიანი"). ეს სიტყვა აფხაზურში მრავალმნიშვნელობიანია და აღნიშნავს *ჭყუჭყუღურულს*, 2 ტყვეს; 3. მოჯალაბეს". გარდა ამისა, იგივე სიტყვა XIX საუკუნის მწერალთა ხელნაწერში გვარსახელადაც დასტურდება კოდორის ხეობიდან აყრილ აფხაზთა შორის (მისგანვე მომდინარეობს აფხაზური გვარსახელი *აგრ-მა* "მეგრელიშვილი") აფხაზურში *აგრუა* სახელი არ არის მიღებული მეგრული *მარჯალი* "მეგრელი" სიტყვისაგან (მაშინ აფხაზურში უნდა გვექონოდა **ა-მარჯალ-ფორმა*), იგი არ მომდინარეობს არც დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი არქაული ქართული *აგურ* ფუძისაგან (მაშინ აფხაზურში უნდა გვექონოდა **ა-ვგურ-ჭა*. მართალია, აფხაზურში არის *ა-ვორ* სიტყვა, მაგრამ იგი აღნიშნავს გერულს და არა მეგრულს, შდრ. ქართ. *გურ-ია*). აფხაზური *აგრუა* ფორმის საფუძველია ძველქართულ წყაროებში დადასტურებული დასავლეთ საქარველოს აღმნიშვნელი *აგურ* ფორმისაგან მომდინარე შედარებით გვიანდელი *აგრი* ფორმის მეგრული ვარიანტი **აგრი* (შდრ. მეგრ. *მარჯ-ალი* ← **მარჯ-ალი*).

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ამჟამად გვიჭირს იმის თქმა, თუ კონკრეტულად როდის უნდა ესესხებინა აფხაზურს მეგრული **აგრ-ძირი*, მაგრამ იმის დადგენა კი შესაძლებელი ჩანს, თუ მიახლოებით როდის უნდა შეეძინა ამ სატომო სახელს ჭერ ტყვის, შემდგომ კი მოჯალაბის მნიშვნელობები. საზოგადოდ, მსოფლიოს ხალხთა ისტორიიდან ცნობილია მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ გადაიქცევა ესა თუ ის ეთნიკური შინაარსის მქონე სახელწოდება სოციალურ ტერმინად. მაგალითად, დაღესტანში გავრცელებულ ხეარშიელ ენაში ქართველის აღმნიშვნელი *ააჯა* სიტყვა ტყვე ქართველსაც ნიშნავს სამ თაობამდე (ბურჭულაძე და შავხელიშვილი, 1993, გვ. 324); მონღოლები მათ მიერ დაპყრობილ ქვეყანათა მკვიდრ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მიწათმოქმედთ ტაჯიკის აღმნიშვნელი განზოგადებული *თაჯი* სახელით მოიხსენიებდნენ ხოლო არაბულ ენაში აბისინიელთა აღმნიშვნელი *ამაბიშ* სახელით იცნობდნენ არა მარტო აბისინიელებს, არამედ სხვა ეროვნების იმ აფრიკელ ტყვეებსაც რომლებიც მექაში იცავდნენ მდიდარ ურუჩეშებსაც და ქააბასაც (ნმაი, 1957, გვ. 120; ბელიაევი, 1966, გვ. 103) და სხვ. სწორედ ამგვარად გვიანდელ შუა საუკუნეებში, როცა მრავალი წერილობითი წყაროს ცნობით დაიწყო აფხაზთა განუწყვეტელი ინტენსიური თარეში სამეგრელოში, რომელიც ამ დროს მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს (იხ. მაგალითად, ალამბერტის, ე. შარდენის, ვახუშტი ბაგრატიონის, სელხან-საბა ორბელიანისა და



სხვათა ჩანაწერები), ტყვედ ჩაეარდნით მეგრელთა სახელდებისათვის, ბუნებრი-
 ვია, მათივე აღმნიშვნელი აგრეთსატომო სახელი იქნებოდა გამოყენებული.
 მელსაც ამჭერად უკვე ახალი შინაარსიც შევიძინებოდა, ტყვის აღმნიშვნელისა.
 მომდევნო ეტაპზე კი, როცა გამოუსყიდველად დარჩენილ ტყვეებს ეძლეოდათ
 უფლება პატრონის მიწაზე დასახლებისა, ტერმინს მოჯალაბეთა სოციალური კა-
 ტეგორიის აღნიშვნის ფუნქციაც დაეკისრა. ზემოთ თქმული რომ მართლაც ასე
 ხდებოდა, შესანიშნავად ჩანს ა.მენტეშაშვილის მიერ გამოჭვეყნებული აფხაზი
 თავადების - ბ.ემუხვარის, მ.მარშანიას, ტ.მარშანიასა და კ.ინალ-იფას მიერ შედ-
 გნილ 1870 წლის 23 მარტის მოხსენებითი ბარათიდანაც, რომელშიც წერია:
 "При часто случавшихся в Мингрелии, Имеретии и Абхазии
 войнах, беспорядках и междуусобиях, а также под влиянием турок,
 покровительствовавших пленопродавству, в этих странах
 образовался особый класс бесправных рабов, известных в
 Мингрелии и Имеретии под именем моджалаби и в Абхазии под
 общим названием Агырва. Обыкновенно, военнопленные, если не
 выкупались своими родными, обращались в рабство и тогда они,
 оставаясь холостыми, перепродавались из рук в руки, служили
 разменной монетой и носили название ахашвала".

6. მართველური სოცსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ ამკამინდელი აფხაზეთის ეთნიკური
 ისტორიის დასადგენად საყურადღებო მასალას იძლევა გეოგრაფიულ სახელთა
 სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზი. მრავალ წერილობით წყაროსა და
 ძველ რუკებზე დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელთა გამოწველილეთი კვლე-
 ვა, სამწუხაროდ, ჯერაც არ ჩატარებულა, რასაც თავისი მიზეზებიც აქვს, მაგრამ
 ერთი რამ კი ზაზგასმით შეიძლება ითქვას: ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის პირ-
 ვლადობა-შემდგომადობის საკითხის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს არ-
 ამარტო ძველთაგანვე დოკუმენტურად ფიქსირებულ გეოგრაფიულ სახელთა ან-
 ალიზს, არამედ იმ ტოპონიმთა კვლევასაც, რომლებიც ძველ წყაროებში არ დას-
 ტურდება, მაგრამ ამკარად უნდა მჭონდეთ მრავალსაუკუნოვანი არსებობის ის-
 ტორია. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს არამარტო ცალკეულ გეოგრაფი-
 ულ სახელთა წარმომავლობისა და თავდაპირველი სტრუქტურის კვლევას, არ-
 ამედ იმ ტოპონიმურ მოდელთა გამოვლენასაც, რომლებიც მიგვანიშნებდნენ



ტოპონიმთა მთელი წყების განკუთვნიებაზე აფხაზური, ან ქართველური ენობრივი სამყაროსათვის.

ქართული

ძველ წყაროებში დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელებს შევხვდებით ნატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ანტიკურ, აღრეფუოდალურ და პატრონეზობის ეპოქათა გეოგრაფიულ სახელებში შორის არ დასტურდება არცერთი ისეთი ტოპონიმი, რომელიც უყოფმანოდ აიბნებოდა აფხაზურად, ან, მით უმეტეს, წერტილურ ენაზე.

ამჟამინდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე წერილობით დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელთა შორის უძველესს ისეთ ტოპონიმად, რომელსაც უდავოდ ეძებნება აფხაზური ეტიმოლოგია და აგებულია აფხაზურ ენაში მოქმედი ტოპონიმიკური მოდელის მიხედვით, მიჩნეული უნდა იქნეს XVI საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშის მთავარ მამია III დადიანის (1512-1533 წწ.) მიერ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრის სახელზე გაცემულ "ბიჭვინთის იადგარში" ორგზის ხსენებული სოფლის სახელი ათთარუ. "იადგარში" წერია: "ქულადცა გკადრეთ და მოგაქსენეთ... ბიჭვინთის გარემო სოფელი ათთარუ, არუზა და რაძიწა, ათთარუ მთა ზეთისხილოვანი". ათთარუ სახელის აფხაზურობა არაერთარ ექვს არ იწვევს, ვინაიდან იგი მომდინარეობს მესაქონლეობის აფხაზური ღვთაების ათთარის სახელისაგან (შდრ. მეგრ. ჟინი ანთარი) და გაფორმებულია აფხაზური ტოპონიმებისათვის დამახასიათებელი -რე სუფიქსით, რომელიც "იადგარში" ნუფორით არის გადმოცემული (ამავე ტექსტში ნახსენები არუზა და რაძიწა ასევე აფხაზური უნდა იყოს, ოღონდ მათი ზუსტი ეტიმოლოგია ჯერ კიდევ დასადგენია). ტოპონიმი ათთარუ იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მას საფუძვლად დასდები მესაქონლეობის წარმართული შვიდსახოვანი ღვთაების სახელი, რითაც ცხადდება, რომ აფხაზები ბიჭვინთის, ამ უმნიშვნელოვანესი ქართული ქრისტიანულ ცენტრის სიახლოვეს XVI საუკუნის ახლო ხანებში დასახლებისას ჯერ კიდევ მესაქონლე წარმართები ყოფილან და დემონსტრაციულად შეურქმევიათ ახალ დასახლებისათვის წარმართული სახელი, ბიჭვინთა კი, დადგენილია, როგორც რელიგიური ცენტრი, სწორედ ამ დროიდან იწყებს დაკნინებას წარმართთა მოძღვრების გამო (ბ.ლომინაძე).

ბიჭვინთის მიდამოებში ქართველური მოსახლეობის ბინადრობას უძველეს დროიდან დასაბუთებს თვით ამ დასახლებული პუნქტის სახელწოდებათა ანალიზიც, ბიჭვინთის სახელი ყველაზე ადრე დასტურდება სტრაბონის (ძვ.წ. - I ახ.წ. I სს) "გეოგრაფიაში" პიტეიუს ფორმით, რაც ბერძნულ ენაზე "ტიქს" ნიშ



ნავს. მომდევნო პერიოდებში ამ ქალაქ-კოლონიას პლინიუს უმცროსი, ამიანე მარცელინუსი, თეოდორიკე კეირელი, V საუკუნის ბერძენი ანონიმი, ბრძენი პროკოპი კესარიელი, თეოდორე ბიზანტიონელი და სხვანი იხსენიებენ ხან პიტო-უზად, ხან კი პიტოუნტა ფორმით. მათგან პირველი სახელობითი ბრძენის ფორ-მაა, მეორე - ბრალდებით-აკეზატივისა. ქართულ წყაროთაგან "დავით და კონ-სტანტინეს წამებაში" (VIII ს.) დასტურდება პიტოუნტა ვარიანტი, სხვა წყარო-ებში კი მიკუნტა//მიჭვინტა//მიჭვინთა ვარიანტები. ამჟამად აფხაზები ამ დაბას ბერძნული სახელწოდების ლათინურ-იტალიური Pitiunda//Pizunda (გამოითქ-მის პიციუნდა//პიციუნდა) ვარიანტისაგან მომდინარე რუსული პიციუნდა ფორმით აღნიშნავენ, ანდა იყენებენ (სამეცნიერო გამოკვლევებში) XX საუკუნეში ხე-ლოვნურად შექმნილ აშჯარა "ფიჭვნარი" (შდრ. აფხაზ ა-შჯა "ფიჭვი") ვარი-ანტს. XVII საუკუნის "ჰიზან-ნემას" რეკაზე დასტურდება ბუჯუნდუ თურქული ვარიანტი, ხოლო 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილეთა სირიელ სიამი ფიტუუნტა, რომელშიც ყურადღებას იპყრობს პირველი ფ ბგერა, რითაც ეს ფორმა ფიჭვის სახელის ქართულ წარმოთქმას ეახლოვდება.

ბერძნულ წყაროებში ამ პუნქტის სახელად მცენარის აღმნიშვნელი არსებითი სახელის სახელობით ბრძენაში გამოყენება მატროპონიმებული აფიქსების გა-რეშე (პიტოუნტა "ფიჭვი") გვაკარაულებინებს, რომ ამ ადგილას ბერძნული ქალაქ-კოლონიის დაარსებამდე არსებულ დასახლებას თავდაპირველად რომელიღაც ადგილობრივ ენაზე "ფიჭვი" უნდა რქმეოდა და ეს სახელი შემდგომში მოსულ ბერძენ კოლონისტებს უნდა ეთარგმნათ თავიანთ ენაზე, რასაც ბერძნები ხშირად აკეთებდნენ სხვაგანაც. ასეთ შემთხვევაში საძიებელია, რომელ ენობრივ სამყა-როშია გავრცელებული მცენარის აღმნიშვნელი არსებითი სახელის მხოლოდობითი რიცხვის მატროპონიმებულ აფიქსთა გარეშე წარმოდგენილი წმინდა ფუძის გამო-ყენება მსხვილი დასახლებული პუნქტის სახელწოდებად (ოიკონიმად). კვლევამ გეიხვანა, რომ ამ ტოპონიმიკური მოდელის ოიკონიმები საკმაოდ ფართოდ არ-ის გავრცელებული ქართულ, კოლხურ და სვანურ ტოპონიმიში, მაგრამ არ დას-ტურდება აფხაზურში. მაგალითად, ამ ტოპონიმიკურ მოდელს განეკუთვნება სო-ფულ-დაბათა და ქალაქთა ქართველური სახელები: ბია, გრაკალი, გუმბრი//ბუმბრა ← გვიმრა, დგნალი, თელა, იელი, იფზი (შდრ. სვან. იფზ "გვიმრა"), პანტა, სარო, ყვაილი, ყუმტრი (შდრ. მეგრ. ყომტრი "ტყემალი"), ცაცხ-ვი//ცხაცხე, ცხემნა, წნორი, წყნორი, ქანდარი, ცხემი (შდრ. სვან. ცხემ//ცხემ//ცხემი "ცხემლა") და სხვა. აფხაზურ ენაში კი მცენარის სახელი წმინ-



და ფედის სახით ოიკონიზმად არ დასტურდება, აქ უფრო გავრცელებულია/სოფლის სახელად მცენარის სახელწოდების კრებითი მრავლობითი ფორმულა გამოყენება: აღრა "მურყნალი", აჯამფაბრა "ქიაფერნალი", აჯრბ მცენარის სახელი არა "რცხილნარი" და სხვ. ამ ფაქტების საფუძველზე, ჩვენი აზრით, სრულიად ცხადია, რომ ბერძენ კოლონიტებს ბიჭვინთის მიადამოვნში დახვედრიათ არა აფხაზური, არამედ ქართველური (კოლხური ან სვანური) მოსახლეობა, რომელთა ენაზეც ამ დასახლებულ პუნქტს "ფიჭვი" რქმევია. ეს კოლხური ან სვანური სახელი ბერძნებს შემდგომში აიტაუბ "ფიჭვი" ფორმით ტოარგმნიათ, რომლის ბრალდებითი ბრუნვის აიტაუნტა ფორმისაგან არის მიღებული, ერთი მხრივ, ლათინურ-იტალიური აიტუნდა, მეორე მხრივ კი კონტამინირებული (ნარევი) ბიჭვინტა - ბიჭვინთა ← ფიჭვი ტა = ფიჭვილ ცყ.

ამავე ტოპონიმიკურ მოდელს (მცენარის სახელი მატოპონიმებულ აფიქსთა გარეშე ოიკონიზის როლში) განეკუთვნება ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებული სახელები: ცხუმ//ცხომი (ეკანასკნელი ვარიანტი დასტურდება "ქართლის ცხოვრების" მარიაპისეულ, თეიმურაზისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხეში) ← სვან. ცხუმ//ცხვიმ// ცხუმ "ცხემლა", ვაგრა//ვაგარი (ხოზის XIV ს. 90-იანი წლების წარწერაში) //კაკარი//კაკარა//ზოკარი (XIV-XV სს. იტალიურ და კატალონიურ რეკეში) ← სვან. ვაკრა//კაკრა "კაკლის ხე" (შესაძლებელია სხვაგვარი ახსნაც: ვაგარი//კაკარი ← ვაკარ//კაკარ "კაკლის ხეები"), ← ტყვარნელი//ტყვარნელი ← მეგრ. ტყვარნელი(ა) //ტყვარნელი(ა) "ყოჩივარდა", ← მერკულა //მერგულა//მარგულა//მარგული// მორბილა ← მეგრ. მარგულა ← "შაქულიაე" (ისტორიული პროვინციის მარგვის სახელისაგან), გენწეში ← გენწიშ//გუნწეში "ტირიფი", მერხული ← სვან. მერხელ "ქინქარი", კოპტი ← იმერ.-გურ. კოპტი, კამანი ← გურ. კამანა, მეგრ. ქამანა //ქამანი "ანაგვირილა" და სხვ. ამ მოდელის ტოპონიმიზაციის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სოხუმის რაიონში მდებარე სოფლის, ქედის, შთის, ელელტეხილის მდინარისა და ტბის ამჟამინდელი აფხაზური სახელი ამტყაალ, რომელიც ქ.ლომთათიძის სავესებით დამაჭერებელი ვარაუდით ქართული ტყვალ ფედისაგან მომდინარეობს. რაც მთავარია, ამ შემთხვევაშიც, ბიჭვინთის სახელწოდების ისტორიის მსგავსად, საქმე გვაქვს მოსული მოსახლეობის მიერ დახვედრილი სახელი გადასხვაფერებასთან (ტყვალ ფედში გადასმულია ბგერები და დართული აქვ აფხაზურ სახელთათვის დამახასიათებელი ზოგადობის აპრეფიქსი). გარდა ამისა, ცხადად ჩანს, რომ აფხაზური ფორმა ქართულისაგან მაშინ ჩანს მიღებული




როცა ქართულ ენას დასავლეთ საქართველოში იმდენად მტკიცე პოზიცია შექონა, რომ კოლხური და სვანური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაშიც (უბრალოდ მინდელ სოხუმის რაიონში) გაჩენილა საკუთრივ ქართულენოვანი ტრადიციები რომელიც მომდევნო ეტაპზე მოსულ აფხაზებს თავისებურად გადაეკეთებიათ. ცხუმ-სოხუმის მიდამოებში აფხაზთა პირველი გამოჩენა კი, როგორც აღნიშნავენ, XV საუკუნის შუა ხანებში ხდება, მაგრამ ისინი აქ კი არ სახლობენ, არამედ თავს ესხმიან ქალაქს. ამისი დამადასტურებელია სებასტოპოლისში (ცხუმში) წარმოგზავნილი გენუელი კონსულის ჭერარდო პინელის ცნობა, რომლის მიხედვითაც ქალაქს 1455 წლის 28 ივნისს მოულოდნელად თავს დასხმიან ავოგაზები (იგივე აფხაზები), რომელთაგან დატყვევების შიშით ადგილობრივი მოსახლეობა სასწრაფოდ აყრილა და გაქცეულა (მაშისთავალიშვილი, 1992, გვ.55).

7. მართველური ფენა აფხაზურ დარბოზრინ ლაქსიასში და მისი გენოვანობა აფხაზურ ტომთა ისტორიული მიგრაციის დროისა და მარბრუბის დასაღგენად

აფხაზურ ტომთა ისტორიული მიგრაციის მარშრუტის დასადგენად ფასეულ ცნობებს გვაწოდის აფხაზური ბოტანიკური ტერმინოლოგიაც, რომლის ანალიზმა გვიჩვენა, რომ 262 ბოტანიკური ტერმინიდან დიდი ნაწილი აფხაზურში შესულია მეგრულიდან, ან ქართული ენიდან, სვანური ლექსიკა კი არ დადასტურდა. კულტურულ მცენარეთა 120 სახელიდან ერთ მეოთხედზე მეტი (34 ტერმინი) ან ქართველური წარმომავლობისაა, ანდა ქართველურ ენათა შემეგობრითაა შესული აფხაზურში. ამ ჩგუფს განეკუთვნება კიტრის, ჭარბლის, ჭერმის, ჭეკვის, ქერის, თაღგამის, წერილი ლობიოს, ატმის და სხვა მცენარეთა სახელები.

წილობრივი თვალსაზრისით გაცილებით ნაკლებია ქართველურში ველურ მცენარეთა ტერმინოლოგიაში - 20 ტერმინი 145-დან. ამ ჩგუფში შედის ისლის, ბიას, კოწახურის, იონჯის, სეროს, კლერტასა და სხვა მცენარეთა სახელები. რაც მთავარია, ველურ მცენარეთა სახელებიდან აფხაზურს ქართველურ ენათაგან უსესხებია ძირითადად იმათი სახელები, რომლებსაც პრაქტიკული გამოყენება აქვს ადამიანის ყოფაცხოვრებაში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნახებზობათაგან არ დასტურდება არცერთი ისეთი მცენარის სახელი, რომლის გავრცელების არეალი შემოიფარგლება მხოლოდ მაღალი მთის (ალპური და სუბალპური) სარტყელით. აფხაზურს მეგრულ-ქართულიდან შეუთვისებია იმ ძალტურული და ველური მცენარეების სახელები, რომლებიც გავრცელებულია



დაბლობში, ჭაობიან ადგილებსა და დაბალი, ან საშუალო ხმაღლის მთათა ხარ-
ტვლში. ეს ფაქტი პირდაპირ ასახავს აფხაზთა წინაპრების ყუბანის, აქედან კავ-
კასიონის უღელტეხილთა გადმოვლით ამჟამინდელი აფხაზეთის მდებარეობა ჭა-
ობიან და დაბლობ ადგილებში დამკვიდრების მარშრუტს. ყუბანის აუზის დაბა-
ლი და საშუალო სიმაღლის მთიანი სარტყლიდან მათ თავდაპირველად უნდა აენ-
აცვლებინათ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე მაღალმთიან ზოლში
(იხ. 1654 წლის რუკა), სადაც ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად გამოუმუშავდებ-
ოდათ მთიელის ფსიქოლოგია მთის პირობებთან შეგუების შედეგად. ეს ასახუ-
ლია ენაშიც, კერძოდ მაღალმთიანეთისათვის დამახასიათებელი ლექსიკის გან-
ვითარებაში. /კავკასიონის ქედის უღელტეხილთა გადმოლახვის შემდეგ ისინი
თავდაპირველად მძიმთის, ფსოუს, ზიფის სათავეებში, მერე კი კოდორის სათა-
ვეების მაღალმთიან ზოლში დასახლებულან, რის გამოც მათ მშობლიურ ენაში
არ გაჩნდებოდა აეცილებლობა მაღალმთიანეთის ბუნების ამსახველ ტერმინთა
დამხვედრ ქართულურ ტომთა ენებიდან სესხებისა, რაკი აფხაზური ენის ლექ-
სიკა უკვე სრულად ასახავდა მაღალმთიანეთის ბუნებას. მაგრამ მომდევნო ეტ-
აპზე, როცა აფხაზები ჩამოსახლდნენ მათგან უკვე კარგახნის წინათ გადაჩვეულ
დაბლობსა და ჭაობიან ადგილებში, რომლის ამსახველი ლექსიკა აფხაზურ ენაში
უკვე გამოსული იქნებოდა ხმარებიდან, აფხაზურში აეცილებლად გაჩნდებოდა
საჭიროება ახალი გარემოს ამსახველი ლექსიკის სესხებისა დამხვედური ქართულ-
ური მოსახლეობის ენიდან. /

ენობრივი ანალიზის საფუძველზე მიღებული ეს დასკვნები სრულ თანხმობა-
შია “ქართლის ცხოვრების” ცნობებთან XII საუკუნის მეორე ნახევარში ალან-
თა ქვეყნის შემადგენლობაში აფხაზეთის არსებობისა და XIV საუკუნის პირველ
ნახევარში აფხაზთა მთიელობის შესახებ; გ.გასტალდის 1561 წლის რუკისა და
1654 წლის ლათინურ-ფრანგული რუკის მონაცემებთან, რომელთა მიხედვითაც
აფხაზთა “ოლქი, ქვეყანა, მხარე” დასახლება აყვასთან ერთად ყუბანის აუზის შუა
წელზე მდებარეობდა და აფხაზები ეშუალოდ ემზობლებოდნენ ალანებს (ალბათ
ყარაჩაელებს) სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის მაღალმთიანეთში; იოჰან-გოტ-
ლიბ გეორგის, პავლე ალექსოვისა და სხვა ავტორთა ცნობებთან ორი აფხაზე-
თის არსებობისა და ანაპის ჩრდილოელ აფხაზთა მთავარ ქალაქად ყოფნის შესა-
ხებ; ე.ტატიშჩევის ცნობასთან ჩრდილოეთ სამეგრელოში, ანუ ამჟამინდელ აფ-
ხაზეთში ყუბანელთა მოძალების შესახებ; ა.დიჩკოვ-ტარასოვის მოსაზრებასთან
აფხაზთა ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულობის შესახებ და სხვ.



აფხაზურ ენაში ქართველურ სუბსტრატულ ფენას განეკუთვნება აგრეთვე ქართველური წარმოშობის (ძირითადად, მეგრული) გვარსახელებიც და დღეს ჩაოდნობითაა გავრცელებული უკლებლივ ყველა აფხაზურ სოფელში. აფხაზურ ენაში თერქეთში მცხოვრებ აფხაზთა შორის. ამჟამად აფხაზთა შორის საკუთრივ აფხაზური გვარების გვერდით დასტურდება დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ გვარსახელთა თითქმის ყველაწიანი ქართველური მოდელი (-ძე, -შვილი, -იანი, -ვა, -ია, -უა დაბოლოებიანი და უსუფიქსო გვარები), რაც პირდაპირ მიუთითებს მოსულ აფხაზთა მიერ დამბედურ, ან ტყვედ მიყვანილ ქართველთა ასიმილაციაზე, თუმც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გვარი ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე მიზეზით არ არის გააფხაზებული. ქართველურ გვარსახელთა უდიდესი ნაწილის გავრცელება ამჟამად უკვე აფხაზებით დასახლებულ სოფლებში აფხაზთა მოსელამდეა სავარაუდო. აფხაზთა შორის გავრცელებულ ქართველური წარმომავლობის გვარსახელთა მოდელზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აფხაზთა წინაპრები ამ ტერიტორიაზე მას შემდეგ ჩანან მოხუცნი, როცა ქართველურ გვარსახელთა დღეს არსებული მოდელები უკვე კარგაზნის ჩამოყალიბებული ყოფილა, ქართველურ გვარსახელთა მოდელები კი, როგორც დადგენილია, XII-XIII საუკუნეებში საბოლოოდ ყოფილა ჩამოყალიბებული (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 34,52..).

საყურადღებოა, რომ ამჟამინდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე -ვა დაბოლოებიანი მეგრული გვარები უკვე XI საუკუნეში ჩანს გავრცელებული. მაგალითად, ილორის ეკლესიის XI საუკუნის წარწერაში ნათქვამია: "წმიდაო გიორგი, შენიყალე გიორგი ქაზილავა მღვდელი (მღალადებელი?). წმიდაო გიორგი, მფარველ მექმენ დიდსა მას დღესა..." (ბლაქა, 1967, გვ. 19), ხოლო წებელდის ეკლესიის XIII საუკუნის წარწერაში აღნიშნულია: "ამის ჟვარისა მამენებელსა ლუკას მარტინიას შეუნდოს ღმერთმან, ამინ" (ბლაქა, 1967, გვ. 21). ჩვენი აზრით, ორივე წარწერაში წარმოდგენილია -ვა დაბოლოებიანი გვარები: ქაზილავა და მარტინია ← მარტინავა, რაც აქაური ← მოსახლეობის ეროვნებაზეც უნდა მიუთითებდეს და იმავეც, რომ აფხაზებს მართლაც არ უცხოვრიათ ილორსა და წებელდამი XI და XIII საუკუნეებში. რაც შეეხება XVI-XVIII საუკუნეთა წერილობით იურიდიულ საბუთებს, რომლებშიც ასახულია ამჟამინდელი აფხაზეთის კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული ტოპონიმებიცა და გვარსახელებიც, არცერთ მათგანში არ დასტურდება აფხაზური გვარსახელები, სამაგიეროდ უხვად არის წარმოდგენილი მეგრული გვარები. ეს საბუ-



თემა: 1525-1550 წლების “ბიჭვინტის იადგარი”, XVI საუკუნის ბედლის გულანი, XVI საუკუნის დასასრულის ნაგენელოს საკათალიკოსო ვტუტებზე ბუგარის ნუსხა, “ბიჭვინტის იადგარის” 1611-1614 წლების მინაწერბ, მალაქა კანაპლიკოსის ბიჭვინტისადმი შეწირულობის წიგნი 1616-1639 წლებისა, ლევან II და დიანის 1628 წლის სიგელი, აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოსავალი მოსაკრებლების 1621 წლის დაეთარი, ლევან II და დიანის წარწერა წმიდა ონოფრეს ხატზე 1639 წლისა და სხვანი (იხ. გასვიანი, 1997; ზორავა, 1996, გვ. 146-150).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შერვაშიძეთა საგვარეულოს ქართული და აფხაზური სახელწოდებების ურთიერთმიმართება. ქართულ წყაროებში ეს გვარი *შურვაშიძე*, *შარვაშიძე*, *შურვაშიძე* ვარიანტების სახით დასტურდება, რომელთაგან ზოგს ამოსავლად *შარვაშიძე* მიაჩნია და უკავშირებს მას შირვანშაჰების აღმნიშვნელ *შარვანშა* ფორმას, რაც არ არის მართებული, ვინაიდან ემყარება ფორმათა მხოლოდ ფონეტიკურ მსგავსებას, მაგრამ არა აქვს შყარი ისტორიოგრაფიული საფუძველი, რაკილა ვერ საბუთდება, თუ კონკრეტულად როდის და რა მიზეზით აღმოჩნდნენ შირვანშაჰთა შთამომავლები ამგამინდელ აფხაზეთში, ან როგორ მოხდა მათი გააფხაზება. რაც მთავარია, დღემდე არავის გაურკვევია, რომელი ფორმაა ამოსავალი - დასახელებული ქართული ვარიანტები თუ აფხაზური *ჩაჩა* ← *ჩაჩ-იტა, ანდა როგორ მივიღეთ *ჩაჩა*-საგან *შურვაშიძე*, გინდაც *შურვაშიძე* ფორმისაგან *ჩაჩა*.

ამ საკითხთა გასარკვევად ჭერ უნდა დადგინდეს, თუ რომელი ფუძეები უღვევს საფუძვლად როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ვარიანტებს, არის თუ არა გავრცელებული *შურვაშ*, *შარვაშ*, ან *ჩაჩ* ვარიანტები ადამიანის საკუთარ სახელად ქართველურსა და აფხაზურ ენებში (გვარსახელი ამკარად ანთროპონიმისაგან ჩანს მომდინარე). ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე ვეარაუდობთ, რომ გვარის ქართულ ვარიანტს საფუძვლად უნდა ეღოს მამაკაცის ქართულ *შაორშ* (შდრ. *შაორშაძე*, *შაოშაძე*) სახელის სეანური *შავერშ* → *შავერშე* ვარიანტი (შდრ. გვარსახელი *შავერშანი*). → სეანური *შავერშ* სახელისაგან ბგერათ გადასმის გზით იოლად შეიძლება მიგვეღო მამაკაცის სახელად *შარვაშ/შურვაშ* (შესაძლებელია მამაკაცის სახელად *შარვაშ* ფორმის არსებობაც, რაზეც ამკარად მიუთითებს გვარსახელი *შარვაშიძე*). სწორედ *შარვაშ/შურვაშ* მამაკაცის სახელისაგან და არა *შარვანშა* ტიტულისაგან არის მიღებული გვარსახელი *შარვაშიძე/შურვაშიძე*, რაც შეეხება შერვაშიძეთა გვარის მეგრულ *შარაშა* ფორმას, ისიც კანონზომიერად არის მიღებული ქართული -*ძე* და მეგრული -*ა* და



ბოლოებათა მონაცვლეობით, რაც არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა (შდრ. *აფაქა - აფაქა, დეკოუაძე - დეკობა, ვაზოუაძე - ვაზოუა...*). თავის მხრივ, ვ თანხმობის დაკარგვით მიღებული შარშია ფორმა მჭიდრო კაემირშია გვარსახელ შარშიძე-სთანაც (აქაც -ძე და -ია დაბოლოებათა მონაცვლეობაა).

რაც შეეხება აფხაზურ ჩაჩა ფორმას, მის შესახებ შემდეგს ვიტყვით: ა) არც აფხაზურში, არც აბაზურში ადამიანის საკუთარ სახელად არ დასტურდება ფუძე ჩაჩ, რომლისგანაც შეიძლება მიგვეღო გერ *ჩაჩიფა, შემდგომ კი ჩაჩბა; ბ) აბაზურ ენაში ასევე არ დასტურდება არც გვარსახელები *ჩაჩ, ანდა ჩაჩბა. აღნიშნული იმის მომასწავებელია, რომ ფორმა ჩაჩა იმდროინდელი წარმონაქმნია, როცა აფხაზები და აბაზები დამორიდნენ ერთმანეთს და ისინი ერთი პოლიტიკური ერთობის წევრები აღარ იყვნენ, სხვაგვარად, გვარსახელ ჩაჩბას წარმოქმნის დროისათვის აფხაზური და აბაზური ტომები ერთად აღარ ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.

აქ ბუნებრივად დაისმის საკითხი: თუკი ჩაჩ ფუძე ადამიანის საკუთარ სახელად არ დასტურდება არც აფხაზურსა და არც აბაზურში, რომელი ფუძისაგან ენდა იყოს იგი მიღებული? თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეგრულ მეტყველებაში შთანხმოვანი ზოგჯერ იცვლება ჩთანხმოვნით (შდრ. *შენჯელოა - ჩენჯელოა...*) და იგივე მოვლენა ცნობილია აფხაზურშიც (შდრ. *ა-შაშაა - ა-ჩაშაა* "ქოლგა" ...), ძნელი არ იქნება ვივარაუდოთ შარაშა ფორმისაგან მეგრულში *ჩარაჩა ფორმის მიღება (შდრ. მეგრ. გვარსახელი ჩარჩა), შემდგომში კი მეგრული *ჩარაჩა → ჩარჩა აფხაზურში -ია დაბოლოების ნაცვლად მიიღებდა ფა "მისი ძე, მისი ვაჟი" დაბოლოებას: *ჩარაჩა → *ჩარჩა → *ჩარჩ-იფა → *ჩარჩ-იფა → ჩაჩბა (შდრ. მეგრულში → აფხაზურიდან უკუნასესხები ჩაჩბაა და გერული ჩაჩბაძე). პირველ პროცესის, ე.ი. ჩაჩა ფორმისაგან შერვაშიძე, შერვაშიძე, შარაშა ფორმების მომდინარეობის დაშვება ენობრივი თვალსაზრისით ყოველად გაუმართლებელია, რადგანაც აფხსნელი რჩება, ერთი მხრივ, ხმოვანთა და, მეორე მხრივ, თანხმოვანთა ცვლილებანი. მაშასადამე, შერვაშიძეთა გვარსახელის ქართველურ და აფხაზურ ფორმათა კვლევას მივყავართ დასკვნამდე, რომ შერვაშიძეები გვიანდელ შუა საუკუნეებამდე ეროვნებით ქართველები იყვნენ და შემდგომ მოხდა მათი გააფხაზება.

გვარსახელების ანალიზს მხარს ეჭერს აფხაზური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის მონაცემებიც. მაგალითად, აფხაზი ფოლკლორისტის ს. ზუბბას სიტყვით, "...ერთგვარი გადმოცემები, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორ გადმო-

??!



სახლდნენ ოდესღაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ან სოჭის ახლომდებარე მუხრანთან წინაპრები, აქვთ ავიზებს, ზეხბებს, კვიწინიებს, ამჭებებს, ბგანბებს, ანუებს და სხვა გვარების წარმომადგენლებს“ (ზეხბა, 1988, გვ.214); სოფელ კვიტოელში გვიან მოსულებად მიიჩნევიან სამხას, ჰამხას, აგრბას გვართა წარმომადგენლები (ბახია, 1986, გვ. 27); ჩვენი საველე მასალების მიხედვით, სოფელ ჭგვრდამში გვიან არიან მოსულნი ამიჭებები და სხვ. აფხაზი ეთნოგრაფის ლ.აკაბას ცნობით, აფხაზურ საგვარეულოთა ემეტესობა, განსაკუთრებით კი ბარელი აბეველები მთელი საგვარეულოსათვის საეალღებულო რიტუალების შესრულების დროს უმაღლეს და უძლიერეს სალოცავად მიიჩნევენ არა მათი განსახლების ადგილის სიახლოვეს მდებარე ქრისტიანულ ტაძრებს (ილორს, მოჭეს, ბედიას, დრანდას...), არამედ აბევიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ, მდინარე ბზიფის მალაღმთიან სათავეებთან, ზედ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე ნალკებას, ანუ ფსხეს ხატს (ფსჰიჯ ნება), რაც სავსებით ცხადად მიანიშნებს აბეველ აფხაზთა წინაპრების ჭერ ბზიფის აფხაზეთსა და შემდგომ აბეუაში მოსელის მარშრუტს (მდრ.აკაბა, 1984, გვ. 45, 46, 77).

აფხაზთა თავდაპირველი სამშობლოს ადგილმდებარეობაზე მიუთითებს აგრეთვე აფხაზურ ენაში არსებული აგასიტყვის სემანტიკაც. სახელი აგააფხაზურში აღნიშნავს ზღვასაც, ზღვისპირასაც და, რაც ყველაზე არსებითია, სამხრეთსაც (იხ.აფხაზური ენის ლექსიკონი, სოხუმი, 1986, ტ.1. გვ.33). ამჟამინდელ აფხაზეთში ზღვა ზესტად სამხრეთის მიმართულებით მდებარეობს მხოლოდ ქალაქ გუდაუთიდან სოფელ ფსირცხამდე მდებარე ორიოდ კილომეტრიან ზოლში, ზღვის სანაპიროს დანარჩენ მონაკვეთებზე კი ზღვა ხმელეთს აკრავს ან დასაველეთიდან, ანდა სამხრეთ-დასავლეთიდან. ამ მიზეზის გამო სავარაუდოა, რომ აგასიტყვას სამხრეთის აღნიშვნელის ფუნქცია უნდა მინიჭებოდა მანამ, სანამ აფხაზთა წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში ცხოვრობდნენ და ზღვისაკენ უმოკლესი გზა სამხრეთისაკენ გადიოდა. ამ ვარაუდის დამატებით საბუთად გამოდგება აფხაზურ ენაში ზღვაურის, ზღვიდან მონაბერი ქარის აღსანიშნავად აგაჟუშ (ზედმიწევნით: “ზღვის, ნაპირის ქარი”) სიტყვის გვერდით აგარჟუშ (ზედმიწევნით: “შეგრული ქარი”) კომპოზიტის გამოყენებაც, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზთათვის ზღვაეცა და სამეგრელოც ერთ მხარეს, სამხრეთით მდებარეობდა. ზღვისა და ზღვისპირის გაიგივება სამეგრელოსთან უთუოდ იპერიოდის გამოძახილი ჩანს, როცა კოლხური ტომები ეწყვეტ ზოლად სახლობდნენ არამარტო ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ მდინარე ფსო-



უდან ნიკოფსიაიმდე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ზღვისა და თევზეული პროდუქტებისადმი ვთქვამთ ხანთა უცნაურად გაუცხოებული დამოკიდებულების შესახებაც. ჯერ კიდევ ქვეყნის ანდელი შუა საუკუნეებიდან მრავალი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზები, მიუხედავად მათი ნაწილის ზღვის სანაპიროზე ცხოვრებისა, არ მისდევდნენ მეთევზეობას და მათ რაციონში თევზი არ შედიოდა, სამაგიეროდ ისინი განთქმულნი იყვნენ როგორც სეზონური საზღვაო მცობრეები (ა.ლამბერტი, ჭათიბ ჩელევი, ე.შარდენი, ნ.ვიტუენი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, ი.ბლარამბერგი, ფ.დიტუა დე მონპერე და მრ. სხვა). ამჟამადც ზღვის ნაპირზე მდებარე აფხაზურ სოფლებში (ტამიში, აძვიბეა, ეშერა, მგუძირხვა, ბლამბერხვა...) თევზი არ შედის იქაურ მცხოვრებთა რაციონში, არ ამზადებენ ნავებსა და სათევზაო მოწყობილობას, არ ქსოვენ სათევზაო ბადეებს. ეს კი იმისი მანიშნებელია, რომ აფხაზებს, ბოლო საუკუნეების მანძილზე ზღვის ნაპირას ცხოვრების მიუხედავად, შეცხოველვ მთიელისა და დროებითი ხინის ფსიქოლოგიური განწყობა შემორჩათ, რაც ასახულია თევზის ჭიმების აღმნიშვნელ არცთუ მდიდარ აფხაზურ ლექსიკაში ქართველობების დიდი ხვედრითი წილითაც. რაც მთავარია, ლექსიკის ამ ჯგუფში ქართველური (მეგრული და ქართული) წარმომელობისაა სწორედ თევზის იმ სახეობათა სახელები, რომელთაც თევზისმჭამელ ეთნოსთა შორის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და გამოირჩევიან საკვები ღირსებებით (ლოჭოს, კალმახის, ორაგელის, ღორჯოს, წვერას ანუ შერწას, ზუთხის, ქამბალისა და სხვ. სახელები).

არანაკლებ მნიშვნელოვანია აფხაზურ ეთნონიმთა და მატომო სახელთა მონაცემებიც, რომელთაგან ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ აფხაზურ ენაში ქართველთა განმარტადებელ და სევანთა აღმნიშვნელ სახელებად გამოყენებულია არა უშუალოდ მეგრულისაგან და სევანურისაგან ნასესხები *ჭირთუ*, *შინი* (მეგრ.), *ჭკართ*, *ჭუშან* (სევან.) ფუძეები, არამედ საკუთრივ ქართული *ჭართ*-და *ჭვან*-ძირები (იხ. გვანცელაძე, 1993, გვ. 315-316). უშუალოდ ქართული ენიდან აღნიშნულ ძირთა სესხება უნდა მომხარყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართულმა ენამ განიბტკიცა პოზიციები მთელ საქართველოში და გავრცელდა როგორც კულტურისა და ღვთისმსახურების ენა ჩრდილოეთ კავკასიაშიც (მდრ. დიდი რაოდენობით გამოვლენილი ქართული ლექსიკა დაღესტნის ენებში, ნახურში, ოსურში, ყარაჩაელ-ბალყარულში, ჩერქეზულსა და უბიხურში, აგრეთვე ქართული წარწერები ჩრდილოეთ კავკასიის მრავალ რეგიონში გამოვლენილ ეკლესიებზე).



ამრიგად, ჩვენს მიერ გაანალიზებული წყაროთმცოდნეობითი მასალა ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად ნათქვამს გვაძლევს დაეასკენათ, რომ:

ა) აფხაზთა წინაპრებს შავი ზღვის სანაპიროზე არ ეცხოვრიათ არამარტო ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე, არამედ V საუკუნემდეც კი.

ბ) V-VI საუკუნეებისათვის აფხაზთა წინაპრების ერთი მცირე ნაწილი შესაძლოა დასახლდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეც, ოღონდ ეს დებულება დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს და უპირველეს ყოვლისა საჭიროებს იმის დადგენას, ნამდვილად იყვნენ თუ არა აფშელები და აბასგები ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები.

გ) ენობრივი მასალა ადასტურებს, რომ აფხაზთა წინაპრებს ანტიკურ და ადრეფეოდალურ ეპოქებში მკიდრო კონტაქტები არ ჰქონიათ ბერძნულ სამყაროსთან.

911

დ) ქრისტიანობას აფხაზთა წინაპრები მეტ-ნაკლებად ახლოს გასცნობიან საკმაოდ გვიან, არაუადრეს XI საუკუნისა არა ბერძნებისაგან, არამედ კოლხურ ტომთა შუამავლობით.

ე) აფხაზთა თავდაპირველი სამშობლო მდებარეობდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, მდინარე ყუბანის აუზში. შათი ძირითადი მასა აქვე ბინადრობდა 1561 წლის ახლო ხანებამდე.

ვ) აფხაზთა მიგრაციას ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიისაკენ მასობრივი ხასიათი მიუღია XVI-XVIII საუკუნეებში. ისინი ამ მიწა-წყალზე დამკვიდრებულან, ერთი მხრივ, კავკასიონის ქედზე არსებული უღელტეხილებისა და, მეორე მხრივ, სოჩა-ადლერის გამოვლით.

ზ) თანამედროვე აფხაზური ეთნოსის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა მოსვლამდე მცხოვრებ კოლხურ მოსახლეობას.



ქართული
ლიბრარი

დაპირფარებული ლიტერატურა:

1. აკაბა, 1984 - Л.Х. Акаба. Исторические корни архаических абхазов. Сухуми, 1984.
2. აკიკა, 1988 - Абхазия и Абхазы средневековых грузинских повествовательных источников. Грузинские тексты на русский язык перевел, предисловием и примечаниями снабдил Г.А.Амичва. Тбилиси, 1988.
3. ან. ქვ - ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისძეული ნუსხა. თბილისი, 1942.
4. აფხაზ. ისტ., 1960 - Очерки истории Абхазской АССР, ч. I. Сухуми, 1960.
5. ბაღათურია, 1997 - ნ.ბაღათურია. თურქული სატომო სახელები ქართულ დიალექტებსა და ფოლკლორში. მასალები სიმპოზიუმისა "ქუთაისური საუბრები - IV". ქუთაისი, 1997.
6. ბახია, 1986 - С.И. Бахиа. Абхазская "Абипара"-патронимия. Тбилиси, 1986.
7. ბელიავევი, 1966 - Е.А. Беллев. Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье. М., 1966.
8. ბოვერაძე, 1988 - А.Богверадзе. Раннефеодальные грузинские государства. - " Очерки истории Грузии", т.II. Тбилиси, 1988.
9. ბურჭულაძე და შავხელიძეილი, 1993 - ვ.ბურჭულაძე, ბ.შავხელიძეილი. "ქართლის", "საქართველოს" აღმნიშვნელ სიტყვათა თაობაზე ნახურ-დაღესტნურ ენებში. "საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია". თბილისი, 1993.
10. ბლაგბა, 1967 - Х.С.Бгажба. Из истории письменности в Абхазии. Тбилиси, 1967.
11. გამყრელიძე, 1993 - თ.გამყრელიძე. ძველი კოლხეთის სატომო სახელოთა ისტორიიდან. - "საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია". თბილისი, 1993.
12. გახვიანი, 1997 - ვ.გახვიანი. ძველი აფხაზეთი. ვაზ. - "საქართველოს" სპეცი-ალური გამოშვება, 1997.
13. გეორგიკა, II, 1965 - გეორგიკა. ბერძენ მწერალთა ცნობები საქართველოს შე-სახებ. ტ.II. თბილისი, 1965.
14. გვანცელაძე, 1993 - თ.გვანცელაძე. ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები აფ-ხაზურსა და აბაზურ ენებში. - "საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნე-ლი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია". თბილისი, 1993
15. გვანცელაძე, 1997 - თ.გვანცელაძე. აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანარები



საქართველოს
ხელნაწილების
სამეცნიერო ცენტრი

- ჯუანშერის მატანის ტექსტში. თბილისი, 1997.
16. გოგია, 1990 - ბ.გოგია. საქართველოს შავი ზღვისპირეთის აფხაზეთის მხარის ტოპონიმისათვის. - აღმანახი "ცხუმი" N 3, 1990.
 17. ვოლკოვა, 1973 - Н.Г.Волкова. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973.
 18. ზუბა, 1988 - ს. ზუბა. აფხაზური ზეპირნიტყვიერება. აფხაზურიდან თარგმნეს ა.არაბულმა და თ.გვანცელაძემ. თბილისი, 1988.
 19. თოფნიშვილი, 1997 - რ.თოფნიშვილი. როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბილისი, 1997.
 20. კახაძე, 1993 - ო.კახაძე. აფხაზ//აფხაზა... ფუძის თაობაზე. "საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია". თბილისი, 1993.
 21. კილაძე, 1983 - Э.К. Килба. Особенности речи батумских абхазов. Тбилиси, 1983.
 22. ლავროვი, 1946 - Л.И.Лавров. "Обезы" русских летописей. - "Советская этнография", N4, 1946.
 23. ლეთოდიანი, 1991 - დ.ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და ხანიკეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ვერისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში. თბილისი, 1991.
 24. ლომთათიძე, 1947 - ქ.ლომთათიძე. აღმანახის აღმნიშვნელი აოვე სიტყვა აფხაზურში. - "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. IV, N 7, 1947.
 25. ლომთათიძე, 1976 - ქ.ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბილისი, 1976.
 26. ლომთათიძე, 1997 - ქ.ლომთათიძე. ეთნონიმების აფშილ//აფსილისა და აფხარის შესახებ. - "ეტიმოლოგიური ძიებანი - VI". თბილისი, 1997.
 27. ლომთათიძე, 1997 - ა.ლომთათიძე. აფრიკატთა დეზაფრიკატიზაცია (პირანტიზაცია) ქართველურ ენებში: ძ - ზ. მასალები სიმპოზიუმისა "ქუთაისური საუბრები - IV". ქუთაისი, 1997.
 28. ლომოური, 1997 - Н.Ломоури. Абхазия в античную и раннесредневековую эпохи. Тбилиси, 1997.
 29. მამისთვალიშვილი, 1992 - ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან. თბუ შრომები, ტ. 310. თბილისი, 1992.
 30. ნმაი, 1957 - ნარკვევები მაზლოძელის აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა). თბილისი, 1957.

31. ოსიძე, 1993 - ე.ოსიძე. აბასკ//აბასკ ეთნონიმის წარმომავლობისათვის და ქართველთა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია". თბილისი, 1993.
32. პაპასქირი, 1998 - ზ.პაპასქირი. აფხაზეთი საქართველოა. თბილისი, 1998.
33. ტაბაღუა, 1986 - ი.ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. II, თბილისი, 1986.
34. ფლავიუს არიანე, 1961 - ფლავიუს არიანე. ქართული თარგმანი და კომენტარები ნ.კეჭელაძისა. თბილისი, 1961.
35. ქც, II, 1959 - ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.გაუხნიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959.
36. ყიფშიძე, 1914 - И.Кипшидзе. Грамматика жигрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб., 1914.
37. ზორავა, 1996 - ბ.ზორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბილისი, 1996.
38. ჯავახიშვილი, 1977 - ი.ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. - თხზულებანი, ტ. VIII, თბილისი, 1977.
39. ჯანაშია, 1959 - ს.ჯანაშია. სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. შრომები, ტ. III, თბილისი, 1959.
40. ჯანაშია, 1968 - ს.ჯანაშია. ვესპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში, აპრილ-მაისი, 1929. - შრომები, ტ. IV, თბილისი, 1968.
41. ჯანაშია, 1988 - ს.ჯანაშია. აბასაზები. საენციკლოპედიო მასალა. - შრომები, ტ. VI, თბილისი, 1988.
42. პიუიტი, 1990-91 - B.G.Hewitt, *The valid and non-valid application of philology to history.* - "Revue des études Géorgiennes et Caucasiennes", N 6-7. Paris, 1990-1991.



დედოფალ საგღვთის ვინაოვის დადგენისათვის

სოფელ ღუმერშიში, ადგილ საგერგაიოში, ძველ ნანგრევებში 1955 წელს მოყვარულ მხარეთმცოდნე ნ.შონიას მიერ შემთხვევით იქნა აღმოჩენილი კედლის პერანგის კირქვის ფილა, რომელზეც ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: "ღუმერთო შეიწყალე ორთავე ცხორებასა შინა ამის ტაძრის მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი დ(ე)ო(ფ)ა(ლ)თა დ(ე)ო(ფ)ა(ლ)ი ს(ა)გდ(ე)ბტ. ნ(ია)ნ(ია) ას(ე)ლი, ა(მე)ნ". XI ს-ით დათარიღებული სამშენებლო წარწერიანი ფილა ამჟამად სოხუმის მუზეუმშია დაცული [1].

გეოგრაფიულ სახელწოდება ღუმერშის, ჩვენი აზრით, ღრმა ისტორიულ ფესვები აქვს. "ღუმერში"-ი სვანური ენის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან ნაწარმოები ტოპონიშია. სვანური "ღუმერ" ნიშნავს ნაძვს, "ში" სვანური ენის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია (სე.ღუმერში, ქართ.ნაძვისი) ნათესაობითი ბრუნვისაგან ნაწარმოები ტოპონიმები ყველა ქართველურ ენაში დასტურდება. მაგ. ქართ. თბილ-ის-ი, მეგრ. ჭიხა-იშ-ი, სვ. ხა-იშ-ი და სხვ.

ღუმერში მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობის ჩრდილო კიდეზე, რაიონულ ცენტრ გალის ჩრდილოეთით. ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში მხარე ოდიშის (ვახუშტის მიხედვით საბედიანოს) საერისთავოს ნაწილი იყო. გვიან შუა საუკუნეებში ჭერ სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაშია, XVII ს-ის 80-იანი წლებიდან 1805 წლამდე, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულამდე, სამურზაყანოს სათავადო. თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფის მიხედვით ღუმერში აფხაზეთის რეგიონში შედის. აღნიშნული ძველი მდებარეობს ღუმერშიის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ოქემისწყლის (ვახუშტის მიხედვით დაღისწყლის) [2] მარჯვენა ნაპირზე. მცირე ხეობის სიღრმეში, ფერღზე.

ადგილობრივები ძველს "ჭიხა"-ს (მეგრ. ჭიხა-ქართ. ციხე) უწოდებენ, ამ იციან თუ ვისი სახელობისაა იგი, ან როდის იმართებოდა აქ დღეობები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ღუმერშიში ახალი მოსახლეობის გაჩენის დროისათვის (XVII ს.) ეკლესია აღარ მოქმედებდა.

ისტორიულ მატრიანეებში არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება ღუმერშიის ნაეკლესიარის შესახებ. მას გვერდს უვლის ვახუშტის გეოგრაფიაც. საეპარქიო დოკუმენტაცია, რომ იტალიელ მისიონერ ლამბერტის XVII ს-ის სამეგრელოს რუკაზე ღუმერში



მერიშის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე აღნიშნული ნანგრევი ჩვენი საკვლევი ფუნ-
ლი იყოს.

პირველი ცნობა საგერგაიოს ნაეკლესიარის შესახებ ეკთვინის ქრონიკაშია, რომლის დაკვირვებით ნანგრევი წმ.გიორგის სახელობის ნაეკლესიარს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ადგილის სახელწოდება "საგერგაიო" ეკლესიის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს [3]. 1959 წელს აღნიშნული ნანგრევი ვიზუალურად აღწერა არქეოლოგმა მ.ტრაპაშმა, რომელსაც ნაყარითა და მცენარეებით დაფარული ძეგლის დანიშნულება არ განესაზღვრია [4].

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელ. მ.ბარამიძე), რომელიც კოლხეთის ჭაობების დამრობასთან დაკავშირებით წლების განმავლობაში იკვლევდა გალისა და ოპოზონის რაიონების არქეოლოგიურ ძეგლებს, 1986-1988 წწ. შეისწავლა აღნიშნული ნანგრევი. არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ აქ საქმე გვაქვს სტრატეგრაფიულად განლაგებულ ორ ნაგებობასთან, სადაც ქვედა ჰორიზონტი წარმოდგენილია XI საუკუნეში აშენებულ დარბაზული ეკლესიის (12 მ x 14 მ) საძირკვლით, ზედა ჰორიზონტი კი XV ს-ში მასზე დაშენებულ ანალოგიური გეგმის მქონე მცირე მოცულობის ტაძრის (4,5 მ x 7 მ) ნანგრევით, რომელიც XVII ს-ში წყვეტს მოქმედებას [5].

როგორც აღნიშნული წარწერიდან ირკვევა, ღუმურში XI ს-ში "დეოფალთა დეოფლის" საგამგებლო ყოფილა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამავე რეგიონში, სოფ.წარჩეში, შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა "მაფამ ოხამე"-ს (ქართ. "დედოფლის სალოცავი") უწოდებს. აღნიშნული სახელწოდება დაკავშირებულია ადგილობრივებში სხვადასხვა ვარიანტით შემორჩენილ ლეგენდასთან, რომლის მიხედვითაც ამ მხარეს ოდესღაც დედოფალი განაგებდა [6].

ღუმურშიის წარწერაში მოხსენიებული ქტიტორის დეოფალთა დეოფლის საგდებტის ვინაობის დადგენა შეკლევართაგან დღემდე არაეის არ უცდია. საგდებტის მამა - ნიანია, ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული XI ს-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიროვნება უნდა იყოს. ნიანია ქვაბულის ძემ თავი ისახელა რანის სულთან ფადლონის ქართლიდან განდევნით [7]. 1073 წელს ნიანია ქვაბულის-ძე, ვარდან სვანთა ერისთავი, და ივანე ლიპარიტის-ძე გადაუდგნენ ბაგრატ IV შემდგომ გამეფებულ გიორგი II-ს და "ქვეყანა არიეს". ნიანიამ ქუთაისი დაიპყრო და სახელმწიფო ხაზინა ჩაიგდო ხელში, ვარდანმა სვანები ააჯანყა და

ვეგრისი დაარბია, ივანემ ქსანი დაიპყრო. მეფე იძულებული გახდა დაემობებე მს. სელიყო და ურჩ ფეოდალებს 'წყალობა და შამულეები გაუმსწრე' [X]ლი
გინგლირსეჟა

დაეროშებული ლიტერატურა:

1. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. ტ. II, თბ. 1955, გვ. 168; დასველეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I. LX-XIII სს. შუადგინა და მოაშბაქ. კ.სილოვაკაძ. თბ., 1980, გვ. 126-127.
2. რ. ზვისტანი. ერთი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციისათვის. ძველის მეგობარი N 70. 1985.
3. ვაზეთი - აბაღვაზრდა კომუნისტი, 1954, N 137.
4. М.М.Трапш. Труды, т.IV, Сухуми, 1975.
5. М.В.Барамидзе, Т.Э.Чигосвили, А.В.Джибладзе, Б.И.Шеразадашвили, Р.Г.Хвистани. Археологические исследования в Гальском районе.- ПИИ в 1987. Тб., 1995, გვ. 43-47.
6. Л.А.Шервашидзе. Монументальная живопись Абхазии, Тб., 1988, გვ. 163.
7. მატეანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება I, თბ., 1959. ტექსტი დადგენილი ვა. ლა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ.
8. იქვე. გვ. 315-316.



აფხაზეთი სეპარატისტული იდეოლოგიის მთავარ დასაყრდენს ყოველთვის წარმოადგენდა ისტორიოგრაფიული მასალით სპეკულაცია. დაწყებული XX ს. 20-იანი წლებიდან, როდესაც თავისი ანტიქართული განწყობილებებით საყოველთაოდ ცნობილმა აფხაზმა „სწავლელმა“ ს.აშხაწყაემ საპროგრამო „ნაშრომით“ - Пути развития Абхазской истории; (1925 წ.) - სათავე დაუდო ე.წ. „აფხაზეთ ისტორიოგრაფიას“, სეპარატისტული იდეოლოგია მუდამ იკვებებოდა შოვინისტი ისტორიკოსებისა თუ მწერალ-ფილოლოგთა ფალსიფიკატორული მონაჩმახით აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ისტორიის შესახებ [1]. ამ „ისტორიოგრაფიული“ პროპაგანდის მთავარი მიზანი იყო, როგორმე ჩაეგონებინათ ხალხსათვის, რომ აფხაზებს არაფერი არ აკავშირებთ ქართველებთან და რომ მათ ყოველთვის გააჩნდათ თავიანთი ეროვნული სახელმწიფო. ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან აფხაზ სეპარატისტთა ლიდერები ურცხვად გადახაზდნენ, რომ მათი სახელმწიფოებრივი ისტორია სულ მცირე 1200 წელს ითვლის. უფრო მეტი, ამ ბოლო დროს, სეპარატისტთა ცნობილმა იდეოლოგმა, მოსკოვის იმპერიულ-შოვინისტური ძალების აგენტმა, ი.ვორონოვმა ესეც არ იკმარა და ისტორიული მეცნიერება თავისი ახალი სენსაციური „აღმოჩენით“ განაცვიფრა. მისი „ავტორიტეტული“ მტკიცებით, აფხაზეთი სახელმწიფოებრიობა, თურმე, არც მეტი, არც ნაკლები - 2500 წლის ყოფილა [2].

ერთი სიტყვით, დაწყებული ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდან დღემდე აფხაზებს თითქმის ყოველთვის ჰქონიათ ეროვნული სახელმწიფო, რომელსაც XX ს. 30-იანი წლების დამდეგს (1931 წ., როდესაც აფხაზეთის „დამოუკიდებელი“ სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს სსრ-ში შემაჯალ ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა), „ბოლო მოუღეს“ ქართველმა ბოლშევიკებმა - ისტალინმა და ლ.ბერიამ. თავის დროზე, ჩვენ საკმაოდ ოპერატიულად გამოვეხმაურეთ ი.ვორონოვის ამ და სხვა ისტორიოგრაფიულ „შედევრებს“ და ვამხილეთ ფალსიფიკატორი ისტორიკოსის პუბლიკაციების ანტიმეცნიერული არსი [3]. წარმოდგენილ ნაშრომში კი შევეცადეთ, სათანადო საისტორიო მასალებზე დაყრდნობით გვეჩვენებინა, რამდენად შეესაბამება რეალობას მტკიცებანი აფხაზეთი ეროვნული სახელმწიფოებრიობის შესახებ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში



- XIII-XV საუკუნეებში, რომლებიც ი.ვორონოვა, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ასევე მიათვალა” აფხაზური სახელმწიფოებრიობის 2500 წლის იუსტორიას” [4].

XIII საუკუნეში ჯერ ხორეზმ-შაჰ ჯალალ ედ-დინის გამანადგურებელი შემოსევების, ხოლო შემდეგ მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად, არა მარტო მნიშვნელოვნად იქნა შერყეული ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება, არამედ ერთიან ქართულ სახელმწიფოებრიობაში პირველი მზარცი გაჩნდა. როგორც ცნობილია, XIII ს. 40-იან წლებში მონღოლებმა საქართველო რვა დემენად (სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი) დაჰყვეს. დასაჯელთ საქართველოში ორი დემენი იყო. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია შევიდა დემენში, რომელსაც მართავდა ცოტნე დადიანი [5]. დღევანდელი აფხაზეთის მოსახლეობა, მათ შორის საკუთრივ ეთნიკური აფხაზები, ამ პერიოდში განაგრძობდნენ საერთო-ქართულ პროცესებში აქტიურად მონაწილეობას. ასე, მაგალითად: ჟამთააღმწერლის ცნობით აფხაზები მონაწილეობდნენ ლაშა-გიორგის (1207-1222) ცნობილ ლაშქრობაში განძაზე [6]. აქვე მოთხრობილია, რომ ლაშა-გიორგი “ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდატური” [7]. აღნიშნული ცნობა ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ ჟამთააღმწერელი მიჩნავს ერთმანეთისაგან ცხუმს და აფხაზეთს. ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ XIII ს-ში ეს ოლქები არ წარმოადგენდნენ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულსაც კი, რომ არაფერი ეთქვათ სამთავროზე ლაშის თანამედროვე ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში [8]. თუ რამდენად ახლო და ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფო სახლს აფხაზურ ეთნიკურ სამყაროსთან XII-XIII სს-ში, ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თამარ მეფემ თავის ვაჟს და მემკვიდრეს შვირე სახელად დაარქვა “ლაშა”, რაც ძველი ქართველი მემკვიდრის (ან ამკარად ლაშა-გიორგის ეპოქის ახლო ხანებში მცხოვრები რედაქტორ-კომენტატორის) განმარტებით [9], “განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა (აფსართა ენითა)” [10].

აფხაზები აქტიურობდნენ საერთო ქართულ არენაზე რუსუდანის მეფობის პერიოდშიც (1222-1245). ასე, მაგალითად: ჯალალ ედ-დინის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსუდანმა მოუწოდა “სპათა თვისთა, იმერთა და ამერთა... შერკახთა სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა... აფხაზთა, ჭიჭთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა” [11]. აფხაზთა აქტიური მონაწილეობით მოხდა დავით რუსუდანის ძის ქუთაისში დასაჯელთ საქართველოს მეფედ გამოცხადებაც [12]. ჟამ-



თაღმწერლისვე ცნობით, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებაში (კობცასთაჲს წეთქმელება) სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ "უმორეს მყოფნი აფხაზნი" [13]. მოგვიანებით, დავით ნარინის აჯანყების (1259 წ.) მარცხისა და მისი დასაჯელთ საქართველოში გადასვლის შემდეგ: აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერელთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე - ყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე" [14]. ამ დროიდან ერთიანი ქართული სახელმწიფო ფაქტობრივად ორ სამეფოდ დაიშალა. აღმოსავლეთ საქართველოში ისევ მეფობდა დავითი - ლაშა-გიორგის ძე, ხოლო დასავლეთ საქართველოში - ლიხთ-იმერეთში - დავით ნარინმა (რუსუდანის ძე) ფაქტობრივად შექმნა დამოუკიდებელი სამეფო, რომელმაც იარსება XIV ს. 20-იანი წლების ბოლომდე. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, რასაკვირველია, აღმოჩნდა დავით ნარინის სამფლობელოში. ამ ტერიტორიაზე მისი მოღვაწეობის შესახებ პირდაპირ მივითითებს ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის ერთ-ერთ ვერცხლის ხატზე გაკეთებული წარწერა [15], რაც იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული რეგიონი შემოდიოდა საერთო-ქართულ ქრისტიანულ სამყაროში. ამ საკითხზე ყურადღებას საგანგებოდ იმითომ ვამახვილებთ, რომ სეპარატისტულად განწყობილი ისტორიკოსები და მათი მფარველი - რუსული ნაციონალ-სოვინიზმის იდეოლოგები (მაგ. ვ.კოჩინოვი) ცდილობენ გააერთიანონ აზრი აფხაზეთი ეროვნული საეკლესიო ორგანიზაციის არსებობის შესახებ. ისინი ახდენენ აპელირებას იმ ფაქტით, რომ შუა საუკუნეებში საქართველოში მოქმედებდა ე.წ. "აფხაზეთის" (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო, რომელიც სენსაციის მოყვარულთა ფანტასტიკური მონაქორის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენდა არა აფხაზეთ, არამედ წმინდა ქართულ საეკლესიო ორგანიზაციას [16], რაზეც ერთმნიშვნელოვნად მეტყველებენ როგორც ნარატიული წყაროები, ისე, რაც მთავარია, დოკუმენტური მასალები, პირველ რიგში, აფხაზეთის საკათალიკოსოს მოღვაწეობის ამსახველი ძეგლები: ე.წ. "აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი" (ანუ "ბიჭვინთის იადგარი") [17] და "აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი იადგარი" [18]. ერთადერთი, რაც აკავშირებს "აფხაზეთის" საკათალიკოსოს აფხაზეთ ეთნიკურ სამყაროსთან, არის ის, რომ კათალიკოსთა რეზიდენცია დიდი ხნის განმავლობაში (XVII ს. შუახანებამდე) [19] იყო ბიჭვინთში " [20]- ე.ი. აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობდნენ აფხაზეთი ტომები. ასე რომ, ე.წ. "აფხაზეთის" საკათალიკოსოს ეროვნულ-კულტურული სახე არაერთად ექვეს არ იწვევს: აღნიშ-



ნული ეკლესია მთლიანად ქართული იყო [21], ხოლო ის ფაქტი, რომ დასავლურ-ქართული ეკლესიის ცენტრი იყო ბიჭვინთა, მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები ამ ხანაშიც (XIV-XV ს. I ნახევარს მანძილზე) ჩამყვანდნენ ქართული ქრისტიანობის არეალში.

დავით ნარინის სიკედილის შემდეგ (1293) დასავლეთ საქართველო შინაშლილობამ მოიცვა, რითაც ისარგებლა გიორგი დადიანმა, რომელმაც, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, “შიიტაცა საერისთო ცხოშისაცა და დაიყრა თეით სრულიად ოდიში ანაკოფიადმდე. ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი.. განიმკვიდრა თვისად”..[22]. აღნიშნულ ცნობას, ზეენი აზრით, მეცნიერებაში არცთუ სწორი ინტერპრეტაცია ეძლევა. ზანაბაძე, გამოდის რა არასწორი თეზისიდან, რომ ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოები გაერთიანდნენ ერთიან ცხუმის საერისთავოში, რომელსაც შარვაშიძე ედგა სათავეში, აღნიშნავს, რომ ცხუმის ერისთავები იძულებულნი გახდნენ, შემოფარგლულიყვნენ ყოფილი აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიით [23]. ე.ი. მეცნიერის აზრით, ცხუმის საერისთავოს ტერიტორია დადიანმა წაართვა შარვაშიძეს. მაგრამ ვახუშტის ცნობა ამკარად მოწმობს, რომ ამ მოვლენების წინახანებში არაერთიანი ერთიანი ცხუმ-აფხაზეთის საერისთავო არ არსებობდა. პირიქით, ვახუშტი ცხუმის საერისთავოს მთელ ტერიტორიას ანაკოფიითურთ (ამის იქით იწყებოდა აფხაზეთის საერისთავო) - ცალსახად მიიჩნევს “სრულიად ოდიშად”.

აღნიშნულ პერიოდში ამკარა დასავლეთ საქართველოს ერისთავების სწრაფვა, კიდევ უფრო განამტკიცონ თავიანთი მემკვიდრეობითი უფლებები საერისთავოებზე [24], რასაც, ბუნებრივია, წინააღმდეგობას უწყევდნენ ლიხთ-იზერეთის მეფეები. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს ფეოდალური არისტოკრატია ყველანაირად ცდილობდა ქუთაისის ტახტის მოშლას. ამიტომ იყო, რომ ერისთავები გარკვეული ენთუზიაზმით შეხვდნენ ქუთაისში გიორგი V ბრწყინვალის მოსვლას და მის მიერ ბაგრატის - დავით ნარინის შვილიშვილის ტახტიდან გადაყენებას. რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს ერისთავებს გულზე ეხატებოდათ თბილისის ხელისუფლება. ოდიშის ერისთავის შამია დადიანის, გურიელის, სვანეთის ერისთავისა და აფხაზეთის ერისთავ შარვაშიძის ენთუზიაზმი უდავოდ იძულებითი იყო. მათ არ გააჩნდათ საკმარისი ძალები საქართველოს მეფისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და ალბათ ამიტომ იჩქარეს მასთან გამოცხადება “ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა” (ე.ი. საქართველოსი



ზ.პ.) [25]. ამით, როგორც ჩანს, მათ შეძლეს თავიანთ საერისთავოებში მემკვიდრეობითი უფლებების შენარჩუნება [26]. ამან საშუალება მისცა გიორგი ბრწყინვალეს ძღვევამოსილად განეგრძო გზა და ზედმეტი გართულებების გარეშე დაემყარებინა სრული კონტროლი მთელ დასავლეთ საქართველოზე. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, მეფე “მთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა (საქმენი) მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თვისად” [27]. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გიორგი V-მ რატომღაც საჭიროდ ჩათვალა (და ეს ამკარად ხაზგასმულია ვახუშტის ცნობაში) აფხაზეთის ციხე-სიმაგრეებზე უშუალოდ სამეფო კონტროლი დაემყარებინა (“დაიპყრნა ციხენი თვისად”). ცხემის საერისთავო კი ისევ გადაეცა ოდიშის ერისთავს - “ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო” [28].

XIV ს. 80-იან წლების ბოლოს, ისარგებლეს რა თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით, დაეით ნარინის შთამომავლებმა, კერძოდ, იმერეთის ერისთავმა ალექსანდრემ - გიორგი ბრწყინვალის მიერ ქუთაისის ტახტიდან გადაყენებული ბაგრატ მეფის ვაჟმა, სცადა, იმერეთის სამეფო ტახტის აღდგენა და ამ მიზნით გადაწყვიტა დადიან-გურიელის, შარვაშიძისა და სუანთა მომხრობა, “არამედ არა ინებეს, რამეთუ შიში აქუნდათ ჯერეთ ბაგრატ მეფისა (საქართველოს მეფე 1360-1393 წწ.-ში - ზ.პ.) და ვგნენ ერთგულებასა მისსა ზედა” [29]. მიუხედავად ამისა, ალექსანდრემ, როგორც ჩანს, მაინც შესძლო თავისი თავის მეფედ გამოცხადება (1387-1389), მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა მემკვიდრემ იმერეთის ტახტზე - გიორგიმ ვერ შეძლეს მთავრების დამორჩილება. უფრო მეტიც, სრული კრაბით დასრულდა იმერეთის მეფის ლაშქრობა ოდიშში 1392 წ. [30], სადაც ეწყო მას დადიანი “აფხაზთა შეწვენითა”, სძლია მას და “მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი” [31]. ამრიგად, მიუხედავად თემურ-ლენგის შემოსევებით გამოწვეული სირთულეებისა, ბაგრატ V-მ შესძლო ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და “ბაგრატ იყო მორკმელი სახელოვანი. ამას ჰქონდა ქართლი, სომხითი და ჰმონებდნენ პიტიახში ლორისა, კახეთისა, შარვანისა და სამცხისა, და ჰყვეს იმერულნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, ჯიქნი, სუანნი, მთიულენი კაკეასიანნი” [32].

ამრიგად, მთელი XIV საუკუნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ერისთავები, მათ შორის, აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძე, სტაბილურად ცენტრალური ხელისუფლების ერთგულნი იყვნენ, რითაც მნიშვნელოვანწილად შე-




უწყვეს ხელი საერთო-ქართული სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნებას. ამავდროს, ქეთაისის ტახტის საწინააღმდეგოდ და, როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით ხდება ოდიშის მმართველების გადადგომის გაძლიერება, რომლებიც თანდათანობით დასავლეთ საქართველოს ფაქტობრივ ლიდერებად იქცნენ. როგორც ზემოთ აღნიშნა, ისინი ამ პერიოდში მუდმივად ფლობდნენ ცხუმის საერისთავოს. ამკარა მათი გავლენა აფხაზეთის ერისთავებზე - შარვაშიძეებზეც, რომლებიც, როგორც წესი, ყოველთვის მონაწილეობდნენ ოდიშის მთავრების სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში. უფრო მეტიც, ზოგიერთი უცხოური წყაროს მონაცემებით, საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოც შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XIV საუკუნის არაბი ავტორის ალ-გუმიზის (გარდ. 1384 წ.) ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ "ქართველებს ჰყავთ ორი მეფე - დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს და დადიანი - მეფე, რომელიც განაგებს სუხუმსა და აბჯანს. ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე" [33]. ანალოგიურ ცნობას ვხვდებით შიჰაბ ედ-დინ ალ-კალკამანდის "ენციკლოპედიაშიც" [34]. ვენეციელი დიპლომატის - იოსაფაატ ბარბაროს რომელმაც იმოგზაურა აღმოსავლეთში XV საუკუნის შუა ხანებში (1436-1451 წწ.), თქმით, სამეგრელოს საზღვარი ვრცელდება ჩერქეზეთამდე, [35], რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ მთელი აფხაზეთი ჩერქეზეთამდე, ოდიშის საზღვრებში იყო მოქცეული [36]. ამას ადასტურებს ჯორჯო ინტერიანო (XV ს.), რომელიც საქართველოსა და ჩერქეზეთს შორის საზღვრად ასახელებს ანგაქსია-ს (Angaxia), რომელიც მკვლევართა აზრით, უნდა ვეძიოთ გაგრის ჩრდილოეთით - თანამედროვე ადღერის მიდამოებში [37].

ერთი სიტყვით, არსებობს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ოდიშის სამთავროს საზღვრები XIV-XV ს. I ნახევარში ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით ვრცელდებოდა არა მდ. ზღიფამდე, როგორც ამას თვლიდა ზ. ანჩაბაძე [38], არამედ მდ. ფსოუმდე [39]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის საერისთავო (როგორც არაფერი ვთქვათ მთელ თანამედროვე აფხაზეთზე) წარმოადგენდა არა რაიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნს, რომელსაც სახელმწიფოებრივ-სამხარულეობრივი თვალსაზრისით თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, არამედ იყო სამეგრელო-ოდიშის შემადგენელი ნაწილი, რომლის მმართველებიც - დადიანები, მუხედავად სუვერენიტეტის საკმაოდ მაღალ ხარისხისა [40], მაინც რჩებოდნენ ქვეყნის (საქართველოს) ცენტრალური ხელ



ხელელების ძირითად დასაყრდენ ძალად დასავლეთ საქართველოში. ისინი იყვნენ საქართველოს მანდატურთუხუცესები [41] (შესაძლოა, აგრეთვე ამირანასალარეძე) [42].

XV ს. დასაწყისში ვამეყ I დადიანის შემკვიდრემ - მამიამ (1396-1414) კვლავ დაუდასტურა თავისი ერთგულება საქართველოს მეფეს - გიორგი VII-ს და არ დაუჭირა მხარი იმერეთის ბაგრატიონებს მათ მცდელობაში, მოეზღინათ დასავლეთ საქართველოში ხელისუფლების უზურპაცია. ამისათვის მეფემ კვლავ ებოძა ოდიშის მფლობელს ცხუმის საერისთავო [43]. საქართველოს მანდატურთუხუცესთა ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა იყო საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამიტომ ისინი ხშირად აწყობდნენ საქარო სამხედრო აქციებს. კერძოდ, წყაროებში შემონახულია ცნობები ამგვარი აქციის შესახებ, რომელიც მოაწყო ვამეყ II დადიანმა ჩიქეთში, სადაც მან დაანგრია "... და უხმარ იქმნა მათი სიმაგრეები გაგარი და უღალნი" [44]. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ ეს ლაშქრობა უშუალოდ შარვაშიძის წინააღმდეგაც იყო მიმართული [45], რომელიც, შესაძლოა, უკვე იწყებდა ბრძოლას დადიანის ვასალური დამოკიდებულებისაგან თავის დასახსნელად. ასეთ შემთხვევაში ეს არის ჭვენიის შიგნით ფეოდალური ურთიერთდაპირისპირების ტიპური გამოვლინება და ჭერ კიდევ არ მოწმობს აფხაზეთის ერისთავის მისწრაფებას, გამოვიდეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან. თუ შემდგომი მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ აფხაზეთის ერისთავი (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც) ცდილობს შიდაწიოს მხოლოდ ოდიშის მთავრის შეალეღური ხელისუფლების ლიკვიდაციას, რათა უშუალოდ, ცენტრის დაქვემდებარებაში აღმოჩნდეს. როგორც ჩანს, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 1414 წ., როდესაც "მამია დადიანმან...ინება დამორჩილება აფხაზთა" და ამ მიზნით "შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა" (სალაშქროდ) შარვაშიძის წინააღმდეგ, სადაც მას "ეწყო შარვაშიძე აფხაზთა...მოსწყვიდნენ მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია" [46]. შეიტყო რა აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტის შესახებ, საქართველოს მეფე ალექსანდრე I (1412-1442) დაუყოვნებლივ ჩავიდა ოდიშში, სადაც მას დახვდა მამია დადიანის ვაჟი - ლიპარიტი, რომელმაც პატიება ითხოვა მამამისის მიერ აფხაზეთში ჩადენილის გამო [47]. ე.ი. გამოდის, რომ მამია დადიანის მიერ აფხაზეთში მოწყობილი სადამსჯელო ექსპედიცია არ იყო სანქციონირებული საქართველოს მეფის მიერ. შესაძლოა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას უკვე ეშინოდა კიდევ ოდიშის ლიდერ-



თა ზედმეტად გაძლიერებისა და თვითონ იყო დაინტერესებული აფხაზეთის ერისთავის დადიანის ქვეშევრდომობიდან გამოყვანაში. ასეა თუ ასე, ერთდარამ ნათელია: ალექსანდრე I-მა შესძლო კონფლიქტის ჩაქრობა. მან აშპტარკისპარია დადიანს და მასთან ერთად "წარვიდა აფხაზეთს". აქ მეფეს მოეგება შარვაში და დაემორჩილა პრინციპსა მიხსა, ვითარცა პირველთა მეფეთაჲს; განაგნა (ალექსანდრე I - ზ.პ.) მუნებურნი და დაამშვიდნა იგინი და მოვიდა ქუთაისს" [48].

XV ს. პირველი ნახევრის განმავლობაში შეიმჩნევა ოდიშის მთავრების შემდგომი გაძლიერება. ამ პერიოდში დადიანის ძალაუფლება პრაქტიკულად მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. იოსაფაატ ბარბაროს მონაცემებით, ზღვისპირა ზონაში ის ფლობდა სებასტოპოლისს (სოხუმი) და უსაბუთო (ბათუმი) [49]. XV ს. შეახანებში ოდიშ-სამეგრელოს მმართველმა მიიღო საერთაშორისო აღიარება. ის ხდება აქტიური წევრი ანტიოსმალური კოალიციის რომლის ორგანიზებასაც ცდილობდა გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1446-1466). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მეფის მიერ რომში გაგზავნილ წერილში (1459წ.) ბედიანი (იგივე დადიანი) მოხსენებულია "სამეგრელოს მეფედ" (Bandian rex Mingreliae) [50], ხოლო რომში ჩასული ქართველი ელჩები ბედიანს იხსენიებენ "სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფედ" (Bendas Mengrelia et Abasiae rex) [51]. ამ ვე კოალიციაში მონაწილეობას ლებულობდა აგრეთვე "ანაკასიის მთავარი რაბია", რომელიც ი.ჯავახიშვილს მიაჩნდა "ანაკოფიის მთავრად" [52]. ზ.ანჩაბაძის აზრით, რაბია იყო "ანაკაზიის" ე.ი. აფხაზეთის მთავარი [53]. მაგრამ, უკანასკნელ ხანს, ე.მამისთვალშიშვილმა, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ საქართველოს მეფის წერილის ლათინურ ტექსტში ლაპარაკი არა "ანაკოფიაზე" ან "ანაკაზიაზე", არამედ "ანაკასიაზე", [54], რის ქვეშევრდოების ხმობს ჯიქებით დასახლებულ ტერიტორიას, ხოლო რაბიას თელის ვლადის მთავრად [55]. აქედან და აგრეთვე იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ დროს სწორედ ბედიანი ითვლებოდა "სამეგრელოსა და აფხაზეთის" მეფედ, ე.მამისთვალშიშვილი აკეთებს საესეებით ლოგიკურ დასკვნას, რომ ამ პერიოდში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთოდ არ არსებობდა ოდიშის პატრონისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული [56].

ბედიან-დადიანების უფლებები აფხაზეთზე ნათლად არის დაფიქსირებული გენუელთა კოლონიების მასალებში. როგორც ცნობილია, გენუელთა პირველი კოლონიები შავიზღვისპირეთში ჯერ კიდევ XIII ს. II ნახევარში გაჩნდა. მალე



მათ ტანადან სებასტოპოლის-სოხუმამდე დაარსეს 39 დასახლება, აქედან 7 უხელეუ
 ქართველოს სანაპიროზე [57]. ყველა ეს დასახლება მდებარეობდა თანამედროვე
 აფხაზეთის ტერიტორიაზე: გაგრა (Cacary), სოფ. ალახაძის მახლობლად -
 Santa-Soffia, ბიჭვინთაში (Pezonda), გუდაუთის რაიონში, (Cavo di Buxo),
 ახალ ათონში (Nicoffa), სოხუმში (Sevastopoli), და მდ. ენგურის შესართავ-
 თან (Sant-Angelo) [59]. ამ კოლონიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სე-
 ბასტოპოლისის - სოხუმი, სადაც ჯერ კიდევ 1354 წლიდან იმყოფებოდა გენუის
 რესპუბლიკის კონსული [60]. უფრადლებას იქცევს ის გარემოება, რომ გენუის
 რესპუბლიკის მთავრობა კონსულს სებასტოპოლის-სოხუმში ნიშნავდა ადგი-
 ლობრივი მმართველის - ბელიანის თანხმობით (კერძოდ, ამას მოწმობენ 1424 წ.
 "გენუის ანალები") [61]. იოსაფაატ ბარბარომ დააფიქსირა ბელიანის გარკვე-
 ელი პრეტენზიები სებასტოპოლისის შემოსავლებზეც [62]. სებასტოპოლის
 სოხუმზე ოდიშის მთავრის რეალურ ძალაუფლებაზე შეტყველებს ის ფაქტიც,
 რომ გენუის ხელისუფალნი ყოველმხრივ ცდილობდნენ მისი კეთილგანწყობილე-
 ბის მოპოვებას. მაგალითად, ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში კათის კონსულის
 სახელზე მითითებული იყო: "Всего более достойно похвалы то, что вы
 стараетесь со всеми властями и народами того края жить в дружбе и
 избегать случаев столкновения. И подобным же образом довольны мы тем,
 что вы писали нам о надеждах на прочный мир с Бендиано, князем
 Севастополиса" [63]. აღნიშნული მითითება, როგორც ჩანს, იყო გენუის მთავ-
 რობის თავისებური რეაქცია კათის კონსულის მოხსენებაზე (1465 წ. I დეკემბ-
 რისა), რომელშიც კონსული გამოხატავდა თავის კმაყოფილებას იმით, რომ
 "კარგად მოგვარდა საქმე სამეგრელოს მთავარ ბენდიანოსთან" [64].
 თავის მხრივ, დადიანებიც ასევე დაინტერესებულნი იყვნენ გენუელ კოლო-
 ნისტებთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებაში და ხანდახან ადგი-
 ლობრივი მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდ რამდენადმე ელაჭტეუ-
 ცდნენ მათ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ცნობა აქვს ზემოხსენებულ "კა-
 თოლიკურ ეპისკოპოსს ჭევემო იბერისა", რომელიც სოხუმში იჯდა - პიეტრო
 გერალდის. მისი თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა (ამ დროს კი - XIV ს. I მე-
 ნახევარი - გერალდის ცნობით, სებასტოპოლის-სოხუმში ცხოვრობდნენ ქართვე-
 ლები, მაჰმადიანები და ებრაელები) [65] აღფრთოდა იმით, რომ დადიანმა კა-
 თოლიკეებს გამოუყო ცალკე სასაფლაო. განრისხებულმა ხალხმა მოგლიჯა ლა-
 თინური სასაფლაოს ცენტრში აღმართული ჭვარი და საფლავის ქვები. ლათინ-



ნებმა კვლავ აღმართეს ჭვარი და აღადგინეს საფლავის ქვები. მაშინ აღდილობრივმა "სქიზმატიკოსებმა (მართლმადიდებლები), მღვდლებმა და საღვთისმეტყველებმა, სარკინოზებისა და ებრაელების დახმარებით, მიუტანეს შესამედ აღმართული ჭვრები და საფლავის ქვები სქიზმატიკოსების მთავარ ეპისკოპოსს" [66]. პიეტრო გერალდი აღნიშნავს, რომ ქართველებს, მათი რჯულმემყნარებლობიდან გამომდინარე, არაფერი ჰქონდათ საწინააღმდეგო, რომ მათ ჰქონოდათ საერთო სასაფლაო ლათინებთან, მაგრამ ამ უკანასკნელთ უარი თქვეს თავიანთი მკვდრების ქართველთა შორის დამარხვაზე [67]. ფიქრობენ რომ ამ კონფლიქტს აღვივებდნენ სარკინოზები - მაჰმადიანები (რუმის სასულთნოდან გამოსული თურქ-სელჯუკები) და ებრაელები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ ცხემ-სებასტოპოლისიდან გენუელი კონკურენტების განდევნას [68].

კონსტანტინოპოლის დაცემისა (1453 წ.) და თურქ-ოსმალების ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გააქტიურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ვითარება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც. უკვე 1454 წ. [69] თურქებმა მოაწყვეს პირველი სამხედრო ექსპედიცია სოხუმის რაიონში, გაძარცვეს ქალაქი და აფხაზეთის სანაპირო [70]. მართალია, საქართველოს მეფე გიორგი VIII, გაიგო რა თურქული დესანტის გადმოსხმის შესახებ, დაუყოვნებლივ გაემართა აფხაზეთში, მაგრამ ვერ დაეწია მოწინააღმდეგეს და მხოლოდ ის მოახერხა, რომ "მკვიდრნივე დასხნა და ექმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს" [71]. როგორც ზემოთ აღინიშნა, გიორგი VIII-მ 50-იანი წლების ბოლოს სცადა შეექმნა მძლავრი ანტიოსმალური კოალიცია აღმოსავლეთში და ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად მიეყენებინა გამანადგურებელი დარტყმა თურქ-ოსმალებისათვის [72]. მაგრამ მისი ეს ინიციატივა ჩაიფუტა, რამაც მკვეთრი გავლენა იქონია საქართველოს შიგნით პოლიტიკურ სიტუაციაზე. XV ს. 60-იან წლებში ჭვეყანა მოიცვა მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა, რომლის შედეგადაც, საბოლოო გამში, ერთიანი სახელმწიფო დაიშალა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კვლავინდებურად სამეგრელოს მმართველი საგვარეულოს კონტროლს ექვემდებარებოდა, თუმცა სწორედ ამ დროიდან (XV ს. შეახანები) შეიშინევა აფხაზ-ჯიქების ექსპანსიის დაწყება სოხუმ-სებასტოპოლისის მიმართულებით. სებასტოპოლის-სოხუმის კონსულის გერარდო პინელის ცნობით, 1455 წ. 28 იელისს ქალაქს მოულოდნელად დასხმითან თავს ავოგაზები. ადგილობრივი მოსახლეობა მოლიანად აყრილა და გაქცეულა, რათა თავი გადაერჩინა, რადგან ავოგაზებს მათი დატყვევება ჰქონიათ გან



ზრახული [73]. აღნიშნული ცნობის ანალიზის საფუძველზე ზ.ანჩაბაძე მივიდა დასკვნამდე, რომ ეს იყო ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის აჯანყება გენერალ ელენის წინააღმდეგ [74]. მაგრამ, როგორც სწორად შენიშნა ე.შამსთავაძემ, ელენა ვილმა, არცერთ წყაროში არ არის დაფიქსირებული XIV-XV სს-ში სოხუმში აფხაზური მოსახლეობა, ამიტომ საუბარი გენერელთა წინააღმდეგ აფხაზთა განმთავისუფლებელი ბრძოლის შესახებ ძალიან საეჭვოა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ "ავოგაზებს" ჩავთვლით აფხაზებად, და არა ჯიქებად, - წერს ე.შამსთავაძემილი - სოხუმზე თავდასხმის ხასიათი მაინც არ შეიცვლება, რადგან სახეზეა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ამკარად ეცხო ტომთა შემოსევა, რომლის მიზანი იყო ალაფისა და ტყვეების მოპოვება [75].

XV ს.60-იან წლებში აფხაზები კვლავინდებურად ჩართულნი არიან საერთო ქართულ პროცესებში. კერძოდ, ისინი, "დადიან-გურიელ... და სუანნი" მხარს ეჭერენ ბაგრატ ბაგრატიონს, რომელმაც თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა [76] და მადლობის ნიშნად ბაგრატ მეფისაგან ჭილდოდ მიიღეს: "დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი და გელოანმან სუანეთი, და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ" [77]. ჩვენ შემთხვევითად არ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ვახტანგი ბატონიშვილის თხზულებიდან მოყვანილი ამ ცნობის თანახმად, შარვაშიძემ, განსხვავებით დასავლეთ საქართველოს სხვა მთავრებისაგან - დადიანი, გურიელი, გელოვანი, რომლებმაც განიბტკიცეს შესაბამისი რეგიონები: ოდიში, გურია, სუანეთი, - მიიღო არა აფხაზეთი, ასევე კონკრეტული რეგიონი, არამედ მხოლოდ ხელმძღვანელობა აფხაზებსა და ჯიქებზე. ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მაშინ სულაც არ იყო ადმინისტრაციულად ერთიანი და რომ შარვაშიძეები იმ დროს, უკეთეს შემთხვევაში, რჩებოდნენ მხოლოდ აფხაზეთის სერვისთავოს მფლობელებად. ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია: ვახტანგის, რომელიც მოღვაწეობდა XVIII ს-ში, როდესაც შარვაშიძეები ერთმნიშვნელოვნად თვლებოდნენ აფხაზეთის მმართველებად (სხვათა შორის, მის დღევანდელ ხაზურებში), პქონდა სერაო ზული მი ზე ზები, რომ არ გადაეტანა თავისი დროის კონტრქურა XV ს-ში და შარვაშიძეთა გვარის მაშინდელი წარმომადგენლები არ მკენია დღევანდელი აფხაზეთის მფლობელებად.

დასავლეთ საქართველოს მთავრების, პირველ რიგში, მათ შორის ყველაზე გავლენიანი დადიანების, ლოიალობა ბაგრატ მეფისადმი, რაც ასე ნათლად გამოჰქვავდა როგორც XV ს. 60-იან წლებში, ისე მოგვიანებითაც - იოვაკიმეს დასავლეთ საქართველოს - "აფხაზეთის" - კათალიკოსად არჩევისას, დიდხანს



არ გაგრძელებულა. შამადავლე დადიანის, დასავლეთ საქართველოში ქუჩუთის კათალიკოსისაგან დამოუკიდებელი იერარქის დაყენების ერთდროულ ინიციატივას, სიკვილის შემდეგ ოდიშის მმართველი ხდება ვამეყ II დადიანი, რომელსაც არ მოეწონა ბაგრატი მეფის ასეთი გაძლიერება და ამიტომ “შემოიკრიბნა აფხაზნი და გურიელი და ეწყო კირთება, ოხრება და დაპყრობა იმერეთისა.” [78]. მდგომარეობის გამოსწორება შესძლო ბაგრატის ვაჟმა - ალექსანდრემ (1484-1510), რომლის დროსაც დასრულდა იმერეთის სამეფოს, როგორც ცალკე პოლიტიკური წარმონაქმნის, საბოლოო გაფორმება, თუმცა ეს უცბად არ მომხდარა. თავდაპირველად, როდესაც ალექსანდრემ მამის სიკვილის შემდეგ სცადა იმერეთის ტახტზე დაჯდომა და “ამისთვის მოეწოდა დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და გელოვანს”, მათ უარი თქვეს [79] და ამან განაპირობა დასავლეთ საქართველოში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენლის - კონსტანტინე II (ქართლ-იმერეთის მეფე 1478-1484 წწ.-ში, ქართლის მეფე 1484-1505 წწ.-ში) გამარჯვება [80]. მოგვიანებით (1484 წ.) ალექსანდრე ბატონიშვილმა მანაც მოახერხა ქუთაისში დამკვიდრება. ის “დაეზავა დადიან-გურიელსა. ამით დაიმშვიდა იმერეთი და დაიპყრა უმტკიცესად და დაიმორჩილნა აფხაზნი და სუანნიცა, გარნა არა ეგოდენად, ვითარცა ენება” [81].

XV საუკუნის ბოლოსათვის, როგორც ცნობილია, ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად. აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ქართლისა და კახეთის სამეფოები, დასავლეთ საქართველოში კი შეიქმნა იმერეთის სამეფო. ცალკე არსებობდნენ ოდიშის სამთავრო და სამცხე-საათაბაგო. რაც შეეხება აფხაზეთს, ის ფაქტობრივად ჯერ კიდევ რჩებოდა სამეგრელოს მმართველის გავლენის სფეროში, თუმცა უშუალოდ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში ტერიტორიულად შედიოდა მხოლოდ “აფხაზეთის ზემოთი” [82], ხოლო “აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა” [83].

შემდგომში (XVII ს.დასაწყისი) შარვაშიძეებმა მანაც შეძლეს დადიანის გავლენისაგან განთავისუფლება და დამოუკიდებელი სამთავროს შექმნა, რომლის საზღვარმაც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჯერ მდ.კოდორის ნაპირებს მიაღწია, ხოლო შემდეგ (XVII-XVIII სს.მიჯნაზე) - მდ.ენგურსაც.

ამრიგად, როგორც ზემომოყვანილი მასალიდან ირკვევა, XI-XV საუკუნეებში, მიუხედავად აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა დიდი სურვილისა, აწ-



ინდელი აფხაზეთის ტერიტორია სულაც არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, თუნდაც ავტონომიურ სამთავროს საქართველოს სამეფოში. მოცემულ პერიოდში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ადმინისტრაციულად შედიოდა ოდიშისა და ცხემის საერისთავოებში, რომლებიც ძირითადად ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ცხემი, ყველა მონაცემით, იყო ქართული ქალაქი. ის წარმოადგენდა სამეგრელოს მთავრის რეზიდენციას, სადაც ეს უკანასკნელი ჰქრიდა მონეტას. საკუთრივ აფხაზეთ ტომებს, შესაძლოა, ეკავათ მხოლოდ აფხაზეთის საერისთავო, რომლის სამხრეთი საზღვარი ანაკოფიას (დღევანდელი ახალი ათონი) არ სცილდებოდა. აღნიშნული საერისთავო, რომელსაც შარვაშიძეთა საგვარეულო ედგა სათავეში, ასევე საერთო-ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. XIII-XV სს. თითქმის მთელ მანძილზე შარვაშიძეები ინარჩუნებდნენ ლოიალობას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. ეფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში ისინი ავლენდნენ მეტ ერთგულებას თბილისის ხელისუფლებისადმი და წარმოადგენდნენ მის დასაყრდენს დასავლეთ საქართველოში.

ღამოწმებული ლიტერატურა :

1. ზეპარატიშვილი ივ. ავღოლოგიის ჩამოყალიბების საქმეში აფხაზური ისტორიოგრაფიის "მიღწევების" შესახებ იხ.: ზ.პაპასჭირი, საქართველო - აფხაზეთის ისტორიული წარსული ე.წ. "აფხაზურ ისტორიოგრაფიაში", - "ყოველთა ქართველთა შროფლიო კონგრესი", ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმში თემაზე: "საქართველო," ბიულეტენი, N 2, თბ., 1994; მისივე: *Историческое прошлое Грузии - Абхазии в т.н. "Абхазской историографии"* - *Всемирный конгресс всех грузин. Картвелологический симпозиум на тему, "Сакартвело" (Грузия), Бюллетень N2-3, Тб., 1994,...* გვ. 71-80.
2. Ю.Н.Воронов. *Абхазы - кто они? Сухуми, 1992.*
3. ზ.პაპასჭირი. "უმეცრობის ფართი-ფურთი," ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამობღომა. - ვაზეთი "აფხაზეთის ხმა," 150-151 - 21,26. XI.1992; მისივე : *Парад Невежества. Или очередной вымысел известного фальсификатора,* - газ. „Демократическая Абхазия“ N 9, 10, 11, - 26. II,3.III, 7.III,1993; ამ სტატიის შემოკლებული ვარიანტი იხ.აგრეთვე ვაზ "ლიტერატურული საქართველო", 25.VII; 1.VIII.1994. ი.ჯორჯიანი



“მეცნიერული ნაბრევები” კრიტიკა მოცემულია აგრეთვე ზვეს სტატიაში: “ისტორიკონტის ლიდერის ახალი “გმარობანი”. ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გააკრიტიკა იკორონოვმა პროფ. მლორთქიფანიძის წიგნი: “აფხაზეთი და აფხაზეთი”, - ვაზ. “აფხაზეთის ხმა”, N 136, 137, -16, 17. VIII. 1991.

4. წარმოდგენილი სტატია არის ქართული კარიანტი ზვეს მიერ რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომისა: *Территория современной Абхазии в XI-XV вв., რომელიც შესულია კოლექტიურ მონოგრაფიაში “Грузино-Абхазские исторические разыскания”* (წარმოებაში).
5. **3.В.Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959** გვ. 233.
6. ჟამთაღმწერელი. ქართლის ცხოვრება, ტექსტი და დევნილი ფელა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს.ყუხნიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 156.
7. იქვე.
8. შტრ. **Ю.Н.Воронов. Абхазы** გვ. 8.
9. **3.В.Анчабадзе. Из истории.**, გვ. 215. 10. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 58. მეცნიერებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა “აფხარი” - “აფხილი” - “აფსუა” - ს. ე. ი. თანამედროვე აფხაზი - იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. ზვეს ვიზიარებთ იმ მეცნიერთა თვალსაზრისს (მ.ჯანაშვილი, ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი, ბ.ბლაგოვა, ზ.ანნაბაძე, ვ.წულაია, თ.გვანცელაძე და სხვ.), რომლებიც დარწმუნებულნი არიან ასეთი იდენტიფიკაციის სისწორეში. ამის შესახებ დაწერილებით იხ.: **3.В.Анчабадзе. Из истории.**, გვ. 213-216; **Г.В.Цулая. Абхазия и Абхазы в контексте истории Грузии. Домонгольский период**, М., 1995, გვ. 137-139; თ.გვანცელაძე. კვლავ ეთნონიმ “აფხაზისა” და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ, - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია”, თბ., 1993, გვ. 575-576.
11. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 182.
12. იქვე. გვ. 180.
13. იქვე. გვ. 215.
14. ქართლის ცხოვრება (“ძველი ქართლის ცხოვრება”) - გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს **ა.ანთელავამ** და **ნ. შოშიაშვილმა**, თბ., 1966, გვ. 468-469; შტრ.: “ქართლის ცხოვრება” ტ. II, გვ. 229. (ზა ზვანსა ზვენია - ზ.პ.).
15. **3.В. Анчабадзе. Из истории.**, გვ. 234.
16. ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი, თუ როდის დაიწყო არსებობა ე.წ. “აფხაზეთის” (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკო



სომ. მართალია, წყაროებში არ არის ზუსტი დამდასტურებული ცნობები მკვრამ ჰაპოთეტურად საეხებით დასაშვებია დასაკლეთ საქართველოში და მოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბება კათალიკოსით სათავეში ჯერ კიდევ "აფხაზთა" სამეფოში "ლეონიდების" მმართველობის ხანაში, ე.ი. IX-X სს-ში (ნ.ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, - "საქართველოს ისტორიის საკითხები", ტ. III, თბ., 1966, გვ. 50; კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, - წიგნში : კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 355; М. Д. Лордкипანიძე. Возникновение новых феодальных государств, - Очерки истории Грузии, т. II, 1988, გვ. 291). ამასთან დაკავშირებით ფურადღებას იქცევს ვახუშტი ბავრატონის ცნობა, რომ დასავლურ-ქართული ეკლესია "ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისგან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაიდან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოარინებეს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოსსა აფხაზეთისასა და არა ვკრისისასა და იმერეთისასა" (მატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ფელა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს. გაუბნიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 746). XI-XII სს. "აფხაზ" კათალიკოსებზე მცირე რამ არის ცნობილი და მხოლოდ XIII-ს-დან, დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გამეფების შემდეგ, გამოდინ იხინი წინა პლანზე (იხ: ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 180). აფხაზეთის საკათალიკოსოს, როგორც დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის, საბოლოო გაფორმება მოხდა XV საუკუნის II ნახევარში, როდესაც დასავლეთ საქართველოს ლიდერების - იმერეთის (შემდეგ კი ქართლ-იმერეთის) მუჟის ბავრატისა და "დიდ ერისთავთ-ერისთავის დადიან-გურიელ" შამდავლეს ინიციატივითა და ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის უშუალო მონაწილეობით მოხდა მუჟე იოუაკიმუს ზელდასხმა "ლიბთამერისა და აფხაზეთის" კათალიკოსად. ამასთან დაკავშირებით, შედგენილ იქნა სპეციალური დოკუმენტი - "მცნებაი სარჯულო", რომელშიც, სხვათა შორის, მოცემული იყო "აფხაზეთის კათალიკოსის მოქმედების არეალი: იმერეთი, გურია, ოდიში აფხაზეთი, სრულად აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი ("მცნებაი სარჯულოს" ტექსტი იხ.: ქართული სამართლის ძეგლები, გამ. ი. დოლიძე, ტ. III, თბ., 1966, გვ. 221-233. ამ მოვლენის შეფასება იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1966 გვ. 111-114). ამრიგად, ნათელია, რომ "აფხაზეთის" საკათალიკოსოს დაწესება XV ს. II ნახევარში ნიშნავდა დასავლეთ საქართველოს მმართველების სეპარატისტული მიზნრათვების გამარჯვებას. მათ საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად დასჭირდათ "თავისი", საერთო-ქართული ერთიანობის განმსახიერებელი მცხეთის საკათალიკოსოსგან დამოუ



კიდებელი, ეკლესია.

17. იქმნებოდა XVI-XVIII სს-ში. ამ ტიპის უძველეს ნაწილს აქვს საკუთრივ "იაღვარს", რომელიც შედგენილია XVI-XVII ს. მიჯნაზე, ჭაფუჭიდან დაწველი იმერეთის ცნობილი მეფის - ბაგრატ III-ის მიერ ბიჭვინთის ეკლესიისადმი ბოძებული (1537-1565 წწ.-ში) "იაღვარი". შორეუ ნაწილი კი ამ დოკუმენტისა წარმოადგენს იმერეთის მეფეების, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებისა და მთავრების მიერ ბოძებული სიგელების კრებულს.
18. შედგენილია 1622 წ. მალაქია კათალიკოსის დაკვეთით. მასში დაფიქსირებულია იმერეთის, გურიისა და ოდიშის ფარგლებში კათალიკოსის კუთვნილი ვლახები.
19. ზანნაბაძის აზრით, "აფხაზეთის" კათალიკოსთა რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადატანა მოხდა XVII ს. შუახანებში კათალიკოს ზაქარია ქვარიაზის დროს (З.В.Анчабадзе, *Из истории...*, გვ. 278), მაგრამ ბოლო ზანებში ეს აქტი თარიღდება XVI ს. შუახანებით - კათალიკოს ვლემონ ჩხეტის მმართველობის პერიოდით (1558-1578 წწ.) (ბ.ლომინაძე, *გელათი, თბ.*, 1958, გვ. 12. იხ. აგრეთვე: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ. 1977, გვ. 31).. მიუხედავად ამისა, თუ როდის - XVI ს-ში თუ XVII -ს-ში გადავიდნენ "აფხაზეთის" კათალიკოსები გელათში, ერთი რამ ნათელია: ეს გამოწვეული იყო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მღვდომარეობის მნიშვნელოვანი ვაუარებებით. მიუხედავად ამისა, ბიჭვინთა ამის შემდეგაც რჩებოდა დასავლურ-ქართული ეკლესიის მნიშვნელოვან ცენტრად, სადაც ზღმბოდა მირონის კურთხევა და სხვა საღვთსანსწაულო რიტუალები. (И.Бакрадзе, *Кавказ в древних памятниках христианства, 1875 121-1220. З.В.Анчабадзе. Из истории ...*, გვ.242, 278).
20. ბიჭვინთის წარმოიქმნა სურთო დასავლურ-ქართული რელიგიური ცენტრის სახით, ზანნაბაძის თვალსაზრისით, ზღმბა საბედიაზნოს(ე.ი. სამეგრელოს - ზ.პ.) სამთავროს გასღვივების ხანაში. მისი თქმით, "ჯერ კიდევ XIII ს.ბოლოს "ბიჭვინთა" ზღმბა მთელი დასავლეთ კავკასიის რელიგიური ცენტრი" (З.В.Анчабадзе. *Из истории...*, გვ. 241); მკვლევართა აზრით, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ დროს ბიჭვინთის მიტროპოლიას შეუერთეს ალანთისა და ზიზიის (ჯიქეთის) მიტროპოლიები (З.В.Анчабадзе. *Из истории...*, გვ. 241; ვ.კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში, თბ. 1989, გვ. 102.*
21. З.В.Анчабадзе. *Из истории...*, გვ. 242.
22. ვახუშტი. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 801; ო.სოსელია. სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, - "მომომზადებული", II, თბ., 1951, გვ.

- 23 **3.В.Анчабадзе. Из истории...**, გვ. 235.
24. იქვე.
25. ვახუშტი. გვ. 258.
- 26 **3.В. Анчабадзе. Из истории...**, გვ. 236.
27. ვახუშტი. გვ. 258.
28. იქვე.
29. იქვე. გვ. 803.
30. დ.ნინიძე. "პროვინციის მეფეები" XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995, გვ. 123.
31. ვახუშტი, ტ. II, გვ. 342.
32. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 342. (ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.)
33. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, არაპულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ.ვოხოლოვიშვილმა, თბ., 1988, გვ. 53 (ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.). ამ წერილში ნახსენები დავით მეფე არის საქართველოს მეფე - დავით IX (1346-1360), ხოლო დადიანი (დადიანი) - ვიორგი II დადიანია (1345-1384). ამის შესახებ იხ. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები..., გვ. 45; ბ.ზორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 41.
34. ალ-კალკამანდი წერს: "ქართველებს ჰყავთ ორი მეფე, ერთი მათგანია... თბილისის გამგებელი... მეორე სუხუმისა და აბხაზის გამგებელი, რომელსაც ეწოდებოდა დადიანი... ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე". XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები..., გვ. 56 (ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.). იხ. აგრეთვე **В.Г.Тизенгаузен. Заметки Эль-Калкашанди о грузинах, перевод на русский язык и издание В.Г. Тизенгаузена.** - "Записки Восточного Отделения Русского Археологического Общества, т., I, вып. 3, СПб., 1886 გვ. 214; ე.კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 101.
35. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, - იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე.მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 55; იხ. აგრეთვე: ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, - თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 310, თბ., 1992, გვ. 49-50.
36. ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 50.
37. იქვე.
38. **3.В.Анчабадзе. Из истории...**, გვ. 240.
39. ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 50.

40. ოდიშის მმართველების სუვერენიტეტზე, კერძოდ, მოწმობის შესახებ / რომ დადიანთა გვარის ერთ-ერთი წევლაზე გაეღუნებინა წარმომადგენელი - ვამეყ I (1384-1396 წწ.) საკუთარ მონეტას კრილა ცხუმში - სებასტიანოპოლისში; მადრი იყო ზარაფხანა. იხ. *Д. Капанაძე. Грузинская нумизматика*, № 8 1955 გვ. 97; *З.В. Анчабадзе. Из истории...*, გვ. 238; *По поводу искажения грузино-абхазских взаимоотношений (ответ авторам "Абхазского письма")*, Тб., 1991, გვ. 12, 76.
41. საქართველოს მანდატურთუხუცესებამ დასახელებულნი არიან ბედან დადიანი (ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოვ ზაურობანი სამეგრელოში, - "ძველი საქართველო", ტ. III, ტფილისი, 1913-1914, გვ. 132; თ.ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III, თბ., 1967, გვ. 158). და ვამეყ I დადიანი (ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური..., გვ. 132-133).
42. სებასტიანოპოლისის კათოლიკური მისიის ხელმძღვანელის ეპისკოპოსის პიეტრო გერალდის ცნობით, მამია დადიანი - ოდიშის მთავარი (1323-1345 წწ.) - იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ, - თბუ შრომები, ტ. 243, თბ., 1983, გვ. 98-99; მისივე საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 104.
43. ვახუშტი, გვ. 269.
44. ზოდის მონასტრის წარწერა გამოქვეყნებულია: ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური..., გვ. 133; იხ. აგრეთვე: ე. მამისთვალის შვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 49; თ. ბერაძე, "გაგარი" და "ულაის" ვანმარტებისათვის, - "მაცნე" (ისტორიის სერია), №1, თბ., 1973, გვ. 122.
45. ე. მამისთვალის შვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 49.
46. ვახუშტი, გვ. 278.
47. იქვე.
48. იქვე. (ხაზგანსმხეხვია - ზ.პ.)
49. XV ს. იტალიელ მოვ ზაურთა ცნობები... გვ. 55; *З.В. Анчабадзе. Из истории...*, გვ. 239.
50. მთამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი 1902, გვ. 595; *З.В. Анчабадзе. Из истории...*, გვ. 239.
51. მთამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 595; *З.В. Анчабадзе. Из истории...*, გვ. 239.
52. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 68.
53. *З.В. Анчабадзе. Из истории...*, გვ. 253-254.
54. ე. მამისთვალის შვილის დაკვირვებით, მთამარაშვილის არქივში წველგან და

უიწირებულა "Anocasia" ან "Angosia". ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 51.



55. ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ.51-52.

56. იქვე- გვ. 52.

57. იქვე-

58. იქვე-

59. **З.В.Анчабадзе. Из истории...**, გვ. 244.

60. **Е.С.Зевакин., Н.А. Пенчко. Очерки по истории Генуэзских колоний на Западном Кавказе в XIII-XV вв.- "Исторические записки;т., М. 1938, გვ. 86.** პირველ კონსულად მოხსენიებულია ამბროჯო დე პეტრო (ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 52).

61. ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 52-53.

62. იქვე- გვ. 53.

63. **Е.С.Зевакин и Н.А.Пенчко. Очерки по истории Генуэзских колоний, გვ.113; З.В.Анчабадзе. Из истории...**, გვ.246 (ხაზგასმა ჩვენია - ზ.პ.).

64. **Е.С.Зевакин и Н.А.Пенчко. Очерки по истории Генуэзских колоний, გვ.114; З.В.Анчабадзе. Из истории...** გვ. 246.

65. ე.კიკნაძე. ლათინური წყარო, გვ.102-103; ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 56.

66. ე.კიკნაძე. ლათინური წყარო, გვ. 103; ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 56.

67. ე.კიკნაძე. ლათინური წყარო, გვ. 103, ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 56.

68. ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 56. დადიანების გენუელ კოლონიზატორთან ურთიერთობების ხასიათზე დაწერილებით იხ.: ე.მამისთვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის შორეუ ნახევარსა და XV საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981, გვ. 75-80.

69. ვახუშტი თურქების პირველ გამოწინას ათარიღებს 1451 წლით (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 284), მაგრამ მეცნიერებაში დაზუსტებულია ამ მოვლენის თარიღი - 1454 წ. **З.В.Анчабадзе. Из истории ...**, გვ.252; ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 54; **М.Сванидзе. Из хронологии Вахушты Багратиони (первое вторжение турок на черноморском побережье Грузии),- "Источниковедческие разыскания", ТБ.,1985, გვ. 110.**

70. ვახუშტი. გვ. 284. ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 54
 3.В.Анчабадзе. Из истории..., გვ. 252.
71. ვახუშტი. გვ. 284; ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 54
72. ამის შესახებ იხ.: დ.პიჭაძე. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიციის და
 საქართველო, თბ., 1989.
73. ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 55.
74. 3.И.Анчабадзе. Из истории ..., გვ. 248.
75. ე.მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 55.
76. ვახუშტი. გვ. 806.
77. იქვე.
78. ვახუშტი. გვ. 807.
79. იქვე. გვ. 807-808.
80. სხვათა შორის, "ქართლის ცხოვრების" გავრძელებაში შემონახულია ცნობა
 იმის შესახებ, რომ კონსტანტინე II-მ "მოიმორჩილნა იმერულნი, ოდიშარნი,
 აფხაზნი..." (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 343).
81. ვახუშტი. გვ. 809.
82. ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 349.
83. იქვე.



ეთნიკური პროცესები ჩრდილო კავკასიაში და აფხაზეთი

აფხაზები საქართველოს ფეოდალური სამყაროს ისეთსავე ორგანულ ნაწილს შეადგენდნენ, როგორც დასავლურქართული ტომები. აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა იყო შედეგი არა ერთიერთდაპყრობისა, არამედ აფხაზთა თანდათანობითი მშვიდობიანი შემოსვლისა ქართულ კულტურულ სამყაროში. "როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც შერეთი და შერი, როგორც ქართლი და ქართლელი..." [1].

საქართველოს ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში აფხაზეთი საერისთავოს სახით შედიოდა. იგი მოიცავდა ტერიტორიას ანაკოფიის მდინარიდან (მდ.ფსირცხა) მდ.ნიკოფსიამდე (მდ.ნეჩეფსუხო) [2]. მდ.ნიკოფსიაზე გადიოდა საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი [3]. აფხაზეთის საერისთავო გარდა საკუთრივ ეთნოგრაფიული აფხაზეთისა, - ტერიტორია ანაკოფიის მდინარესა და მდ.აქეუნტს (მდ.შახე) შორის, - ზიქეთის ერთ ნაწილსაც, ტერიტორია მდ.აქეუნტსა და მდ.ნიკოფსიას შორის, - მოიცავდა [4]. ქართული ფეოდალური საერისთავოების ტომობრივი, თემობრივი პრინციპით შექმნის გათვალისწინებით, აფხაზეთისა და ზიქეთის ერთ საერისთავოში გაერთიანება ზიქ-აფხაზთა აბლომონათესაობაზე მეტყველებს [5].

ზიქები ერთ-ერთი აბაზური ტომია [6], მაგრამ ძველი ქართული წყაროები ამ სახელწოდებით იცნობენ როგორც საკუთრივ ზიქებს, ასევე საერთოდ აბაზებს [7]. ისინი ვერ აფიქსირებენ მრავალრიცხოვან აბაზურ ტომებს და მათ ზიქების სახელით აერთიანებენ. წარსულში აფხაზები და აბაზები ქმნიდნენ ერთ ეთნიკურ ჯგუფს [8].

XIII ს. 30-იან წლებში საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. ამ დროიდან ფეოდალური ცენტრალიზებული სამეფო თანდათან დასუსტებასა და დამლახველობას განიცდიდა. საამისო პირობებს, უპირველეს ყოვლისა, მონღოლური მმართველობის სისტემა ქმნიდა; ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ეკონომიკის დაცემა, ცენტრალური ხელისუფლების დაღრმად დასუსტება, ქართული სახელმწიფოებრივი უბიძგობის მოშლა, რამაც, საბოლოო ჯამში, XIII ს. 50-60-იან წლებში, გამო-



იწვია საქართველოს ფეოდალური მონარქიის დამლა აღმოსავლეთი საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს სამეფოებად და სამცხის სამეფოებად.

XIII ს.30-იან წლებში მონღოლ-თათართა გამანადგურებელი თავდასხმები დაატყდა თავს ჩრდ.კავკასიის ხალხებსაც, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებებ შეიტანა ამ რეგიონის ეთნიკურ რუკაში.

მონღოლთა შემოსევებამდე ყუბანისპირეთში ადიღეელები ცხოვრობდნენ. მათი აღმოსავლეთი საზღვარი გადიოდა მდ.ლაბაზე, როგორც მის ზემო წელზე, ასევე ქვემო წელზე, სადაც ალანები ესაზღვრებოდნენ. ამ პერიოდში ალანებს საკმაოდ მტკიცე პოზიციები ეჭირათ ჩრდ.კავკასიაში. მთისწინა ველებში ცხოვრობდნენ ყივჩაღები. მონღოლ-თათრებმა თითქმის მთლიანად ამოკლიტეს ყივჩაღები. გადარჩენილნი გაიქცნენ და ამჟამინდელ ყაბარდოსა და დაღესტნის მთებს, და მდ.თერგისა და მდ.სელაკის ქვემო წელზე ქაობებს შეეხიზნენ. ალანებმაც დატოვეს მთისწინა ზოლი და სხვადასხვა მიმართულებით დაიფანტნენ. მათი ნაწილი აღმოსავლეთისაკენ წავიდა და მთებს შეეხიზნა. კავკასიის მთებში შემოსულმა ალან-ოსებმა შემდეგ ქედი გადალახეს და შიდა ქართლში იწყეს ჩასახლება. XIII ს. მეორე ნახევრიდან, როცა ალანები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრისი, ადიღეელების ერთი ნაწილი იკავებს დასავლეთით ადგილებს ცენტრალური კავკასიის მთისწინეთში, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის საუკეთესო მიწებს მდ.ლაბასა და მდ.თერგს შორის. ადიღეელთა ამ ნაწილს, რომელიც შემდეგ ცალკე ეთნოსად ჩამოყალიბდა, ყაბარდოელები ეწოდათ, ქვეყანას კი ყაბარდო [9]. მონღოლ-თათართა შემოსევების შემდეგ ჩრდ.კავკასიაში თურქული მოდგმის ტომებიც მკვიდრდებიან, მათ შორის, ყარაჩაელები და ბალყარელები (მალყანელები). ისინი გენეტიკურად ერთი მოდგმის ხალხია. მათი განსახლების ტერიტორიაზე, იალბუზის მთისწინეთში, მონღოლთა შემოსევებამდე ალანები ცხოვრობდნენ. მონღოლთა შემოსევის შემდეგ, ამ მოსახლეობას თურქული ელემენტი დაეფინა, თუმცა, მანამდეც ცხოვრობდნენ ჩრდ.კავკასიაში თურქული ტომები, ყივჩაღები, რომელთაც ასევე მიიღეს მონაწილეობა ყარაჩაელთა და ბალყარელთა ეთნოსის ფორმირებაში [10]. ამრიგად, მონღოლ-თათართა შემოსევებმა ჩრდ.კავკასიაში, აქ მოსახლეობის ტომების ამოძრავება და გეოპოლიტიკური ვითარების რადიკალურად შეცვლა გამოიწვია.

XIV ს.30-იან წლებში საქართველო გათავისუფლდა მონღოლთა ელლისგან. 1329-1334 წლებში გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346) აღადგინა საქართველი.



ველოს სამეფოს ერთიანობა. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური სუბიექტობა კველ ფარგლებში აღდგა - "ნიკოფსიიდან დარუბანდამდე" [11]. მაგარამ XIV ს. მიწურულს საქართველოს კვლავ დაუდგა მძიმე დრო. აღმოსავლეთ საქართველოს თავს დაატყდა თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები. საქართველოს მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს სეპარატისტულმა ძალებმა და არ დააყოვნეს გამოსვლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. 80-90-იან წლებში, ჯერ იმერეთის ერისთავი ალექსანდრე, ხოლო ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმა გიორგი, იმერეთში გასამეფებლად იბრძვიან [12]. იმავე ხანებში, ჭიჭებიც, რომლებიც სამეფოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ მდ. აჭყენტსა და მდ. ნიკოფსიას შორის, გამოვიდნენ ცენტრალური ხელისუფლების შორილუბიდან და საქართველოს სანაპირო რაიონებს არბევდნენ. მეფის ხელისუფლებას, რომელიც თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩაბმული, ძალა არ შესწევდა ჭიჭების "ორგულობის" აღსაკვეთად. საჭირო იყო გადამწყვეტი მოქმედება და ეს თავს იღო ოდიშის ერისთავმა. ვამეყ I დადიანი (1384-1396) დაუყოვნებლივ გაემართა ჭიჭეთში, ზედიზედ აიღო ციხეები, მთავრები, ვინც მის წინაშე შორილუბით გამოცხადდა, დაამკვლა, ვინც წინააღმდეგობას არ წყვეტდა, ძალით დაიმორჩილა, ჭიჭეთი კვლავ შემოუმტკიცა საქართველოს და გამარჯვებული დაბრუნდა ოდიშში. ვამეყ I დადიანის წარმატებულ ლაშქრობაზე ჭიჭეთში, გვაფწყებს წარწერა ხობის მონასტრის ეკვდერის ქვაზე: "ქ. სახელითა ღმრთისათა ერისთავთ-ერისთავმან და მანდატურთ უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა პატრონისა ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა გიორგის შედეგად მიუხდა ჭიჭეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათვის, რათამცა მოემსახურა და სძლო და შეურაცხ და უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი. გაგარი და ულაღნი, ყოველნივე ძალითა მოირჭუნა, მრავალთა ჭიჭეთისა პატრონთაგან მიუვალი მორბიენა. რაოდენნი მოეწყო, მათი მრავალნი წამოასხნა და სხვანი აოტნა..." [13].

წარწერაში მოხსენიებული "გაგარი" და "ულაღი" ზოგიერთ მკვლევარს გაბრუნებული აქვს, როგორც გაგრა და მასთან ახლომდებარე ციხე [14]. მაგარამ წარწერის მიხედვით, "გაგარი" ჭიჭეთში იყო, ხოლო XIV-XV სს. იტალიურ და კატალონიურ რუკებზე: ვესკონტეს (1318 წ.), ძმები პიციგანების (1367 წ.), კატალანის (1375 წ.), პასკვალინის (1408 წ.) ბიანკოს (1436 წ.) და სხვ. ჭიჭეთი აღნიშნულია გაგრის ჩრდილო-დასავლეთით [15]. მიუხედავად იმისა, რომ "გაგარი" და "ულაღი" კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტებს აღნიშნავენ, - გაგ-

რასა და ანაკოფიას, - წარწერაში ნახმარია ზოგადი მნიშვნელობით. წარწერის ეს ადგილი ასე უნდა გავიგოთ: ვამყემა "უხმარ ქმნა" ამ ქვეყნის სიმაგრეებში, აღვილად მისადგომნიც და მიუვალნიც [16].

გიგლიძის ხელნაწილი

საგულისხმოა, რომ ვამყე I დადიანის ჭიქეთში ლაშქრობა მომხდარა ჭიქების "ურწმუნოებისა და ორგულობისათვის". ჭიქეთი, ისევე როგორც საქართველოს სხვა პროვინციები, ქრისტიანული ქვეყანა იყო, თუმცა, საფიქრებელია, საქართველოს სხვა მთის ქვეყნების მსგავსად წარმართობის ძლიერი ელემენტებით. მონღოლ-თათართა და თემურ-ლენგის გამანადგურებელ ლაშქრობებს ჩრდ.კავკასიაში, იქ მცხოვრები ტომების ამოძრავება, სახელდობრ, ადიღეური ტომების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ექსპანსია მოჰყვა. წარმართული ელემენტის მოძალეობამ, ჭიქეთში ქრისტიანობის "მისუსტება" და წარმართობის აღორძინება გამოიწვია. ეს ფაქტი იგულისხმება სწორედ ჭიქების "ურწმუნობაში", ხოლო "ორგულობაში" - მათი გამოსვლა ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან.

ამ მოვლენებმა მწვავე ასახვა ჰპოვა საკუთრივ აფხაზეთშიც, რაც ასევე - ქრისტიანობის "მისუსტებასა" და აფხაზეთის ერისთავის სეპარატისტულ მისწრაფებაში გამოვლინდა. ამის აღსაკვეთად, ოდიშის ერისთავი მამია II დადიანი 1412 წ. აფხაზეთის საერისთავოში შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა და თვითონ ბრძოლაში დაიღუპა [17].

აფხაზების განდგომა მოხდა იმ მძიმე სამინაო-პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც ალექსანდრე I-ის (1412-1442) ტახტზე ასვლის დროისათვის იყო შექმნილი საქართველოში. თვითონ ალექსანდრე I საქართველოს სამინაო მდგომარეობას თავისი მეფობის დასაწყისისათვის ასე ახასიათებდა: "საქართველო ეს-ჯელოსა თემურისაგან დარბეული და უნუგემისცემო და გასრული დაგვიხდა, ესრეთ რომელ... სრულად საქართველო ტყვე ექმნა და ჩენისა მეფობისა დაქირვადმდე მელამი ტყვეენა და რბევა იყო საქართველოსა და მოხორდა და იავარ იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგემისცემა არსით იპოებოდა" [18].

ალექსანდრე I ქვეყნის "ამლის შიშით" (ი.გაუახიშვილი) მამინათვე დას.საქართველოში გადავიდა და შეძლო კონფლიქტის მოგვარება. აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძე მეფეს დამორჩილდა.

ჭიქებისა და აფხაზების ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან გამოსვლის ცდა გამოწვეული იყო საქართველოს ფეოდალური მონარქიის დასუსტებითა და XIII-XIV სს. შემდეგ ჩრდ.კავკასიაში შექმნილი ვითარებით. იმიერ-



კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა: ადიღეური ტომები, ალან-ოსები, ძურძუკ-ლილღეები, იძულებული გახდნენ იმიერკავკასიის ველები მოძალადეთა მხედრობით, თვითონ კი მტრებისათვის მიეცა, მაგრამ მწირ მთას შეხიზნოდნენ. "მთის სიმწირე-სივიწროვით ამოხუთული იმიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობა პირაქეთი კავკასიონისა და მთის ძირობა საქართველოს დაპყრობას ცდილობდა" [19].

საქართველოს წინაშე კვლავ მწვავედ დადგა მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხი. გვიან შუასაუკუნეებში საბელმწიფოს დასუსტების შემდეგ, კვლავ გააქტიურდა მთის ჩამოწოლა - კავკასიის მთის მოსახლეობის მოძალეობა და თანდათან ჩამოსახლება პოლიტიკურად დასუსტებულ, ზოგან აყრილ-აოხრებულ ბარში. ეს პროცესი ისტორიაში უცნობი არ არის. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა საერთოდ კავკასიაში და სხვაგანაც. ადრეფეოდალურ ხანაში მთა ეტევს ბარს, დროდადრო აზბევს და ძარცვავს მას; შუაფეოდალურ ხანაში ეკვე ბარი ამყარებს კონტროლს მთაზე, მაგრამ XIV საუკუნიდან მშვიდობიანი ურთიერთობა მთასა და ბარს შორის ირღვევა. მთა კვლავ გადმოდის ბარის წინააღმდეგ შეტევაზე. მეორდება ადრეფეოდალური ხანის სიტუაცია, როდესაც მთა ეტევს და ბარი იძულებულია თავი დაიკვას. მთას თან მოაქვს მისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული სამეურნეო და სოციალური ყოფა, წეს-ჩვეულებები, წარმართობა, მაგრამ ბარი დასაწყისში ჭერ კიდევ ითვისებს მას. მოსული ელემენტი დამხედურის კულტურას ეზიარება, მისი სამეურნეო და საზოგადოებრივი ტრადიციების მატარებლად იქცევა და შეერწყმის დამხედურთ, მაგრამ თავის მხრივაც ახდენს გავლენას მასზე [20].

გვიანფეოდალურ ხანაში დას.კავკასიის მთის მოსახლეობის ლტოლვა ბარისაკენ აიხსნება ბუნებრივი კანონზომიერებებით: საარსებო მიწის ძებნით, რაც გამოწვეულია მონღოლების (შემდეგ კი ოსმალების) მიერ მათი შევიწროებითა და ადრინდელი საცხოვრისიდან გამოდევნით. სწორედ ამ დროიდან (XIII ს.) ვარაუდობენ მკვლევარები მთის ჩამოწოლის პირველ ტალღას აფხაზეთში, როცა ოქროს ურდოს მოწოლით კავკასიელი ტომები სამხრეთისაკენ მოიწვევენ. მთის ჩამოწოლის ამ ნაკადს რაიმე საზოგადოებრივი გავლენა არ მოუტია. დამხედურმა საზოგადოებამ, როგორც ჩანს, შეძლო მისი ათვისება [21].

მთის ჩამოწოლის პროცესის დაწყება აფხაზეთში სავარაუდებელია არა XIII ს-დან, არამედ უფრო ადრეული პერიოდიდან. ეს იყო პერმანენტული პროცესი, რომლის შესახებაც პირველი მინიშნება ჩვენი ერის დასაწყისიდან გვაქვს, როცა

II საუკუნეში, მდ.აბასკოსის (მდ.მზიმთა) ზემო წელში პირველად იხსენიებიან აბაზგები [22]. ასევე, ძველი და ახალი ერის მიჯნაზე (ძვ.წ. I ს.) იხსენიებს პირველად ჭიჭებს (ზიხები) სტრაბონი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ისინი იმიერკავკასიიდან ჩამოსახლებულან [23]. VII-VIII სს. მთის ჩამოწოლის ახალი ტალღა საეარაუღლებელი აფხაზეთში, რაც დაკავშირებულია “აფხაზთა” სამეფოს ფორმირებასთან [24]. მონღოლ-თათართა შემოსევების დროიდან (XIII ს.), რამაც ჩრდ.კავკასიის ტომების ამოძრავება გამოიწვია, მთის ჩამოწოლის ახალი ნაკადი იწყება აფხაზეთში.

XV ს. შეახანებში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საქართველოს სამხრეთი საზღვრების სიახლოვეს. 1453 წ. თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერიას ბოლო მოუდღეს. საქართველოს, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოს ნაცვლად, რომლის მემკვიდრეობითაც ის დასავლურ ცივილიზებულ სამყაროს უკავშირდებოდა და რომელთანაც მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა მქონდა, დაემუბონდა ძლიერი, უაღრესად აგრესიული მაჰმადიანური ოსმალეთი, რამაც შემდეგ საბუღისწერო როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებიდან სულ მალე, 1454 წ. ზაფხულში, ოსმალთა ფლოტ თავს დაესხა ქ.ცხოშს (სოხუმი), გაძარცვა და გადაწვა ქალაქი, გაძარცვა და ააოხრა ზღვის სანაპირო ზოლი [25]. ოსმალთა თავდასხმის შედეგებს არ გაველო, რომ 1455 წ. 28 ივნისს აფხაზები დაესხნენ სოხუმს და სამიწლად აიკლეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ და გენუელმა ვაჭრებმა სებასტოპოლის (სოხუმის) საეაჭრო ფაქტორიიდან გაქცევით უშველეს თავს. აფხაზთა თავდასხმის თვითმხილველი, სებასტოპოლის გენუელთა საეაჭრო ფაქტორიის კონსული ჯ.პინელი გენუის პროტექტორებისადმი წერილში წერს: “... მე ჩაიბარე სებასტოპოლის კონსულობა...დავყავი იქ მცირე ხანი...მოულოდნელად მას დაესხნენ აფხაზები და მოსახლეობა მთლიანად გაიქცა, რათა თავი გადაერჩინა. მეც მათ მივბაძე. აფხაზებს სურდათ...უმეტესობა ტყვედ წაეყვანათ... გარდა ამისა გაცნობებთ, რომ ამ ადგილზე ჩემს ჩასვლამდე, თურქები დაესხნენ და გაძარცვეს ეს ქალაქი (სოხუმი)... ეხლა იქითენ გამგზავრება სამიწი გახდა “[26].

ეს იყო აფხაზების მიერ ნადავლისა და ტყვეების ხელში ჩაგდების მიზნით ქალაქის აკლება. დაახლოებით ამავე ხანებში შედგენილ ძეგლში “ მცნება სარჯულო” (1470-1474) პირველად გამოჩნდა ქართული სამყაროსაგან აფხაზთა “გაუტყობების” კვალი: “აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყვნენ-



ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყვნეს” [27]. როგორც ჩანს, XV საუკუნეში მთის ჩამოწოლის პროცესი საკმაოდ შორს ჩანს წასული, რისი ამკარა მოწმობაა აფხაზთა მიქცევა “წარმართობისადმი”. ოდიშის ერისთავის შაჰდავლადიანის (1470-1474) ხობის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელში ნათლადაა ნაჩვენები იმ დროს აფხაზეთში შექმნილი ვითარება. ამ სიგელის ფარგმენტი ლევან II დადიანს (1611-1657) თავის სიგელში აქვს ჩართული: “ესე ვითარცა დადიან გურგიელისა, სულკურთხეველისა სამადაელსაგან გარჩეგბული სიგელი ვნახეთ, ესრედ ეწერა და გაერიგა: “ძველითგანი იადგარი გარყენილიყო და დაკარგულიყო ხოფისა ღთის შშობელისაო, მას ეაშა ეღმთოდ და ესჯელოებად მიიქცეს აფხაზნიო და აღვიყვანეთ იოვაკიმ კაცი ღირსი ნეტარებისა, დავსვით კათალიკოზადო, რომელი აფხაზთა გარყენეს სჯელი და კათალიკოზობა, ხოლო ჩვენ მარჯუნეთა ქრისტეს საფლავისათაო და იერუსალემისა და ანტიოქის პატრიარქისა მიხაილის ნება დართეთა გავარიგეთ ჭვარითა და ონფორითაო” [28]. შაჰდავლეს სიგელი XV ს. 70-იანი წლების ვითარებას ასახავს და საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აფხაზეთის მდგომარეობა ნაჩვენებია თანამედროვის - ოდიშის ერისთავის მიერ. როგორც ჩანს, XV საუკუნეში აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანობისაგან გამდგარია და აქ წარმართობაა აღორძინებული, აგრერიგად დამახასიათებელი მთიელთა ყოფისათვის.

XV ს. მეორე ნახევარში ძირითადად დასრულდა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დამლა, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მწიფდებოდა და უაღრესად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და საგარეო-პოლიტიკურ მოვლენათა გადახლართვის შედეგი იყო. საქართველოს ისტორიის ამ მძიმე პერიოდს დაემთხვა მთის ჩამოწოლისა და ქვეყნის საზღვრების უშუალო სიახლოვეს ოსმალთა აგრესიის გაძლიერება.

1461 წ. ოსმალებმა ტრაპიზონის სამეფო დაიპყრეს და უშუალოდ მოადგნენ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს. ამავე ხანებში ოსმალთა აგრესიის ობიექტი ხდება ჩრდ. კავკასია. 1475 წ. ოსმალებმა ყირიმის სახანო დაიმორჩილეს, იმავე წელს ანაპაც დაიკავეს და, ამრიგად, იმიერკავკასიის დასავლეთ ნაწილშიც ფეხი მოიკიდეს. ამ დროიდან ოსმალეთი ჩრდილო-დასავლეთიდანაც დაემუზობლდა საქართველოს. ოსმალეთი ცდილობდა ჩრდ. კავკასიაში გაბატონებას. ამავე დროს, ოსმალთა აგრესიის ერთ-ერთი მიმართულება ჩრდილო-დასავლეთი საქართველო იყო. მათი წაქეზებით, დასავლეთ კავკასიის ტომები იბრძვიან აფხაზეთის მისაკუთრებისათვის. ისინი ძარცვავდნენ აფხაზეთის, ოდიშის,



გურიის სანაპირო სოფლებს, ატყვევებდნენ მოსახლეობას და შემდეგ მათ ოსმ.
 ლეზე ყიდიდნენ.

XV საუკუნეში საქართველოს საბოლოოდ ჩამოშორდა ^{ქვემოქვემო} ჩამსხვე ჰანეს.
 ში ჭიქები გაგრამდე აფართოებენ თავიანთ საზღვარს, უშუალოდ გაგრის ეიწრო-
 ებს იქით ჭიქების მიწები იწყება [29].

ოსმალთა მხარდაჭერით წარმოებულ ჭიქების მოწოდის შესაჩერებლად
 [30] “რამეთუ ეკირთებოდნენ იგინი ოღიშს და გურიას” (ვახუშტი), 1533 წ. იან-
 ვარში მამია III დადიანმა (1512-1533) და მამია გურიელმა (1512-1534), იბე-
 რეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) მხარდაჭერით, მოაწყვეს ლაშქრობ.
 ჭიქეთში ზღვით. ბრძოლის პირველი დღე ქართველთა ლაშქრის გამარჯვებით
 დამთავრდა. მეორე დღეს დადიანისა და გურიელის ლაშქარი სისხლისმღვრულ
 ბრძოლაში დამარცხდა [31]. ჭიქების გამარჯვებას მოჰყვა მათი შემდგომი წინ-
 ელა სამხრეთ-აღმოსავლეთით, რაც აისახა კიდევაც ადიღეურ ფოლკლორში. ამ
 ფოლკლორული მასალების მიხედვით, ადიღეურ ტომებს, რომლებიც ინალს გა-
 უერთიანებია, მისივე წინამძღოლობით, XV საუკუნეში აფხაზეთი დაეპყრათ.
 მაგრამ, მოულოდნელად ინალი გარდაცვლილა და იგი აქვე, აფხაზეთში დაეპარ-
 ხათ [32]. გადმოცემით, ინალის საფლავი (ინალ-კება) მდებარეობს მდ. ზიფის
 ზემო წელში, ფსხეში, მაღალ მთაზე [33].

ეს ფოლკლორული წყარო, უეჭველად, რეალური ფაქტის ანარეკლია. მარ-
 თალია, XV საუკუნეში აბაზურ-ადიღეური ტომების მიერ აფხაზეთის დაპყრობა
 არ დასტურდება, მაგრამ, შესაძლოა, ხალხმა ადიღეველთა სახალხო გმირის ინ-
 ალის სახელს დაეკავშირა შემდგომი პერიოდის მოვლენები, რომლებიც ძალიან
 ჰგევანან ამ ფოლკლორულ წყაროში აღწერილს. გენუელი ჭინტერიანოს ცნო-
 ბით, 1551 წ. ჭიქების განსახლების ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთით აღ-
 წევდა მდ. ზიფამდე, რომელიც წარმოადგენდა აფხაზეთისა და ჭიქეთის საზღ-
 ვარს [34]. ე.ი. XVI ს. შუა ხანებისათვის ჭიქებს თავიანთი სამფლობელო გაე-
 ფართოებიათ მდ. ზიფამდე. ამავე ხანებში, ჭიქების ექსპანსიის გამო აფხაზეთის
 (დას. საქართველოს) საკათალიკოსო კათედრა ბიჭვინთიდან გელათში იქნა გა-
 დატანილი [35].

ყუბანისპირეთიდან ადიღეური ტომების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში
 ექსპანსიის შედეგად, აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები აბაზების
 ერთი ნაწილი ჩრდ. კავკასიაში გადადის (XIV-XVII სს.), ნაწილი სამხრეთ-აღ-
 მოსავლეთისაკენ მოიწევს და აფხაზეთში იწყებს ჩამოსახლებას. იმავდროულად



გმინარეობს აბაზების ადიღელებთან და აფხაზების აბაზებთან შერწყმის პროცესი [36]. /

აბაზა-ადიღეელთა ჩამოსახლება აფხაზეთში ყოველთვის საომაჩი გზით ჩოლი ხდებოდა. გარდა იმისა, რომ გაჩერქებულ აბაზებს, თუ საკუთრივ აბაზა ტომებს (ჯიჭები, უბიხები და სხვ.) ფაქტობრივად მიტაცებული ჰქონდათ აფხაზეთის მიწა-წყალი გაგრიდან მდ.ზიფამდე, ისინი უმთავრესად მაინც აფხაზთა გავრებისა და თავადაზნაურების, მიწის მეპატრონეთა ნებით სახლდებოდნენ აფხაზეთში როგორც უმიწაწყლო მთიელები. თავადაზნაურობა ხელს უწყობდა მათ ჩამოსახლებას თავიანთ მამულებში. არა მარტო აფხაზეთში, არამედ საეროთ, გვიანფეოდალურ საქართველოში, ფართოდ იყო გავრცელებული მწარმოებელი მოსახლეობის გადმობირება-გადმოსახლება, და არა მარტო ახლო ადგილებიდან, იბირებდნენ და მოჰყავდათ მთიდან, იმიერკავკასიიდან [37]. მთის მბრურ-ადიღეური თემებიდან აფხაზეთში ჩამოსულთ, მთავარი და ადგილობრივი თავადაზნაურები ასასის (აფხ. სტუმარი, შეესაბამება ქართ.ხიზანს) სტატუსით ასახლებდნენ. აფხაზეთში ჩამოსახლებულ მთიელებს, მთავრები უმთავრესად ზღაპრულად იყენებდნენ თავიანთი მიწა-წყლის გაფართოებისათვის ბრძოლას. აბაზები და ადიღეელები ხომ ცნობილი იყვნენ როგორც მამაცი მეომრები, "ცეთუ დასჭირდეთ ვინმეს, ეხმარებიან ესენი ჯარად" [38]. თავის დროზე, ოდნის მთავრებიც ხშირად იყენებდნენ XVI საუკუნეში და XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზ-ჯიჭთა დაქირავებულ ლაშქარს.

XVII-XVIII სს. ქართული და უცხოური წყაროებით, სახეზეა აფხაზეთის სოციალურ-პოლიტიკური წყობისა და კულტურის დაქვეითების ფაქტი. ამ წყაროთა მოწმობით, აფხაზები ყოფითა და სარწმუნოებით ძლიერ ჰგვანან დას.კავკასიის მთის ხალხებს; მათ არავითარი დაწერილი კანონები არ გააჩნიათ და არც მამურლობის გამოყენება იციან; ისინი ციხეებსა და ქალაქებში კი არ ცხოვრობენ, არამედ გვაროვნული დასახლებებით; უმთავრესად მისდევენ მეფოგეობას, და არა მიწათმოქმედებას...[39].

ეს ფაქტები ნათელყოფენ, რომ აფხაზეთში, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფითაა შეცვლილი; ქრისტიანობა მისუსტებულია და წარმოშობაა აღორძინებული; ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიური მეთოდებითაა შეცვლილი; საზოგადოებრივ ცხოვრებაში პატრიარქალური სათემო წყობაა გაბატონებული; სოციალური სტრუქტურა უფრო განუვითარებელ მთის საზოგადოებას შეესაბამება, ვიდრე ბარში გაბატონებულ განვითარებულ მთის საზოგადოებას.



რებულ ფეოდალურ ერთიერთობას; რელიგიური დონეც ამ საზოგადოების შესაფერისია. ასეთი მეტამორფოზა, დაქანება კავკასიის მთის ხალხთა ცხოვრებისა და სარწმუნოების დონემდე, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ იმ ძნელბედობით, რაც თავს დაატყდა საქართველოს XIII-XIV სს. შემდეგ (ფეოდალური მონარქიის დამლა, გარეშე მტრების შემოსევები, ფეოდალური შინაომები და სხვ.), რადგან ყველა ქართული პოლიტიკური ერთეული თითქმის ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მათ შეეძლოთ გამოეწვიათ ქრისტიანობის დაკნინება-დამახინჯება, მეტრნეობის დაცემა, მოსახლეობის გაწყვეტა, ფეოდალური ერთიერთობის პრიმიტიული ფორმების გამოცოცხლება, მაგრამ ეს ასეთი საყოველთაო და ფართო მასის მომცველი ვერ იქნებოდა. ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზი მთის ჩამოწოლაშია საქმენი. მართალია, ეს პროცესი აფხაზეთში ბევრად უფრო ადრე დაიწყო, მაგრამ მისი შედეგები ამკარად გამოჩნდა XV ს-დან, როცა აფხაზეთის მკვიდრმა მოსახლეობამ ველარ შეძლო მთის ჩამოწოლის სათანადო სოციალურ-რელიგიური ათვისება. ჩამოსახლებულმა მასამ წალეკა ადგილობრივი მოსახლეობა. "აფხაზი" უკვე არ არის კულტურულ-ისტორიულად ქართველი. აფხაზთა ტომი ახალი ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა XVII ს. "აფხაზები" კავკასიელი მთიელებია, რომელთაც ვერ ვერ შევთვისებთ ათ ფეოდალური მეტრნეობა, ფეოდალური სოციალური წყობა, ქრისტიანობა. ისინი, თავიანთი პრიმიტიული ყოფითა და წარმართული რელიგიით, ამკარად არ არიან იმ აფხაზთა შთამომავალნი, რომლებიც ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკურ მშენებლობაში მონაწილეობდნენ ქართველურ ტომებთან ერთად. ეს გენეტიკური ხაზი მოსახლეობის ძირითად მასაში, დაბალ ფენებში, გაწყვეტილია და მხოლოდ აფხაზ ფეოდალთა წრეში ჩანს შენარჩუნებული ქართული კულტურული ტრადიციები. აკად. ნ.ბერძენიშვილმა ისტორიოგრაფიაში სპეციალურად შემოიღწა ტერმინი "აწინდელი აფხაზეთი". რითაც შეეცადა გაემიჯნა "ძველი" და "ახალი" აფხაზეთი.

აფხაზეთის ისტორიის კვლევაში ჭაოსი და არეულობა შეიტანა "აფხაზ" და "აფსუა" ეთნონიმების გაიგივებამ. მიჩნეული იყო, რომ "აფსუა" არის ხალხთვითსახელწოდება, ხოლო "აფხაზი" სხვა ხალხების მიერ შერქმეული სახელი. (როგორც ირკვევა, მთის ჩამოწოლის შედეგად აფხაზეთში სახლდებთან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან წამოსული ტომები, რომლებსაც ქართულ წყაროები ჭიჭების, ხოლო უცხოური წყაროები აბაზების კრებითი სახელით იხსენიებენ. ქართული წყაროების ჭიჭებში, გარდა საკუთრივ ჭიჭების (აფხ. საძებ)



ტომისა, იგულისხმება სხვა აბაზა ტომებიც, მათ შორის გაჩერქებულებიც; აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგ, ამ ტომებსა და მათთან ასიმილირებულ აფხაზეთის მოსახლეობას ქართველებმა მექანიკურად ისევ "აფხაზი" უწოდეს, ისინი კი თავიანთ თავს "აფსუსს" უწოდებენ, რაც ეთნონიმ "აბაზას" ფონეტიკური სახეცვლილებაა [40]. ენათმეცნიერებაში აღიარებულია, რომ აფხაზური ენა აბაზურ ენასთან ერთად ქმნის ერთ ენობრივ ერთეულს და მათ შორის მხოლოდ დიალექტური განსხვავებაა [41] / საგულისხმოა, რომ ჩრდილოკავკასიელი ხალხები აფხაზებს (აფსუსა) თავიანთი მებობელი მთის აბაზური თემების სახელებს ეძახდნენ: ყაბარდოელები - "აიბგას", უბიხები - "ზასიხგს", ყარაჩაელები - "ახჩიფსს" [42]. ე.ი. ისინი ამ თემებსა და აფხაზეთის მოსახლეობას ერთ ხალხად მიიჩნევდნენ. /

აბაზურ-ადიღეური ტომების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ექსპანსიის შედეგად, XV-XVI სს. საქართველო კარგავს განაპირა სავრისთავოს, აფხაზეთის მიწა-წყლის ერთ ნაწილს, ტერიტორიას მდ.ნიკოფსიასა და მდ.ზზიფს შორის. იმაედროულად აფხაზები აფართოებენ თავიანთ მიწა-წყალს სამხრეთ-აღმოსავლეთით, რისი შედეგიც იყო XVI-XVII სს. ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის, - მდ.ფსირცხასა და მდ.ლალიძგას შორის მდებარე მიწების, - მიტაცება. ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობა, მთიელი ტომების სისასტიკისაგან თავის გადარჩენის საშველს გააფხაზებაში ზედაედა, რაც მათი ენის, რელიგიისა და ზნე-ჩვეულებების გათავისებით გამოიხატა. ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, დაბალი ფენები, მოისპო, ტყვედ დაიყიდა, ან მონებად აქციეს. საგულისხმოა, რომ ტყვეებისაგან შემდგარ ეუფლებო ადამიანთა კატეგორიის, მონის, აღსანიშნავად აფხაზურ ენაში დამკვიდრდა ეთნონიმი "აგრუა", რაც აფხაზურად მეგრელს ნიშნავს.

ამრიგად, აბაზურ-ადიღეური ტომების აფხაზეთში ჩამოსახლების შედეგად, აქ ჩადიკალური ეთნო-ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ცვლილებები ხდება, რამაც ქართულ სამყაროში აფხაზთა "გაუცხოება" გამოიწვია. ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ფალობდება თანამედროვე აფხაზური (აფსუსა) ეთნოსი.



ქართული
ზიგლონიონი

დაბოთმეგული ლიტერატურა:

1. ნ.ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, მეორე გამოცემა, - საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 608.
2. ბ.ზორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 34.
3. პ.ინგვოროფა. ვიორგი მერსულე. თბ., 1954, გვ. 121 *З.В.Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии(VI-XVII вв.), Сухуми, 1959, гв. 110-111.*
4. პ.ინგვოროფა. იქვე.
5. დ.მუხბელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 144-145.
6. *Абазинь, историко-этнографический очерк, ред. Л.И. Лавров, Черкесск, 1989, гв.16.*
7. *Л.И.Лавров. Историко-этнографические очерки Кавказа. Л., 1978, гв. 41-47; ი.ბიძე, Этнография Кавказа, Л., 1982 гв.69.*
8. *А.Н.Генко. Абазинский язык, М., 1955, гв-9; Х.С.Бгажба. Об абхазских племенах и диалектах, - Труды, кн., I, Сухуми, 1987, гв 117-118.*
9. *ზ.ანნაბაძე, თ.ბოცვაძე, ვ.თოვოშვილი, მ.ცინცაძე. ჩრდილოეთ კავკასიის ზალზთა ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1969, გვ. 76-77, 91-92. Л.Лавров. Этнография Кавказа, гв. 165.*
10. *ჩრდილოეთ კავკასიის ზალზთა ისტორიის ნარკვევები, იქვე. გვ. 97-98. Л.Лавров. იქვე, გვ.69.*
11. *ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს.ყაუხნიშვილის მიერ. - "ქართლის ცხოვრება" ტ. IV, თბ., 1973. გვ. 259.*
12. *ვახუშტი. აღწერა..., გვ. 262, 802-803.*
13. *ე.თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, - კრ: "ძველი საქართველო", ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 132-133.*
14. *პ.ინგვოროფა. ვიორგი მერსულე, გვ. 149-150; З.В.Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, гв. 238.*
15. *ი.ბ. Ф.Брун. Черноморье, ч. II, Одесса, 1880.*
16. *თ.ბერაძე. "ვაჟარი" და "ულაღის" განმარტებისათვის, - "მაცნე", ისტორიის-სერია, 1973, N I. გვ. 122-123.*
17. *ბ.ზორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 46-47.*
18. *ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ.ა.ლოლიძემ, თბ., ტ. II, 1965, გვ. 126.*



19. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ჩვენს დრომდე, ზელნაწერის უფლებით, თბ., 1940, გვ. 287.
20. ნ.ბერძენიშვილი. ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.), საქართველოს ისტორიის საკითხები, წ.1 თბ., 1964, გვ. 139-141; ბლომინაძე. ქართული ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), I, თბ., 1966, გვ. 231.
21. ნ.ბერძენიშვილი. მასალები..., გვ. 593; ბლომინაძე, იქვე.
22. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ქართული თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ.კეჭელაძისა, თბ., 1961, გვ. 42-45; ნ.კეჭელაძის კომენტარი, გვ. 23.
23. თ.ყაუხჩიშვილი. სტრამბონის გეოგრაფია, თბ., 1957; გუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, - "ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955, გვ. 156-157; პინჯოროვსკი. ვიორგი მერხულე, გვ. 125.
24. Д.Гулиа. История Абхазии, - Собрание сочинений, т.6, Сухуми, 1986, გვ. 188; შიადრიაძე, მთური კომპონენტების საკითხისათვის "აფხაზთა სამეფოს" პოლიტიკურ სტრუქტურაში, კრ: საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983, გვ. 22.
25. ვახუშტი. აღწერა..., გვ. 284; მ.ხვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990, გვ. 111.
26. Т.Н.Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 105-106.
27. მცნება სახელულო, - ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ.: 1970, გვ. 222.
28. საქართველოს სიძველენი. ე.თაფიშვილის რედ., ტ. I, ტფ., 1920, გვ. 26.
29. Л.И.Лавров. Историко-этнографические очерки Кавказа, გვ. 41-47.
30. ბლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. I, გვ. 209.
31. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ვ.აღასანიამ, თბ., 1980, გვ. 42; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 811.
32. Ш.Б.Ногмов. История адигейского народа, Нальчик, 1947, გვ. 54-55.
33. Г.Ф.Чурсин. Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957, გვ. 32.
34. იხ. Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, т. I, Сухуми, 1937, გვ. 24-25.
35. ბლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I გვ. 180.
36. ბ.ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 134-138.



37. ნ. ბერძენიშვილი. ბორჯომის ხეობა, გვ. 238.
38. ხელნაწერთა ინსტიტუტი, II-607.
39. ამის შესახებ დაწერილებით იხ. ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის უბიძგორობა, XV-XVIII სს., გვ. 83-86.
40. П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание, I. Абхазский язык. Тифлис, 1887, გვ. 78-79.
41. К. В. Ломтатиძე. Абхазский язык, Языки народов СССР, -4, М., 1967, გვ. 123.
42. Ш. Д. Инал-Ипа. Абхазы. Историко-этнографические очерки, Сухуми, 1965, გვ. 46.

ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და ჯიქეთის შესახებ

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს. აქ დაცული ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების სრული გამოყენებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ამ თხზულების გეოგრაფიული ნაწილის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზი. ჩვენ უკვე კრიტიკულად განვიხილეთ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი კუთხეების შესახებ [1]. წინამდებარე ნაშრომი ასეთი კვლევის გაგრძელებას წარმოადგენს.

ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთის აღწერას საქართველოს ამ მხარის სახელწოდების ეტიმოლოგიით და ზოგად ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვით იწყებს. „ზოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, - წერს ვახუშტი ბაგრატიონი, - პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინათგან წილი ეგრისისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრევე, არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ ეწოდეს აბასა, ზოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა ემეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე“ [2].

„ეგროსის წილში“ ვახუშტი ბაგრატიონი გულისხმობს იმ ტერიტორიას, რომელიც, ლეონტი მროველის მიხედვით, ლეგენდარულ ეგროსს თარგამოსისაგან ერგო... „ზოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვს ყურისა, - ვკითხვლობთ ლეონტი მროველის „შეფეთა ცხოვრებაში“, - და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვან ლიხი; დასავლით ზღუა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ [3].

ლეონტი მროველის თხზულებიდან ამ ნაწყვეტში „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ მდ. ყუბანს შეესაბამება. ასე რომ, ლეონტი მროველის აზრით, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონიც ეთანხმება, თავდაპირველად ეგრისი მთელ აღმოსავლეთ მაკედონისპირეთს მოიცავდა, რაც სასუსებით მისაღებ მოსაზრებას წარმოადგენს.

„განდგომამში“ ვახუშტი ბაგრატიონი გულისხმობს კიდევ ერთ ეპიზოდს ლეონტი მროველის თხზულებიდან, როდესაც ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის აზონზე სრული გამარჯვების შემდეგ „ეგრის წყალს ქუემოთ ღარჩა ბერძენ-

თა, რამეთუ მკვიდრთა მის აღგილისათა არა ინებეს განდგომო-ბერძენითა" [4]. როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, თავდაპირველად, შემდეგდროინდელი აფხაზეთი ეგრი მოდგმის დასავლურ ქართულ ტერიტორიად იყო დასახლებული და უშუალოდ ეგრისის შემადგენლობაში შედიოდა. მხოლოდ მოგვიანებით, საგელისხმოა, აღნიშნულ ტერიტორიაზე აფხაზური მოდგმის ტომების გამოჩენის შემდეგ, ჩამოყალიბდა აფხაზეთი. ზოგადად ეს მოსაზრება, რასაკვირველია, სწორია. მხოლოდ ეჭვს იწვევს ამ პროცესის ქრონოლოგია. როგორც დავინახეთ, ვახუშტი ბაგრატიონს ამოსავალ წერტილად ქართლის სამეფოს შექმნა მიაჩნია. ქართლის სამეფოს შექმნა და შესაბამისად "ეგრის წყალს" ქვემოთ მოსახლეთა განდგომა", თუ ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, ძვ.წ. III ს. დასაწყისით თარიღდება, მამინ როდესაც აფხაზური მოდგმის ტომები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ ახ.წ. I-II სს-ში არიან პირველად დამოწმებულნი.

ასევე არაა ზუსტი ჩვენი ავტორი, როდესაც მას "აბასა" მიაჩნია აფხაზეთის ბერძნულ სახელწოდებად. სინამდვილეში ბერძნები აფხაზს "აბასკოი"//... "აბას-ხოი"// "აბასგოი" სახელით მოიხსენიებდნენ და აფხაზეთს "აბასგაის" უწოდებდნენ. მხოლოდ თურქები ეძახდნენ აფხაზეთს და აფხაზებს "აბაზას" [5].

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბაგრატიონის "აბასა" ამ თურქულ ტერმინს უფრო წააგავს, ვიდრე შესაბამის ბერძნულ სახელწოდებებს.

აფხაზეთს ვახუშტი ბაგრატიონი ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე შავიზღვისპირეთის ერთ მონაკვეთს უწოდებს. "ზოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: - წერს იგი - აღმოსავლეთით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასილამ ჩამოსული ზღუამდე; დასავლეთით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჭიქეთის დასავლეთის; ჩრდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამკრით ზღუა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიილამ კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღუდამ კავკასიის თხემამდე" [6].

ანაკოფია დღევანდელი ახალი ათონია. ახალი ათონი, უფრო ზუსტად "ნოვი ათონი" ამ ადგილს გასული საუკუნის 70-80-იანი წწ-იდან ეწოდა, როდესაც აქ ათონის პანტელეიმონის სახელობის რუსული მონასტრის მეტოქი ანუ ფილიალი დაარსდა, რომლის მიზანს აფხაზების ქართველებისაგან სულიერი დამორჩევა წარმოადგენდა.

საკუთრივ ანაკოფია ვახუშტი ბაგრატიონს ოდიშის შემადგენლობაში შეჰყავს. "ცხოშის დასავლეთით არს ანაკოფია - წერს ვახუშტი ბაგრატიონი ოდიშის



აღწერის დროს - და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასიისა და მდინარე...
 ზღვსა ვგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვსა...
 არს ქალაქი ანაკოფია... საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა" [7].

ანაკოფიის "მდინარე მცირე" არის დღევანდელი მდ.ფსირცხა, რომელიც კავკასიონის ქედის ერთ-ერთი განშტოების მთა ხიცუმის სამხრეთ ფერდობზე იღებს სათავეს და რამდენიმე კილომეტრის შემდეგ, ახალი ათონის (ძველი ანაკოფიის) ჩრდილო-დასავლეთით ეერთდება ზღვას. ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე მთის კალთა უშუალოდ ემიჯნება შავ ზღვას. სწორედ ეს არის "ანაკოფიის დასავლეთ მცირე მთა კავკასილამ ჩამოსული", რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის შრიტ გამოყოფს აფხაზეთს ოდიშისაგან.

აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის გადმოცემის დროს ვახუშტი ბაგრატიონი არ ასახავს მისი დროის, XVIII ს-ის პირველი ნახევრის სინამდვილეს. სახელოვანმა მეცნიერმა ძალზე კარგად იცის, რომ XVIII ს-ის დასაწყისში აფხაზეთს უკვე დაპყრობილი ჰქონდა ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი და აფხაზეთის სამთავროს საზღვრები სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ.ენგურამდე თუ არა, მდინარე დალიძგამდე მაინც ვერცელდებოდა. ამ შემთხვევაში ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს XV ს-ის 80-90-იანი წლების ვითარებას, როდესაც საქართველო საბოლოოდ დაიშალა სამეფო-სამთავროებად [8].

როგორც ირკვევა, მდ.ფსირცხას მარჯვენა ნაპირის მომიჯნავე ქედი რჩებოდა სასაზღვრო მიჯნად აფხაზეთსა და ოდიშს შორის XVI ს-ის 20-30-იან წლებშიც. ამას მოწმობს ერთი თურქი მზვერავის მოხსენებითი ბარათი თავისი მთავრობისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: "ქვევით ხეობაში ქუთაისის ქვეყანაა, უფრო ქვევით არის გურია, რომელიც ტრაპიზონს ესაზღვრება. იმის იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა. იგი ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან ეშვება იალბუზის (იგულისხმება კავკასიონის მთავარი ქედი, - თ.ბ.) მთის კალთა. იმის იქით კი არის აფხაზეთის ქვეყნები" [9]. ეჭვს გარეშეა, რომ თურქი მზვერავის "მთის კალთა", რომელიც ამ დროს "დადიანის ქვეყანას" ანუ ოდიშს "აფხაზეთსა ქვეყნებისაგან" გამოყოფდა სწორედ შემოხსენებული ის მცირე მთაა, რომელიც მდ.ფსირცხას მარჯვენა ნაპირს მიუყვება.

აფხაზეთის დასავლეთ, უფრო ზუსტად, ჩრდილო-დასავლეთ მიჯნად, როგორც დავინახეთ, ვახუშტი ბაგრატიონი "კაპეტის მდინარეს" ანუ მდ.ბიფს მიიჩნევს, თუმცა ძალზე კარგად იცის, რომ შედარებით ადრეულ ხანაში აფხაზეთის საზღვრები ბევრად უფრო ჩრდილო-დასავლეთით მიდიოდა. ამ შემთხვევაშიც,



ვახუშტი ბაგრატიონი, საფიქრებელია, XV ს-ის 80-90-იანი წლების ვითარებას გადმოგვცემს. ყოველ შემთხვევაში, ცოტა მოგვიანებით, XVI ს-ის 50-იან წლებში წყაროების ცნობით, აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ.ზნის სექტორზე გადის [10].

ასე რომ, ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთს იძლევა იმ საზღვრებში, რომელიც ამ მხარეს ეკავა XV ს-ის 80-90-იან წლებში, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის დროისათვის. "კაპეტის მდინარე" არ არის ერთადერთი მდინარე, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთში ასახელებს. "ზოლო ანაკოფიის დასავლით დის ალაკოს წყალი. - წერს ვახუშტი ბაგრატიონი, - გამოსდის კავკასის და მიერთვის ზღვას ჩრდილოდამ. ამ ალაკოს წყლის დასავლით დის ზუფუ მდინარე, გამოსდის კავკასს, დის სამჯრით, მიერთვის ჩდილოდამ ზღვას. არ ზუფუ მცირე ჭალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელ მყარობლობს აფხაზეთა, არავის მორჩილებასა შინა მყოფი. ამ ზუფუს დასავლით დის მუწის-წყალი, გამოსდის კავკასსავე, მოერთვის ჩრდილოდამ ზღვას. ამ მუწის-წყლის დასავლით არს ბიჭვინტას ეკლესია დიდი... ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას, კავკასსა, გამოვლის სუანეთს, ალანსა და მას ქუეითთა ორს კავკას-მორისთა და მოერთვის აქა ჩრდილოდამ ზღვასა" [11].

91

ღღესისათვის, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთში აერთიანებს, მდინარეთა სახელწოდებანი მთლიანად განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, როგორც ირკვევა, სახელოვანი მეცნიერი საკმაოდ სწორად გადმოგვცემს იმ სახელწოდებას, რომელსაც ამ რეგიონის მთავარი მდინარეები შესაუკუნეებში ატარებდნენ.

ვახუშტის თხზულებიდან ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში მოხსენიებული აფხაზეთის ორი მდინარე ილორის წმ.გიორგის ხატის 1651 წლის ცნობილი წარწერის ტექსტში გვხვდება. "მას ეამსა ოდეს მიუკედით შარვაშიძესა ზუფუს, მუწე წყალსა აქათ ავაოკრეთ" - ვკითხულობთ აქ - "კიდევ მეორედ მიუკედით ზუფუ-კაპოეტის წყალს აქათ სრულებით ავაოკრეთ და სადაცა სიმარე იყო, ავიღო და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარანიები და გაგვემარჯუა" [12].

1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე აფხაზეთის მხოლოდ ერთ მდინარე "კაპოეტის წყალია" დატანილი. აქვე დატანილია დასახლებული პუნქტი "ალაცე" [13]. ეს სახელი ეხშიანება ვახუშტი ბაგრატიონის "ალაცე"



წყალს". მსგავსი სახელი "აღზას" ფორმით XVII ს-ის მეორე ნახევრის კავკასიის ერთ თურქულ რეკაზზეც გვხვდება [14].

როგორც ვხედავთ, ილორის წმიდა გიორგის ხატის წარწერაში და 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რეკაზე აფხაზეთის მდინარეთა სახელები ოდნავ განსხვავებული ფორმით გვხვდება, ვიდრე ვახუშტი ბაგრატიონთან. ბუნებრივია ისმის კითხვა, თუ რომელ სახელწოდებას უნდა მივცეთ უპირატესობა.

ერთადერთი წერილობითი წყარო, სადაც აფხაზეთის ზოგიერთი მდინარის სახელი ვახუშტის თხზულებაში მოცემული ფორმით მეორდება, არის ნიკო დადიანის "ქართველთა ცხოვრება", რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებშია დასრულებული. "ზოლო საზღვარი აფხაზეთისა არს... ვკითხულობთ ამ თხზულებაში, - დასავლეთით ზღვა და კაპეტის მდინარე... სიგრძე ამისი არს ანაკოფილამ კაპეტის მდინარემდე... ზუფუს დასავლეთ არს მუწის-წყალი". ამავე დროს იქვე ნიკო დადიანი "კაპეტის მდინარის" ნაცვლად კაპეტის წყალს ახსენებს: "ამის ქვემო სდის კაპეტის წყალი... ჩიქეთის საზღვარი არს აღმოსავლეთით კაპეტის წყალი" [15].

ნიკო დადიანის თხზულების პირველი ნაწილი, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად ვახუშტი ბაგრატიონის "აღწერა სამეფოსა საქართველოსას" შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს. ამიტომ აფხაზეთის მდინარეთა სახელების იმავე ფორმით მოხსენიება, როგორც ვახუშტისთან, სრულებითაც არაა გასაკვირი. პირიქით, აქ "კაპეტის მდინარესთან" ერთად "კაპეტის წყალის" მოხსენიება უცნაურად გამოიყურება. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ნიკო დადიანი უფრო ახლოა რეალობასთან ვიდრე ვახუშტი. მართლაც, თავისი "ცხოვრების" მეორე ნაწილში, რომელიც სრულიად ორიგინალურ თხზულებას წარმოადგენს, ერთ ადგილას ნიკო დადიანი, 1821 წელს აფხაზეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით აღნიშნავს "კაპეტის წყალის პირსა ზედა დავებანაკეთ" [16].

ასე რომ, ვახუშტი ბაგრატიონთან შედარებით უპირატესობა უნდა მივიანიჭოთ მდინარეთა იმ სახელწოდებებს, რომლებიც ილორის წმიდა გიორგის ხატის წარწერაში და 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რეკაზე გვხვდება. ესენია: "ალატეს წყალი", "ზუფუს წყალი", "მუწის წყალი" და "კაპეტის წყალი".

სოფელ "ალატეს" დღეს ააცი ეწოდება, ხოლო ალატეს წყალი არის დღევანდელი მდ.აფსთა, იგივე ბაკლანოვკა. "ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საოფელი შარვაშიძეთა", არის დღევანდელი ლიხნი, ხოლო ზუფუს-წყალს დღეს ხუფსთა ეწოდება. მუწის წყალს დღეს მჭიმთას ეძახიან, ხოლო კაპეტის წყალს,

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს მდ.ზღიფი ეწოდება.

პირველი სამი მდინარე შედარებით სწორად აქვს ჩვენ ავტორს მოცემული რაც შეეხება მდ. "კაპოეტის წყალს" ანუ მდ.ზღიფს, აქ ვახუმტი ბაგრატიონს მიმე შეეძლომები აქვს დამეებული. მისი აზრით, ეს მდინარე გამოისდის რაქის მთას", "გამოვლის სუანეთს, აღანს". ფაქტობრივად მდ. "კაპოეტის წყალის" ანუ ზღიფის სათავეში ვახუმტი ბაგრატიონს გაერთიანებული აქვს მდინარეების ცხენისწყლის, ენგურის, კოდორის და საკეთრიე მდ.ზღიფის სათავეები. ვახუმტის შეეძლომის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ მდ.ზღიფი გამოდის უღელტეხილ აღანგესთან ბევრად უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით იმ ადგილიდან, სადაც ეს მდინარე შეე ზღვას შეერთვის.

ვახუმტი ბაგრატიონი დიდ ყურადღებას აქეევს ბიქვინთას. "მუწის წყლის დასავლით არს ბიქვინტას ეკლესია დიდი, - წერს ჩვენი ავტორი - დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვს კიდესა ზედა. ეს აღაშენა იესტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა, პირველ იყო საეპისკოპოზო, ეამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და აწ არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ზეცის ამარად...ამას ვგონებ ნიკოფსიად, და ეკლესიასაცა მასზედ აღშენებულსა მისთვის, ვინამთგან ნიკოფსიას დაფლულ არს მოციქული სკობონ კანანელი" [17].

ბიზანტიის იმპერატორის იესტინიანე I-ის (527-565) მიერ აფხაზეთში ტაძრის აგების შესახებ პირველი ცნობა მოეპოვება VI ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს, რომელიც აფხაზთა გაქრისტიანების ამბის ბოლოს საგანგებოდ აღნიშნავს, რომ "მამინ იესტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღეთისმშობლის ტაძარიც ააშენა" [18].

პროკოპი კესარიელის ცნობა აფხაზთა გაქრისტიანების შესახებ გამეორებული აქვს მის უმცროს თანამედროვეს, ბიზანტიელ ისტორიკოსს ევავრი სქოლასტიკოსს: "იესტინიანემ აბაზგების ქვეყანაში ღეთისმშობლის ტაძარი ააგო დაუყენა მათ მღვდელ-მსახურნი" [19]. ევავრიდან ეს ცნობა ამოღებული აქვს XI ს-ის ქართველ საეკლესიო მწერალს ეფრემ მციერს, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ "აფხაზთათვის ევავრე ეპიტანესი საეკლესიოსა მოთხორობას შინათვისსა აღწერს... და იტყვის ესრეთ... იესტინიანე ტაძარ წმიდისა ღმრთის მშობლისაა აღაშენა აფხაზეთს შინა და მღვდელნი დაადგინა მას შინა" [20].

იჩვევა, რომ ვახუმტი ბაგრატიონი არ იცნობდა ზემოთ მოყვანილ ავტორთა თხზულებებს და ცნობა ბიზანტიის იმპერატორის მიერ აფხაზეთში ტაძრის აგების შესახებ უფრო გვიანი ხანის ისტორიკოსის ნაშრომიდან აქვს ამოღებუ-



ლი. ამ ისტორიკოსს იგი თვითონვე აღნიშნავს, შესაბამის ადგილას, თაყვისაჲს თხზულების ამიანზე: "ზარონია სწერს; კვისარმან იუსტინიანემ აღაშენა ეკლესიაჲ აფხაზეთს წელს ჭრისტესა 529". ეს არს ბიჭვინტის ღვთისმშობლისა, რომელ იქნა განყოფისა ზოსროვანთასა, რაეამს ფარსმან ერჩდა სპარსთა და ძენი მირდატისნი - ბერძენთა. ამით ჩანს, ვინადგან მირდატის ძეთა აღარ ეპყრათ. ფარსმანს მიუღეს კვალად ვგრისის მდინარის იქითი ბერძენთა" [21].

ფარსმანში ჩვენი ისტორიკოსი გვლისხმობს მისივე ანგარიშით "ლ ვ" ქართლის მეფეს ფარსმანს, რომლის დროსაც მისივე ცნობით "განიყვნენ ნათესაენი გორგასლისნი: ფარსმან ერჩდა სპარსთა, ხოლო ძენი მირდატისანი ბერძენთა" [22].

ვახუშტი ბაგრატიონი ცდებდა, როდესაც მის დროს და დღესაც ბიჭვინთაში მდგარ X-XI სს-ის ღვთისმშობლის ეკლესიას იუსტინიანეს ეპოქაში აგებულ ტაძრად მიიჩნევს. მით უფრო ვერ იქნებოდა ბიჭვინთაში დღეს მდგარი ტაძარი ბიჭვინთის ეპისკოპოსთა რეზიდენცია, რომლის ერთ-ერთი პირველი ეპისკოპოსი სტრატოფილე 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის არის მოხსენიებული. ბიჭვინთაში არქეოლოგებმა რამდენიმე ადრექრისტიანული ეკლესია შეისწავლეს. მათ შორის არის საძებნი სტრატოფილე ეპისკოპოსის დროინდელი საყდარიც და იუსტინიანეს მიერ აგებული ტაძარიც. დღეს ბიჭვინთაში მდგარი ეკლესია საფიქრებელია აიგო, როგორც აფხაზეთის კათალიკოსის მთავარი რეზიდენცია. საფიქრებელია, რომ აფხაზეთის კათალიკოსები, საქართველოს ერთიანობის ხანაში, მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთის მღვდელ-მთავრებს წარმოადგენდნენ, რომელიც თავის ასეთ ტიტულს მხოლოდ ღველი ტრადიციის გამო ატარებდა. მხოლოდ 1470-1474 წლებიდან "შენება სარჯელის" შექმნის შემდეგ ეს ტიტული აღნიშნავდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს, რომელსაც მთელი დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები დაექვემდებარეს. XVI ს-ის შუა წლებში აფხაზეთის კათალიკოსების რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში იქნა გადატანილი [23]. ამის შემდეგ ბიჭვინთა თანდათან დაუაროვლად და როგორც სამართლიანად შენიშნავს ჩვენი ბატონიშვილი, XVIII ს-ის პირველ ნახევარში ეს ტაძარი იყო მხოლოდ "ზუციის ამარად".

ვახუშტი აშკარად ცდებდა, როდესაც იგი ბიჭვინთას ნიკოფსიასთან აიგივებს და თვლის, რომ ბიჭვინთის ტაძარი სვიმონ კანანელის საფლავზეა აგებული. ამისდა მიუხედავად, ვახუშტი ამ მოსაზრების გამოთქმისას ალბათ ითვალისწინებდა მის დროისათვის არსებულ მთელ რიგ გადმოცემებს.



ნიკოფსია ანუ ნიკოფსისი, რომელიც იდგა შავი ზღვის პირას, ამავე სახელწოდების მდინარის მარცხენა ნაპირას, კარგადაა ცნობილი ქართველ ფეოდალთა საზღვარი ვერ ვგრძობთ, იგივე აფხაზთა სამეფოსა და ჭიქეთს შორის, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ ერთიან ქართულ მონარქიასა და ჭიქეთს შორის მდ.ნიკოფსიას დღეს ნეგეფსუბო ეწოდება, ხოლო ნიკოფსიას ნოვაია მიხაილოვკა. ეს პუნქტი მდებარეობს ტუაფსის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 40 კმ.-ის დაშორებით. ამჟამად იქ მხოლოდ ციხის ნანგრევებია შემორჩენილი, რომელიც თავისი მშენებლობის ტექნიკით ძალზე წააგავს VIII-IX სს-ის საქართველოს ციხე-სიმაგრეებს.

შუა საუკუნეებში ნიკოფსია თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთის სკმონ კანანელის განსვენების ადგილად ითვლებოდა, რომელმაც ანდრია პირველწოდებულთან ერთად I ს.-ში ქრისტეს სჯული საქართველოში იქადაგა. ამის შესახებ ცნობა უპირველეს ყოვლისა მოიპოვება თბუღლებში, რომელსაც "მიმოსულა და ქადაგება ყოვლად ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრეასი" ეწოდება, სადაც ვკითხვლობთ: "შიერ წარემართა ნეტარ იგი და ბოსფორის ქალაქად, რომელ იგი არს კიდესა ექესინი ზღვისისა, მახლობლად ქუყანისა ტაჭრო გუთთასა და დიდისა მის ტბისა, რომელსაც მეოტ ეწოდების, სადაც არს ლუსკუმი რომელსა ზედა სწერია სახელი სკმონ მოშერნისა, ხოლო სკმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფსე ქალაქი აფხაზეთისა და ჭიქეთისა" [24].

წმიდა ანდრიას მიმოსულის შესახებ ქართული გადმოცემა ეხმინება შემდეგ ეპიზოდს წმ.ეპიფანეს ცხოვრებიდან (X ს.): "ქალაქ ბოსფორში გვიჩვენეს წმინდა მოციქულთა ტაძრის საძირკველზე დამარბული ლუსკუმი წარწერით "სიმონ მოციქული". მასში წმინდა სხეულის დიდი ნაწილებია დაცული, რომელთაგან ზოგი რამ ჩვენც მოგვცეს, ხოლო მეორე საფლავი არის ჭიქეთის ქალაქ ნიკოფსი-ში, მასზედ წერია "სიმონ კანანელი" და ისიც შეიცავს წმინდა ნაწილებს" [25].

სიმონ კანანელის ნიკოფსიაში დაკრძალვის ამბავი კარგად იყო ცნობილი საქართველოშიც. ძველი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი მეფე ადერკის ხანის ისტორიის გადმოცემის დროს აღნიშნავს, რომ "ამისვე ადერკის მეფობისა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სკმონ კანანელი აფხაზეთს და ვგრძობს და მუნ აღესრულა წმიდა სკმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისა" [26].

ქართველებს ძალზე ეამაყებოდათ, რომ ქრისტიანობა მათ ქვეყანაში ანდრია



მოციქულმა იქადაგა, ხოლო მასთან მყოფი სემონ კანანელი საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში აფხაზეთში იყო დაკრძალული. ეს იყო ერთ-ერთი არგუმენტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურობის დასაბუთებლად. ერთ-ერთ დისპუტზე ბიზანტიამ XI ს-ის შუა წლებში, როდესაც საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის კანონიკურობა ეპვის ქვეშ დააყენეს, ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა სიმაყით განაცხადა: “წმიდაო მეუფეო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებულის ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მიერ მოქცეულნი და განათლებულნი და ერთი წმიდა თორმეტთა მოციქულთაგანი სემონს ვიტყვ კანანელსა ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების”. აქვე იგი დასძენდა, რომ “ნიკოფსს არიან ნაწილნი მისნი წმიდანი” [27].

XIV-XV სს-ში თანდათანობით დასუსტდა საქართველოს ძლიერება ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. აქ მოსახლე ჯიქები მორჩილებიდან გამოვლენ და საქართველოს სანაპიროების აოხრება დაიწყეს. ამას ქართველები დამსჯელი ექსპედიციებით პასუხობდნენ, რომლის დროსაც ნადავლად სამშობლოში ეკლესიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ნივთებიც მოჰქონდათო. ეს კარგად ჩანს ვამეყ II დადიანის (1384-1396) ჯიქეთში ლაშქრობიდან, რომლის დროსაც ქართველებმა ეკლესიის მორთელობანი სამშობლოში წამოიღეს, როგორც ამის შესახებ ზობის ეკლესიის სამხრეთის მინაშენის ლაპიდარული წარწერა გვამცნობს: “შაშინ მოიღო სვეტნი და ფიქალნი ესე მარმარილოსანი” [28]. ქართველების ამგვარი ქცევა სრულებითაც არ იყო გასაკვირი. ჯიქეთში ქრისტიანობა თანდათანობით სუსტდებოდა და აქ დატული საეკლესიო ნივთები უპატრონოდ რჩებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართველები მშვიდობიან ხანაშიც ეზიდებოდნენ ქრისტიანულ რელიქვიებს თავიანთ ქვეყანაში, რათა ისინი დღლუპვისაგან გადაერჩინათ. ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ყველაზე ძვირფას ქრისტიანულ რელიქვიას სიმონ კანანელის წმიდა ნაწილები წარმოადგენდა. საფიქრებელია, რომ ქართველებმა პირველ რიგში ამ ნაწილების უზიფათო ადგილზე გადასასვენებლად იზრუნეს.

ნიკო დადიანი “ქართველთა ცხოვრებაში” ადერკის მეფობის ისტორიის გადმოცემის დროს აღნიშნავს: “ამ ჟამსა მოვიდნენ მოციქულნი ანდრია და სიმონ კანანელი... ანდრიაჲ მოაქციენა მეგრელნი და წარვიდა, ხოლო სიმონ მიიქვალა მენგრელიასა შინა და დაფლეს ნიკოფსიას, “სადა დღეს ეწოდებენ ანკოფიას” [29].



ნიკო დადიანი ცდება, როდესაც ორ ქალაქს ნიკოფსიასკე და უნაფსიას ერთმანეთში აიგივებს. ამ შეცდომის მიზეზი მხოლოდ სახელწოდებების გარეგნული მსგავსება არ იყო. ნიკო დადიანმა კარგად იცოდა, რომ ანაკოფიაში მის დროს იყო სიმონ კანანელის სახელობის ეკლესია, სადაც გადმოცემით ამ მოციქულის ნეშთი ინახებოდა. ნიკო დადიანის გარდა გასულ საუკუნეში ანაკოფიაში ასეთი ეკლესიის შესახებ ცნობებს გვაწვდიან მ.სელეზნიოვი და პ.უვაროვა [30].

უნდა ვიფიქროთ, რომ XIII-XV სს-ში, როდესაც ჭიჭეთში ქრისტიანობა მოიშალა, ქართველებმა აღესკვა სიმონ კანანელის ნეშთით ნიკოფსიიდან ანაკოფიაში გადმოსვენეს და იქ ერთ-ერთ ძველ ეკლესიაში დაკრძალეს. საფიქრებელია, რომ ამ გადმოსვენების შესახებ რაღაც ცნობა ჰქონდა ვახუშტი ბაგრატიონს, მაგრამ მან არ იცოდა თუ რომელ ეკლესიაში დაასვენეს ქრისტეს მოციქულის ნეშთი და ნაწილები და მანაც შეცდომით ასეთ ეკლესიად ბიჭვინთის ტაძარი ჩათვალა.

დაპირფარებული ლიტერატურა:

1. თ.ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, მისივე. ვახუშტი ბაგრატიონი რაჭის შესახებ. - ი.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და საისტორიო საზოგადოების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, ამბროლაური, 1972, მოხსენებათა თეზისები; მისივე. ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან (ვახუშტი ბაგრატიონი ლეჩხუმის შესახებ), - მაცნე, ისტორიის... სერია, 1976, N3; მისივე. რაჭა, თბ., 1983.
2. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, - ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყუხუხიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 783-784.
3. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყუხუხიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 5.
4. იქვე. გვ. 24.
5. თ.გვანცელაძე. კვლავ ეთნონიმ "ამხა ზისა" და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ - საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართუ

- ლი ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 581-590.
6. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა... გვ. 784.
 7. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა..., გვ. 781.
 8. თ. ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფია, თბ., 1993, გვ. 54.
 9. თურქული წყაროები XVI ს. I მუთხელის სამე-ხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 57.
 10. ბ. ზორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 63.
 11. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა..., გვ. 787.
 12. კ. გრიგოლია. ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, - ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 1942, XIII, გვ. 157.
 13. შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ევოლუციური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, - ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 192.
 14. ქათამ ზელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. - თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ვიული ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 57.
 15. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 151-152.
 16. იქვე, გვ. 210.
 17. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 784-785.
 18. გეორგიკა. მიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 136.
 19. გეორგიკა, ტ. III, გვ. 297.
 20. ეფრემ მცირე. უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელ წიგნთა შინა მოიქნენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბურჯანაძემ, თბ., 1959, გვ. 11.
 21. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა..., გვ. 784.
 22. იქვე, გვ. 116.
 23. ბ. ლომინაძე. ქართული ევოლუციური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიუბი) თბ., 1966, გვ. 186.
 24. ვობრონ საძინინი. საქართველოს სამოთხე, პეტერბურდი, 1882, გვ. 36.
 25. მ. თამარაშვილი. ქართული ეკლესიის ისტორია, თბ., 1995, გვ. 169; გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1941, გვ. 58-59.
 26. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38.



- 27. ვიორჯი მცირე. ცხოვრება ვიორჯი მთაწმინდელისა. - ძველი ქართული ავტოგრაფიული ძეგლები, I. თბ., 1967, გვ. 164.
- 28. ე.თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოვ ზაურობიდან ხამვერტელამდე ქართველსა. ქართველი, III, თბ., 1913-1914, გვ. 133.
- 29. ნ.დადიანი. ქართველი ცხოვრება.
- 30. М.Селезнев. Руководство к познанию Кавказа, кн. I, СПб., 1847, გვ.65-66; П.С. Уварова. Кавказ: Абхазия, Аджария, Шавшетия. Путевые заметки, М., 1893, გვ. 17.



აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XIX ს-ის პირველ ნახევარში

თანამედროვე აფხაზები გენეტიკურად ორი სხვადასხვა ეთნიკური ხალხისაგან შედგება: საკუთრივ აფხაზების ანუ ძველი ქართველებისაგან და აფხაზების ანუ ძველი ადიღე-ჩერქეზებისაგან (უპირატესად აბაზებისაგან). ამიტომაც, რომ აფხაზთა ამ ნაწილის თვითსახელი "აფსუა" მხოლოდ გვიან (XVI ს-დან) გაჩნდა აფხაზთა იმ ნაწილის ცნობიერებაში, რომელიც აფხაზეთში ჩრდილო კავკასიიდან (მდ. ყუბანისპირეთიდან) არის ჩამოსული.

კოლხეთ-ეგრისის სახელმწიფოებში შემავალი აფხაზეთის ქართველური (ანუ გენეტიკურ-კულტურულად მათი თანამომემე) ტომების (მენიოხ-სანიგების, კოლების, კორაქსების, მოსხების, აფშილების, აბაზებისა და მისიმიანების) ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრები ერთ დროს შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთში ნიკოფსია - მდ. ყუბანამდე აღწევდა.

ძველი აფხაზების ქართველურობას მოწმობს მათი ნებაყოფლობითი და უმტკივნეულო გაერთიანება დანარჩენ დასავლეთ ქართველურ ტომებთან "აფხაზთა სამეფოში", რომლის მართვა-გამგეობა, ღვთისმსახურება, საქმისწარმოება, სწავლა-განათლება და სხვა ქართულ ენაზე, ქართული კულტურისა და ქართული პოლიტიკის საფუძველზე წარმოებდა. სხვათა შორის, "ლეონიდების" გარდა "აფხაზთა სამეფოს", IX ს-ის მეორე ნახევარში, სვანი შავლიანები განაგებდნენ.

აფხაზეთში აფხაზების გვიანმოსულობის პირდაპირი მაჩვენებელია ის, რომ მათი კვალი არ ჩანს აფხაზეთის უძველეს ტოპონიმიკაში. ასევე შუა საუკუნეების აფხაზეთის - მრავალრიცხოვან ეკლესია-მონასტრების ფრესკულ, ჯვარ-ხატურ და სხვა წარწერებში, "ბიჭვინტის იადგარში", აფხაზეთის საეკლესიო-სამონასტრო დაეორებში, აფხაზეთის საკათალიკოსო სამწყსოს მეკომართა აღწერებში, სხვადასხვა "შეწირულობის წიგნებში": ეკლესია-მონასტერთა ყმა-მამულების წესებში, ეკლესია-მონასტერთა მღვდელ-მსახურების სიებში და სხვა წერილობით ძეგლებში. ყველა მათგანში ქართველები იხსენიებიან. ისმის საკითხი - აფხაზები რომ აფხაზეთის ძველი მოსახლეობა და მით უფრო ქრისტიანები ყოფილიყვნენ, მაშინ რანაირად შეიძლებოდა ეს მატერიალური კულტურის ამდენ ძეგ-



ლსა და წერილობით წყაროში არსად არ ასახელიყო?!

საერთაშორისო, რომ აფხაზეთში აფსტატთა ჩამოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან რამოდენიმე ნაკადად განხორციელდა, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ნაკადი - საქართველოს პოლიტიკური დამლის (XV-XVIII სს.) პერიოდში იყო. დასუსტებული და დამლილი საქართველო, ერთი მხრივ, თურქ-ოსმალთა გარემოცვასა და გავლენაში მოექცა, ხოლო, მეორე მხრივ, მას ჩრდილო კავკასიის ტომები შემოესივნ. მართალია, XVI საუკუნეში აფხაზეთის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ ოდიშ-საბედლიანოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ შემდეგ ის თურქ-ოსმალეთმა დაიქვემდებარა და ოდიშისაგან განაცალკევა. საქმე ამით როდი დამთავრდა. ოსმალთა წაქეზებითა და უშუალო დახმარებით აფხაზეთის მესვეურები (შერვაშიძეთა მეთაურობით) დროდადრო ესხმოდნენ თავს სამეგრელოს და ნაწილ-ნაწილ იერთებდნენ. XVII ს. 80-90-იან წლებში სუსტარ (სოესტან) შერვაშიძის მეთაურობით აფხაზეთმა ჯერ მდ.ენგურამდე დაიპყრეს სამეგრელოს ტერიტორია და მოსახლეობა, ხოლო შემდეგ ცენტრალურ სამეგრელოსაც შეუტიეს. თუ კოლხეთ-ეგრისის სამეფოების დროს ქართველების (სვანო-კოლხების ანუ ეგრო-სუანებისა და მესხების) ეთნიკური საზღვრები ტუაპსე-გუბანამდე ვრცელდებოდა, შემდეგ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარე - ტუაპსე-სოჩა-ადღერის მიდამოები აღიღე ჩერქეზებმა (ჩიქ-საძ-ქამგებმა, უბიხებმა და სხვა) დაიპყრეს და მთელი აფხაზეთის ხელში ჩაგდებასაც ლაშობდნენ, მაგრამ ქართველთა მედგარი წინააღმდეგობის გამო ეს პროცესი ნელა ან საერთოდ ვერ ხორციელდებოდა. გარკვეული ტერიტორიების (უპირატესად მთების) დაკავებას მაინც ახერხებდნენ და შესაძლო შემთხვევაში ზღვის სანაპირო-დაბლობისაკენაც მოიწევდნენ.

XVII საუკუნის ბოლოს აფხაზეთის (ჯერ კიდევ ქართული პროვინციის) მთავრის (ზეგნაყის) შვილებმა როსტომმა, ჭიჭეშიამ და ყვააქმ თავიანთი სამფლობელო სამ ნაწილად დაჰყვეს: ეფროსს - როსტომს ერგო აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარე მდ.კოდორამდე; სამუალოს ჭიჭეშიას - კოდორსა და მდ.ლალიძგას შორის; ემცროსს - ყვააქს - ლალიძგასა და მდ.ენგურს შორის, რომელსაც ყვააქს შვილის მერზაყანის სახელის მიხედვით "სამერზაყანო" ეწოდა. XVIII ს-ში აფხაზეთში ახალი სამფლობელოც შეიქმნა გემას (ამ ქართულ ტოპონიმს აფსუებმა გემისტა ეწოდეს) სახელწოდებით, რომელიც მდინარეების გემასა და კოდორს შორის ტერიტორიას მოიცავდა. რასაკვირველია ამ სამფლობელოსაც შერვაშიძის ფეოდალური სახლის წევრი მართავდა.



XVII საუკუნემდე აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობაზე თითქმის არაფერი
 თარი კონკრეტული მონაცემი არ მოგვეპოვება. პირველი, ვინც ეწინააღმდეგება
 ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას ეხება, არის XVII ს 40-იანი წლებში აღწერილი
 მოგზაური ველია ჩელები, მაგრამ მისი მონაცემები ზოგადი და არაზუსტია და
 კონკრეტულ წარმოდგენას არ იძლევა [1].

ველია ჩელების ცნობები აფხაზეთის რეალური სურათის დასადგენად ვერ
 გამოდგება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ავტორი არ არკვევს, თუ ვინ იგულისხმება
 აბაზეში (ერთი შეხედვით, ველიას "აბაზა" თითქოს აფხაზთა სამეფოს ტერიტორიას
 და საზღვრებს ეხება!?). თუ ველია აბაზეში ნამდვილ აფხაზებს გულისხმობს,
 მაშინ საკითხავია - საიდან მოიცავდნენ ისინი 25 ტომს, კერძოდ: ჩაჩების,
 არლანების (?), ჩანდების(?) გეჩიების (?), ართის (?), საძის(?), კამშის (?) სოჩას
 (?), ჯმბას(?) ბუზდუკის(?), ესევიშის(?), ამლილის (?), სოეკ სუს, კეთასის(?)
 ფუმრბის (?), ახიფსის (?) ბსლბს (?), ვაი ფილას (?), ალაკარიშის (?), ჩმაკუ-
 რის(?), ტომს და სხვა [2]. მეორეც, თუ აბაზაში საკუთრივ აფხაზეთი იგულისხ-
 მება, მაშინ საიდან მოიცავს მისი საზღვრები (XVII საუკუნეში) ტერიტორიას
 ანაპასა და მდ.ფაზისს ანუ რიონს (მდ.ფამას) შორის; მესამე, ველია ჩელების
 არც რაოდენობრივი მონაცემები ასახავს აფხაზეთის რეალურ სურათს, რადგან
 ის ცრუ ოცდახუთ ტომზე და მცდარ საზღვრებზეა აგებული; მეოთხე, ველია ზო-
 ციერითი ტომის (?) მებრძოლთა რაოდენობას მიუთითებს, ზოგსაც სულადობ-
 რივ. ამასთან, ეს რაოდენობაც ვილაციის ნაამბობს, ან ზერელე შთაბეჭდილებას
 ეყარება, რაც კარგად ჩანს იქიდანაც, რომ ამა თუ იმ "ტომის" რაოდენობა ყო-
 ველთვის დამრგვალებულია: "ათიათასიანი ტომია", "სამი ათასი მამაცი მცხოვ-
 რებია", "ათასი კაცია", "ორი ათასი კაცია", ოთხი ათასი კაცია", და ა.შ.

როგორც ველია ჩელების მოგზაურობის წიგნიდან ჩანს, აბაზას ქვეყნის ტე-
 რიტორიასა და მოსახლეობაში ერთიმეორეშია არეული სამეგრელოს, საკუთრივ
 აფხაზეთისა და ადიღე-ჩერქეზეთის მხარეები და მათი მოსახლე ქართველები
 (მეგრელები და სხვ.), აფსუები, სამ-ჯიქ-უბიხები, აბაზები და, საერთოდ, ადიღე-
 ჩერქეზები. სხვანაირად შექცობილია საკუთრივ აფხაზეთში 25 ტომისა და იმ-
 ჯენი მცხოვრების, დაახლოებით 600 ათასის, არსებობა, რამდენსაც ველია
 ვითავაზობს, ზოგან მებრძოლთა და ზოგან მოსახლეთა სახით. კაცმა, რომ
 იქვას, იმდენ ტომს, მებრძოლსა თუ მოსახლეს, რამდენსაც ველია ასახელებს აბ-
 ზაში (აფხაზეთში?!) უცნაური სახელწოდებებისა და აღამიანთა ჯგუფების სა-
 ხით, მთელი დასავლეთ საქართველოს და ადიღე-ჩერქეზეთის მოსახლეობაც



ძლივს უღრიდა. ამიტომ ევლიას მონაცემებს ამოღდ ეჭიდებიან თანამედროვე აფხაზი მკვლევარები: - აფსუათა და თუნდაც მთელი აფხაზეთის მონახლეობის რაოდენობის საჩვენებლად ის არ გამოდგება. ამის თაობაზე შემთხვევითი რადი აღნიშნავს მკვლევარი ა.თოთაძე: "ევლია ჩელების ცნობები აფხაზთა რაოდენობის შესახებ ვერაფერს კრიტიკას ვერ უძლებს. და, საერთოდ, მოგზაურის შთაბეჭდილებანი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისათვის არ გამოდგება" [3].

აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობასა და ეთნიკურ შემადგენლობაზე XIX ს-ის მეორე ნახევრამდე, სამწუხაროდ, არავითარი სანდო მონაცემი არ მოგვეპოვება.

გამოჩენილი ეკონომისტის, აკადემიკოს პ.გუგუშვილის დაანგარიშებით XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთის მთელი მოსახლეობა დაახლოებით 30 ათასს, ხოლო 1832 წელს 34,8 ათასს სულს უღრიდა [4].

ზ.ანჯაბაძის მიხედვით XIX ს. დასაწყისში აფხაზეთის მოსახლეობა 100 ათასს სულს შეადგენდა [5], რაც ძალზე საეჭვოა, რადგან არავითარი საამისო მონაცემი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. როგორც ჩანს, პატივემღელი მეცნიერი აფხაზეთის მოსახლეობას მთელ დასავლეთ საქართველოს ან ჩერქეზეთს მიათვლის, მაგრამ ამ შემთხვევაშიც 100 ათასი გადაჭარბებული ჩანს.

აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე უშუალო და პირდაპირი მითითება XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ მოგვეპოვება. ასეთი სურათი მხოლოდ XIX ს.80-იანი წლების კამერალური აღწერიდან ჩანს, მაგრამ ისიც რუსი მოხელეებისა და აღმწერების მიერ საგანგებოდ შეცვლილი და არეული. ზოგიერთი თანამედროვე აფხაზი მკვლევარის მიხედვით აფხაზთა (აფსუათა!?) რაოდენობა 600 ათასს უღრის, მაშინ როცა ამდენს მთელი დასავლეთ საქართველო ვერ შეადგენდა.

მიუხედავად სათანადო მასალის სიმწირისა, პირველი ნახევრის აფხაზეთის ეთნიკური სურათის დაახლოებით დადგენა მაინც შესაძლებელია აფხაზეთის სხვადასხვა თემისა და სოფლის ეკლესიებში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების კომისიის შედგენილი სიების საფუძველზე.

თურქეთისაგან განთავისუფლებულ და რუსეთის მიერ დაპყრობილ აფხაზეთში დღის წესრიგში დადგა გამაჰმადიანებული, აგრეთვე წარმართი (მოუნათლავი) აფხაზების ქრისტიანად მონათვლის საკითხი. XIX ს- 30-იან წლებში ლიხნის ანუ ლეხენის (ორივე ტოპონიმი ქართულია) თემის მოსახლეობა სიამ



დაახლოებით 400-მდე კომლი ანუ შემდეგი გვარეულობები ირიცხებოდა [6].
 საყურადღებოა ისიც, რომ აფხაზეთის ცენტრში, სადაც სავარაუდოდ იყო ფეოდალური მოსახლეობის სიჭარბე (რადგან გედაუთა მათ ცენტრად ითვლებოდა ისინი) ქართველების შესამდნს თუ შეადგენენ.

მოსახლეობის ეთნიკური თანაფარდობის შხრივ ქართველები კიდეც უფრო მეტს შეადგენენ ე.წ. "აბუეის საზოგადოებაში" ანუ კოდორის უბანში, რომლის სოფლებში კვიტოულში, ტამიშში, კინდლში, შქაწყარში, მოჭვეში, ხინოში და სხვა-გან. მაგალითად, კვიტოულში ქრისტიანად მონათლული 156 სულიდან აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები არიან (ორიოდე აფსუა თუ ურეცია). ასეთივე სურათია ტამიშის თემშიც, სადაც მრავალ ქართველთა შორის რამდენიმე აფსუა ოჯახი ცხოვრობდა. ასევე იყო კინდლში, შქაწყარში და სხვა სოფლებში [7].

შეი ზღვის სანაპირო ზოლის უფროსის ვიცე-ადმირალ სერებრიაკოვის 1844 წ. მოხსენებიდან ვგებულობთ, რომ სოფ.აფიციხეში ? 300-მდე კომლი ცხოვრობდა, მათ შორის: აფიბაია, კვიციხია, ჭივისბაია, თარბაია, ბაზირბაია, ცხონდია, დარგიბაია, სვანიშაია, დუბარი, ჭყონია, ხეცია, კანკია, ფიფინავა, ცურგუშია, სურმაეა, ყურუა, ჭედია, კვატამი, გვარდაეა, ჩიგვაეა და სხვა [8].

აფხაზეთში ქართველთა განსახლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ისიც, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი გვარეულობის ფორმა მეგრულია. ისინიც, ვინც აფსუური წარმომავლობისა ჩანან, გამეგრელებული ანუ გაქართველებული იყვნენ, რასაც მოწმობს მათი გვარჩამომავლობის ფორმაც, კერძოდ: აფიბაია, ჭივისბაია, თარბაია, ბაზირბაია, დარგიბაია და სხვ. დანარჩენები აქაც ქართველები არიან, რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ, მაგალითად: კვიციხია, ცხონდია, სვანიშაია, ჭყონია, ხეცია, კანკია, ფიფინავა, სურმაეა, ყურუა, ჭედია, კვატამი, გვარდაეა, ჩიგვაეა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩამოთვლილ სოფლებში შედარებით მეტი აფსუური წარმომავლობის გვარი ურეცია, ისინი ქართველების რაოდენობას მაინც ვერ შეადგენენ.

ქართველთა და აფსუათა თანაფარდობის შხრივ თითქმის თანატოლი სურათი გვაქვს გედაუთის დერიფშის თემში, სადაც დაახლოებით 400-მდე კომლი ცხოვრობდა და ძირითად მოსახლეობას კობახია და გუმბა შეადგენდნენ [9].

ჩანს, წებულდამი გვიან დაარსებულ ზოგიერთ მცირერიცხოვან სოფელში აფსუები ქარბობდნენ. ასეთთა შორის იყო კოდორის უბნის სოფელი კვასკემიწა

(სოფლის ეს ქართული სახელწოდება XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფსუბმა "აკეასკით" შეცვალეს), სადაც ძირითადად აფიზიას გვარისანი ცხოვრობდნენ. აქ საყურადღებოა ის, რომ ამ გვარსაც მეგრული ფორმე კველა, მეფეფაველ იმისა, რომ ის ევქველად აფსუბური ანუ აბაზური წარმომავლობისაა. სამაგიეროდ გუდაუთის სოფ. მაზუხეში (ბარმიშის თემში) უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, მაგალითად, კობახია, ევანია, თორია, და სხვა. ასეთივე ვითარება იყო სოფ. ლეხინოში (ეს ქართული სახელწოდება ამჟამად გამქრალა), რომლის მცხოვრებლები იყვნენ: გგვია, ქორთუა, თარბა, შალაგვა, გიცრია, სვანძი, სვანიშია, ჭიკირბაია და სხვა (აქ აფსუბური მხოლოდ თარბა და ჭიკირბაიაა) [10].

აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას რომ ქართველები წარმოადგენდნენ, ამას მოწმობს 1837 წელს მონათლულთა სიებიც. მაგალითად, იგივე კვიტოელის თემში ცხოვრობდნენ: ჭილია, თორია, წუნარია, ვრბაია, კოგიფია, მატუა, ყურშია, თუთამზია, ჭანბაია, ლატარია, კვინრია, კვიციონია, ეანგერია, ჭინჯოლია, აგრიბა, ჟონბუა, კვარტაეა, კარსაბაია, ზურცილაეა, კვაკვაეა, ჩიგია, კოლონია, გიცბაია, გერსამია, ლადარია, ჭეღია, შეყრილოვ, ლეინჯია, ანუა, პაქიჭი, ხალეაში, ოშიშხია და სხვა [11].

იმავე წელს სოფ. ხინოში აღირიქებენ: მარღანია, ჩაბალურხვა, ლაკრობაია, შეყრილოვ, აღშიბაია, ცისბაია, გუბელია, გვაყაეა, კვაეი, ბაგშლია, კიკია, ბიშანბაია, კაბუხია, კირიბზია, ლაკეა, გაბუნია, საქანია, ბიგვა, ცურკუჩი, გუნბაია, პაპასკირი, სულანძია, საგულია, კვაკეასკირი, ჩარგაზია, ცისბაია, ლადარია, ლატარია, საკორია და სხვა [12].

მოქვის თემში ცხოვრობდნენ: მესხია, თარბაია, ფოჩქერია, არდამელია, გუნია, ჭინჯოლია, პაქკორია და სხვ., ფოქვეშის თემში: ანჩაბაძე, აღშიბაია, ტანია, ჭინჯოლია, ფაჩელია და სხვ., სოფელ შქაწყალში: მარღანია, ევანია, შაშუგია, ჩხეტია, ბოჩირი, ანასუ და სხვ., სოფ. თხინაში: სალახია, მახარობლიძე, ჩაჩხალია, ჭაჭია, სალაყია და სხვ., სოფელ ათარაში: თუთამზია, ლატარია, კვიწინია, ჭანუნბაია, შიბაია, კარბაია, თანია, შხანუკია და სხვა [13].

თუ XIX ს. 20-30 იანი წლების სიებს დავაკვირდებით, ადვილი დასანახია, რომ აფხაზეთის თემებისა და სოფლების: ლიხნის, კვიტოელის, ხინოს, მოქვის, ფოქვეშის, შქაწყალის, თხინას, ათარის და სხვათა მცხოვრებ გვარეულობათა შორის აფსუბური გვარები 15-20 პროცენტს ძლივს შეადგენენ. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ მათი უმეტესი ნაწილი გამეგრელებულ-გაქართველები იყო (ფაქტობრივად მეგრულად მეტყველებდნენ და მეგრული ფორმის



გვარს ატარებდნენ), მაშინ გამოდის, რომ მათი რაოდენობა კიდევ ნაკლები იყო. ზემოაღნიშნული მონაცემები ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთის ისტორიულ მოსახლეობას ქართველები წარმოადგენდნენ და მათი კომპაქტური განსახლება არა მარტო კოდორამდე აღწევდა, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ ბზიფამდე. მეორე მხრივ, ჩანს, რომ გვიან საუკუნეებში აფხაზეთში შემოსახლდნენ აფსუა-აბაზთა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და გააფხაზდნენ, ანუ გამეგრელ-გაქართველდნენ, რისი უტყუარი მაჩვენებელია ზემოთ ჩამოთვლილ აფსუერ გვარეულობათა მეგრული გამოხატულებაც. ამასთან, აფხაზეთის მოსახლეობაში აფსუათა უმცირესობის მაჩვენებელია ისიც, რომ ისინი მეგრულად მეტყველებდნენ და მეგრული ფორმის გვარსახელსაც ატარებდნენ. ისინი რომ უმცირესობა არ ყოფილიყვნენ და საზოგადოებაში დაქვემდებარებული ადგილი არ სჭეროდათ, მაშინ აღნიშნულს ადგილი არ ექნებოდა. სხვათა შორის, შუა საუკუნეების აფხაზეთში შეინიშნება აგრეთვე სვანების თანდათან გამეგრელებაც. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, გვარეულობათა - მარლიანის (მარლანის) გადაქცევა მარლანიად, მარშიანის - მარშანიად, ჩხეტიანის - ჩხეტიად, კვიციანის - კვიცინიად, სვანის - სვანიშიად და ა.შ.

**იხ. აფხაზეთის ზოგიერთი თემის
გვარების სია**

Handwritten notes in the top margin, possibly a title or header.

Main body of handwritten text in the top section, organized into several columns.

Main body of handwritten text in the middle section, organized into several columns.

Main body of handwritten text in the bottom section, organized into several columns.

1870
1871
1872
1873
1874
1875
1876
1877
1878
1879
1880
1881
1882
1883
1884
1885
1886
1887
1888
1889
1890
1891
1892
1893
1894
1895
1896
1897
1898
1899
1900

1870
1871
1872
1873
1874
1875
1876
1877
1878
1879
1880
1881
1882
1883
1884
1885
1886
1887
1888
1889
1890
1891
1892
1893
1894
1895
1896
1897
1898
1899
1900

1870
1871
1872
1873
1874
1875
1876
1877
1878
1879
1880
1881
1882
1883
1884
1885
1886
1887
1888
1889
1890
1891
1892
1893
1894
1895
1896
1897
1898
1899
1900

1870
1871
1872
1873
1874
1875
1876
1877
1878
1879
1880
1881
1882
1883
1884
1885
1886
1887
1888
1889
1890
1891
1892
1893
1894
1895
1896
1897
1898
1899
1900

1870
1871
1872
1873
1874
1875
1876
1877
1878
1879
1880
1881
1882
1883
1884
1885
1886
1887
1888
1889
1890
1891
1892
1893
1894
1895
1896
1897
1898
1899
1900

1920
1921
1922

Handwritten notes in vertical columns, likely bleed-through from the reverse side of the page.

Handwritten notes in vertical columns, likely bleed-through from the reverse side of the page.

Handwritten notes in vertical columns, likely bleed-through from the reverse side of the page.

Handwritten notes in vertical columns, likely bleed-through from the reverse side of the page.



19
 20
 21
 22
 23
 24
 25
 26
 27
 28
 29
 30
 31
 32
 33
 34
 35
 36
 37
 38
 39
 40
 41
 42
 43
 44
 45
 46
 47
 48
 49
 50
 51
 52
 53
 54
 55
 56
 57
 58
 59
 60
 61
 62
 63
 64
 65
 66
 67
 68
 69
 70
 71
 72
 73
 74
 75
 76
 77
 78
 79
 80
 81
 82
 83
 84
 85
 86
 87
 88
 89
 90
 91
 92
 93
 94
 95
 96
 97
 98
 99
 100

1
 2
 3
 4
 5
 6
 7
 8
 9
 10
 11
 12
 13
 14
 15
 16
 17
 18
 19
 20
 21
 22
 23
 24
 25
 26
 27
 28
 29
 30
 31
 32
 33
 34
 35
 36
 37
 38
 39
 40
 41
 42
 43
 44
 45
 46
 47
 48
 49
 50
 51
 52
 53
 54
 55
 56
 57
 58
 59
 60
 61
 62
 63
 64
 65
 66
 67
 68
 69
 70
 71
 72
 73
 74
 75
 76
 77
 78
 79
 80
 81
 82
 83
 84
 85
 86
 87
 88
 89
 90
 91
 92
 93
 94
 95
 96
 97
 98
 99
 100

1
 2
 3
 4
 5
 6
 7
 8
 9
 10
 11
 12
 13
 14
 15
 16
 17
 18
 19
 20
 21
 22
 23
 24
 25
 26
 27
 28
 29
 30
 31
 32
 33
 34
 35
 36
 37
 38
 39
 40
 41
 42
 43
 44
 45
 46
 47
 48
 49
 50
 51
 52
 53
 54
 55
 56
 57
 58
 59
 60
 61
 62
 63
 64
 65
 66
 67
 68
 69
 70
 71
 72
 73
 74
 75
 76
 77
 78
 79
 80
 81
 82
 83
 84
 85
 86
 87
 88
 89
 90
 91
 92
 93
 94
 95
 96
 97
 98
 99
 100



?!
?

ზოგიერთის აზრით, რაკი საქმე მონათელის მასალებთან გვაქვს, ამიტომ ის ვერ ასახავს აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ თანაფარდობას, რისთვისაც ჩვენს მხრიდან უნდა ვთქვათ, რომ ქრისტიანად მხოლოდ ქართველები ინათლებდნენ და არა სხვები, რაც მართალი არ არის. ყველა მასალიდან ჩანს, რომ აფხაზეთის ყველა მკვიდრი (ქართველი იყო ის, აფხაზი თუ სხვა) ერთნაირად ინათლებოდა ქრისტიანად იძულებით თუ ნებაყოფლობით. *საოცარია კაცო?*

მართალია, ჩვენს მიერ მიკვლეული და ჩამოთვლილი მასალები მთლიანად არ ამოწერავს მთელი აფხაზეთის გეარჩამომავლობას, მაგრამ კარგად გამოხატავს აფხაზეთის მოსახლეობის ზოგად სურათს. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს მიერ მოძიებული დოკუმენტები აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებამდე (მუშაჯირობამდე) ვითარებას ასახავს და აფსუებისა და ქართველების ისტორიულ თანაფარდობის დინამიკას სწორად გამოხატავს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ აფხაზეთში მსახური რუსი სამხედრო ოფიცრის მიერ 1863 წ. დაწერილ ნარკვევში, რომელიც კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის გენერალ კარსკოვის მიერაა დამოწმებული, ნათქვამია, რომ ზღიფის მთისწინეთის მიწების დიდი ნაწილი თავისი მოსახლეობით ქართველ მეფეთა და სამეგრელო-გურჯისტის მფლობელთა მიერ იყო ნაწყალობევი ბიჭვინთის ეკლესიისა და სიმონ კანანელის მონასტრისადმი [14]. ამასთან, ამ მონასტრის ყმა-მამულების ნუსხების შედარება თანამედროვე აფხაზეთის გეარებთან ერთად კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ აფხაზეთის ძველი მოსახლეობა წარმომართ ქართველები იყვნენ (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი დღეს აფსუობას ჩემულობს).

თუ აფსუები მართლაც აფხაზეთის ოდინდელი მკვიდრი ქრისტიანები იყვნენ, როგორც ამის დამტკიცებას თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსები ლამობენ, მაშინ როგორ შეიძლება იმის ახსნა, რომ ამდენი ადგილობრივი ეკლესია-მონასტრის, მათი გეარ-ხატებისა და შემკულობის წარწერებში ან მათთან დაკავშირებულ სხვა მრავალრიცხოვან წერილობით ძეგლებში, ისინი არსად მოხვდნენ?!

მათი ხსენება ძველ წერილობით ძეგლებში არსად არის, მაშინ როცა იქ ასახული არიან ისეთი პირებიც, რომლებიც უცხო მხარის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ პირდაპირი თუ ირიბი დამოკიდებულება ჰქონდათ აფხაზეთთან და მის ქრისტიანულ ცენტრთან.

რასაკვირველია, აფხაზეთის მოსახლეობის ქართველთაობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი ძირძველი მიწა-წყლის უძველესი და შემდეგი დროის ტოპონიმია.



ყველაფერი ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ აფხაზების აბსოლუტური უმრავლესობა ძველთაგანვე ქართველები იყვნენ, მაგრამ გვიან შუა საუკუნეებში მათ დაემატა ეთნიკური ჯგუფებიც შვერიენ (მაგალითად, აფსუა-აბაზები, უბიხები, სარწმუნოები და სხვ.), რომელთაც დამხვედური ხალხისა და ქვეყნის სახელი "აფხაზი და აფხაზეთი" შეითვისეს და დაისაკუთრეს.

როგორც ითქვა, XIX ს. 80-იან წლებამდე აფხაზეთის მოსახლეობის ზუსტი მონაცემები არ გაგვანჩია. მაგრამ 1810 წლიდან (რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის დაპყრობის შემდეგ) მეფის სამხედრო მოხელეები დროდადრო მაინც აგროვებდნენ და აღრიცხავდნენ ცნობებს მოსახლეობის რაოდენობის, განწყობის, სარწმუნოებისა და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ.

შედარებით დაზუსტებული და სარწმუნო ცნობით XIX ს. შუახანებში აფხაზეთის მთელი მოსახლეობა დაახლოებით 65-70 ათასამდე სულს უდრიდა [15]. აფხაზეთის მოსახლეობის ასეთივე რაოდენობაა (65 ათასი სული) ნაჩვენები აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერეაშვილის 1863 წლის წერილში - კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის გენერალ კარცოვისადმი [16].

XIX ს. 60-იანი წლების მონაცემებით, რომელიც საადგილმამულო ურთიერთობასა და საგლეხო რეფორმასთანაა დაკავშირებული, აფხაზეთის ზეთივე აღმინისტრაციულ ერთეულში სულ 72.373 სული ირიცხებოდა, აქედან 1. წებულდის საბოქაულოში: თავადი (მარშანია) 186 სული (95 მამრი, 91 მდედრი); აზნაური 522 სული (279 მამრი, 243 მდედრი); თავისუფალი გლეხობა ("ანხა-ვი") 7.909 სული (4084 მამრი, 3725 მდედრი); ყმა გლეხი ("აგირვა") 1.163 სული (622 მამრი, 541 მდედრი); მონა ("ახეშალა") 665 სული (288 მამრი, 377 მდედრი). სულ მთლიანად წებულდამი 10.346 სული [17].

სათანადო კრებულში გამოქვეყნებული მონაცემებით წებულდამი ცხოვრობდა 7.808 თავისუფალი გლეხი, ხოლო 1.916 სული ყმა გლეხი (როგორც ჩანს, აქ ყმა გლეხები და ე.წ. მონები ერთ გრაფაშია მოქცეული) [18]. ცხრილში ისეა ნაჩვენები, თითქოს წებულდის ყველა მცხოვრები მაჰმადიანია.

2. ზიფის ოკრუგში აღირიცხა 18970 სული, რომელთაგან 15850 მაჰმადიანადაა ნაჩვენები. ჩანს, "მაჰმადიანში" იგულისხმება მოუნათლაეი ანუ ე.წ. წარმართიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ზიფის ოკრუგის მოსახლეობის ნაჩვენებელ ციფრს შენიშვნა ქრთვის, რომელშიც ნათქვამია, რომ მათი ნაწილი უბიხები, ჭიჭები, ფსხუელები და სხვა, ე.ი. არააფხაზები იყვნენ (რა თქმა უნდა გვიან ჩასახლებულები) [19].



3. აბევის ოკრუგში სულ აღირიცხა 6449 სული. ამ მონაცემის სარწმუნოების ჩვენება არ ახლავს [20]. საგელისხმოა, რომ ემრავლესობას ქრისტიანები შეადგენდნენ, რადგან ძირითადი მასა ქართველები იყვნენ.

4. სოხუმის ოკრუგში სულ 15421 სული აღირიცხა (აქაც და დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულებშიც ლაპარაკია დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობაზე ანუ "თავისუფალ მეთემეებსა" და ყმებზე), აღნიშნულთაგან 11898 მაჰმადიანადაა ნაჩვენები, ხოლო 3523 ქრისტიანად (ეტყობა, ქრისტიანად მხოლოდ ისინია ნაჩვენები, ვინც ახლად იყო მონათლული და არა ის, ვინც მონათლული არ იყო და ასეთად თვლიდა თავს. ეს უკანასკნელებიც მაჰმადიანებისადმი მიმატებული) [21].

5. სამურზაყანოს საბოქაულოში ცხოვრობდა ("პიომი", "მოინალე" და "მოჯალაბე" - ერთად) 21.397 სული, რომელთაგან მხოლოდ 21 სული იყო მაჰმადიანი, დანარჩენი ყველა ქრისტიანია. რაც უეჭველად იმაზე მეტყველებს, რომ ეს პირწმინდად ქართული რაიონი იყო (ე.ი. მაჰმადიანობა არ მიიღეს და მონათლული იყვნენ [22].

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გ.ძიძარიაც იძულებულია აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა სწორად უჩვენოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ის თარიღს მაინც ცვლის. მაგალითად, წერს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა 64189 სულს უდრიდა, მაგრამ არა XIX ს. 60-იან წლებში, არამედ XIX ს-ის 30-იან წლებში, როდესაც ფაქტობრივად მხოლოდ ამის ნახევარს უდრიდა [23].

საბოლოო ჯამში, XIX ს. 60-იან წლებში (მუშაჯირობამდე) აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი მაჰმადიანადაა ნაჩვენები (ამაში შედიან ე.წ. წარმართებიც).

როგორც ყველაფრიდან ჩანს, აფხაზეთის მოსახლეობა რეფორმებამდე და მუშაჯირობამდე (XIX ს. დასაწყისთან შედარებით) ერთი-ორად გაიზარდა მაჰმადიანების ხარჯზე, რაც აგრეთვე იმის მაჩვენებელია, რომ კავკასიის ომის დროს, თურქეთში მისწრაფების გამო, ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანები მოაწყდნენ აფხაზეთს (შეე ზღვას), რათა აღქმულ ქვეყანაში წასულიყვნენ.

საარქივო დოკუმენტებიდან (რომლებიც მეფის მოხელეთა მიერაა შედგენილი და კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში დადასტურებული) ჩანს, რომ აფხაზეთის მფლობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გენეტიკურად ქართული წარმომავლობის იყო, მათ შორის: აფხაზეთის მთავრები შარვაშიძე ანუ შერვაშიძე (მათ შორის აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ოჯახი უკვე



ქეორონეჟი (ცხოვრობდა), ხარაზია, ჯოჭუა, მარგანი (მარლანია), გუბლია, ჩაბი-
ბაია, მარშანი (მარშანია), ურუმაძე, ჭითანაუა, ინალიშვილი, ჭინჭოლია, კონჭე-
ვიძე, სიმონია, გაბლია, ანაბაძე, ქერციკიძე, დოტია, ნაყოფია, გულუა, ჯაფარიძე,
დია, ხაზალია, მერცხელაუა, ბიგვაუა, ლოლუა, შარია, გაგულია და სხვ. [24].
აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი თავადის ან აზნაურის წოდებისა არ იყო, მაგ-
რამ თავისი ერთგულების გამო რუსეთის მიერ მფლობელის პრივილეგირებული
გვარის უფლებით იქნა ცნობილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავისი კოლონიზატორული
ინტერესების გამო აფხაზეთის მკვიდრი მოსახლე ქართველები რუსმა მოხელეებ-
მა იმთავითვე ქართველებად (ამაში მხოლოდ ქართველ გულისხმობდნენ), იმერ-
ლებად, გურულებად, მეგრელებად, სამურზაყანოელებად, სვანებად, ლაზებად
და სხვებად დაყვეს, ხოლო აფხაზები (რომელთა უმრავლესობა აგრეთვე ქართ-
ველები იყვნენ) ზიფელეებად, წებელდელებად, აბეჟებად, სამურზაყანოელებად,
ფსხველებად, უბიხებად, ჭიჭებად, აიგებებად, შჩიპსებად და ა.შ. სხვა სიტყვებით
რომ ეთქვათ, რუსული ოფიციალური ნომენკლატურით აფხაზეთის მოსახლეობა
ხელოვნურად “ადგილობრივ” და “არაადგილობრივ”, აფხაზ და “არააფხაზ” ნა-
წილებად დაიყო, მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი გამახვილდა ე.წ. “წე-
ბელდელებზე”, რომლებიც მეტისმეტი ურჩობით ხასიათდებოდნენ.

ყველაფერი ეს თავიდანვე “დაყავი და იბატონეს” - პოლიტიკას ემსახურებო-
და, რათა იმპერიას აფხაზეთი და მთელი შავი ზღვა ჩაეგდო ხელში. ამ მიზანს ემ-
სახურებოდა აგრეთვე აფხაზეთში უბიხ-ჭიჭების ანუ ჩერქეზების წინააღმდეგ გა-
ათრებული ბრძოლაც.

აფხაზეთში დაბანაკებული რუსი ოფიცრები შემფოთებული იყვნენ ადიღე-
ჩერქეზეთიდან და ტეაფსე-სოჩა-ადღერის მზრიდან ადიღე-ჩერქეზების შემოსე-
ვით. მრავალთაგან ერთ-ერთ “რაპორტში”, რომელსაც გაგრაში დაბანაკებული
გარნიზონის უფროსი პოლკოვნიკი ესპეხო აწერს ხელს (1839 წ.), ლაპარაკია
იმაზე, რომ უბიხებმა, შჩიპსებმა, აიგებებმა და ფსხველებმა ამოწყვეტეს სოფ.დუ-
რაიფშის რამდენიმე მოსახლე, გაიტაცეს ადამიანები, პირუტყვი და სხვა ქონება
და დიდ ვნებას აყენებდნენ გარნიზონს [24]. ასეთივე შინაარსის სხვა “რაპორტ-
ში” ასახულია ჩერქეზთა შემოსევა გაგრასა და ზიფში და სხვაგან. ამიტომ აფ-
ხაზეთში დაბანაკებული რუსი ოფიცრობა უმაღლეს ჩინოსნებს შველას და ადგი-
ლობრივი ძალების გაძლიერებას თხოვდა [25].

რასაკვირველია, ასეთ შემოსევებსა და აფხაზეთის შავიზღვისპირეთში დამ-



კვიდრებას განსაკუთრებით სისტემატური და ფართო ხასიათი შქონდა აღრე - რუსეთის მიერ აფხაზეთის დაკავებამდე, როდესაც ქვეყნის მუსულმანური ფალთა უთანხმოების გამო საქართველო სხეადასხვა ნაწილებად იყო გახლეჩილი, თურქეთისა და ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანები კი შთელ საქართველოს გადაშენებით ემუქრებოდნენ, როდესაც მუზობელი ადილე-ჩერქეზები (უმეტესად უბიხები, ჭიქები, აბაძახები, აბაზეები და სხვა) დროდადრო იკავებდნენ და ეფულე-ბოდნენ აფხაზეთსა და მის მიმდებარე ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიებს.

დასაშვებელი ლიტერატურა:

1. ველია ჩელეპის "მოვ ზაურობის წიგნი". ვ.ფუთურიძის გამოც., ტ. I, თბ., 1971.
2. იქვე გვ. 100-106.
3. ათოთაძე. აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995 გვ. 61.
4. პ. გუგუშვილი. სოციოლოგიური ეტიუდები, II, თბ., 1971, გვ. 351-352. ✓
5. З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария, А. Э. Куправа. История Абхазии. Учебное пособие, Сухуми, 1986, გვ. 72.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ხაისტორიო არქივი (სეხსა). ფონდი 488, აღწერა 1, საქმე 3741; აღწ. 2, ხ. 5056. (იხ. წარმოდგენილი ხიები, რომელთაც ე. წ. საქართველო-იმერეთის სინოდის წევრი, ცაგერის არქიმანდრიტი ანტონი და რამდენიმე მღვდელი აწერენ ხელს).
7. სეხსა. ფონდი 488, საქმე 3741, ფურც. 14-15, 49-54; ხ. 25701, ფურც. 11-16.
8. სეხსა. ფონდი 488, ან 1. ხ. 25879, ფურც. 144-150.
9. იქვე. ფურც. 230.
10. იქვე. გვ. 133-142, 144-150, 161.
11. სეხსა. ფონდი 488, ან. 2, ხ. 5056, ფურც. 5, 22-23.
12. იქვე. ფურც. 2-3.
13. იქვე. ფ. 8-23.
14. Документы по истории Грузии. т. I. ч. I, под ред. Ш. Чхетия, Тб., 1954, გვ. 646.
15. სეხსა. ფონდი 416, ან 3, ხ. 180, ფურც. 7.

16. იქვე. ხაჭმე 178, ფურც. 19.
17. იქვე. ხაჭმე 1012, ფურც. 21
18. *Документы по истории Грузии. т.1, ч.1, გვ.505.*
19. იქვე. გვ. 510
20. იქვე. გვ. 512.
21. იქვე. გვ. 503.
22. იქვე. გვ. 513.
23. *Г.А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1982, გვ. 396.*
24. ხცხსა. ფონდი 416, ან, 3, ხ. 1014, ფურც. 9.
25. იქვე. ფონდი 488, ან. 2, ხ. 1087, ფურც. 19.



**აფხაზეთის საქართველოდან
მოწყობის სთავაზვითა**

1. И если говорить о границе Грузии, то нужно установить ее вплоть до Абхазии, так как, у нас имеются сведения, что абхазцы готовы пойти на Вас, лишь бы вновь войти в состав России. 2. За Гагрыйским округом имеется еще Абхазия, которую отдавать на съедение мы не можем. Грузия должна начинать свои границы за Абхазией, стремление которой к самоопределению нельзя игнорировать только потому, что там живет несколько сотен грузин. (იხ.Документы и материалы по внешней политике Кавказа и Грузии 1918-1921 гг. გვ. 406-409).

ასეთ განცხადებებს აკეთებდა ყუბანის რესპუბლიკის წარმომადგენელი ვორობიოვი 1918 წლის 25 სექტემბერს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ყუბანის სამხარეო მთავრობისა და მოხალისეთა არმიის დელეგაციათა შორის გამართული მოლაპარაკების დროს.

აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის იდეოლოგიური ნიადაგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მომზადდა. ამ მცდელობამ XX საუკუნის ათიან წლებში პიკს მიაღწია. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ N 13 და N 229 ფონდებში ინახება დოკუმენტები, რომლებიც თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ რუსი მოხელეები მოეწყვიტათ აფხაზეთი საქართველოდან და იგი რუსული შაიზღღისპირეთის გუბერნიისათვის მიეერთებიათ.

აფხაზეთი ოდითგანვე ქართული სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ადრეანტიკურ ხანაში (VI-IV სს) დასავლურ-ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების, კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. II საუკუნის შუა ხანებში ლაზიკის (ეგრისი) სამეფო თავის პოლიტიკურ გავლენას აფშოლების, აბაზგების და ნაწილობრივ სანიგებით დასახლებულ ტერიტორიაზე ავრცელებს. IV-V სს-ში აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციებიდან, აფშილეთი



და მისი მიზანთი უმეტალოდ შემოადიოდა ვერისის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო აბაზგია ლაზიკასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

VII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ბიზანტიელებმა ვერისში შეჭრა გააქმეს, აფხაზეთი (აბაზგია) ლაზიკის პოლიტიკური ქვეშევრდომობიდან გამოვიდა და ბიზანტიის ვასალობა აღიარა.

VII საუკუნის II ნახევრიდან აბაზგიის გამგებელნი, სარგებლობენ რა ვერისის საერისთავოს დასუსტებით, მის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებს (აფშილეთი, მისიმიანეთი) იერთებენ.

VIII საუკუნის 70-იან წლებში აფხაზთა ერისთავმა ლეონ II გააერთიანა ვერისი და აფხაზეთი და ქვეყანა ბიზანტიელთა უღლისაგან გაათავისუფლა. ამ გაერთიანებულმა სამეფომ მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია მოიცავა.

VIII საუკუნეში ჩამოყალიბებული აფხაზეთის სამეფო კლასიკური ტიპის ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი ერთეული იყო. სწორედ აფხაზთა შეფეების დროს იქცა ქართული ენა მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოფიციალურ სახელმწიფო ენად. დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მცხეთის საკათალიკოსოს შეუერთდა, რამაც შესაბამისად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ეკლესიებში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღსრულება განაპირობა. იმ დროისათვის საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე აგებული ქრისტიანული საკულტო ძეგლები ფეოდალური ხანის ქართული კლასიკური ხეროთომოდერების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს. ამ ტაძრების ეპიგრაფიკაც ქართულია. აფხაზთა სამეფომ ჩაუყარა საფუძველი ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნას.

X-XII საუკუნეებში, როდესაც საქართველო გაერთიანდა, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ერთიან საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ორ ნაწილად დაშლის შემდეგ, აფხაზეთი, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ქვეყნები, დავით ნარინის მიერ შექმნილი სამეფოს შემადგენელი ნაწილი გახდა. **XV-XVI** სს. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გაძლიერებული ოდიშის მთავრების მფლობელობაში შემოდიოდა. აფხაზეთის საერისთავო (თანამედროვე გუდაუთის რაიონი), ოდიშის სამთავროსადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. **XVII** ს. I ნახევარში აფხაზეთის ერისთავები გაათავისუფლდნენ ოდიშის სამთავროს პოლიტიკური გავლენისაგან. **XVII** ს. მეორე ნახევარში, ის-



არგებლეს რა ოღიშის სამთავროს დასუსტებით, აფხაზმა ფეოდალებმა სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიპყრეს. აფხაზეთის საერისთავოს ნახევარმა საშრეთ-ალმოსავლეთის მიმართულებით მდინარე ენგურამდე გაღმოიწია. აფხაზეთი იმერეთის სამეფოს ყმაღნაფიე ქვეყნად ითვლებოდა, მაგრამ ეს ვასალური დამოკიდებულება მეტად ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში აფხაზეთში ოსმალეთი გაბატონდა. აფხაზეთი თურქეთის მოხარკე ქვეყანა გახდა. შერევიძეთა ფეოდალური სახლიდან პირველი მაჰმადიანი ზურაბ შერევიძე გახდა, რომელსაც ოსმალეთში ისლამი მიიღებინეს. მას აფხაზეთი და სოხუმის ციხე საგამგეოდ ჩააბარეს. დაიწყო აფხაზეთის გამაჰმადიანების პროცესი.

1810 წლის 7 აპრილს აფხაზეთის მმართველის ქელაიშ-ბეგის ვაჟი სეფერ ალი-ბეგი, რომელსაც გაქრისტანების შემდეგ გიორგი ეწოდა, პროტექტორატის სახით რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა.

ვინაიდან აფხაზეთი ქართული ფეოდალური კულტურის ზიარი ქვეყანა იყო და მისი კულტურული ურთიერთობის ენაც ქართული იყო, ქართულ ენას თავისი ფუნქცია არც ოსმალთა ბატონობის და არც რუსეთის შემოსვლის პირველ ხანებში დაუკარგავს. გამაჰმადიანებული ფეოდალები ქვეყანას ქართული ენის მემკვიდრით მართავენ და მიმოწერას მებობელ მთავრებთან თუ კავკასიაში ახლადფეხმოკიდებულ რუსეთის ადმინისტრაციასთან ქართულად ახორციელებდნენ. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში ამის დამადასტურებელი უამრავი მასალაა დაცული. ქართული კულტურის გავლენა აფხაზეთში იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით XX ს. პირველ ათეულ წლებში აფხაზთა ენაზე დაწერილი ოჯახებში ბავშვი დედას ქართულად მიმართავდა ("დედა") [1].

1856 წ. აფხაზეთი ქუთაისის გენერალ-საგუბერნატოროს დაქვემდებარეს. 1864 წ. აფხაზეთის სამთავრო გააუქმეს. 1866 წ. 11 აგვისტოს აფხაზეთის ტერიტორიამ "სოხუმის ოტდელი" შეადგინა. 1883 წ. 12 ივნისს აფხაზეთი, სოხუმის ოკრუგის სახით, ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიყვანეს. აფხაზეთის ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შეყვანა ქვეყნის გეოგრაფიულმა, ეკონომიკურმა, ადმინისტრაციულმა, სამხედრო და დემოგრაფიულმა ვითარებამ განაპირობა, რაც იმ დროისათვის საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი იყო.

სოხუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში მთელი ოცი წლის მანძილზე იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში, სოხუმის ოკრუგში სამოქალაქო



ქმართველობის საქმე მნიშვნელოვნად განვითარდა, გაუმჯობესდა შხარის ეკონომიკური მდგომარეობა და ქვეყანა დასავლეთ საქართველოს უმინაგანს რეგიონებს მჭიდროდ დაუკავშირდა. სწორედ ეს გარემოება არ მოეწონათ მეფის რუსეთის მოხელეებს და გადაწყვიტეს სოხუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიისათვის ჩამოეშორებინათ.

აფხაზეთიდან მოსახლეობის დიდი ნაწილის ორგზის (1867-1877) გადასახლების შემდეგ აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი (წებელდა და გემა მთლიანად) დაცარიელდა. შხარის კოლონიალიზაციის და მისი საბოლოო რუსიფიკაციის მიზნით აქ რუსეთის გუბერნიებიდან მოახალშენეთა ჩამოსახლება დაიწყო. მაგრამ ცარიზმის მიერ აფხაზეთში ჩამოსახლებული რუსი კოლონისტებით ქვეყნის გარტსება ვერ მოხერხდა. ამავე დროს აფხაზეთში დიდი რაოდენობით დასახლდა თურქეთიდან გადმოხვეწილი სომხური მოსახლეობა და საუკეთესო ადგილები დაიკავა. ასევე გაჩნდა აქ ესტონელების, გერმანელების, მოლდაველების, ბულგარელების, ბერძენების და სხვათა დასახლებები. განსაკუთრებით ბევრი დამკვიდრდა ქართველი მოახალშენე, რომლებიც აქ სამეგრელოდან და სამურზაყანოდან გადასახლდნენ. აფხაზეთში ჩამოსახლებული ქართველი მოახალშენეებისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქართულ სკოლებს ააჩსებდა და ღვთის შსახურებაც შესაბამისად ქართულ ენაზე სრულდებოდა.

აფხაზეთში ქართული ელემენტის გაძლიერებამ შეამფოთა რუსი მოხელეები და იქ ქართული გავლენის მოსპობისა და რუსული ელემენტის გაძლიერების მიზნით XIX ს-ის დასასრულს (1899 წ.) დააყენეს საკითხი - სოხუმის ოკრუგი ჩამოეშორებინათ ქუთაისის გუბერნიისათვის და შავიზღვისპირეთის გუბერნიისათვის გადაეცათ. რუსი მოხელეები თავიანთ მოსაზრებებს იმით ასაბუთებდნენ, რომ თითქოსდა აფხაზეთი ტოპოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიასთან იყო დაკავშირებული [2].

რუსი მოხელეების საბუთიანობის გასაქარწყლებლად მეტად ნიშანდობლივია ადრე სამურზაყანოელთა მიერ საქართველოს მეფის ნაცულისადმი წარდგენილი წერილი, სადაც ისინი სოხუმის ოკრუგის შავიზღვისპირეთის გუბერნიისათვის გადაცემის შეუძლებლობას ამტკიცებდნენ და მოითხოვდნენ, რომ სოხუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში დარჩენილიყო. მეფის ნაცულისადმი მირთმეულ არზაში ჩამოყალიბებული აზრები, მოხოვნელთა აფხაზეთის წარსულის და აწმყოს ღრმა ცოდნის და მაღალი მოქალაქეობრიობის დონის მაჩვენებელი იყო.



სამერზაყანოს პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელთა განცხადებით 1856 წ. იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სამერზაყანოს და აფხაზეთის გაერთიანება ქუთაისის გენერალ-საგებუნატაროს შემადგენლობაში გამოწვეული იყო აფხაზეთის დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან გეოგრაფიული სიახლოვით, პოლიტიკური წყობის მსგავსებით, ასევე დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილების მოსახლეობასთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებითა და მცხოვრებთა ყოფის ერთიანობით.

1866-1883 წწ. ადგილობრივი ადმინისტრაციის ორგანოებმა აფხაზეთში რუსული მმართველობის სისტემა დანერგეს და წოდებრივ-საადგილმამულო კომისიასთან ერთად წოდებრივი საადგილმამულო საკითხი არსებითად მოაგვარეს. როდესაც ეს საკითხი მოგვარდა, 1883 წ. ყოფილი სოხუმის "ოტდელი", ბათუმის ოლქთან ერთად, ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ხელისუფლებას დაექვემდებარა. ამ ოკრუგებში არსებული განსხვავებული მდგომარეობის გამო, საშედრო-სახალხო მმართველობა დატოვეს.

მთავრობამ "შამობრივი მზრუნველობით", გაითვალისწინა რა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ზემოთ ნახსენები პირობები, ისინი ერთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში - ქუთაისის გუბერნიამი გააერთიანა. ამ ღონისძიებით ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ შესაძლებლობა მიეცათ მშვიდობიანად, მათი საცხოვრებელი ყოფის ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე, თანდათანობით, რუსული კულტურული ცხოვრების სამყაროში შესულიყვნენ. ამ მხრივ ყველაზე დიდ წარმატებას იმერეთისა და გურიის მცხოვრებლებმა მიაღწიეს, რაც ამ კუთხეების მთელ დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრთან - ქუთაისთან, სიახლოვემ განაპირობა.

აფხაზეთისა და სამერზაყანოს თავადანაწერობას საუკუნეების მანძილზე გუბერნიის დანარჩენი ნაწილის (სამეგრელო, იმერეთი, გურია) თავადანაწერობასთან მჭიდრო ერთიერთკავშირი ჰქონდა; ეს კავშირი არ წყდებოდა იმ ძნელბედობის დროსაც, როდესაც ქვეყანა თურქეთის აგრესიის ობიექტი ხდებოდა და აფხაზეთ-სამერზაყანოს თავადანაწერობა დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეების თავადანაწერობასთან ერთად მომხდერი მტრის წინააღმდეგ გმირულად იბრძოდა.

მას შემდეგ რაც აფხაზეთი - სამერზაყანო, ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა, კავშირი უფრო მჭიდრო გახდა.

სამერზაყანოელთა წარმომადგენლების განცხადებით აფხაზეთი და სამერზაყანო "тяготели к Кутаису", რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოს



ერთადერთ ბუნებრივ ცენტრს წარმოადგენდა და ისინი ქუთაისთან მონერგებულ
ლი სახმელეთო და საზღვაო გზებით იყვნენ დაკავშირებული.

სამურზაყანოელები შემოთვალეს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათთან
მიადნია ხმებმა, თითქოსდა ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებში, სოხუმის ოკ-
რუგის ქუთაისის გუბერნიიდან ჩამოცილებისა და მისი შავიზღვისპირეთის გუ-
ბერნიისათვის გადაცემის საკითხი დაისვა.

სოხუმის ოკრუგის ქუთაისის გუბერნიიდან ჩამოცილება, რომლის ცენტრიც
სოხუმის ოკრუგიდან ორას ვერსზე იმყოფებოდა, და მისი შავიზღვისპირეთის
გუბერნიისათვის შეერთება მთელი ოკრუგის მოსახლეობის მდგომარეობას გა-
ართულებდა.

ქუთაისში არსებული საგუბერნიო დაწესებულებები სოხუმის ოკრუგის მო-
სახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო. თვით ყველაზე ღარიბი და გა-
უნათლებელი მოქალაქეებიც კი ახერხებდნენ სახსრების და დროის დიდი დახარ-
ჯვის გარეშე ქუთაისში ჩასულიყვნენ, სადაც ისინი თითქმის აფხაზეთის მსგავს
კლიმატურ პირობებში მოხედებოდნენ; სამურზაყანოელებს შეეძლოთ შეხვედ-
როდნენ თვისტომ მეგრელებს და მათ მშობლიურ ენაზე გასაუბრებოდნენ, ხო-
ლო აფხაზებს მათთან წარმოშობითა და ზნე-ჩვეულებით მსგავს ხალხთან ექნე-
ბოდათ საქმე. ორივეს ერთად შეეძლოთ მოენახათ ქუთაისში შემოწმებული შე-
ამაელები, რაშიც მათ ამ მხარესთან დიდი ხნის წინათ დამყარებული ეკონომიკე-
რი კავშირი და პირადი ნაცნობობა ეხმარებოდა.

შემდეგ სამურზაყანოს თავადაზნაურობის წარმომადგენლები მეფის ნაცვალს
მოახსენებდნენ იმ მოსალოდნელი სავალალო მდგომარეობის შესახებ, სოხუმის
ოკრუგის შავიზღვისპირეთის გუბერნიისათვის გადაცემას რომ მოჰყვებოდა.

სამურზაყანოელები და აფხაზები თავიანთ პირად საქმეზე უნდა წასულიყვნენ
ნოვოროსიისკში, რომელიც სოხუმიდან ექვსასი ვერსით იყო დაცილებული. ურ-
თიერთობა სოხუმსა და ნოვოროსიისკს შორის მხოლოდ საზღვაო გზის სამუა-
ლებით ხორციელდებოდა, გემები კი სოხუმის პორტში იშვიათად შემოდიოდა.
სოხუმის ოკრუგის ისეთი მცირე პორტები, როგორიც ოჩამჩირე და გუდაუთა
იყო, უამინდობის დროს მთელი კვირეების მანძილზე საზღვაო მიმოსვლის გარე-
შე რჩებოდა. სახმელეთო გზას ასეთ შორ მანძილზე მდებარე საგუბერნიო ქალაქ-
თან ურთიერთობის დამყარებაც შეეძლო, მით უმეტეს, რომ შავიზღვისპირეთის
სანაპირო გზა უვარგისად ითვლებოდა და მდინარეებზე - მზიფზე, ბელაიაზე და
მზიმთაზე ხიდები არ იყო. ასეთ პირობებში აფხაზები და სამურზაყანოელები ნო-



ვოროსიისკში მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ჩააღწევდნენ და ეცდებოდნენ, ვიდრე მათ საქმეს საოლქო სასამართლო ან საგუბერნიო მუდრისქელების წარმომადგენლები არ გააჩევენ, რაც მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ძალზე ცუდ გავლენას ახდენდა.

სამურზაყანოს თავადანაურობის წარმომადგენლები კავკასიის მეფისნაცვალს სხვა გართულებების შესახებაც მოახსენებდნენ, რაც სოხუმის ოკრუგის შვეიზლვისპირეთის გუბერნიისადმი გადასვლას შეეძლო გამოეწვია.

მათი განცხადებით, ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციას ოკრუგის წოდებრივი და საადგილმამულო საკითხი თითქმის მოგვარებული ჰქონდა, ამავადმინისტრაციის საქმიანობის წყალობით სოფლების სოხუმთან დამაკავშირებელი გზები კეთილმოეწყო; სამურზაყანოსა და აფხაზეთის ყველა დასახლებულ პუნქტში გაიხსნა სახალხო სკოლები, შეწყდა ქურდობა და თითქმის დაიწყებას მიეცა სისხლის აღების მკვეთრი ღონისძიება, რაც მთავარი იყო, სამურზაყანო - აფხაზეთის ეკონომიკა საგრძობლად განვითარდა, რამაც შესაბამისად ცხოვრების დონის ამაღლება განაპირობა.

გარდა ამისა, რეს მოქალაქეებს უფლება მიეცათ აფხაზეთში დასახლებულიყვნენ, რომელთაგან სამასი კომლი მდემივ საცხოვრებლად დასახლდა, ხოლო რამდენიმე სული მოქალაქე - დროებითი სოფლის მშენებლის სახით.

სამურზაყანოელთა შორით, სოხუმის ოკრუგის ქუთაისის გუბერნიიდან გამოყოფა და მისი შვეიზლვისპირეთის გუბერნიისათვის გადაცემა, აფხაზეთში რუსული ელემენტის გაძლიერებას ისახავდა მიზნად, რასაც ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციაც საკმაო ფარგლებში ახორციელებდა. ნოვოროსიისკში მოქმედი საგუბერნიო დაწესებულებები ზემოთ აღნიშნული პირობების გამო სოხუმის ოკრუგში მცხოვრები რუსებისათვის იქნებოდა მოსახერხებელი, ხოლო ადგილობრივ მკვიდრთათვის, რაც სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა, სოხუმის ოკრუგის შვეიზლვისპირეთის გუბერნიისათვის გადაცემა საშიშროებას წარმოადგენდა იმ თვალსაზრისით, რომ უცხო ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც მხარის ყოფა-ცხოვრებას არ იცნობდნენ, შეეძლოთ აფხაზ-სამურზაყანოელთა ცხოვრების ჩვეული რიტმი დაერღვიათ.

სამურზაყანოს თავადანაურობის წარმომადგენლებმა, გააცნეს რა კავკასიის მეფისნაცვალს თუ რა უარყოფითი გავლენის მოხდენა შეეძლო მხარის ცხოვრებაზე აფხაზეთ-სამურზაყანოს საქართველოდან ჩამოშორებას, სთხოვდნენ მას, რომ სოხუმის ოკრუგის შვეიზლვისპირეთის გუბერნიისათვის გადაცემა შეეჩერებინა.



მიუხედავად იმისა, რომ სამურზაყანოს პრივილიგირებული წოდების წარმომადგენლების თხოვნიდან ამკარად ჩანდა, რომ სოხუმის ოკრუგის ქუთაისის გუბერნიიდან ჩამოცილება და შავიზღვისპირეთის გუბერნიისათვის გადაცემა ოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ყოფის თვალსაზრისით შეუძლებელი იყო, კავკასიის მმართველობის უმაღლეს ინსტანციაში მაინც მოიქმნებოდნენ ისეთი პირები, რომლებიც ამას მოითხოვდნენ. ერთ-ერთი მათგანი კავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი გოლიცინი იყო.

როდესაც ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან ბათუმისა და სოხუმის ოკრუგების გამოყოფას მოითხოვდა, გოლიცინი უპირველეს ყოვლისა გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ამ ერთეულებს ქუთაისის გუბერნიასთან არაერთი გეოგრაფიული და ეკონომიკური კავშირი არ გააჩნდათ; მისი განცხადებით - სოხუმის ოკრუგი თავისი ტოპოგრაფიით, ბუნებრივი პირობებით და სოციალური ყოფით ახლოს იდგა შავიზღვისპირეთის გუბერნიასთან და შავიზღვისპირეთის რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ ეს ერთეული ხსენებულ გუბერნიას ეკონომიკურადაც დაუკავშირდებოდა.

გოლიცინის აზრით, სოხუმის ოკრუგში არსებობდა ყველა პირობა იმისა, რომ მისგან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული შეექმნათ. მოსახლეობის დიდი ნაწილის თურქეთში გასახლების შემდეგ (ფსოფ, წებელა, დალი, გუმა) აფხაზეთში იმპერიის სხვადასხვა მხრიდან კოლონისტები ჩამოსახლდნენ და ეს მხარე, ისევე, როგორც შავიზღვისპირეთის გუბერნია, ცხრა ეროვნების, რელიგიისა და კულტურის ჰრელ ამალგამს წარმოადგენდა. მსგავსად ხსენებული გუბერნიისა, ამ მხარეში კოლონიზაცია გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა. სოხუმის ოკრუგის დანარჩენი ნაწილი აფხაზეთით და სამურზაყანოელებით იყო დასახლებული, რომლებიც ეთნიკურად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთის ხალხებს ეკუთვნოდნენ და პოლიტიკურად სანდონი არ იყვნენ, რაც 1867 და განსაკუთრებით 1877 წლის აჯანყებების დროს დაამტკიცეს, როდესაც თურქეთის დესანტის აფხაზეთში გადმოსხმის დღეს ათი ათასმა აფხაზმა ოსმალეთის სულთანს ერთგულება შეჰფიცა; გაძარცვეს ახალი ათონის მონასტერი, თავს ესხმოდნენ რუსეთის ჭარის ნაწილებს და სხვა; აბორიგენტთა პირველყოფილმა ველურობამ და თავისებურმა მსოფლმხედველობამ საშარათალსა და ზნეობაზე, რომელიც ამართლებს ისეთ დანაშაულს, როგორიც ქურდობა და ძარცვაა, უკვე დიდი ხანია სოხუმის ოკრუგს ყველაზე უფრო მოეწესრიგებული მხარის რეპუტაცია დაუმკვიდრა.



გამოცდილებამ აჩვენა, რომ სოხუმის ოტდელის ქუთაისის გუბერნიისათვის შეერთებამ, რუსეთის მოხელეების აზრით, არა მარტო შეაფერხა მისი მოქალაქეობის მოქალაქეობრივი და კულტურული განვითარება, არამედ მისთვის მთელი რიგი ახალი პრობლემები გაუჩინა. ახალი პრობლემა, რაც გოლიცინის დიდ შემოფოთებას იწვევდა, აფხაზეთში მოსახლეობის ჩასახლება იყო. მისი განცხადებით: "აფხაზეთისა და სამურზაყანოს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შეყვანით, რომელიც ქართველური ტომებით იყო დასახლებული, აფხაზეთ-სამურზაყანოსთან ახლოს მდებარე სამეგრელოდან სოხუმის ოკრუგში მეგრულთა ჩასახლებას შეეწყო ხელი და აფხაზეთისა და აფხაზეთა გაქართველების წინაპირობა შეიქმნა. მსგავსი ვითარება, გოლიცინის განცხადებით, ხელისუფლების ღონისძიებათა პარალიზებას იწვევდა, რაც შხარის კოლონიზაციისა და მისი საბოლოო რუსიფიკაციისაკენ იყო მიმართული, და იმპერიის ინტერესებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დიდ საფრთხეს უქმნიდა, განსაკუთრებით საეკლესიო ცხოვრების სფეროში". როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია.

გოლიცინს ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობის ნაკლად მიაჩნდა ისიც, რომ მან შესაძლებლობა მისცა თურქეთიდან ჩამოსახლებულ სომხებსა და ბერძნებს საუკეთესო მიწებზე დასახლებულიყვნენ, მაშინ, როდესაც სხვა ვითარებაში რუსეთიდან ჩამოსახლებულთა გამდიდრება შეუძლებოდა. ამ უცხოელებმა მეგრელებთან ერთად ხელთ იგდეს შხარის მრეწველობა და ვაჭრობა. სომხეთიდან ჩამოსახლებულ სომხე ემიგრანტებს სომხური სამღვდელთა ჩამოშვება, რომლებიც ხელისუფლების მხრივ ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე იმყოფებოდნენ. ამავე აღმინისტრაციის გავლენის პირობებში, მიუხედავად ადგილობრივი მართლმადიდებლური სამღვდელთა სიფხიზლისა და კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიებისა, მიმდინარეობდა მუსლიმანური პროპაგანდა, რომელსაც თურქეთიდან ემიგრანტების სახით შემოპარული აფხაზი მუჰაჯირი მოლები ეწეოდნენ, რამაც აფხაზ მოსახლეობაში რუსეთისადმი მტრული დამოკიდებულების დანერგვა განაპირობა.

გოლიცინი არ ეთანხმებოდა დუნდუკოვ-კორსაკოვის შეხედულებას შავიზღვისპირეთის სამოქალაქო და სამხედრო უწყებებს შორის გაყოფის შესახებ. თუ ამ გაყოფაში იგულისხმებოდა ის გარემოება, რომ ბათუმისა და სოხუმის ოლქებში სამხედრო-სახალხო სამმართველოები მოქმედებდა, ქუთაისის გუბერნიის კი სამოქალაქო, 1883 წლის რეფორმამ ამგვარი დაყოფა კი არ გააქეზა, არამედ ერთი პირის ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ხელში გააერთიანა. მმართვე-



ლობის განსხვავებული ორგანოების ერთი პირის ხელში გაერთიანებით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მოვალეობა კიდევ უფრო გაართულდა მხარის შემდგომი განვითარებისათვის ღონისძიებათა გატარებას. აქტიური იყო, მაგრამ იგი კავკასიაში მიღწეული იყო სხვადასხვა რეგიონების კავკასიის უმაღლესი მმართველობისადმი დამორჩილებით და არა მმართველობის განსხვავებული ეწყობების გაერთიანებით; რუსეთის ჩრდილოეთში შეიძლება არსებულიყო სამმართველოები, გუბერნიები, რომლებიც თავისი სივრცით ზოგიერთ სახელმწიფოს აღემატებოდა, მაგრამ აქ, კავკასიაში, ადმინისტრაციული ერთეულები მცირე მოცულობისა უნდა ყოფილიყო, რაც მხარის განსაკუთრებული - ეთნოგრაფიული-ისტორიული, ყოფითი და სხვა ვითარებით იყო განსაზღვრული.

გოლიცინის აზრით, ქუთაისის გუბერნია, გარდა ბათუმისა და სოხუმის ოკრუგებისა, რამდენიმე ყოფილ სამეფოსა და სამთავროს ტერიტორიას (იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი) მოიცავდა. დამოუკიდებელი არსებობით საექსპედიციების მანძილზე აღნიშნული ერთეულები თავიანთ საზღვრებში შემთხვევით არ ჩამოყალიბდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საერთო ქართველური წარმომავლობისა იყვნენ, თითოეულ მათგანს ჰქონდა თავისი მეტ-ნაკლებად შემოზღუდული ტერიტორია, გააჩნდა განსაკუთრებული ფიზიკური და სულიერი სახე და ერთმანეთისაგან სოციალური ყოფითაც განსხვავდებოდნენ. სხენებული ქვეყნები დასახლებული იყო მოუსვენარი, "პოლიტიკანობისადმი მიდრეკილი" ხალხით, რომლებიც კავკასიის უმაღლესი ხელისუფლებისაგან განსაკუთრებულ, მკაცრ ადმინისტრაციულ ყურადღებას მოითხოვდა და შემთხვევითი არ იყო, რომ ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორის მოვალეობის შესრულება მთელს კავკასიაში ყველაზე უფრო ძნელ საქმედ ითვლებოდა.

ითვალისწინებდა რა ყველა აღნიშნულ მოსაზრებას და უმთავრესად ეკონომიკურ ფაქტორს, გოლიცინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1883 წელს ბათუმის ოლქისა და სოხუმის ოლქების ქუთაისის გუბერნიისათვის გადაცემას არავითარი საფუძველი არ გააჩნდა. ერთ საგუბერნიო სამმართველოში ორი სხვადასხვა სისტემის მექანიკურმა გაერთიანებამ და ერთმანეთისაგან ეთნოგრაფიული, ისტორიული, ყოფითი, სოციალური, რელიგიური და სხვა თვალსაზრისით არსებითად განსხვავებული მხარეების ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (ქუთაისის გუბერნია) შეყვანამ, საგრძობლად შეაფერხა ბათუმის, ართვინისა და სოხუმის ოკრუგების შემდგომი განვითარება და ხაზინას, ნაცულად ნაკარავდევ ეკონომიისა, ზარალი მოუტანა. 1883 წლის რეფორმამ სხენებული



ოკრუგების საერთო მმართველობა არანორმალურ პირობებში ჩააყენა, შექმნა არსებითი და გადაუჭრელი სიძნელეები. ამ ვითარებიდან, რომელსაც იმპერიის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის არასასურველი შედეგი მოჰქონდა, უკრთადერთი გამოსავალი, მისი განცხადებით, ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმის ოლქის და სოხუმის ოკრუგის ჩამოცილება და მათგან დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შექმნა იყო.

1901 წლის 31 ოქტომბერს, სახელმწიფო საბჭოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი წარდგენილ პროექტში გოლიცინი მოითხოვდა, რომ ქუთაისის გუბერნიიდან სოხუმის ოკრუგის გამოყოფა და მისგან დამოუკიდებელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის - სოხუმის ოკრუგის დაარსება დროებითი ღონისძიება ყოფილიყო და მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები აფხაზეთში წოდებრივ-საადგილმამულო საკითხს მოაგვარებდნენ, სოხუმის ოკრუგი შავიზღვისპირეთის გუბერნიის შემადგენლობაში გადასულიყო.

კავკასიის სამოქალაქო ნაწილს შთაყარმართველის გოლიცინის მოსაზრება სახელმწიფო საბჭომ გაითვალისწინა და 1903 წლის 17 მარტს დაადგინა: სოხუმის ოკრუგი გამოსულიყო ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან და მისგან დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შექმნილიყო [3].

1904 წლის 25/XII სოხუმის ოკრუგს გაგრის სექტორი ჩამოაცილეს და იგი შავიზღვისპირეთის გუბერნიას გადასცეს, რაც გაგრის კურორტად გადაქცევასთან იყო დაკავშირებული.

რუსეთის იმპერიაში და, მათ შორის, საქართველოში პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის ბატონობის შემდეგ, ცარიზმის რეაქციონერმა მოხელეებმა აფხაზეთის საქართველოდან საბოლოო მოწყვეტისა და მისი შავიზღვისპირეთის გუბერნიისათვის გადაცემის საკითხი კვლავ გააცოცხლეს.

ცარიზმის მოხელეების შემოთვებას იწვევდა ის გარემოება, რომ 1905-1907 წწ. რევოლუციურ მოძრაობაში, რომელიც საქართველოში სოციალურ-თან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ნიშნით მიმდინარეობდა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობამ და ეს მოძრაობა გარკვეულად სოხუმის ოკრუგსაც მოედო.

ცარიზმის მოხელეებს არც ის გარემოება მოსწონდათ, რომ მიუხედავად აკრძალვისა, ქართველობა მაინც ახერხებდა აფხაზეთში ჩასახლებას, რაც რუსი



ადმინისტრატორების აზრით აფხაზეთის რუსიფიკაციის ერთ-ერთი ხელის შემ-
სლელი ფაქტორი იყო.

ამ თვალსაზრისით, მეტად ნიშანდობლივია კავკასიის სამოქალაქო სამშართ-
ველოს კოლეგიის უფროსი მრჩეველის სტაროსტანოვის დასკვნა, რომელიც მან
1908/24/1 ამ სამშართველოს წარდგინა.

1908 წელს სტაროსტანოვს სოხუმის ოკრუგის შემოწმება დაევა. ამ შე-
მოწმების შედეგად იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოხუმის ოკრუგის დამოუკი-
დებელ სამხედრო-სახალხო ადმინისტრაციულ ერთეულად არსებობა იმჟამად
კავკასიაში შექმნილ რეალურ ვითარებას არ შეეფერებოდა და იგი რომელიმე
გუბერნიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

მისი განცხადებით, ასეთად ბათუმის ოლქი, ქუთაისის ან შავიზღვისპირეთის
გუბერნიები ჩაითვლებოდა.

სტაროსტანოვი ამ კომბინაციიდან ბათუმის ოლქს გამორიცხავდა, რომ-
ლისგანაც სოხუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიით იყო გამოიწველი. ასეთი შეერ-
თების სასარგებლოდ არც იმ არგუმენტის მოტანა შეიძლებოდა რომ ამ ერთეუ-
ლებში მსგავსი სამხედრო სახალხო მმართველობის სისტემა მოქმედებდა, ვინაი-
დან ეს მსგავსებაც მოჩვენებითი იყო. სოხუმის ოკრუგში სამხედრო-სახალხო
მმართველობის ფორმებიდან თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო. იქ მოქმედი
მმართველობა სამოქალაქო მმართველობის ფორმასთან გაცილებით უფრო ახ-
ლოს იდგა. ეს ორი რეგიონი როგორც ეკონომიკურად, ასევე ეთნიკურადაც და
კულტურის დონის მხრივაც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. არავითარი კავ-
შირი მათ შორის არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ ისინი 1883 წელს ქუთაისის
გუბერნიის შემადგენლობაში შეიყვანეს.

რაც შეეხებოდა სოხუმის ოკრუგის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთებას,
სტაროსტანოვს მიაჩნდა, რომ უნდა დარჩენილიყო ძალაში ის მოსაზრებები, რო-
მელიც 1902 წ. გოლიცინმა წამოაყენა.

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიის შემადგენ-
ლობიდან გამოჰყვეს, იგი ზოგიერთი ადმინისტრაციული უწყებით (განსაკუთ-
რებით სისხლის სამართლისა და სატყეო მეურნეობის) ქუთაისის გუბერნიასთან
იყო დაკავშირებული. მაგრამ სტაროსტანოვს იმდენად აფრთხობდა ქუთაისის
გუბერნიაში არსებული რევოლუციური სიტუაცია, რომ მისი მოთხოვნით, უნდა
მოსპობილიყო ეკანასკნელი ადმინისტრაციული ურთიერთობის ნაშთიც, რომე-
ლიც აფხაზეთს ქუთაისის გუბერნიასთან აკავშირებდა.



ასევე არ შეიძლებოდა ეკონომიკური და ეთნოგრაფიული ვითარების უგულ-
ვებელყოფა. სოხუმის ოკრუგის მკვიდრ მოსახლეობას (აფხაზები) და ჭყუაძის
გუბერნიის მოსახლეობას შორის, მისი აზრით, არავითარი ნათესაური კავშირი
არ არსებობდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ოკრუგის სამხრეთ ნაწილში მეგრულ-
ელი ელემენტის მოზღვაება იგრძნობოდა. ეს შესახლება ძირითადად სამურზაყა-
ნოს გზით ხორციელდებოდა და მისი გავრცელების არე მთელ აფხაზეთს მოი-
ცავდა. ქართული მოსახლეობის ასეთი ექსპანსია აფხაზეთში იმ აბორიგენების
ეკონომიკურ და სულიერ დამონებას განაპირობებდა, რომლებიც რევოლუციუ-
რი მოძრაობის აზვირთების პერიოდში, განსხვავებით ქართველებისაგან, მთავ-
რობისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. არც იმის თქმა შეიძ-
ლებოდა, რომ აფხაზები მეგრელების შესახლებას წინააღმდეგობას არ უწყევდ-
ნენ, მაგრამ "Борба с мегрельцами коренному населению не по силам,
вследствие более приспособленных к борьбе национальных черт
пришельцев, вносимого ими политиканства, экономической
эксплоатации, сутяжничества и случайных, но особенно сильных
причин, имеющих место в последующие три года". მთავრობას აგრეთ-
ვე ყურადღება უნდა მიექცია მეგრელთა შეჭრის პოლიტიკური ხასიათისათვის,
ქართული გავლენის არეალის გაფართოებას რომ ისახავდა მიზნად, კერძოდ სა-
ეკლესიო სფეროში; სოხუმის ოკრუგში ქართული ელემენტების დროული და-
სუსტებისათვის აუცილებელი იყო სოხუმის ოკრუგი შავიზღვისპირეთის გუბერ-
ნიისათვის გადაეცათ.

თუ სტაროსტანოვის მოსაზრება ზემდგომ ორგანოებს დამაჭერებლად არ
მოეჩვენებოდა და ისინი ჭყუაძის გუბერნიის სოხუმის ოკრუგთან რაღაც კავ-
შირს საჭიროდ ჩათვლიდნენ, მაშინ ასეთ კავშირს შედარებით შეზღუდული ხასი-
ათი უნდა ჰქონოდა. ასეთ შემთხვევაში სტაროსტანოვს შესაძლებლად მიაჩნდა
ჭყუაძის გუბერნიისათვის ენგერსა და კოდორს შორის მდებარე ტერიტორია
(სამურზაყანოსა და კოდორის უბნები) მიეერთებინა, სადაც მეგრული მოსახლე-
ობა უმრავლესობას შეადგენდა.

არ არსებობდა არავითარი რაციონალური საფუძველი, რომ ეს შეერთება
გუმისთის უბანზე გავრცელებულიყო, რომელიც სხვადასხვა ეროვნების ხალხით
იყო დასახლებული და მეგრელები ბერძნებსა და სომხებს ცოტათი თუ აღემატე-
ბოდნენ, ასევე არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო გუდაუთის უბანზე, სადაც
აფხაზები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ხოლო მეგრელები ძალზე



მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი.

სტაროსტანოვის პირით, უფრო მიზანშეწონილი და რაციონალური იქნებოდა, თუ ეს მთელი სოხუმის ოკრუგის შავიზღვისპირეთის გუბერნიის შეფუძნებისას და მშენებლისათვის სასურველად არ იქნებოდა ჩათვლილი, მაშინ გუმისთისა და გუდაუთის უბნებისათვის ატვირთვულ საჭიროებას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ აფხაზეთის ნაწილი, გაგრის სექტორი, უკვე შავიზღვისპირეთის გუბერნიის შემადგენლობაში იმყოფებოდა.

ამ ღონისძიების განხორციელება მხოლოდ 1902 წლის დასახული გეგმის განხორციელება იქნებოდა, სოხუმის ოკრუგის ქუთაისის გუბერნიიდან გამოყოფას რომ ისახავდა მიზნად. მაშინ უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ შავიზღვისპირეთის გუბერნიისა და სოხუმის ოკრუგის შერწყმა მოხდებოდა მას შემდეგ, რაც სოხუმის ოკრუგში საადგილმამულო ერთიერთობის საკითხი მოგვარდებოდა. ებლა კი, როდესაც ამ საკითხის მოგვარება მეფის ნაცულის ხელშეწყობით საადგილმამულო კომისიის თითქმის დასრულებული ჰქონდა, სხვა არგუმენტაცია, რომელიც ამ შერწყმის დაუყოვნებლივ განხორციელებას დააბრკოლებდა, სახელმწიფო საბჭოს 1903 წლის 17 მარტის დადგენილებაში მოტანილი არ ყოფილა.

რაც შეეხებოდა იმ დამაბრკოლებელ გარემოებას, რომ მომავალი გუბერნია მეტისმეტად ვრცელ ტერიტორიაზე იქნებოდა გადაჭიმული, სტაროსტანოვის პირით, იგი მოზღვევებითი ხასიათის სიძნელეს წარმოადგენდა, ვინაიდან კავკასიაში ამბზე უფრო დიდი ტერიტორიის მომცველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები (თბილისის გუბერნია, ალექსანდრეპოლის გუბერნია, თერგის ოლქი და ყუბანის ოლქი) არსებობდა.

ამ გარემოების მნიშვნელობას არსებითად ამცირებდა პირველხარისხოვანი საზღვაო ტრასის არსებობა, რომელიც მთელი შავიზღვისპირეთის პუნქტებს აკავშირებდა და მომავალში შავიზღვისპირეთის სარკინიგზო ხაზის გაყვანით, ეს შემაფერხებელი გარემოებაც გაქრებოდა.

ასეთი შეერთების უპირატესობა საკამათო არ უნდა ყოფილიყო. შავიზღვისპირეთის გუბერნიის ვიწრო სანაპირო ზოლი სოხუმის ოკრუგის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ ისინი ეკონომიკურადაც დაახლოვდებოდნენ.

შავიზღვისპირეთის გუბერნიისათვის სოხუმის ოკრუგის შეერთების შემდეგ მომავალი გუბერნიის ფარგლები ორჯერ გაიზარდებოდა და მისი მოსახლეობა



25000 სულს მიადწევდა, ხოლო შავიზღვისპირეთის გუბერნიამი მოახალშენეთა ეწყვეტი ნაკადის სახით ეს რიცხვი კიდევ უფრო მოიმატებდა. ყუბანის თლქისა და შავიზღვისპირეთის დამაკავშირებელი მაგისტრალური სახმელეთო გზის გაყვანის შემდეგ, ახალი ემიგრანტების ტალღა ყუბანისპირეთიდან მოიმატებდა, რაც თავისთავად ამ მხარეში რუსულ ელემენტს გააძლიერებდა. [4].

ჩვენს მიერ აქ მოტანილი სტაროსტანოვის დასკვნის გაეცნობის შემდეგ ამკარა ხდება, რომ ცარიზმის მოხელეების მთავარ საბრუნავს, აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტა, იქ ყოველგვარი ქართული გავლენის მოსპობა და მხარის საბოლოო რუსიფიკაცია შეადგენდა.

აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილების საქმეში ბიუროკრატიული აპარატის "დერჟიმორა" მოხელეები (გოლიცინი, სტაროსტანოვი) და ძმანი მათნი მარტონი არ იყვნენ. მათ რეაქციულმა წრეებმაც აუბეს მხარი და სოხუმის საეპისკოპოსოს საქართველოდან გამოყოფა მოითხოვეს: [5].

1907-1910 წლებში აფხაზეთის შესახებ გამოიცა პუბლიცისტური ხასიათის ლიტერატურა, რომელიც ამკარად ანტიქართული მიმართულებისა იყო. ამ მხრივ ვველაზე თვალსაჩინო იყო ლ.ვორონოვის მიერ 1907 წ. მოსკოვში გამოცემული პროვოკაციული წიგნი "Абхазия не Грузия", სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ აფხაზეთის საქართველოსთან ისტორიულ წარსულში არავითარი კავშირი არ ჰქონდა და მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ნაციონალისტების ამკარა წაქეზებით მეგრელებმა სამერხაყანოში შეაღწიეს და მხარის ასიმილაცია მოახდინეს. თავის პროვოკაციულ ნაშრომს იგი ასე ასრულებდა "Народу нужна культура, а для последней нужна твердая связь с центрами культуры, просвещения и гражданственности т.е. с Россией".

მსგავსი ცდუნების მსხვერპლი გახდა აგრეთვე აფხაზეთის წარსულის ფრიად სერიოზული მკვლევარი, დიაჩკოვ-ტარასოვი. იგი თავისი ნაშრომის "Абхазия и Сухуми" დასასრულს პროვოკაციულად აცხადებდა, რომ მთავრობის მოვალეობა იყო: "Защита абхазцев от нашествия армян и мегрельцев".

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილების იდეოლოგიური ნიადაგიც მოამზადეს, რეაქციონერმა რუსმა მოხელეებმა მაინც ვერ შეძლეს აფხაზეთი საბოლოოდ ჩამოეგლიჯათ საქართველოდან და იგი რუსული შავიზღვისპირეთის გუბერნიისათვის გადაეცათ, რაც ქართული და აფხაზური მოწინავე ინტელიგენციის თავგამოდებული ბრძოლის შედეგი იყო.

დაბრუნებული ლიტერატურა:

1. ბ. ჯანაშია. ვიორჯი შერვაშიძე, სოხუმი. 1948, გვ.26.
2. სესია. ფ. 229. ნ.1, ს. 922, ფ.ფ. 34, 38,58.
3. სესია. ფ., 12, ს. 1281, ფ.ფ. 2-5.
4. სესია. ფ.229, ა I, ს. 922, ფ.ფ. 2.34,38,58, ფ.13, N 3 ს. 783, ფ.ფ. 5,6,7,8.
5. სესია. ფ., 13 N 3, ფ. 789, ფ. 12.

ს.

აფხაზეთის ბორონიკა

*“დადიანები ჯერ იძულებულნი იყვნენ გადმოეწათ თავი-
ბი ბაზღვარი(ჯიქეთიდან) ანაკოფიამდე (ახალი ათონი) ამ
ორი ბაჯუნის წინათ, ეზლა კი ის გადმოიტანეს ღალიძკაზე”.*
დიუბუა დე მონპერე, 1835 წ.

აფხაზეთი სეპარატიზმის გაღვივება-აღორძინების საქმეში იმპერიის რეაქციულ ძალებთან ერთად არანაკლები წვლილი მიუძღვის ქართველ მეცნიერთა ნაწილს, რომელიც ნებისთ თუ უნებლიეთ ანტიქართულ იდეოლოგიურ წისქვილზე ასხამდა წყალს. არაფერს ვამბობთ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებზე, რომლებიც აფხაზ სეპარატისტთა ანტიქართული, ანტიმეცნიერული გამობზომების წინააღმდეგ შენიშვნების გამოთქმისათვისაც კი პარტიული სასჯელითა და სამსახურიდან დათხოვნით იმუქრებოდნენ.

ქართველ მეცნიერთა ხსენებული ნაწილი რატომღაც ვერ ხედავდა, რომ საქართველოსა და კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ენერგიულად იღწვოდა აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტისათვის.

თუ როგორ აცლიდნენ საქართველოს აფხაზეთს, ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ:

1810 წლის 6 აგვისტოს გენერალი ტორმასოვი ულოცავდა გრაფ რუმიანცევს *“ზოხუმის ციხე-სიმაგრის შეტენას, რომელიც ბატონობს მთელს აფხაზ ბაღ-ბზე...და გვაქცევს ჩვენ ახლა შავი ზღვის იმ ნაპირის სრულ მბრძანებლებად”* [1].

მდ.ენგურამდე აფხაზეთის დაპყრობა რუსეთის ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ 1864 წელს დაიგეგმა, როცა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი დაისვა.

“Если количество свободных земель дозволит - то водворить вдоль берега до устья Ингура казачьи поселения, которые, вместе с поселениями по р.Бзипи, могли бы составить Абхазское казачье войско под управлением начальника Абхазского военного отдела.”

ასეთი პრაქტიკული გეგმა ჰქონდა შედგენილი 1864 წელს კავკასიის მეფის-ნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს [2], რომელიც ითვალისწინებდა მდ.ენგურამდე კაზაკთა დასახლებების შექმნას და შემდგომ კაზაკთა პოლკების



ჩამოყალიბებას.

XIX ს. 70-80-იან წლებამდე აფხაზები - მაღალი თუ დაბალი ფენები, ქართული ორიენტაციისა იყვნენ. ამიერიდან იგი რუსების სასარგებლოდ იცვლებოდა. ცარიზმის ხელისუფლებამ გერ სცადა აფხაზთა საერთოდ აყრა აფხაზეთიდან, რომ იქ მოცილებ არ ჰყოლოდათ და მათ სხვა კავკასიელებთან ერთად მეჭაჭირობა მოეწყო. დარჩენილთა მიმართ 80-90 წლებიდან ეფრო ლმობიერი და თვალთმაქციური პოლიტიკის გატარება სცადა, რათა ისინი თავის მხარეზე გადაებირებინა და ამით აფხაზეთის ათვისებაში შეეფერხება არ ჰქონოდა. პარალელურად აფხაზები ქართველებისათვის უნდა დაეპირისპირებინათ. ასეთი პოლიტიკა შეუმჩნეველი არც ქართველ მოღვაწეებს დარჩენიათ. ასე, მაგალითად, ნიკო ჭანაშია ამის შესახებ წერდა: *"ეზლა მინდა აღენიშნო, თუ როგორ იცვალნენ დრონი და გარემოებანი. აქამდე თუ აფხაზებს ერეკებოდნენ (რუსები, თ.მ.) და გაიძახოდნენ "მოგეშორდით თავიდანო", ეზლა ვითომ მათ ულოლაიკებენ, და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო მოუღონ და მოსპონ ის მკირეოდენი ნაშთი ისტორიული კავშირებისა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში აერთებდა აფხაზთა და ქართველთა"* [3].

რუსები აფხაზებს უპირისპირებენ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ სიძრაობას, რომელსაც ი. ჭავჭავაძე ედგა სათავეში. *"დაიწყო ორი მოძვე ბაღის მოთმანეთისაგან დაშორება. აფხაზებს წაართვეს ქართული ენა, რომელ ზედაც საუკუნეების მანძილზე ლაპარაკობდა, აზროუნებდა, ხწავლობდა მათი არისტოკრატია. აფხაზ ბაღის ფოველნაირად მთავრებდნენ იმ აზრს, რომ მისი მთავარი ტერი ქართველია, რომელიც, თითქოს მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გადაეღაპოს" აფხაზები "წაართვას" მიწები და ა. შ. მეფის რუსეთის მოხელეები აფხაზთა "დამცველებს" როლში გამოდიოდნენ, სასტიკად დევნიდნენ ფოველივე ქართულს. ვანსაკუთრებულად აქტიურობდნენ შოვინისტურად განწყობილი ლერეკალური წრეები"* [4].

ი. ვოსტორგოვა (რომელიც 1894-1905 წლებში მუშაობდა გერ თბილისის იმნაზიის ღვთისმეტყველების მასწავლებლად, ხოლო 1900 წლიდან - ქართულთა სამრევლო სკოლების ზედამხედველად) და მისმა მიმდევრებმა გააჩაღეს ნტიქართული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზთა და ქართველთა ზორის შეღლის ჩამოგდებას, აეტოკეთალიის აღდგენისათვის დაწვებული მოძრაობის ხელმძღვანელის ეპისკოპოს კირიონის კომპრომეტირებას და მისი აფხაზეთიდან გაძევებას [5].

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა სოხუმის ოლქის ყუბანის ოლქთან შე-



ერთებას. 1902 წელს სოხუმის ეპისკოპოსი არსენი (ზოტოვი) ვგზარხოს ალექსის წინაშე სეამდა საკითხს აფხაზეთის საეპისკოპოსოს საქართველოს საეგზარხოზოდან ჩამოცილებისა და ყუბანის ოლქთან მისი გაერთიანების დაკმაყოფილებული ვგზარხოსი თავის შხრივ მხარდაჭერას სთხოვს მთავარმართებელ გოლიცინს. ეს უკანასკნელი სიამოვნებით თანხმდება ამაზე. ამას კი ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებებით ხსნიან, რაც ჩანს მათი ასეთი დასკვნიდან: *“აზლო მომავალში ძნელი მოხლოდნელია, რომ სოხუმის ეპარქიის სამრევლოები, რომლებიც მიმოფენილია მთებზე და რომლებიც შედგებიან აზლანთან მონათლული ან გერ კიდევ ველური აფხაზებისაგან, შეძლებენ ადგილობრივი საზსრებით ეპარქიის კეთილდღეობის განმტკიცებას”*...

მცირე და მრავალეროვანი სოხუმის ეპარქიისათვის ყუბანის ოლქთან შეერთება სასარგებლო იქნებოდა. ყუბანის ოლქში ირიცხება 1716245 სული მართმადიდებლური სუფთა რუსელი მოსახლეობა, ამ მასაში იოლად გაითქეიფება შვილებისპირეთის მრავალეროვანი მოსახლეობა” [6].

კლერიკალთა ამ ანტიქართულ პოლიტიკას ამხელს ცხემელი (ა.ხელაია) 1906 წელს პეტერბურგში გამოცემულ 16 გვერდიან ბროშურაში - *“აფხაზეთი. ისტორიულ-საეკლესიო ესკიზი”* - ვ.ა.წ.

აკად. ნ.მარის, პროფ.დურნოვის, ი.გოგებაშვილის და სხვათა მიერ ი.ვოსტორგოვის რუსიფიკატორული, შავრამბელი მოღვაწეობის არაერთგზისი მხილების შედეგად ხელისუფლება იძულებული გახდა 1905 წელს იგი გაეწეია საქართველოდან.

ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ი.ვოსტორგოვი ფარ-ხმალს არ ყრის. იგი კვლავ განაგრძობს ანტიქართულ მოღვაწეობას მოსკოვში. თავის გარშემო რამზმავს რეაქციონერებს. მათ შორის აღმოჩნდა ვინმე ლ.ვორონოვი, რომელმაც ი.ვოსტორგოვის სტატიის საფუძველზე დაწერა და გამოსცა 35 გვერდიანი წიგნი - *“აფხაზეთი- საქართველო არ არის”* (მ., 1907 წ.). ამ კომპილაციურ ნაშრომში ლ.ვორონოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ორგანული ნაწილი არც პოლიტიკურად და არც კონფესიურად. ქართველი ხალხი, რეაქციონერი ვაი-კალმოსნის აზრით, ისეთივე დამპყრობელი იყო აფხაზეთის მიმართ, როგორც რომი, საბერძნეთი და თურქეთი. ლ.ვორონოვის მიზანია აფხაზეთის რუსულ ნიადაგზე მოქცევა და იქ ყოველივე ქართულის აღკვეთა. აკი აშკარად ამბობს, რომ XIX საუკუნის დამდეგიდან აფხაზეთი რუსეთის ნაწილია და იგი ეკლესიურადაც მას უნდა ექვემდებარებოდეს და არა საქართველოს.



ეს იყო აფხაზეთის მიტაცების, მისი საქართველოსაგან ჩამოცილებისათვის ნიადაგის შემზადება.

აფხაზეთში სეპარატისტული იდეოლოგიის დასაწერგავად არანაკლები ვერტიკული ილწვონენ შემდგომშიაც რუსეთის იმპერიის იდეოლოგიური სასახურის მესვეურები. ყოველივე ამან შედეგი გამოიღო. ამის საუკეთესო ნიმუშია აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მისი საქართველოსაგან გამოყოფის მცდელობა, რისთვისაც ნ.ლაკობა და მისი ჯგუფი ილწვოდა. მათ ნაწილობრივ ამ მიზანს კიდევაც მიაღწიეს 1921-1931 წწ.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სწავლული და პუბლიცისტი საშსონ ფირცხა-ლავა (1872-1951 წწ), რომელიც 1948 წლამდე ემიგრაციაში იმყოფებოდა, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შუა აზიაში ეკრეს თავი და განსასვენებლად მშობლიური მიწაც კი არ აღირსეს, შემფოთებით წერდა: "თუ განსაკუთრებული ზომები არ მივიღეთ, აფხაზეთს ხელიდან გამოგვტაცებენ".

1951 წელს აკად. ნ.ბერძენიშვილი წერდა: "უხლა ანაკოფიის ტერიტორიაზე მშვენიერი ახალი ათონია - თვალის წარმტაცი სილამაზის კურორტი. აქ მონანს ჩვენი საქართველოს გაჭრობის მიზნით ანაგები მონასტერი, XIX საუკუნის მიწერულს რომ ...დაარსეს რუსმა ბერებმა... შესანიშნავია კვიპაროსთა ხეივანი, მაგრამ გმაგს კაცს ვველაფერი ეს, რადგან იცი, რომ აქ ის სული ტრიალებდა, რომელიც საქართველოს გაჭრობას ისახავდა მიზნად და ოცნებობდა, რომ აქედან სოხუმამდე ბოძებზე ერთ დღეს ჩამოხრჩობილ "ქართველთა"... გვამები ჩამწკრივდებოდა" [7].

ახლა კითხვა ასე დავსვათ: ადასტურებს თუ არა ტოპონიმიკური მასალა აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ქართველური ტომების განსახლების ფაქტს?

დიახაც, რომ ადასტურებს. და არამარტო ადასტურებს, არამედ შევეალს ხდის ამ ისტორიულ ქეშმარიტებას.

პ.ინგოროყვას "გიორგი მერჩულეს" გამოცემის შემდეგ (1954 წ.) აფხაზეთის ტოპონიმიკით არაერთი მკვლევარი დაინტერესდა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ქართველური ენების (ქართულ-მეგრულ-სვანურის) შესაძლებლობანი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI საუკუნემდე არცერთი ადიღურ-ჩერქეზელ-აბაზურ-აფსეური წარმომობის ტოპონიმი არ დასტურდება. იგივე შეიძლება ითქვას დღევანდელ სოჭის რაიონზეც. ამის საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს, ფართოდ აღიარებული "ადიღური

ტოპონიმიკური ლექსიკონი”-დან, რომელიც 1990 წელს გამოქვეყნდა მოსკოვში და რომლის ავტორიც არის ცნობილი ადიღეელი მკვლევარი კ.მერეტკოვი.

აღნიშნული ლექსიკონის თანახმად, ქ.სოქის ჩრდილო-დასავლეთით, თუიზოდე კილომეტრის დაშორებით მდინარე შახეს აუზში არის ქედი, რომელსაც ადიღურად ჰქვია ს ო ნ ჩ თ ხ. ადიღურად სონე არის “სვანი”, თ ხ - ქედი. კ.მერეტკოვის განმარტებით სონჩხთ ნიშნავს “სვანების ქედს -” (გვ.180). ამ ქედზე არის ადგილი, რომელსაც ადიღეელები სონჩ-ს ეძახიან, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება - სვანების...” მაგრამ რა არის ამ სონჩხს სვანების ქედზე სვანებისა, - ნასახლარი, ნაციხარი, თუ სხვა რამ, ეს უკვე აღარ ახსოვს ადიღეელთა ისტორიულ მემსიერებას, მაგრამ რაც ახსოვს, ესეც უაღრესად მნიშვნელოვანია”[8].

სვანების ქედის დასავლეთით, ქ.ტუაფსეს მახლობლად არის ქედი, რომელსაც ადიღურად ჰქვია გუჯუაუოუ. კ.მერეტკოვი წერს, რომ მის გვერდით ადგილს ადიღურად ჰქვია: “შოიყუამე შხომჩიატლ”, რაც ქართულად ასე ითარგმნება: “წაბლის ტევრი, რომელიც მდინარე შოყვას ზემო წელზეა”. ავტორის განმარტებით გამოდის, რომ ეს წაბლის ტევრი სწორედ ამ ქედზეა, რომელსაც “გუჯუერიუ” ჰქვია. სვანურადაც გოჯ და გოჯრა არის წაბლი, ხოლო გოჯაურა - წაბლნარი, წაბლიანი ადგილი, ამ შემთხვევაში ქედი.

ქ.ტუაფსედან კიდევ უფრო დასავლეთით არის ტოპონიმი კოცბუურ, რომლის შესახებაც ლექსიკონში წერია: კოცბუური - ქედი ჭალაქ გელენჯიკის მიდამოებში. ტოპონიმის მნიშვნელობა უცნობია” (გვ.84). ადიღური ენისათვის ეს უცნობი ტოპონიმი ადიღულად იხსნება ქართველური ენების მეშვეობით, კერძოდ:” სვანურად კაცბთხემს, მთის წვერს ნიშნავს (შდრ. კაცხი - მთა იმერეთში), ხოლო მეგრულად კორწოხული - კოწახურია.

კ.მერეტკოვი არაბულ, თურქულ და ადიღურ ენებზე ცდილობს ახსნას ტოპონიმი გელენჯიკი, მაგრამ არც ერთი მათგანი მას უეჭველად არ მიაჩნია (გვ.49-50). მეგრული ენის მეშვეობით კი შესაძლებელი ხდება მისი უფრო სარწმუნო ახსნა. მეგრ. გალუნარის “გარე”, ხოლო ჯიმა - ციხე. გალენჯიხანიშნავს “გარე-ციხეს” [9].

კავკასიის შავი ზღვის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ქანაპას ჩრდილო-დასავლეთით არის ორი დასახლება: “ვერხნეე ჩემეტე” და “ნიენეე ჩემეტე”. პირველი საშიოდე, ხოლო მეორე შეიდიოდე კილომეტრი აა დაშორებული ქანაპას.

კ.მერეტკოვის ლექსიკონში წერია: “ჩემეტე-დაბა ანაპას რაიონში. სახელ-



წოდება სინქრონულ ანალიზს არ ემორჩილება” (გვ. 24-25). ზ.რატიანი უნდა მას: ასე განმარტავს: “ორ ქართველურ ენაზე - მეგრულად და სვანურად *ჟეჟი მსსაჟჟ* რილს ნიშნავს. ამიტომ, ვფიქრობ, ჭეშმეტე - ჭიმიითი ქართულად იქნება მარილე-თი. რატომ მიინცდამიინც მარილეთი? საქმე ის არის, რომ ნიუნევე ჭეშმეტე, ანუ ჭეშმო მარილეთი მდებარეობს სწორედ ძლამე, გნებავთ, მარილიანი ტბის, უფრო ზესტად, ლიმიანის ნაპირას და, ეტყობა, ამ დასახლების უძველესი მკვიდრნი მარილს მოიპოვებდნენ ამ ადგილებში” (გვ.18).

ზ.რატიანი ახლებურად ხსნის ტოპონიმ *ზოჭო-საც*. მისი აზრით, რამდენადაც ეს მხარე შორეულ წარსულში მეგრულ-სვანური ხალხით იყო განსახლებული, არ შეიძლება სოკი ქართლური წარმოშობის იყოსო. იგი ასევე უარყოფს მის დაკავშირებას ერთ-ერთი ჭიჭური ტომის სახელთან “შაჩა”. მკვლევარის აზრით ამ ტოპონიმის ასახსნელად არც მეგრული “გიგები” (სოკი) და არც სვანური “ნენ-ზა” და “ტახრა” (სოკი) არ გამოდგება. ზ.რატიანის ვარაუდით, რადგანაც ადიღეურად სონჩი ნიშნავს “სვანებისას”, შესაძლოა, ამ ადგილის ასეთი სახელწოდებაც იქიდან მომდინარეობდესო (გვ.19).

აქ ძალაუფლებურად გვახსენდება საუკუნეების მიღმიდან მომდინარე და სვანებში ფართოდ გავრცელებული გადმოცემა იმის შესახებ, რომ თითქოს სოკში არსებობდეს წარწერიანი ჭეა, ოდესღაც იქ სვანური მოსახლეობის არსებობის შესახებ.

საინტერესოა, რომ ქართველური ტოპონიმები კმერეტუცკოვს დაფიქსირებული აქვს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთითაც. აი, რას ვკითხულობთ დასახელებულ ლექსიკონში: “ქერჯიფს - მდინარე ბელაიას მარცხენა შენაკადი, ერთვის მას მაიკოპის ახლოს. ქერჯიფსის ეტიმოლოგიას ბევრი უკავშირებს “ქერჯს” - ქართველს, აქედან “ქართველის წყალი”. არსებობს ვარიანტი ფორმით *ქურჯიფ* - “დიდი ქართველი” (გვ.85).

კრასნოდარის მახლობლად, მის გარეუბანში, არის ადგილი, რომელსაც ადიღეელები უწოდებენ *ქურჯ ნიბ* და *ოქურჯ ჩეი*. ლექსიკონში ეს ტოპონიმები ასეა განმარტებული: “ქურჯნიბ” - “ქართველის დაბლობი”, - სახელწოდება მდინარე მარდას ველისა. მას მეორე სახელწოდებაც აქვს - *ქურჯჩეი*, - “ქართველის ველი” (გვ.96).

მდინარე ლაბას ჭეშმო წელზე ადგილს ადიღეელები ეძახიან *ზონე იმეზ*, რაც აღნიშნულ ლექსიკონში ასეა განმარტებული: “სვანების ტყე” (გვ.180) და სხვა.

თუნდაც ზემოთ დასახელებული, რელიქტის სახით შემორჩენილი სვანურ-მეგრული წარმოშობის ტოპონიმები, თვით ანაპამდე, ამკარად ადასტურებენ



ჩრდილო-დასავლეთით ლეონტი მროველისეულ ვერისის საზღვრის არსებობის რეალობას. ეს ფაქტი აგრეთვე ადასტურებს ანტიკური ხანის ევროპულ ცენტრების სისწორეს აღნიშნულ ტერიტორიაზე "ძველი ლაზიკის" ეთნო-პოლიტიკური ერთეულის არსებობის რეალობის შესახებ.

თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმიერკავკასიის მთის ზოლში მდინარე თერგის სათავეებიდან ყუბანის სათავეებამდე აგრეთვე მეცნიერულად დასაბუთებულია სევანთა განსახლება გვიან შუა საუკუნეებამდე (ლ. ლავროვი, ა. რობაქიძე, რ. ხარაძე, თ. მიბჩუანი), მაშინ ჩრდილოეთ კავკასიის ამ მონაკვეთს შეიძლება მართლაც ეწოდოს პირიქითა საქართველო. მაგრამ ეს პრობლემა კვლავაც მოითხოვს მეცნიერულად სიღრმისეულ დამუშავებას, რომლის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს იმიერკავკასიის (ლეონტისეულ კავკასიანებთან) ქართველთა მებობლურ, მეგობრული და ნათესაური ტრადიციების აღდგენა-განმტკიცებას. ეს კი ჩვენს დღევანდელ მშფოთვარე ცხოვრებაში დაბნეულ ხალხებს თავისი მიმართულების სწორი ორიენტირების საშუალებას მისცემდა.

დავებრუნდეთ ისევ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიას.

უფრო ძველი ტოპონიმები აფხაზეთის ტერიტორიაზე სევანურ-მესხურია, შემდგომი კი - მეგრულ-ქანური (ლაზური) (თ. მიბჩუანი, ვ. ზუხბაია, ბ. გოგია, გ. ფიფია და სხვ.).

წერილობითი წყაროების მიხედვით, სევანური ტომების განსახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე ახ. წ. VIII საუკუნემდე დასტურდება. ამის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე სევანთა მოხსენიება წყაროებში არ გვხვდება, რაც იმასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომ VIII საუკუნიდან იქმნება ე. წ. აფხაზთა ქართული სამეფო, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა და რომლის დედაქალაქიც ქუთაისი იყო.

აფხაზეთის ტოპონიმის გამოკვლევამ მოლოდინს გადააჭარბა. მან კიდევ ერთხელ ცხადყო პ. ინგოროყვას მეცნიერული საბუთიანობის ჭეშმარიტება და ნიადაგი გამოაცალა აწ განსვენებულ შინალიფას განცხადებას, რომ თუ პენიონები სევანები იყვნენ, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, მაშინ აფხაზეთის ტოპონიმიაში რატომ არ ჩანს სევანთა ნაკვალევი?

აფხაზეთის ტერიტორიაზე ათეულობით სევანური წარმოშობის ტოპონიმი გამოვლინდა. ისინი დღეს უკვე მეცნიერულ მიმოქცევაშია, მათ შორის არის ისეთი ცნობილი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: გაგრა, რიწა, ბარშიშ, ბაჩა, ჩირხა, მიუსერა, ლიხნი, ლეჩქოფი, ცხუმი, მერჩხელი, ტყებუნი, ლაბრა,

სინიხე



საქართველოს
ქრონიკული
სამართლებრივი
სამსახური

ტამიში, ლაკადა, ლემურიში, ჩემონა, დალი, გენწეში და სხვა მრავალი.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ მთელი რიგი გეოგრაფიული ხელები (სოფლების, ადგილების) აფხაზეთსა და სვანეთში იდენტურია და მათი ახსნაც სვანური ენის საშუალებით ხდება შესაძლებელი. გამონაკლისია ააე, რომელიც ჭარბველურ და აფსტურ ენებზე ახსნას არ ექვემდებარება.

აი, ეს ტოპონიმებიც:

აფხაზეთში	სვანეთში
გაგრა	გაკრა
ვაზნა	ვაბემ
ბაჩა	ბაჩარ
რიწა	ლიცარ
ჩირხვა	ჩირხა
მუხერა	მუხერა
ბგარდვანი	გარდვანი
ააე	ააე
ცხემი	ცხემარ
ტყუბენი	ტყუბულ, ტყუბლარ
მერხელი	მერხელ, მერლარ
ლარა	ლარა
ბაბუშერა	ბაბუშერალ
აფესტა	ფესტა
ოდიში	ადიში
ახუწა	ლახუწა
ჭალა	ჭალაა
მარცხელი	არცხელი
ზეგანი	ზეგან
ეწერი	ეცერი

ეს მასალა მეტყველებს იმაზე, რომ დღევანდელ აფხაზეთის შავიზღვისპირე-
იდან სვანეთში მიგრირებულ მოსახლეობას თან თაყდაპირველი დასახლების
დგილთა სახელებიც გადაჰქონდა. ანალოგიური შემთხვევები არაერთია.

თუ აფხაზეთის ტერიტორია აღიღებოდა მოდგმის ხალხით იყო დასახლებუ-
ლი, მაშინ როგორ გაჩნდა იქ ამდენი სვანურ-ზანური (მეგრულ-ჭანური) გეოგრა-
ფიული სახელი, რომელიც უმეტესად დროიდან არსებობს და დღესაც ცოცხა-



ლია? ან აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI საუკუნემდე რატომ არ გვხვდება არცერთი ადიღურ-ჩერქეზული ტოპონიმი? სად გავუქცეთ იმ ფაქტს, რომ არცერთ წერილობით საბუთში XIX საუკუნემდე არ გვხვდება სიტყვა "ჩაჩხანი", რომელიც აკად. ს.ჯანაშიას შენიშვნით სულაც არ ნიშნავს "სულის ქვეყანას"? რომ ეს ტერმინიც ხელოვნურად არის გამოჭორკნილი და დამკვიდრებული აფსუა სეპარატისტების მიერ.

შესწავლილი და გამოფრულია I საუკუნიდან XVII საუკუნემდე აფხაზეთზე არსებული ისტორიული რუკები. ყველა ამ რუკაზე დაფიქსირებულია მხოლოდ ქართველური, ძირითადად, მეგრული გეოგრაფიული სახელები. მათზე ვერ ნახავთ ადიღურ-ჩერქეზული წარმოშობის ვერცერთ ტოპონიმს. ეს რუკები დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია. რაც შეეხება ადიღურ-ჩერქეზულ-აბაზური წარმოშობის გეოგრაფიულ სახელებს, როგორცაა: ფსოუ, ზუგდიდრიფში, ფსირცხა, აძიებუა, აბუჯა და ა.შ., ისინი მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის ისტორიული რუკების გამოქვეყნებისაგან აფხაზი ავტორები თავს იკავებდნენ, ხოლო მათ ნაცვლად საკუთარ ნაშრომებს თავის შედგენილ რუკებს ურთავდნენ. ყველა ისტორიული რუკა, რომელიც ჩვენ გვაქვს მხედველობაში, შედგენილია უცხოელი ავტორების მიერ, რომელთაც რაიმე ტენდენციურობას ვერ დავწამებთ.

აი, ეს რუკებიც:

1. XIII ს. ვენეციური რუკა
2. კ.ვესკონტის 1318 წლის რუკა
3. კ.ლუქსორის XIV ს. დასაწყისის რუკა
4. 1351 წლის ესახელო რუკა
5. მ. პიციგანთა 1367 წლის რუკა
6. კატალინის 1379 წლის რუკა
7. პასკვალანის 1375 წლის რუკა.
8. ბიანკოს 1436 წლის რუკა
9. ბენინკაზის 1480 წლის რუკა
10. კ.ფრედერჩეს 1497 წლის რუკა
11. კ.მაილოს 1515 წლის რუკა
12. დიეგო ჰომემის 1559 წლის რუკა
13. ქრისტეფორე კასტელის (XVII ს.), ლამბერტის, შარდენის და სხვ. რუკებით ტოპონიმებით ვიმსჯელებთ, XVII საუკუნემდე აფხაზეთი ყველაზე სუფ-



თა ქართული რეგიონია მთელ საქართველოში. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვლოს სამი გეოგრაფიული სახელი, რომელიც გვხვდება XVI საუკუნის შენახვების "ბიჭვინთის დიდ იადგარში". ესენია ბიჭვინთის ტაძრის გარშემო მდებარე ადგილები: **ზნა**, აითარნე, არუხა. ჭერჭერობით უფრო ადრინდელი აფსუერ-აბაზურ-ადიღურ-ჩერქეზული ტოპონიმი აღმოჩენილი არ არის.

რაც შეეხება "ფზ" და "ყვა" კომპლექსიან ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებს, მათი ახსნა შესაძლებელი ხდება, როგორც ქართველურ, ისე ბერძნული ენის მემკვიდრეობით. საილესტრაციოდ შევხვით ზოგიერთ ტოპონიმს: მდ.ბაკლანოვკას წარსულში ერქვა "ალაცოს წყალი" (ვ.ბატონიშვილი): "ზოლო ანაკოფიის დასავლით დის ალაცოს წყალი. გამოსდის კავკასს და მიერთვის ზღვას ჩრდილოეთიდან. ამ ალაცოს წყლის დასავლეთით დის ზუფუს (ლიხნის) მდინარე, გამოდის კავკასს, დის სამხრით, მიერთვის ჩრდილოდამ ზღვას. არს ზუფუ მცირე ქალაქი-საგბრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძეებისა... ამ ზუფუს დასავლეთით დის მუწის-წყალი... ამ მუწის წყლის დასავლეთით არის ბიჭვინტას ეკლესია... ამ ბიჭვინტას დასავლეთით დის კაპეტის (ზნიფის) მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე, გამოსდის ესე რაქის მთას... რაც შეეხება სოფელ ააციის, მას ადრე ასევე ალაცო ერქვა" [10]. ქათიბ ჩელები (XVII ს.) ალაცოს მოიხსენიებს ფორმით "აღია" [11]. ალაცო-ს ფონეტიკური აგებულების ტოპონიმები გაგვანია შიდა საქართველოში: ატოცი, დიცი, არგეიცი, ბოცო, სვანეთში - ააცი და სხვ.

სუფსა - სურეფიმ-ფმა (სურების წყალი - მგვრ.) [ნ.მარი]. ფლაიეს არიანე სუფსას "ზოგროსს" უწოდებს. სვანურად "სუფმა" ნიშნავს სოფლის ცენტრში არსებულ საკრებულო ადგილს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ იქვე მდებარე მეორე გეოგრაფიული სახელი "ლანჩხეთი" სვანური "ლაუნხეტ" უნდა იყოს, რაც ნიშნავს საკენჭე, ან კენჭიან ადგილს, და სავსებით შეესაბამება რეალობას.

აჭყვა (მალთაყვა, ბობოყვათი და სხვ "ყვა" ელემენტოვანი ტერმინები). აჭე-ქართულად "ბუჩქია (ბ.გოგია). "ყვა"- ბუჩქნარის წინა ადგილი; მალთაყვა - მალა/მალთა (თხელი ქაფხა) + ყვა=საკალატოზო იარაღს (შდრ.დანის ყვა, მგვრ. "ზამიმ-ყვა", "ბერგიმ ყვა, კოჩიმ ყვა". "ყვა" ზანურად "ზუქია") [12]. "ჭყივ" სვ. ქაობის ბალახი; ლაჭყვა - ადგილი, სადაც "ჭყივ" ხარობს. ლთავსართი დაკარგული აჭქს.

აკამზანის - [ბერძ. "ზობრა"] მოუბრელი, კუთხეუქმნელი, სწორი. მდ. ჰორო-ხი კუთხეს მართლაც არ ქმნის. ეხება რა ამ ჰიდრონიმს ა.ონიანი მიდის ასეთ დასკვნამდე: "ყოველივე ამის გათვალისწინების შემთხვევაში არ მოგვეჩვენება ესა-



ფეხლოდ, რომ ძველი მწერლები ცდილობენ ეს სახელი (აკამფსისიოაო.) ბერძნული ეტიმოლოგიის მქონედ გამოაცხადონ (ს.ჯანაშია)". ამ ჰიპოთეზის მიხედვით არსებობდა და ზოგი სხვა გარემოება საკითხის სწორედ ამგვარად გადაწყვეტას უჭერს მხარს [13].

ქოროხის მეორე სახელია აფსაროსი - "აფსარი" (ბერძნ. "თევზი") = უთევზო. პროკოპი კესარიელის ცნობით აფსაროსი აიეტის დაღუპული ძის აფსირტეს გამო იწოდებოდა. აფსაზურში არც აფსირტეს მსგავსი, ფონეტიკურად ახლო მდგომი რაიმე კულტის არსებობა დასტურდება. სამაგიეროდ სუანურ ლეთაებათა პანთეონში არსებობს ნადირთა და მონადირეთა მფარველი აფსაზტ.

ანაკოფია - ამჟამად "ფსირცხა". ფსირცხა პირველად მოიხსენიება ბრუნის 1813 წლის რეკავებ [14] "ანაკოფია" აფსურები რომ უოფილიყო, იგი "ფსირცხათი" არ შეიცვლებოდა და ვახუშტისეული ანაკოფია არ გაქრებოდა.

ანაკოფია იხსენიება VIII საუკუნის ამბებთან დაკავშირებულ ქართულ წყაროებში (ჯვანშერი). ფრანს დიუბუა დე მონპერე 1834 წელს ახსენებს ანაკოფიას [15]. ფ.დიუბუას მიხედვით ანაკოფია მთებით დახვეული ადგილია. კერიც ახსენებს ანაკოფიას. პროკოპი კესარიელის (VI ს.) ცნობით ამ ადგილს ტრაქეას (მკაცრკაქიანი, კაქბადიანი) უწოდებენ [16].

"ანაკოფია" ნიშნავს ანაკოფი (ამროსიაა ქართულში) კოფს ახსენებს XV ს. ქართველი მკერნალი ზაზა ფანასკერტელი [17]...:" და უკმეე წამ(ა)ლთა ჯანი სიქზინი და მერთა, ანუ კოფი, ანუ ამროსია, ანუ დუბლი ქურუმისა და მღესას პირსა ს(ა)მოსასა ზოგი ზეთები გარეთ და შიგნით..." ე.ი. კოფი ქალთა სამკერნალო მცენარეა. მედეას სამშობლოში ბევრი ასეთი სამკერნალო ბალახი იყო ცნობილი. ბევრი ქართული გვარიც ბალახის სახელიდან მოდის, მათ შორის: ნაკოფია [ნაკოფია], ვარდაია, ხორბალაძე, ნიორაძე, ბალახაშვილი; ჭინჭარაძე (ჭინჭარაძე), იაშვილი და სხვ. (მდრ. ბ. გოგია).

თვით ტერმინი ფშას-საბა ორბელიანთან ასეა განმარტებული: "ფშა - ფშანი - მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდინარე (გამოდენილ(ნ)ი). ფშანი არიან მუნვე ახლო წყაროდ გამოდენილნი. ფშანი არიან მდინარისგანვე გამონაწოენი წყარონი მუნვე...ფშატალა - გამაფხულ წყალ(ნ)ი თოვლ-ნარევი" და სხვ. ბერძნულში "ფშ" და "აფშ" ელემენტის არსებობას რომ თავი დაეანებოთ, რატომ მაინც დამაინც ადილურში უნდა ვეძებოთ "ფშ" კომპლექსი, როცა იგი ქართველურ ენებშია გაგვანია?

თუ როგორ იცვლებოდა აფსაზეთის ქართული ტოპონიმები ადილურ-აბაზუ-



რით, განა ამის ნათელი მაგალითი არ არის აბეჯა? ასე შვეია ახლა ადგილს მდ.კოდორსა და მდ.ღალიძგას შორის, რომელსაც ისტორიულ წყაროებში "შვეჯი სოფელი" ეწოდება. იგივეს ნიშნავს აბეჯა ადიღურ-აბაზურად.

აფხაზი პროადიღური ორიენტაციის მკვლევარები დიდ იმედებს ამყარებენ ე.წ. აყუა ტოპონიმზე, თუმცა მათ ამ შემთხვევაშიც ხელი აქვთ მოცარული.

აყუა-ს პირველად ვხვდებით რუსი გენერალის მიერ 1771 წელს შედგენილ რუკაზე ფორმით "აკუ" [AKY]. ეს გახლავთ გენერალი სუხოტინი [18].

1784 წელს რუსეთის ელჩის მიერ შედგენილ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია მდ. ცხომი და მისი შენაკადთან ქ.ცხომი. ქ.ცხომის ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის კიდებზე, ანუ დღევანდელ სოხუმთან აღნიშნულია აყუს-ციხე [Акуцихе].

აყუს-ციხეს ახსენებს ნ.დადიანიც [19]. რუსი კაპიტნები: იაზიკოვი (1770 წ.), ლოვი (1771 წ.) ახსენებენ ოსმალთა სიმაგრეს "აყუს" [AKY]. ნ.დადიანი კი წერს: "აყუ...რომელ არს სოხუმი" [20]. ადრე ქალაქს "ცხეში ყუას" ეწოდებდნენ, ე.ი. ცხემის კონცხი (გრ.რუხაია). აფხაზური "აყუარა" (სანაპირო) სწორედ ზანური ყუა-დან მოდის (გ.ფიფია). რაც შეეხება ცანდრიფში ნაპოვნ კოლხურ ფილას (ძვ.წ. III-II სს.) ბერძნული წარწერით "აკყუა", რაც ლათინურად (იტალიურად და ესპანურადაც) ნიშნავს "წყალს", არაფერი აქვს საერთო აფსუურ "ამჰაყუა"-სთან.

შინაღ-იფას აზრით "აყუა" მოდის ძვ.წ. III ს.აკის სამეფოდან. მაშინ "კა" ფორმანტი რაღაა? (ა.ონიანი).

მცდარი აღმოჩნდა ს.ჯანაშიასეული "ყვას" ჩერქეზული ვერსია - "ლელე". ქალაქს რატომ უნდა დარქმეოდა "ლელე"? (ა.ონიანი).

ამდენად უსაფუძვლოა მ.ტრაფშის ვარაუდი თითქოს "აყუა" 2500 წლის იყოს [21].

განხილულ ტერმინთა ხელოვნური და ცრუ ინტერპრეტაციის საფუძველზე შექმნეს ვერაგული იდეოლოგია იმის შესახებ, რომ თითქოს აფხაზეთი ანტიკური ხანიდან ადიღური მოდგმის ხალხით ყოფილიყოს დასახლებული და მამასადა-მე აქ მათ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს არსებობის ისტორია გააჩნდათ.

თვით ტერმინი "აფსუა" აფხაზეთის სინამდვილეში XVII ს.ადრე არ დასტურდება.



დაძველებული ლიტერატურა:

1. ვიმოწმებთ ჯ.გამბარიას მიერ გამოყენებულ მასალებს წიგნში: "ქართულიაფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან", თბ., 1991, გვ.8.
2. იხ. ვ. შარვაშიძე. ლიორია, ეპოზი, დრამა. თბ., 1985, გვ. 4-5.
3. ვაზეთი "ღროება". 1909, I, დეკემბერი.
4. ჯ.გამბარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
5. ს.ლუკიშვილი. დავიწვებული უმწიფარი წიგნი და მისი ამჟამინდელი დამფასებლები. - ვაზეთი "ნახალხო ვანათლება", 27.IX. 1990.
6. ჯ.გამბარია. დასახ. ნაშრომი, გვ. 14.
7. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964. გვ. 298-299.
8. К.Меретуков. Адигейский топонимический словарь, М., 1990. გვ.180; ზ.რატიანი. წყაროთა დაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995. გვ.17.
9. ზ.რატიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 18.
10. შ.დრ. პ.ინგოროვცა. ვიორვი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 186.
11. ქათბი ჩელევი. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თარგმნა და გამოცემა ვ.ალაზანაძემ, თბ., 1978, გვ.57.
12. ბ.კოვია. საქართველოს შავი ზღვისპირეთის აფხაზეთის მხარის ტოპონომიკისათვის, აღმანახი "ცხუმში", 1990, N3, გვ. 52.
13. ა.ონიანი. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989, გვ.302.
14. Г.Амичба. Новый Афон и его окрестности (Исторический очерк) - Сухуми, 1988. с.18.
15. Ф.Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, I, Сухуми, 1937, с. 229.
16. Прокопий из Кесарии. История войны римлян, М., 1950. გვ. 375-378, 380-384, 397-403 (Перевод С.П.Кондратьева).
17. ზ.ფანასკერტელი. კარაბაღინი, 1988, გვ. 690.
18. А.Цагарели. Грамоты и другие исторические документы 18-го столетия относящиеся до Грузии, СПб., 1898-1902.
19. ს.ჯანაშია. შრომები, VI, 1988, გვ. 284, 289.
20. ს.ჯანაშია. დასახ. ნაშრომი. გვ. 291.
21. М.М.Трапиш. Труды, т, II, I-II, Сухуми, 1969.

დ.გულია აფხაზთა ეთნოგენეზისი შესახებ

“აფხაზები საქართველო იყვნენ ქართველები არიან”.

დ.გულია

*აფხაზების სახელის მიყვანი და საზოგადო
მდივანი, ასრეული აფხაზი ისტორიკოსი.*

უძველესი დროიდან აფხაზეთი საქართველოს ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორცაა ვერისი (სამეგრელო), სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, მესხეთ-ჯავახეთი, სამაჩაბლო, კახეთი და ა.შ. არცერთ დროში ეს საკამათო არ ყოფილა. ისტორიული აფხაზები ისეთივე ვერისელები იყვნენ, როგორც არიან დღევანდელი მეგრელები, რომელთა ეთნიკური წილი ამჟამინდელ აფხაზეთში დაახლოებით 80%-ს აღწევს.

თუ ლაზიკის სამეფო კოლხეთის ლეგენდარული სამეფოს მემკვიდრე იყო, აფხაზეთის სამეფოც ასეთივე მემკვიდრე გახლდათ ლაზიკის სამეფოსი თავისი კულტურით და ეთნიკური შემადგენლობით. შემდეგ აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე წარმოიშვა იმერეთის სამეფო, ოდიშის, გურიის, აფხაზეთის, რაჭისა და სვანეთის სამთავროები. ამიერიდან გეოგრაფიული ცნება “აფხაზეთი” პოლიტიკურიდან ისევ ვიწრო ეთნიკურ საზღვრებში გადაინაცვლებს და მოიცავს ტერიტორიას ნიკოფსიასა და ანაკოფიას შორის.

აფხაზეთის ისტორია საქართველოს ისტორიის კონტექსტში განიხილება. ფალსიფიკატორთა ყველა ცდა ამ პრინციპის დარღვევისა ანტიმეცნიერული და უცქია.

გამოჩენილი აფხაზი მწერალი, აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიული მეცნიერების ფუძემდებელი დიმიტრი იოსების ძე გულია (1874-1960 წწ.), ბუნებრივია, დაინტერესებული იყო მშობლიური ხალხის წარსლით. ამიტომაც იყო, რომ მან სცადა აფხაზთა ისტორია და ეთნოგრაფია მონოგრაფიულად შეესწავლა. ეს დიდი სამუშაო მან ათი წლის დაუღალავი შრომის შედეგად შეასრულა კიდევ და 1925 წელს თბილისში, რუსულ ენაზე გამოსცა “აფხაზეთის ისტორია” (I ნაწილი). საქართველოს ისტორიის საკითხებით დ.გულიას დაინტერესება აკად. ი.ჭავჭავიძელთან მისი სიახლოვეთაც იყო ნაკარნახევი. დ.გულია-



ზე გარკვეული ზეგავლენა იქონია ნ.მარმაი.

დ.გულიას ხსენებული წიგნი პირველი სასიგნო ქვა იყო აფხაზეთის მხარის ისტორიაში. ავტორი წინასიტყვაობაში წერდა: "ეს შრომა, ემბლემატიკურად პირველი ქვა, ნასროლი მეცნიერული გულგრილობის მუდღერობაში და ის გამოაღვლენს ძალთა ნაკადს კავკასიის ვრებისა და კულტურის ისტორიის ამოცანების დამუშავების საქმეში" (გვ.14).

დ.გულია 1929 წლიდან საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრი იყო, ხოლო 1937 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით მას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა.

დ.გულიას მეცნიერულ გამოკვლევებს გარკვეულ შეფასებას აძლევდა ნ.მარი, რომლის გავლენის ტყვეობაშიც მოექცა აფხაზი მკვლევარი.

დ.გულიას "აფხაზეთის ისტორია" დაწერილია მიმდინარე საუკუნის პირველ მეოთხედში არსებული ისტორიული მეცნიერების დონის შესაბამისად, მთელრიგ საკითხებში ხშირად ი.ჯავახიშვილის მეცნიერულ შეხედულებათა გვერდის ავლით, და რაც ნიშანდობლივია, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკურ სიტუაციაში, საქართველოდან აღნიშნული კუთხის ჩამოშორების მცდელობის ვითარებაში. იმ დროისათვის აფხაზეთი არც არქეოლოგიურად, არც ეთნოგრაფიულად შესწავლილი არ იყო. ნაკლებად არსებობდა ლინგვისტური და ფოლკლორული მასალა.

მიუხედავად ამისა, დ.გულია ცდილობს აფხაზეთის ისტორია საქართველოს ისტორიის კონტექსტში განიხილოს, აფხაზეთის ისტორიული ბედი, ქართველი ხალხის ისტორიულ ბედთან კავშირში წარმოაჩინოს.

დ.გულიას აღნიშნული წიგნის გამოსვლამდე გამოქვეყნდა ს.ბასარიას (1923 წ.), ს.მხაწავას (1925 წ.) და სხვათა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ნარკვევები.

დ.გულია თავის მონოგრაფიაში ძირითად ყურადღებას აფხაზეთის ეთნოგენეზისის პრობლემაში იძენს. უმთავრეს შეცდომებსაც სწორედ ამ საკითხის კვლევაში უშვებს. კერძოდ, დ.გულია აფხაზებს ეგვიპტურ-აბისინურ-ეთიოპური წარმომავლობის ხალხად მიიჩნევდა. ცხადია, ამ შემთხვევაში იგი პ.უსლარის, ნ.მარის და ა.გრენის გავლენის ქვეშ მოექცა, მათი ჰიპოთეზა ირწმუნა. დ.გულია ცდილობს თავის მხრივ გაამაგროს ეს დებულება.

დ.გულიას არა მარტო აფხაზები მიაჩნდა ეგვიპტური წარმომობისად, არამედ საერთოდ კოლხები, რომელთა ნაწილადაც იგი გულისხმობდა აფხაზებს. ას-



ეთ სტიმულს დ.გულიას აძლევდა ბერძენი ისტორიკოსი, "ისტორიის მკვლევართა საზოგადოების" დამფუძნებელი პეროდოტეს ცნობაც კოლხთა ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ.

დ.გულიას, როგორც მეცნიერის, ყველაზე დიდ ღირსებად ის უნდა ჩაითვლოს, რომ იგი აფხაზებს კოლხთა ნაწილად მიიჩნევდა. ამ დებულების ერთგული რჩება ის, როცა ამბობს: "აფხაზები საკუთრივ იგივე ქართველები არიან" (1951წ.). დ.გულიამ შესანიშნავად იცოდა, რომ კოლხები ქართველური ტომი იყო. თუ აფხაზები კოლხთა ნაწილია, მამასადაშე იგივე უნდა ეთქვა მათზეც. ამბობდა კიდევ. ამ შემთხვევაში სხვა ლოტიკა არ არსებობს.

დ.გულია თავის გამოკვლევაში ცდილობს ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით აფხაზები გენეტიკურად ძველ აღმოსავლურ სამყაროს დაუკავშიროს, კერძოდ პროტოხეთებს და სხვა. წინა აზიურ ეთნიკურ სამყაროსთან აფხაზთა, ისევე როგორც საერთოდ ქართველთა, გენეტიკური კავშირურობის თეორია საგულისხმოა, მაგრამ აფხაზთა და საერთოდ კოლხთა აფრიკელი წარმომავლობა ზრწივე მდარია, რაც ცხადყო შემდგომმა კვლევა-ძიებებმა. ამ ჰიპოთეზამ ვერაფერი კრიტიკას ვერ გაუძლო და იგი მეცნიერულად უარყოფილია. ეს თეორია შემდგომში დ.გულიამაც უარყო. აი, რას წერდა იგი 1958 წელს: "1925 წელს მე გამოვეცი "აფხაზეთის ისტორიის" პირველი ტომი, რომელშიაც ვამტკიცებ აფხაზთა ეგვიპტურ წარმომავლობას. ამ თეორიას ამჟამად მხარს არ ვუჭერ" [1]. დ.გულია იქვე სხვებსაც მოუწოდებს, რომ უარყოფთ აფხაზთა აფრიკელი წარმომავლობა. მისი აზრით, თანამედროვე აფხაზები ოდითგანვე ცხოვრობენ ამჟამინდელ აფხაზეთში, ანუ ყოფილ კოლხეთში.

საინტერესოა დ.გულიას დაკვირვება აფხაზური ენის კავკასიის სხვა ხალხების ენებთან კავშირურობის საკითხში. ამასთან დაკავშირებით დ.გულია წერს: "აფხაზური ენის კავკასიის სხვა მრავალ ენასთან (16 ენა) შედარებისას რკვევა, რომ შესადარებელ სიტყვათა რაოდენობით (საერთო-კულტურული სიტყვები სიტყვები) აფხაზურთან (აბაზურისა და ჭიქური ენების შემდეგ, რომლებიც დიდად არ განსხვავდებიან აფხაზურისაგან) პირველ ადგილზეა შერგული 400-ზე მეტი სიტყვა), მეორეზეა - ქართლური (300-ზე მეტი სიტყვა), მესამეზეა - ჩერქეზული (ადიღური), მეოთხეზე - სეანური, შემდეგ არაბული და ა.შ. სიტყვათა გამოთქმის აქცენტის მიხედვით და აფხაზურ (და უბიხურ) სიტყვათა რებთან ყველაზე ახლოს დგანან ადიღური, შემდეგ - სეანური" [2].

დ.გულია მენიხებს აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევს. აფხაზები კი, როგორც უნიშნეთ, კოლხთა ნაწილად მიაჩნია.



რაც შეეხება სანიგებს, რომლებიც ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებით ზენიოხთა განსახლების ტერიტორიაზე მოიხსენიებიან ზენიოხთა სახელის გაქრობის შემდეგ, დ.გელია მათ სვანთა წინაპრებად თვლის. იგი წერს: "სანები (სანიგები, სუანები, ამჟამინდელი სვანები), აბაზთა მონათესავე ტომი, ქრ.დაბადებაამდე, დიდხანს და ქრ.დაბადების შემდეგაც ცხოვრობდნენ დიოსკურიასთან ახლოს, ე.ი. დღევანდელ აფხაზეთში, ახლანდელი გემისტის მბრამი [3].

1951 წელს რუსულ, ქართულ და აფხაზურ ენებზე გამოვიდა დ.გელიას ნაშრომი სახელწოდებით - "ჩემი წიგნის - "აფხაზეთის ისტორიის" შესახებ" [4].

ამ ნაშრომით დ.გელია, როგორც ისტორიკოსი, აკად. ი.ჭავჭავაძის შემამართ თანამოაზრედ წარმოიჩინა. იგი კატეგორიულად უარყოფს აფხაზთა აფრიკელ-აბისინურ წარმომავლობას და ამჭერად აფხაზთა ეთნოგენეზის ქართულ ეთნო-კულტურულ საყაროს ეკავშირებს და ამას სათანადო არგუმენტებით მეცნიერულ დონეზე ასაბუთებს, ამასთანავე უყოყმანოდ ინანიებს ადრე დაშვებულ შეცდომებს. დ.გელია წერს: "საქართველოს უაღრესად მდიდარი წარსულის ღრმად შესწავლისათვის, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ცალკეული ნაწილების ისტორიის შედგენას. ეს უპირველეს ყოვლისა შეეხება აფხაზეთს, რომელიც ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ისტორიის მთელ მანძილზე მასთან ერთი ცხოვრებით ცხოვრობდა, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შექმნაში ორგანულად მონაწილეობდა და მნიშვნელოვანი ისტორიული როლი შეასრულა ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ცალკეული ქართველი ტომებისა და ოლქების ერთ მთლიან, მჭლავერ ეროვნულ ქართულ სახელმწიფოდ გაერთიანების საქმეში" (გვ.3).

კატეგორიულად უარყოფდა რა აფხაზთა აფრიკელ-აბისინურ წარმომავლობას, დ.გელია წერდა: "მრავალი მიზეზის გამო, საკმაოდ დიდი ხნის წინათ ჩემი ხელიდან გამოვიდა ბუნდოვანი, (არამარტისისტული) ანტიმეცნიერული შრომა, სავესე ფაქტიური და მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებით" (გვ.4).

მწარედ ინანიებდა რა დაშვებულ შეცდომებს, დ.გელია წერდა: "მაგრამ არის აგრეთვე საქმის მეორე მხარე, რომლისთვისაც არ გამოიძებნება არაერთი გამართლება, გარდა ჩემს მიერ დემილით მიღებული გადაწყვეტილებისა: დავიწყებისათვის მიმეცა ჩემი მოუშფიფებელი ნაშრომი, რომელსაც ამჟამად არამტკიცე, მერყევი საფუძველი გააჩნდა და რომელიც უსათუოდ მანკიერი იყო. ლაპარაკია იმაზე, რომ თითქმის მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში, დღიდან



წიგნის დაწერისა, ავტორს არც ერთხელ არ უცდია კრიტიკულად გადაესინჯა იგი, გამოსულიყო უარყოფით იმ სერიოზული შეცდომებისა და სინამდვილესა და ფალსიფიკაციისა, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩემს წიგნში "აფხაზები-ისტორია", თუმცა ეს შეცდომები ჩემთვის დიდი ხანია ნათელია და შეგნებელი მაქვს.

მაგრამ ნათქვამია, სწობს გვიან, ვიდრე არასდროსო" (გვ.5).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დ.გულია ძირითადად აფხაზთა ეთნოგენეზით იყო დაინტერესებული და ყველაზე დიდი შეცდომაც ამაში დაუშვა... აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით: "შთავარი პრობლემა, რომელზეც აშენებულია მთელი ჩემი "ისტორია...", არის აფხაზების ეთნოგენეზისის პრობლემა, ხოლო მისი ძირითადი საავტორო თეზისი, წიგნში მრავალგზის და სხვადასხვა ფორმებში დაკინებით განმეორებული, შეიცავს შიშველ და, რასაკვირველია, არასწორ მტკიცებას ჩვენი შორეული წინაპრების აფრიკული წარმომავლობის შესახებ...

ჩემს წიგნში მე აფხაზების წარმომობაზე განვავითარე საესეებით არასწორი ეთიოპური ჰიპოთეზა, ყველგან ხაზს ვესვა მდი რა, რომ "აფხაზები და მათი წინაპრები ჰენიოხები (ინიოხები) არსებითად კოლხებია, რომლებიც გამოსული არიან ეგვიპტიდან, უმთაურესად აბისინიიდან. ამასთანავე მე ვეყრდნობოდი ყოველნაირ ლეგენდებს, თქმულებებს და აფხაზური ენის შეუმოწმებელ მონაცემებს, - იმასაც ხშირად მხოლოდ სხვების შრომებიდან ამოკრეფილთ, რომლებიც, როგორც მე მეგონა, თითქოს ემთხვეოდა ჰეროდოტეს გადმოცემას კოლხების ეგვიპტური, საერთოდ, აფრიკული წარმომავლობის შესახებ" (გვ.5).

დ.გულიას ეს შეცდომები რომ არ ეღიარებინა, მას სხვები გააკრიტიკებდნენ, რადგან შემდგომში ამ თეორიამ კრაზი განიცადა. ხოლო ზოგიერთის მოსაზრება, თითქოს მონანიება დ.გულიას დაწერილი არ არის, საფუძველს მოკლებულია.

ცხადია, დ.გულია შეცდომაში შეიყვანა მის წინამორბედ ავტორთა ცრუმეცნიერულმა დებულებებმა. დ.გულია ამას ამკარად აღიარებს: "ვეყრდნობოდი რა ჩემთვის ნაკლებად ცნობილ და საექვო დასკვნების მქონე "გერმანელ მეცნიერთა ახალ შრომებს" და სხვა მენამცევე მკვლევარებს, მე მეგონა, რომ ძველი ეგვიპტის დამპყრობლებს ჰიქსოსებს, ეგვიპტელთა შორის ხშირ ამბობებათა გამო "ეგვიპტელთა და ეთიოპელთა ნაწილი უნდა გადაესახლებინა თავიანთ ქვეყანაში და მის ახლო-მახლო მდებარე ამიერკავკასიის მოსაზღვრე ოლქებში... ამ იძულებით გადასახლებულთა შთამომავლებად შეიძლება ყოფილიყვნენ ნაწილობრივ ის კოლხები, რომელთა ეგვიპტურ წარმომავლობაში ჰეროდოტეს ეჭვი არ ეპარე-

ბოდა”... მე ვამტკიცებდი აფხაზთა ნათესაობას აგრეთვე სემიტებთან და ჩამიტებთან, გამოვდიოდი რა “სემიტურ და იაფეტურ ენათა ნათესაობიდან” (გვ.6).

დ.გულია თავის “ისტორია”-ში წერს, რომ აფხაზური ენათაფხვისთფხვისტიკით ემსგავსება სამხრეთ აფრიკის ჩამორჩენილი ტომების ენებს - ბუმბენების და მოტენტოტების (გვ.6), რომ მყარდება “ლინგვისტური კავშირი აფხაზებსა და აფრიკის უძველეს ტომთა შორის, რომელთა დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდნენ ხეთები” (გვ.6). მაგრამ დ.გულია შემდგომ ამასაც უარყოფს: “არ არის საჭირო შეეჩერდეთ წიგნში არსებულ ყველა ფსევდომეცნიერულ, ხშირად უაზრო ეტიმოლოგიურ ხრიკებზე და ლინგვისტურ ანალოგიებზე” (გვ.6).

დ.გულია აბისინიას და “აფსნის” ერთმანეთს უკავშირებდა. “აფსნი” მისი განმარტებით ნიშნავს “სულის ქვეყანას”, უფრო სწორად კი “წყლის ქვეყანა, ქვეყანა წყლებისა”. აფრიკის საპარამი რა წყალზე შეიძლება ლაპარაკი? ამიტომ დ.გულია შემდგომ წერდა: “საპარის უდაბნოს გვერდით მდებარე ქვეყნისათვის პირველყოფილ გულუბრყვილო ადამიანსაც კი არ შეეძლო ამის თქმა” (გვ.6).

იქვე თვითკრიტიკულად განწყობილი დ.გულია წერს: “იქამდეც კი მივიდი, რომ ვამტკიცებდი: “ფორმები “აფხაზ”...და “აფხაზეთი”... მეტისმეტად უმინა-არსოა, უნდა შეიცვალოს ერთადერთი სწორი გამოთქმით “აბას”... “აბასელი” და “აბასეთი”.

დ.გულია ასევე უარყოფს ტოპონიმიკური პარალელების არსებობას, რასაც ნაწილობაში დაბეჭდილებით “ამტკიცებდა”.

დ.გულიას მკაცრი განაჩენი გამოაქვს საკუთარი თავისადმი: “ამგვარად, ყველაზე კარდინალური საკითხების გადაწყვეტისას, ჩვენ ვხედავთ გაუბრალოებას, ისტორიულობის პრინციპის სრულ უგულვებელყოფას, ერთმანეთის გამომრიცხავ მსჯელობასა და მიხვედრებს, დაუსაბუთებლობასა და სქემატიზმს” (გვ.8). დ.გულიას ამის საბაბიც გააჩნდა, მის მიერ დამუშავებული შეცდომები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ასე, მაგალითად, დ.გულია წერდა: “შეუძლებელია ჩვენ კოლხიდის მცხოვრებლებში ქართველურ ტომებს ვხედავდეთ...ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს მათში (ე.ი.კოლხებში) ქართველური რასის ტომს ვხედავდეთ” (გვ.8).

ამგვარად, დ.გულია თუ აფხაზებს კოლხთა ნაწილად თვლიდა, თვით კოლხები ქართველურ ტომად არ მიაჩნდა.

დ.გულია ბესლეთის ხილს ვენეციურს უწოდებს. მან ეს შეცდომაც აღიარა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ამ ხილზე შესრულებული ქართული წარწერა



X-XI სს. ეკუთვნის. ამდენად იგი ბაგრატ III-ს ან მის შემკვიდრეებს უნდა ემე-
ნებინათ.

დ.გელია აფხაზეთის მეფე-მთავრებს ლეონ I (VII ს.) ბერძნულ წარმოშობის
ბისად თვლიდა. შემდგომ მან ესეც უარყო.

დ.გელია აღიარებს იმასაც, რომ მან მინიმალური ანგარიშიც კი არ გაუწია
უკვე გამოქვეყნებულ, გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებს, მეცნიერ-
რულ გამოკვლევებს, მათ შინაშენებს: "ჩემი დაუდევრობა მით უფრო მიუტყვე-
ბელია, - წერს დ.გელია, რომ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში უკვე დიდი
ხანია, - აკად. ი.ჯავახიშვილიდან დაწყებული, გამანადგურებელი კრიტიკის ქარ-
ცეცხლშია გატარებული ნაწერები გერმანულ და სხვა უცხო ავტორებისა, რომ-
ლებიც ქართველურ ენებს სწავლობდნენ, რომ ვერ შეეძელი მესარგებლა ქართ-
ველ მეცნიერთა მიღწევებით, მათი სწორი და სამართლიანი შენიშვნებით იმ სა-
შიშროებაზე, რაც მოსდევს ლინგვისტურ და სხვა დაპირისპირებებს, შესაძლე-
ბელი ფაქტების, პირველ რიგში ქართულ-კავკასიური ფაქტების მტკიცედ ცოდ-
ნის გარეშე" (გვ.9).

ბოლოს, დასკვნის სახით დ.გელია წერს: "ასეთია მოკლედ ჩემი წიგნის "აფ-
ხაზეთის ისტორიის" შეცდომები, წიგნისა, რომელშიც, ჩემდა უნებლიეთ, გაყალ-
ბებულაა აფხაზეთის ისტორიული ცხოვრების ობიექტური ფაქტები" (გვ.9).

გარდა იმისა, რომ დ.გელია ნ.მარასა და მისი მიმდევრების გავლენის ქვეშ
აღმოჩნდა, მას სტიმულს, შესაძლოა, აძლევდა ისიც, რომ იმ წლებში, როდესაც
ეს წიგნი იწერებოდა, საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის ტენდენცია ჩამო-
ყალიბდა, რადგან აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში აღიღერი წარმოშობის
ელიტა მოექცა ნ.ლაკობას მეთაურობით, რომელთაც აფხაზეთის სსრ გამოცხა-
დებას მიაღწიეს. მაგრამ, როგორც ჩანს, დ.გელიას ამ თეორიამ აფხაზეთა წარმო-
მავლობის შესახებ სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან შხარდაჭერა ვერ
მიიღო, მით უფრო, რომ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მათ თვა-
ლი ჩრდილოეთისაკენ ეჭირათ და ამდენად აღნიშნული დებულება მათთვის მიუ-
ღებელი იყო.

გავიდა წლები და დ.გელიას შეხედულებები აფხაზეთა ეთნოგენეზისის სა-
კითხში რადიკალურად შეიცვალა, რაც ისტორიული მეცნიერების განვითარე-
ბასთან ერთად პოლიტიკური სიტუაციის შეცვლით უნდა ყოფილიყო ნაკარნა-
ხევი. ამ დროისათვის აფხაზეთი სეპარატიზმის პირველი ტალღაც ჩაცხრა და
აფხაზეთის სსრ ავტონომიური სტატუსით შეიცვალა.



თუ მანამდე დ.გულია თვით ი.ჯავახიშვილის დებულებებსაც კი ანგარიშს არ ეწევდა, ამჯერად იგი მთლიანად მობრუნდა ქართულ მეცნიერულ სამყაროში. იგი, რას წერდა დ.გულია 1951 წელს გამოცემულ წიგნში - "ზემი წიგნის" აფხაზეთის ისტორიის "შესახებ" : "მე აუცილებლად მიმანია მოკლედ მაინც შევეჩერდე ამ დიდ პრობლემაზე უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ გარკვევით განვაცხადო და ვაჩვენო, რომ ამჟამად "აფხაზეთის ისტორიის" ავტორს, რასაკვირველია, სულ სხვა შეხედულებები აქვს საკითხის არსებით მხარეზე, ვიდრე ოცდაათი წლის წინათ; რომ მეორეც, ჩემის მხრივ ერთხელ კიდევ გავუსვი ხაზი იმ ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილ, მრავალრიცხოვან მეცნიერულად შემოწმებულ ფაქტებს, რომლებიც უდავოდ მეტყველებენ, რომ აფხაზები ყოველთვის ერთიანი ისტორიული და კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდნენ ქართველებთან, რომ აფხაზები საკუთრივ იგივე ქართველები არიან; რომ, დაბოლოს, ამით შეძლებისდაგვარად დახმარება გავუწიო აფხაზეთის ისტორიის ძირითადი საკითხების სწორად გადაწყვეტას, გავაფრთხილო შესაძლებელ შეცდომათაგან, მოეუწოდო ამ დარგში დამუშავებული უხეში პრინციპული და მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომათა საფუძვლიანი გამოსწორებისაკენ" (გვ.10).

დ.გულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნ.მარისა და სხვათა გავლენით აფხაზებს აფრიკელი წარმომობისად მიიჩნევდა. ნ.მარის გავლენით დ.გულიას კოლხები (მეგრელები) და სვანები ქართველებად არ მიაჩნდა. მაგრამ დ.გულია აფხაზთა კოლხოებას ადრეც და შემდგომშიც აღიარებდა. მაშასადამე, თუ დ.გულიას აზრით აფხაზები იგივე კოლხებია, ხოლო კოლხები ქართველური ტომია, მას უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ აფხაზებიც "იგივე ქართველებია". თქვა კიდევ.

დ.გულია შემდეგ განაგრძობს: "დასავლეთ საქართველოს ტერიტორია სულ ერთიანად და მჭიდროდ იყო დასახლებული ურთიერთ ახლო მონათესავე ძველ-ქართული (კოლხების საერთო სახელის მატარებელი) ტომებით. ის ტომებიც; რომლებიც ოდითგანვე სახლობდნენ ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მათთან ერთ ორგანულ კულტურულ-ისტორიულ წრეს წარმოადგენდნენ და მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში იყვნენ. ამჟამად ე.წ. "კობანური კულტურა" შესაძლებელია და აუცილებელიც ჩავთვალოთ კოლხურად, ე.ი. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივ კულტურად, არა მარტო მისი გავრცელების ადგილისდა მიხედვით, არამედ მისი წარმომობის მიხედვითაც" (გვ.12). როგორც ჩანს, დ.გულია ამ საკითხშიც უკვე ფლობდა სწორ მეცნიერულ ინფორმაციას.

ავტორი იქვე შენიშნავს: "ქართული ტომები არ ჰკარგავდნენ კულტურულ



ერთიანობას, პოლიტიკურად დაქუცმაცებული ტერიტორია კულტურულად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა”.

“აფხაზ” და “აფხაზეთ” ტერმინთან დაკავშირებით დ.გულია წერდა: “შველი, ტომური სახელწოდება “აბაზგ” VIII საუკუნისათვის ქართულის ნიადაგზე თანხმოდანთა შინაგანი განაწილების კანონის თანახმად, შეიცვალა “აფხაზ”-ად, აქედან -შხარის სახელწოდება “აფხაზეთი” (გვ.14). აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლებთან დაკავშირებით დ.გულია შემდეგს წერდა: “აფხაზეთში უხვადაა წარმოდგენილი კლასიკური ძეგლები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფეოდალური პერიოდისა, როდესაც საბოლოოდ ყალიბდება ფეოდალური ქართული სახელმწიფოებრიობა. ამ მიწისჭეშმა და მიწის ზედაპირზე მყოფ პირველხარისხოვან ისტორიულ ძეგლებში (ციხეები, ტაძრები, ეკლესიები, სხვადასხვა სამოქალაქო ნაგებობანი) სრულიად გარკვევით ჩანს ქართველ ტომთა, მათ რიცხვში აფხაზთა ერთობა, რასაც უხსოვარი დროიდან ვერებოდა საფუძველი” (გვ.14).

ფეოდალური ხანის აფხაზეთზე და საერთოდ საქართველოზე დ.გულია წერდა: “აფხაზეთი ამ დროს წარმოდგენილი იყო სამ დამოუკიდებელ საერისთავოდ, რომელთაგან მხოლოდ ერთი იწოდებოდა “აფხაზეთის საერისთავოდ” (ახლანდელი ახალი ათონიდან მდ.ზიფიამდე), ამასთან ეს ტომები სრულიადაც არ იყვნენ დამორბეულნი იბერ-ლაზებისაგან იმაზე მეტად, ვიდრე, ვთქვათ, სვანები ან მესხები” (გვ.14).

ერთიანი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს შექმნის პროცესში აფხაზეთის, როგორც ქართული სამეფო-სამთავროს, განსაკუთრებულ როლს დ.გულია აღიარებს და მას საერთო ქართულ კონტექსტში განიხილავს: “აფხაზეთი საქართველოს სხვა სამთავროებთან ერთად შეადგენს და ერთ დროს კიდევ მეთაურობს საქართველოს ფეოდალურ მონარქიას (“აფხაზეთის სამეფო”), მთლიანად და განუყოფლად შედის მთლიან და საერთო ქართულ ეთნიკურ და კულტურულ-ისტორიულ წრეში” (გვ.14).

გებმა რა VIII-X საუკუნეების “აფხაზეთის სამეფოს” (დასავლეთ საქართველოს) მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხს, დ.გულია დღეისათვის მიღებულ მეცნიერულ კონსენსუსს აღიარებდა: “დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას კელაინდებურად ქართვები, მებგრელები, სვანები და აფხაზები შეადგენდნენ” (იქვე).

დ.გულიას აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს კუთხედ მიაჩნია,



რაზეც მისი თქმით ქართველ მეფეთა ტიტულატურაც მეტყველებს: “წმინდა ღმრთისაითა მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, მარჯვენა-შაპ და შაპან-შაპ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითფლობით მპყრობელი”. იქვე დ.გულია ასეთ დასკვნას აკეთებს: “ამგვარად, გაერთიანებული საქართველოს მეფე უპირატესად “აფხაზთა მეფედ” იწოდებოდა, - ეს ნათელი გამოხატულებაა იმ როლისა, რომელიც შეასრულეს აფხაზმა მეფეებმა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში” (გვ.15).

დ.გულიას არც ისტორიულ აფხაზთა საერო და სასულიერო ენის საკითხი დაეიწეება. ამ საკითხშიც იგი ღრმა ცოდნასა და მაღალ მეცნიერულ დონეს ამჟღავნებს, რაც ჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან: “უდავოდ დადგენილია, რომ უკვე აფხაზეთის სამეფოში, ყოველ შემთხვევაში IX საუკუნის შუა წლებიდან, ქართული ენა წარმოადგენს დამწერლობის ერთადერთ ენას სახელმწიფო და კერძო საქმის წარმოებაში, ეკლესიაში და ა.შ. ეს დიდი როლი ქართულ ენასა და კულტურას აფხაზეთში არ დაუკარგავს საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცების პერიოდშიც, როცა აფხაზეთი ცალკე სამთავროდ გამოიყო” (გვ.15).

დ.გულია ღრმად ჩახედულია საქართველოს ისტორიის ძირითად საკითხებში და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნდა მანამდე უცნობი ბევრი დოკუმენტი, საეკლესიო საბუთები, სელთა მატრიანეები, ისტორიული ქრონიკები და სხვ. სხვანაირად მას არ შეეძლო ეთქვა: “X საუკუნის დასაწყისიდან ზოგიერთი პროგრესულად მოაზროვნე აფხაზი მეფე, რომელიც ფართო ჰორიზონტითა და მრავალფეროვანი ენერგიული მოღვაწეობით გამოირჩეოდა, გამოდის აქტიურ ინიციატორად ბრძოლაში გაერთიანებული ქართველი სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ამაღლებისათვის, ხალხის მთელი ძალების ცენტრალიზებული მმართველობის ირგვლივ შემჭიდროებისათვის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქრისტიანობის განმტკიცებისათვის და ა.შ.” (გვ.16). ამის საილუსტრაციოდ დ.გულია ასახელებს “აფხაზეთის” ქრისტიანული კულტურის დიდ ტაძრებს (მარტვილის, მოქვის, ქუთაისის, ბედიის, ბიჭვინთის, ასევე ბესლეთის ერთმალაიან ხიდს ქართული ასომთავრული წარწერით და სხვ.). შემდეგ დ.გულია ასეთ დასკვნას აკეთებს:

“ამგვარად, შეუძლებელია აფხაზეთის ორგანული მონაწილეობის გამო-რიცხვა საქართველოს ძველი “ანტიკური” და კლასიკური ფეოდალური კულტურის შექმნის საქმეში, კულტურისა, რომელსაც შემოქმედების ყველა დარგში მსოფლიო შედეგები გააჩნია, სწორედ ისევე, როგორც არ შეიძლება ამის გა-



კეთება საქართველოს სხვა მნიშვნელოვანი ოლქების მიმართ. აფხაზეთი უაქტიურეს
 თველოს განუყოფელი ნაწილია, მთელი მისი კულტურულ-ისტორიული ცხოვრების
 რების პრაქტიკული ცხოვრებით” (გვ. 16).

ქართული კულტურის წიაღში აღზრდილს, ძირძველ კოლხთა შთამომავალს
 სხვანაირად არც შეეძლო ეთქვა.

დ. გულიას შესანიშნავად ესმოდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის დეგრადაცია,
 აფხაზეთში ქართული კულტურის დაცემა, ძველი ყოფითი ტრადიციების
 შებღალვა, ინტენსიური მეურნეობის ექსტენსიური მეურნეობით შეცვლა, ჭალა-
 ქური ცხოვრების ლიკვიდაცია, აფხაზეთის ქართველთა დევნა, აყრა, იქ ისლამურ
 სარწმუნოების გავრცელება, უცხო ეთნიკური ელემენტის შემოჭრა და სხვა,
 თურქთა აგრესიისა და ბატონობის დამყარებას მოჰყვა. ეს კი XVI საუკუნიდან
 იწყება. ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით დ. გულია წერდა: “მთელ
 დანარჩენ საქართველოსთან აფხაზეთის ამ ისტორიულ-კულტურულმა ერთიანობამ,
 რომელიც ესოდენ ორგანული ინტენსიური იყო ათეული საუკუნეების
 მანძილზე, ისტორიული ბედდევლმართობის წყალობით, გარკვეულ დროს, სამ-
 წუხაროდ, შესუსტება იწყო. ამ პროცესს განსაკუთრებული სიმძლიერით უწყობ-
 და ხელს სისხლიანი ინსინუაციები ბარბაროსი თურქი დამპყრობლების - ჩვენი
 დაუძინებელი მტრების, რომლებიც ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ თა-
 ვიანთი გაუმძღარი აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად. თურქეთი
 არაერთი საუკუნის მანძილზე ცდილობდა ცეცხლითა და მახვილით გაეტეხა თა-
 ვისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის წინააღმდეგობა, ასიმილაცია მოეხდი-
 ნა, ფეხქვეშ გაეთელა მისი უდრეკი ნებისყოფა, მიმართული თავისუფლებისა და
 ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ” (გვ. 16).

დ. გულია კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მოღალატე აფხაზებს, მათ შორის
 ჭელაიშ-ზე შარვაშიძეს: “განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს, საქართველოს ისტორიის
 თვალსაზრისით არ შეიძლებაოდა გმირები ყოფილიყვნენ ჭელაიშ-ზეის მსგავსი
 სულმდაბალი მოღალატეები და გამცემნი, რომელთა საქმიანობა მიმართული
 იყო ჩვენი მშვენიერი და საყვარელი სამშობლოს - საქართველოს დაუძღვრები-
 სა და დაჭედაცემისაკენ, ჩვენი ხალხის სრული დამონებისაკენ” (გვ. 18).

დ. გულია ქართველთა ძლიერებისა და ერთიანობის მეხოტბეა: “მაგრამ მიუ-
 ხედავად ჩვენი მტრების ყველა ამ ვერაგული ზრიკისა, მოთარეშე ურდოებისა და
 სხვა მტაცებელთა არაერთგზის შემოსევისა, რომელსაც ქართველები ყოველთ-
 ვის განსაკუთრებული თავგამოდებით იგერიებდნენ, მიუხედავად აუნაზღაურე-



ბელი მსხვერპლისა, ქართველი ხალხი მედამ სათუთად ინახავდა და შემდგომაც ავითარებდა ძვირფასა შეგნებას თავისი ერთიანობისას" (გვ.18) ^{საქართველო}

ასეთია დ.გულისა მეცნიერული შეხედულებანი, მოქალაქეობრივი პოზიციის და ეროვნული მრწამსი. მას აფხაზები და აფხაზეთი ვერ წარმოედგინა ქართველების და საქართველოს გარეშე.

ბოლშევიკური იმპერიის სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ (1954-1964 წწ.) აფხაზეთმა სეპარატიზმმა ისევ აისხა ფრთები, რადგან მათ ქართველთა წინააღმდეგ თვით ხრუშჩოვი აძლევდა ბრძოლის შესაშურ მაგალითს. ამიერიდან აფხაზები პერიოდულად აწყობდნენ ანტიქართულ ამბოხს რუსეთთან შეერთების მოთხოვნით. აფხაზეთი ინტელიგენცია თითქმის მთლიანად მოიცვა ანტიქართულმა განწყობამ და მათ შორის დ.გულისა ვაჟიშვილი, ცნობილი მოსკოველი მწერალი გიორგი გულია. ბუნებრივია, ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში (1956 წ.თბილისში მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევა და სხვ.) საჭირო იყო დ.გულისა მეცნიერული შეხედულებების უარყოფა აფხაზთა ქართული წარმომავლობის შესახებ. აფხაზი სეპარატისტები ამ "საპატიო მისიას", ცხადია, დააეალებდნენ მის შვილს - გ.გულისა. აფხაზმა სეპარატისტებმა გამოაცხადეს კიდევ, რომ თითქოს "ჩემი წიგნის "აფხაზეთის ისტორიის" შესახებ" დ.გულისა დაწერილი არ იყოს, რომ იგი მას მიაწერეს და ა.შ. გ.გულიაც თავის წიგნში, რომელიც მამამისს მიუძღვნა (გამოიცა მოსკოვში 1965 წელს), ყოველგვარი დოკუმენტური მასალის გარეშე, მწერლური ფანტაზიისა და სხვადასხვა ბერბების გამოყენებით ცდილობს დ.გულისა წიგნი სხვის დაწერილად მონათლოს, მაგრამ ამ დასკვნას არანაირი კონკრეტული დასაბუთება არ ახლავს და არც შეიძლება ახლდეს, ამდენად, იგი არადამაჯერებელია.

გ.გულია გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე (1958 წ.) კვლავ უარყოფდა აფხაზთა ეგვიპტურ წარმომავლობას, მაგრამ არასოდეს უარყვია აფხაზთა კოლხური წარმომავლობა, კოლხებს კი იგი ქართველურ ტომად თვლიდა.

სეპარატისტების ნებას აყოლილი გიორგი გულია წერს, რომ თითქოს სათანადო ორგანიზაციების გადაწყვეტილებით 1951 წელს გამოცემული დიმიტრი გულისა ბროშურა აკრძალეს და ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს (გვ.221). სინამდვილეში ეს წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე ბიბლიოთეკებში არის და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

გ.გულია იმოწმებს მდებლას სიტყვებს იმის შესახებ, რომ დ.გულისა ეს ბროშურა არ დაუწერიაო. ასეთი რამ მდებლას არსად არ უწერია, მაგრამ მას

უწერია, რომ "აფხაზები ქართველები არიან, აფხაზები წარმოადგენენ ქართველთა ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ტომს"[5].

1988 წელს გამოცემულ დ.გულიას მრავალტომეულის მეექვსე ტომში მთლიანადაა შესული მისი 1925 წელს გამოქვეყნებული "აფხაზეთის ისტორია და ეთნოგრაფია". ამ ტომის ვრცელი წინასიტყვაობა ეკუთვნით პროფ. გ. ძიძარის და ლ. აკაბას. მათ ერთი სიტყვაც არ აქვთ ნათქვამი იმის შესახებ, რომ თითქოს 1951 წელს დ. გულიას ავტორობით გამოსული ბროშურა მისი დაწერილი არ იყოს.

1951 წელს გამოცემულ ნაშრომში დ. გულიას ისეთი პოზიცია უკავია, როგორც ეკადრება ჰემმარიტ აფხაზს, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, საკუთარი ხალხის სულიერ მოძღვარს.

დასაშვებელი ლიტერატურა:

1. *Д. Гулия. Сочинения. т. VI. გვ. 10.*
2. *იქვე. გვ. 33.*
3. *იქვე. გვ. 100-101.*
4. *სოხუმი, აფხაზეთის სახელგამო, 1951.*
5. *მ. დედოძა, დიმიტრი გულია, თბ., 1949. გვ. 34.*



**აფხაზეთი - საქართველოს პირველი რესპუბლიკის
ავტონომიური ერთეული (1918-1921 წწ.)**

აფხაზეთი თავისი შინაგანი ცხოვრების წესით, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიკური ერთიანობათა ხასიათის მიხედვით ყოველთვის იყო ქართული ერთეული, სადაც მოქმედებდა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება, მისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტებითა და მმართველობის სისტემით, და სადაც სახელმწიფო ენად ქართული გამოიყენებოდა. მართალია, XV საუკუნიდან შეიმჩნევა გარკვეული "გაუქმობა" აფხაზებისა, რაც დაკავშირებული იყო ეთნიკურად მონათესავე, მაგრამ კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებით უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ მასასთან, მაგრამ ამის შემდეგაც არასოდეს არ მდგარა აფხაზებისა და ქართველების, როგორც ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის დაპირისპირების პრობლემა. აფხაზთა ზედაფენის ცნობიერებაში არასოდეს დარღვეულა მათი და სხვა ქართველების ერთიანობის, საქართველოს როგორც მათი სამშობლოს იდეა. აფხაზეთი იყო ქართული მიწა-წყალი, ქართული სამთავრო. 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ აფხაზეთიც ცარიზმის კოლონიური ბატონობის უღელტეხვზე მოექცა. ასე გრძელდებოდა მთელი საუკუნე, ვიდრე არ დადგა ნანატრი თავისუფლება; 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით, აღსდგა დიდი ისტორიული წარსლისა და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე საქართველოს დამოუკიდებლობა. ისტორიული ფაქტია, რომ აფხაზეთი (1918-1921 წწ.) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის ეზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შესაბამისი აქტით იურიდიულად აღადგინა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის პერიოდში აფხაზეთისადმი დამოუკიდებულების საკითხი. ამის მეცნიერული შესწავლა აუცილებელია, რათა ობიექტურად შევფასოთ დღევანდელი სიტუაცია და ეობრუნოთ საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით წარმოვაჩინოთ თუ როგორი პოლიტიკური სტატუსით სარგებლობდა აფხაზეთი - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მით უმეტეს თანამედროვე ქართულ თუ აფხაზურ ისტორიოგრაფიაში შედარებით უსუსტად ან ტენდენციურადაა გამოქვეყნებული ეს

პრობლემა.

კარგად რომ გავერკვეთ, თუ რა პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა აფხაზეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამდე, აუცილებლად უნდა შევეხოთ 1917 წელს მიმდინარე მძაფრ მოვლენებს საერთოდ კავკასიის მასშტაბით. ცარიზმის გამოთშველმა პოლიტიკამ აფხაზეთში თავისი ნაყოფი გამოიღო. აფხაზეთი მოსახლეობის ნაწილში თავი იჩინა ანტიქართულმა განწყობილებამ. 1917 წლისათვის მან კრიტიკულ წერტილს მიაღწია. 1917 წელს 20 მაისს გრ.ვეშაპელი განვთ "საქართველოში" წერდა: "აფხაზებს მტერი ჩასჭრებულვებს: "თქვენ აფხაზები ხართ, აფხაზეთი არასოდეს საქართველო არ ყოფილა, მეგრელები თქვენი მტრები იყვნენ. თუ საქართველოს ავტონომია ექნა და თქვენ მის საზღვრებში შეხვალთ, სრული განადგურება მოგვლითო. პირიქით, თუ საქართველოს ჩამოშორდებით, მშინ მეტი ფასი გექნებათო". ასეთი აგიტაციით გაბრუებული, აფხაზთა ნაწილი წინ აღუდგა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ქართული ეროვნული სახელმწიფოს ფორმირების პროცესს. ბოლშევიკური რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა ორი მომხე ხალხის წაკიდებას და მათი გაერთიანების ისტორიული შანსის ხელიდან გამკვებას. აფხაზეთი ინტელიგენციის მომხლავრებელი ანტიქართული ნაწილი ფიქრობდა სოხუმის ოლქი რუსეთთან მიიერთებინა [1]. ივანე გომართელი, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს დავალებით ჩამოსულა აჩხენკელთან და ვ.ჭულელთან ერთად 1917 წ. სოხუმში და დასწრებია აფხაზთა და სამურზაყანოელთა გაერთიანებულ ყრილობას, აღნიშნავს, თუ როგორ მტრულად შეხვდნენ სოხუმში ქართველების დეპუტაციას, გარდა გიორგი შერვაშიძისა. ამ შეხვედრიდან ამკარად ჩანს, რომ აფხაზეთის ორიენტაცია იყო შთიულ-ოსმალური. ი.გომართელი წერს: "მათ ქართული აღარათფერი მოსწონთ... აფხაზი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ აფხაზების დღე დათვლილია, რომ მათ მომავალი არა აქვთ, რომ აფხაზეთი ვინმემ უნდა გადაყლაპოს. ეს ნაწილი ასე სვამს საკითხს: აფხაზებს აწევება ქართველობა და მუსლიმანობა. ან ერთმა ან მეორემ აფხაზეთი უნდა გადაყლაპოსო, ამიტომ რა უფრო უმჯობესია აფხაზებისათვის, ქართველებში გათქვეფა თუ მუსლიმანებში, უმჯობესია ზღვას შევეერთდეთ, ვიდრე პატარა მდინარესო, მსჯელობს აფხაზების ერთი ნაწილი და ამჯობინებს მაშმადიანებში გათქვეფას [2]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ რთული ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციიდან გამოსავალს ქართული დეპუტაცია და, კერძოდ, გომართელი აფხაზეთისათვის პოლიტიკური ავტონომიის მიცემაში ხედავდა.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და ამიერკავკასიაში ანარქიის და ისედაც გართულებული მდგომარეობის კიდევ უფრო მეტი დამაბვის გამოსაწვევად ბოლშე-



ვიკებმა აფხაზ ნაციონალისტებს მიმართეს, რომლებმაც აფხაზეთის ჩრდილო კავკასიასთან გაერთიანების იდეა წამოაყენეს; 1917 წლის 20 ოქტომბერს ვლადიკავკაზში შეიქმნა დონის, ყუბანის, თერგის, ასტრახანის კაზაკთა წარების, კავკასიის მთიელების და სტავროპოლისა და ასტრახანის სტეპების თავისუფალი ხალხების საზრეთ-აღმოსავლეთ კავშირი. ამ კავშირში შევიდნენ აფხაზეთიც. 1917 წლის 8 ნოემბერს მიიღეს "აფხაზი ხალხის ყრილობის დეკლარაცია და აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუცია". ყრილობაზე შეიქმნა აფხაზთა გამაერთიანებელი, მისი ინტერესების დამცველი და მთიელებთან დამაკავშირებელი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია - სახალხო საბჭო, რომელიც ცნობდა სოხუმის ოლქისა და ამიერკავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაწესებულების თუ პირების, გაერთიანებული მთიელების ცენტრალურ კომიტეტსა და დროებითი მთავრობის ხელისუფლებას [3]. დოკუმენტს ხელს აწერდა ყრილობის თავმჯდომარე სიმონ ბასარია, მდივნები - ცაგურია, ალანია, ცანაფა. თანაც, 1917 წლის 4 დეკემბერს კავკასიის მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობის პირველ დეკრეტში (1917 წლის 4 დეკემბერი) ჩამოთვლილია ტერიტორიები, რომლებზედაც ვრცელდებოდა მისი სახელმწიფო ხელისუფლება. სოხუმის ოლქში მის იურისდიქციას ექვემდებარებოდა ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური საკითხები. ამ ტერიტორიაზე მთიელთა მთავრობის სრული სახელმწიფოებრივი ძალაუფლების გავრცელების საკითხი გადასაჭრელად გადაეცა სოხუმის სახალხო საბჭოს [4].

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი გასარკვევი იყო. ამ მიმართულებით გარკვეული კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა. 1918 წლის 9 თებერვალს აფხაზეთის სახალხო საბჭოს შემარჯვენეთა ჯგუფი (ა. შერვაშიძე, მ. ემუხვარი, ნ. მარღანია, პოლკოვნიკი ნ. ჩოტუა, ბ. ცაგურია) შეხვდნენ თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს (ა. ჩხენკელი, კ. კესხი, გ. გვაზაფა, მ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე). ამ შეხვედრაზე განხილულ იქნა აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი. აქ ამკარად გამოიკვეთა პოზიცია, რომ აფხაზებს სურდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, საქართველოსთან მხოლოდ კეთილშემზობლურ ურთიერთობას სჭერდებოდნენ [5].

საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ აფხაზეთის მისცემოდა ფართო ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში, ასევე დაუბრუნდებოდა მას ისტორიული ტერიტორიები. ჩხენკელი მიმართავდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლებს, რომ "ჩვენი მიზანია აღვადგინოთ სოხუმის ოლქი, როგორც აფხაზეთი", მაგრამ იმ პირობით, თუ კი აფხაზეთი გამოვიდოდა მთიელთა კავშირიდან. აქვე ემუხვარმა გამოთქვა აზრი, რომ სამურზაყანოს არ სურ-



და მთიელთა კავშირში დარჩენა. ბოლოს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავდა შემდეგ დებულებებს:

1. აღსდგეს ერთიანი, განუყოფელი აფხაზეთი საზღვრებში მდებარე ტერიტორიები მდ. მზიშთამდე, რომლის შემადგენლობაში შევლენ საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო, რაც იგივე ამჟამინდელი სოხუმის ოლქია.

2. ერთიანი აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური წყობილების ფორმა უნდა იქნეს შემუშავებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპის შესაბამისად, დემოკრატიული საფუძველზე, აფხაზეთის დამფუძნებელი კრების მიერ.

3. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი და საქართველო მოსურვებენ სხვა ერებთან და სახელმწიფოებთან პოლიტიკურ სახელშეკრულებო ერთიერთობაში შესვლას, მანინ ერთიერთვალდებულებას კისრულობენ წინასწარ ჩაატარონ ამის თაობაზე პოლაპარაკება ერთმანეთთან [6]. ამ ხელშეკრულებით აფხაზეთი ფაქტობრივად საქართველოს დაუკავშირდა. ამასთანავე ამ ხელშეკრულებით აღსდგა რუსეთის მიერ წართმეული აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა. სამწუხაროდ ამ ფაქტს დემილით ვეერდს ევლის აფხაზეთი ისტორიოგრაფია. ბოლშევიკური ძალები ყოველივე ამას მტრულად შეხვდნენ. ისინი სოჭიდან და შავი ზღვის ფლოტისაგან დებულობდნენ დიდ დახმარებას. 1918 წლის 8 აპრილს ბოლშევიკებმა შეძლეს სოხუმში ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რომელიც 17 მაისამდე შეინარჩუნეს. ეს იყო 1918 წლის 9 თებერვლის საქართველო-აფხაზეთის შორის დადებული ხელშეკრულების საწინააღმდეგო აქტია. ბოლშევიკებმა აფხაზეთის სახალხო საბჭო დამალეს, ხოლო მისი თავმჯდომარე და ზოგიერთი წევრი დააპატიმრეს. მათ შეჭმნეს ე.წ. რევოლუციური კომიტეტი. ბოლშევიკები სასტიკად ილაშქრებდნენ ყოველგვარი ავტონომიის წინააღმდეგ. ისინი იცავდნენ ტერიტორიული (საოლქო) თვითმმართველობის ძველ მოთხოვნას ცენტრალიზებული, უნიტარული, განუყოფელი რუსეთის შენარჩუნებით. აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენელთა ნაწილი, რომელნიც გადაურჩნენ ბოლშევიკურ რეპრესიებს, თბილისში ჩავიდნენ და ამიერკავკასიის მთავრობას სთხოვეს დახმარება. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ყოველი ღონე იხმარა, რათა გაეწმინდა სოხუმში მოძალადე ბოლშევიკებისაგან; ამრიგად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დღემდე გაბატონებული მოსაზრება საქართველოს მიერ აფხაზეთის "ანექსიის" შესახებ, რის შედეგადაც თურმე მომხდარა არარსებული "აფხაზეთის კომუნის" ლიკვიდაცია. ამიერკავკასიის სეიმის ჩარები ვ.ჯუღელის მეთაურობით 1918 წლის 17 მაისს სოხუმს დაიკავეს. 1918 წლის მაისის ამბები და ჯარის შესვლა აფხაზეთში განპირობებული იყო საგარეო ფაქტორითაც. თურქეთი ამკარად იმტკრებოდა მთელი კავკასიის დაპყრობით. ასეთ



დროს აფხაზეთში პროთურქული ორიენტაციის ძალები გამოჩნდნენ. ცნობილი ფაქტია, რომ აფხაზეთის გარკვეულმა ნაწილმა მიმართა თურქეთს, რომ მფარველობაში აეყვანა აფხაზეთი და თურქეთის ჯარების დახმარებით დაეშვა საბჭოთა ხელისუფლება [7]. ამასთან დაკავშირებით აჩვენებელი მოახსენებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: “თურქებმა გადაწყვიტეს დაიკაონ სოხუმი და დაიწყეს შესაფერისი მომზადება, მაგრამ მათ მალე გაიგეს, რომ სოხუმი ჩვენმა (ე.ი. ქართულმა) ჯარებმა აიღეს, და ბოლშევიკები რომ განვდევნეთ, იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ ჩანათიჭრზე” [8].

1918 წლის 29 მაისს ვ. ჯღღელი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე სოხუმის ამბებთან დაკავშირებით წაიკითხავს მოხსენებას, სადაც ამბობს: ვიდრე ქალაქს ავიღებდით, ჩვენ მოვისურვეთ ბოლშევიკებთან შეეთანხმებულყავით და სისხლისღვრა აგვეცილებინა, გავუგზავნეთ დელეგატები: მაგრამ ბოლშევიკები პროვოკაციას არ იმღიღნენ, აურცილებდნენ ამას თითქოსდა წითელი გვარდია თავადმანურულ-ბურჟუაზიული იყოს. მაგრამ გვარდიელებმა გამოჩინისთანავე გააბათილეს ცილისწამება. მაშინ ბოლშევიკებმა მიმართეს მეორე ცილისწამებას, ვითომ ჩვენ ოსმალთა ჯარის მოწინავე ნაწილები ვიყავით სომხთა ამოსაწვევად. სომხებმა საგანგებო დელეგაციაც კი გამოგვიგზავნეს, მართლა თურქებთან მოქმედებთ თუ არაო. ამ ცილისწამებამაც ვერ გაჭრა, მიმართეს მესამე ცილისწამებას, ვითომ ქართველობა აფხაზეთს დასაპყრობად მოდიოდა. და აი, ყველა იმის შემდეგ, როდესაც არც ერთმა გამოშვებულმა ინსინუაციამ არ გასჭრა, ჩვენ მოგვიხდა ერთმანეთთან შეხლა-შეტაკება” [9]. როგორც ვხედავთ, მთავრობის წარმომადგენელი ვ. ჯღღელი ყველა ღონეს მიმართავს, რათა მშვიდობიანად მოაწესრიგოს ურთიერთობა აფხაზეთში, მაგრამ ბოლშევიკები ამის სამუქალეებას არ იძლევიან.

სულ მალე ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა და გამოცხადებული იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა, ამის შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში შეიცვალა. აფხაზეთის სახალხო საბჭომ 1918 წლის 21 ივნისს დაადგინა, რომ 26 მაისის შემდეგ აფხაზეთმა დაკარგა საქართველოსთან კავშირის იურიდიული საფუძველი და ამიტომ იგი იღებს ხელში მთელს ძალაუფლებას, რომელიც აქამდე ფაქტობრივად საქართველოს სახელრო ნაწილებს ეკუთვნოდა. აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაადგინა მიმართოს საქართველოს მთავრობას მეგობრული წარდგინებით აფხაზეთში სახელმწიფო ორგანოების მშენებლობაში დახმარების აღმოჩენისა და სოხუმში დისლოცირებული წითელი გვარდიის რაზმის საბჭოს განკარგულებაში დატოვების შესახებ. ახალი ურთიერთობის გასარკვევად თბილისში გაიგზავნა დელეგაცია.

1918 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აფხა-

თუ იყავი?



ზეთს შორის დაიღო ხელშეკრულება. დოკუმენტს საქართველოს მთავრობის სახელით ხელს აწერდნენ იუსტიციის მინისტრი ნ.ხომერიკი, აფხაზეთის სახალხო საბჭოს სახელით რ.აკაბაძე, გ.თუმანოვი, ე.გურჯია, გ.აჩაშვილი. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დებულებები ითვალისწინებდა:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარდგენით ინიშნება აფხაზეთის საქმეთა მინისტრი.

2. სამინაო მმართველობა და თვითმმართველობა აფხაზეთში ეკუთვნის აფხაზეთის სახალხო საბჭოს.

3. აფხაზეთის მართვისათვის საჭირო კრედიტები და ფული მიეცემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახსრებიდან და იხარჯება აფხაზეთის საჭიროებისათვის აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ.

4. რევოლუციური წესრიგის უფრო სწრაფად დამყარებასა და მტკიცე ხელისუფლების ჩამოყალიბებაში აფხაზეთის სახალხო საბჭოს დასახმარებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გზავნის მის განკარგულებაში წითელი გვარდიის რაზმს.

5. აფხაზეთში ყალიბდება ინტერნაციონალური რაზმი, რომელიც იქნება აფხაზეთის სახალხო საბჭოს განკარგულებაში. რაზმისათვის საჭირო აღჭურვილობა და ფული გაიცემა საქართველოს მთავრობის მიერ.

6. სოციალური რეფორმები ცხოვრებაში ტარდება აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ საერთო კანონების საფუძველზე, მაგრამ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

7. აფხაზეთის მოსახლეობის ყრილობა მოიწვევა დემოკრატიულ საფუძველზე, უახლოეს მომავალში, აფხაზეთის წყობილებასთან დაკავშირებული საკითხების საბოლოო გადასაჭრელად.

8. დადებული ხელშეკრულება გადაისინჯება აფხაზეთის ეროვნული კრების მიერ [10]. აღნიშნული ხელშეკრულებით აფხაზეთს ეძლეოდა ფართო ავტონომიური უფლებები. ასევე პირდებოდნენ ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ 9 თებერვლის საქართველო-აფხაზეთის შორის ხელშეკრულებას მოჰყვა ბოლშევიკთა აგრესია, 11 ივნისის ხელშეკრულებასაც მტრულად შეხვდა აფხაზთა ერთი ნაწილი. ე.წ. მას მეთაურობით სოხუმში შეიქმნა სამხედრო-რევოკომი, მათ გადაწყვიტეს სოხუმის ოლქი რუსეთისათვის მიიერთებინათ. ე.წ. მათ თვითონ გაემგზავრა სოკში და თხოვა სოკის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოს დახმარება, მაგრამ უარით გაისტუმრეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უშალ მიიღო კონტრაზომები. 1918 წლის 17-22 ივნისს სოხუმში დაიკავეს წა-



რებმა გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით. მათვე დაიკავეს შავიზღვისპირეთი სოქისა და ტუაფსეს ჩათვლით. უფრო კონკრეტულად: 22 ივნისს აიღეს გუდაუთა, 28-ში გაგრა, ასეთ დროს 1918 წლის 28 ივნისს კოდორში თურქებმა გადმოსხეს დესანტი, რომელსაც შერავშიძე მოუძღოდა. გენერალ მაზნიაშვილის ძალისხმევით განდევნილი იქნა თურქთა ეს ნაწილები. ამის მერე 6 ივლისს ქართულმა ჯარმა დაიკავა სოქი და შეაეწიროვა ბოლშევიკები ჩრდილოეთისაკენ. 20 დღის შემდეგ გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით ქართული ჯარები მიუახლოვდა ტუაფსეს და 26 ივლისს 12 საათიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ აიღეს ქალაქი. რით იყო ყოველივე ეს განპირობებული? ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ქართული ჯარების წინ წაწევა, როგორც ამას აცხადებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და გენერალი მაზნიაშვილი, განპირობებული იყო არა საქართველოს ტერიტორიის გაფართოების მიზნით, არამედ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, რათა თავიდან აეცილებინათ ბოლშევიკთა თავდასხმები [11].

ყოველივე ამის შემდეგ აფხაზეთი გამოცხადდა საგუბერნატოროდ, მაზნიაშვილი გენერალ-გუბერნატორად და სოხუმის გარნიზონის უფროსად.

აფხაზური ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ ეს იყო ქართველების ძალმომრეობა აფხაზების მიმართ და "ანექსიად" ნათლავენ ყოველივე ამას. მაგრამ ისტორიული ჭეშმარიტება სულ სხვაა. მას შემდეგ, რაც აფხაზი სეპარატისტების პოლიტიკური ავანტიურის შიშის შედეგად მოეწყო აჯანყებები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რომლის მიზანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან ჩამოშორება იყო, ეროვნულმა მთავრობამ დაიცვა თავისი კანონიერი უფლებები და გადაარჩინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ტერიტორიული ხელყოფისაგან. საქართველოს მიერ დაქირავებულმა კაზაკებისაგან შემდგარმა რაზმებმა გააძევეს თურქები აფხაზეთიდან. ამასთანავე აწიოკებულ იქნა ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის ის ნაწილიც, რომლებიც თურქებთან კავშირში ეჭვიანილი იყო. მაგრამ საქართველოს მთავრობამ გამოყო სპეციალური კომისია, რომელმაც აღრიცხა და აანაზღაურა მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალი.

ამრიგად, აფხაზეთში მომხდარი ამბოხების ჩახშობა ქართული ჯარების მიერ გამართლებული ნაბიჯი იყო. ყოველივე ზემოთქმული ცხადი გახდება, თუ გადავხედოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივ აქციებს მაგ, "სიკვდილით დასჯისა და ზოგიერთი უმძიმესი ბოროტმოქმედებისათვის" საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივლისის კანონში ნათქვამია "დროებით მიღებულ იქნეს სიკვდილით დასჯა დახვრეტით, როგორც უმაღლესი საფეხური სასჯელისა, იმ პირთათვის, ვინც რომელსამე ჭეშმარიტ



აღნიშნულ შემთხვევებს ბოროტმოქმედებას 1).... ვინც სახელმწიფო მოღალატეობას ჩაიდენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (მუხ.108, 109, 110 და 119 სისხლის სამართლის დებულებისა, ტომი 1 . კან.კრებ.გამოც. მე-4) 2) ვინც შეეცდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წესწყობილების შეცვლას შეიარაღებულის ძალით (მუხ.100 სისხლის სამართ.დებულ., რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 4 აგვისტოს დადგენილების რედაქციით "დროებითი მთავრობის უწყება", 1917წ. N 127. 3) ვინც მონაწილეობას მიიღებს ამკარა აჯანყებაში დაწესებულ მმართველობის წინააღმდეგ (მუხ.283 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15 კანონ.კრებული)" [12]. ბოლოს კი ამ აქტში ნათქვამია: ამ კანონით დასჯება ვველა, ვინც რომელსავე ზემოთ ჩამოთვლილ ბოროტმოქმედებას ჩაიდენს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და რომ ეს კანონი შედის ძალში 1918 წლის 26 მაისიდან. ამდენად, გამომდინარე ამ კანონიდან, აფხაზეთში ქართული ჯარების მოქმედება კანონიერების ფარგლებში ექცეოდა.

1918 წლის ოქტომბერში ანტიქართულმა ძალებმა კვლავ სცადეს პოლიტიკური გადატრიალების განხორციელება აფხაზეთში. პროთურქულმა ჩგუფმა (ოლქის კომისარი მარლანია, აფხაზეთის საქმეთა მინისტრი რ.ჩქოტუა) ახლა ორიენტაცია თეთრგვარდიულ გენერალ ალექსეევზე აიღო, რომელიც ვერაფრით ვერ ურიგდებოდა სოჭისა და გაგრის ოლქის დაკარგვას. მისი აზრით, "Грузия должна начинать свои границы за Абхазией", რომ არაერთიანი ეთნოგრაფიული, არც ისტორიული მონაცემები არ არსებობს ამ ოლქების საქართველოსთან შესაერთებლად.

აფხაზთა ზემოხსენებულმა ნაწილმა ალყა შემოარტყა შენობას, სადაც სახალხო საბჭო მუშაობდა. მათ მოითხოვეს პრეზიდენტის გადაყენება. მოთხოვნა შესრულდა. სახალხო საბჭომ აუცილებლად ენო თვითდაშლა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. მისი ორგანიზაცია და დროებითი მხარის მრავალგამგეობა საქართველოს მთავრობას უნდა აეღო თავის თავზე. საბჭო ითხოვდა შეთქმულების ორგანიზატორების, მათ შორის რ.ჩქოტუას, დაპატიმრებას [13]. საქართველოს მთავრობამ დაგმო აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრების ის ნაწილი, რომელიც ცდილობდა ჯერ თურქეთის, შემდეგ კი გენერალ ალექსეევის ჯარების მიწვევას და მათ ჩარევას სახელმწიფო საქმეებში. ვინაიდან აფხაზეთის სახალხო საბჭო არ იყო დემოკრატიული გზით არჩეული და არ გამოხატავდა მოსახლეობის ინტერესებს, მთავრობამ 1918 წლის 10 ოქტომბერს დაადგინა დაითხოვოს საბჭოს ახლანდელი შემადგენლობა და დანიშნოს ახალი არჩევნები, შექმნას ცენტრალური საარჩევნო კომისია ე.შერვაშიძის, ი.რამიშვილის (საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი აფხაზეთში),



ვ. გურჯეას, თ. ფაშალიდის, გ. შანშიევის შემადგენლობით. დროებით სოხუმის ოლქის კომისრად დაინიშნა ბ. ჩხიკვიშვილი. აფხაზეთის საქმეთა მინისტრის ადგილზე მოსილენა დამთავრებულად იქნა ცნობილი და მისი მოვალეობის შესრულება დროებით დაეკისრა შინაგან საქმეთა მინისტრს. სამწუხაროდ, ბატონი სტანისლავ ლაკობა თავის წიგნში "აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის ნარკვევები", უგულვებლყოფს რა ზემოთ მოყვანილ ფაქტებს, აცხადებს, რომ 1918 წლის 9-10 ოქტომბერს თითქოსდა საქართველოს მთავრობამ გარეკა აფხაზეთის სახალხო საბჭო, რაც ობიექტურობასთან ახლოს არაა.

ბატონი სტანისლავ ლაკობა არღვევს ელემენტარულ ეთიკურ ნორმებს, რაც მეცნიერს მოეთხოვება. ნაშრომში ბატონი ლაკობა არაერთხელ იშველიებს ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებებს. წარმოადგენს რა მათ კონტექსტის გარეშე, ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოსდა მისი არგუმენტები შევევლია და ამავე დროს ეყრდნობა ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებებს. კონკრეტულად, თავის წიგნში მას აქვს ასეთი ციტატა მოყვანილი: "დაპატიმრეს არაკანონიერად, ყოველგვარი ბრალდების წაყენების გარეშე" (ლიტერატურული საქართველო, 1980, N11, გვ. 152-153). აქ ლაპარაკია აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა იმ ნაწილის დაპატიმრებაზე (რ. ჩხოტუა, ი. მარღანია), ვინც შეთქმულებას მეთაურობდა 1918 წლის ოქტომბერში. სახალხო საბჭოს წევრთა ნაწილის დაპატიმრება მოხდა თვით აფხაზეთის სახალხო საბჭოს სანქციით. ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი არსებობს, კერძოდ დეკემბის ასლი, რომელიც გაუგზავნა ასს-მ საქართველოს მთავრობას. მიუხედავად ამისა, ს. ლაკობას მიაჩნია, რომ რ. ჩხოტუასა და მარღანიას დაპატიმრება იყო საქართველოს მთავრობის ჩარევა აფხაზეთის სამინაო საქმეებში და არაკანონიერი მოქმედება. თავისი მოსაზრების გასამაგრებლად იშველიებს ზემოთ მოყვანილ ციტატას "ლიტერატურული საქართველოდან", მაშინ, როდესაც ამ გაზეთში ს. ლაკობას საწინააღმდეგო არგუმენტებია მოყვანილი. პატივცემული მეცნიერი ქართულ ენას ვერ ფლობს და ეტყობა ცუდად ეთარგმნეს. შეიძლებადა ამ ფაქტზე ზედმეტი ყურადღება არ გაგვემახვილებინა, მაგრამ ბატონი ლაკობა არაერთხელ მიმართავს ასეთ მეთოდს.

1918 წლის ოქტომბერში აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგა მუშაობას ვ. შერვაშიძის თავმჯდომარეობით. საარჩევნო დებულების პროექტი 1918 წლის ნოემბერის ბოლოს გაეგზავნა საქართველოს მთავრობას. 1918 წლის 27 დეკემბერს პარლამენტმა დებულება დაამტკიცა. მისი საბოლოო ტექსტი ქართულ-რუსულ ენებზე დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში [14]. 1919 წლის მარტში აფხაზეთში ჩატარდა მის ისტორიაში პირვე-



ლი და ჯერჯერობით უკანასკნელი დემოკრატიული არჩევნები. სახალხო საბჭო არჩეულ იქნა 40 კაცის შემადგენლობით (27 სოც.დემოკრატი, 8 დამოუკიდებელი სოციალისტი, 3 სოციალ-რევოლუციონერი, 1 სოციალ-ფედერალისტი, 1 ეროვნული ლიბერალი). 1919 წლის 18 მარტს ახლად არჩეული საბჭოს პირველი სხდომა გახსნა ი.რამიშვილმა, რომელმაც განაცხადა - სახალხო საბჭოს მიზანია, საბოლოოდ გამსაზღვროს ოლქის პოლიტიკური კერსი. სახალხო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს დ.კ.ემუხვარი. პირველ მდივნად გ.კოროლიოვი (მაღე დ.ემუხვარი სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის მთავრობას - კომისარიატს, თავმჯდომარის პოსტს კი დაიკავეს ე.შერვაშიძე).

სახალხო საბჭოს მყავდა პრეზიდიუმი და სენიორენ კონვენტი, 1919 წლის 20 მარტს სახალხო საბჭომ მიიღო "აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ". მასში ნათქვამია, რომ "საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეულმა აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, აფხაზეთის ხალხების სახელით 1919 წლის 20 მარტს დაადგინა:

1. აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებ ეცნობოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას.

2. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამისად და ცენტრალურ და ავტონომიურ ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად აირჩევა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და სახალხო საბჭოს თანაბარი რაოდენობის წევრებისაგან შერეული კომისია. შემუშავებული დებულებები მათი დამფუძნებელი კრებისა და სახალხო საბჭოს მიერ მიღების შემდეგ უნდა შევიდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში [15].

1919-1920 წლებში საბჭოში დაძაბული მუშაობა მიდის აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის შესადგენად. ამ საკითხზე არ იყო ერთნაირი აზრი. საბჭოში იყო 7 ფრაქციული დაჯგუფება. 27-სოციალ-დემოკრატი, 1 სოციალისტ-ფედერალისტი, 1 ეროვნულ-დემოკრატი, 4 დამოუკიდებელი სოციალისტების ჯგუფი (დამოუკიდებელი აფხაზეთის მომხრეები), უკიდურესად მემარჯვენენი 3. 1919 წლის ივლისში აფხაზეთის სახალხო საბჭოში მიმდინარეობდა აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტის განხილვა, მაგრამ იმ დეპუტატთა ჯგუფმა, რომლებიც იდგნენ დამოუკიდებელი აფხაზეთის პოზიციაზე, ყველა ღონე იხმარეს, რათა შეეჩერებინათ პროექტის განხილვა. ასევე არ გავიდა კომპრომისული პროექტი, რომელიც შემოიტანა კომისარიატმა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ ყველა იმ



ისტორიკოსთა შეხედულება (გ.ძიძარია, ს.ლაცაბა), რომელნიც ერთხმად აღიარებენ, თითქოსდა საქართველოს მთავრობა განზრახ აჭიანურებდა აფხაზეთის კონსტიტუციის მიღებას და ეგულვებელყოფდა აფხაზი ხალხის ინტერესებს.

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის 2 აგვისტოს დაიწყო დებატები. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა რამიშვილმა ხაზი გაუსვა იმ მძიმე ვითარებას, რომელიც შეიქმნა აფხაზეთში, და განაცხადა, რომ მთავრობის პოლიტიკა უნდა ყოფილიყო ფრთხილი, დინჯი, მოფიქრებული, რაც მთავარია, მისი აზრით, აფხაზეთის სახალხო საბჭოს უმრავლესობა პროქართული ორიენტაციის იყო. აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა ასევე ემხრობოდა აფხაზეთის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში ყოფნას. საინტერესოა აფხაზეთის წარმომადგენლის ვ.გურჯეას (სოციალ-დემოკრატი) გამოსვლა, სადაც აღინიშნა, რომ აფხაზეთს უნდა მიეცეს ავტონომია საქართველოს ფარგლებში [16]. სიტყვით გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული აფხაზეთის ყოფილი საგანგებო კომისარი ბ.ჩხიკვიშვილი. მან ხაზი გაუსვა საქართველოს მთავრობის როლს აფხაზეთის ტერიტორიის ერთიანობის დაცვის საქმეში, რომ ორიენტაცია აფხაზეთის სახალხო საბჭოს უმრავლესობისა ქართული იყო. იგი ასევე შეეხო აფხაქართველთა ერთიანობის საკითხს. მისი აზრით, ცარიზმის პოლიტიკამ, რომელიც მოქმედებდა "გათიშე და იბატონეს" პრინციპით, მოწამლა აფხაზი ხალხის ნაწილი, განაწყო ქართველი ხალხის მიმართ სიძულელით. ჩხიკვიშვილის აზრით, საქართველოს მთავრობას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა აქ მცხოვრებ სხვა ხალხებთან შედარებით, აფხაზი ხალხის მცირერიცხოვანება და კულტურული ჩამორჩენილობა, ასევე მიეღო საგანგებო ზომები აფხაზი ინტელიგენციის ფორმირების საქმეში [17]. ქართველ ესერთა სახელით გამოვიდა ლეო შენგელაია. მან გააკრიტიკა საქართველოს მთავრობის პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ, კერძოდ, იმის გამო, რომ ვერ იქნა გადაჭრილი აგრარული საკითხი. ნაციონალური პოლიტიკა აფხაზეთში უფრო ფრთხილად უნდა ყოფილიყო გატარებული, მისი აზრით აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა რუსულენოვანია. ამიტომ ერთხმად ქართულ ენაზე გადასვლა წინააღმდეგობებს გამოიწვევსო. მისი აზრით, ნაციონალიზაცია უნდა მომხდარიყო ჭეშმოდან და არა ზემოდან. პირველ რიგში ერობებს ქართული სკოლების შემოღებაზე უნდა ეზრუნათ. მისივე აზრით, აფხაზეთს თავიანთი ავტონომია უნდა მიეცეოდა. ასევე აკრიტიკებდა საქართველოს მთავრობის პოლიტიკას აფხაზეთის მიმართ ეროვნულ-დემოკრატი ს.კედია. მისი აზრით, მთავრობა ვერ ითვალისწინებდა რეგიონის სპეციფიკას; საჭირო იყო ქართველებსა და აფხაზებს შორის ისტორიული

მეგობრობის აღდგენა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს დამფუძნებელ კრებაში დებატებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები ერთ პოლიტიკურ უღრმენ - მინიჭებოდა აფხაზეთის ავტონომია, რაც საბოლოოდ, იურიდიულად 1921 წლის 21 თებერვალს გადაწყდა.

დიდი ხნის დავის შემდეგ, სახალხო საბჭომ კონსტიტუციის საბოლოო პროექტის ვარიანტი დაამტკიცა 1920 წლის 16 ოქტომბერს და წარუდგინა საქართველოს პარლამენტს.

დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ 1920 წლის 29 დეკემბერს შეადგინა აფხაზეთის ავტონომიური მართვის შესახებ დებულების პროექტი, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად დაამტკიცა. დებულების პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ აფხაზეთი, მდ. მუხადირიდან ინგირამდე, შავი ზღვის ნაპირებიდან კავკასიონამდე წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს და ამ საზღვრებში ავტონომიურად მართავს თავის სამინაო საქმეებს. აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანო - სახალხო საბჭო, არჩეული იქნებოდა ორი წლის ვადით პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე 30 კაცის შემადგენლობით. აღმასრულებელი ორგანოს - აფხაზეთის კომისარიატის წევრებს ირჩევდა სახალხო საბჭო. სახელმწიფო ენას წარმოადგენდა ქართული, მაგრამ სახალხო საბჭოს შეეძლო შემოეღო სკოლებში, დაწესებულებებში (საქმის წარმოებისათვის) ადგილობრივი ენები [18].

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) აფხაზეთის შქონდა ფართო პოლიტიკური უფლებები, ჰყავდა ეროვნული ავტონომიური მთავრობა - აფხაზეთის სახალხო საბჭოს სახით, რომელიც იცავდა "აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესებს. იგი იყო საქართველოს მთავრობის დასაყრდენი ორგანო აფხაზეთში".

საბოლოოდ კი 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულმა საქართველოს კონსტიტუციამ დაადასტურა აფხაზეთის ავტონომიური უფლება (იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, თავი 11. მუხლი 107, თბ., 1990).

ყოველივე ამით საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა განმტკიცდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წლის თებერვალ-მარტში, დაარღვია რა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად იყო ცნობილი, ძირი გამო-



უთხარა საქართველოსა და აფხაზეთის თავისუფლებას.

როგორც ვხედავთ, ისტორიული ფაქტები ყოველგვარ საფუძველს აკლეს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, როგორ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921) ილახებოდა აფხაზი ხალხის კანონიერი უფლებები, რომ ქართული მთავრობა აფხაზი ხალხის მიმართ თითქოსდა "გენოციდის" პოლიტიკას ატარებდა და არაერთიანი ავტონომიური უფლებები აფხაზეთს არ ჰქონია. ეს მიზანმიმართული, ყვრითმორთველი თეორია, ცხადია, დღეს ჰაერით სჭირდება მესამე ძალას. მაგრამ ეს თეორია ისევე განწირულია, როგორც თვით რუსეთის იმპერია.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. "აღიონი", 16 და 23 თებერვალი, 1917.
2. იქვე.
3. აფხაზეთის ცენტრ. სახ.არქივი, ფ.ი. - 39, აღწ. 1, ს.1. ს.1.
4. იქვე, ფ.ი. - 39, აღწ. 1, საქმე 2, ფ.5
5. საქ.ცენტრ.სახ.ისტ. არქივი, ფ. 1823, აღ. 2, ს. 1, ფ. 153-159.
6. აფხ. ცენტრ.სახ. არქივი ფ. 39, აღ. 1, ს.1, ფ. 169.
7. საქ. ცენტრ. სახ. ისტ. არქივი. ფ. 1823, აღ. 2, საქ.1, ფ. 208.
8. საქ. ცენტრ. სახ. ისტ. არქივი. ფ., 1823, აღ. 2, ს.1, ფ. 208.
9. "საქართველო". 1 ივნისი, 1918.
10. აფხ.ცენტრ. სახ.არქივი, ფ. 39, აღწ. 1, ს.6, ფურც. 2-2-ა.
11. ა.მენთეშაშვილი. ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1990.
12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990.
13. საქ. ცენტრ.სახ. ისტ. არქივი, ფ. 1861, აღწ. 2, ს.37, ფ. 65-69.
14. იქვე, ფ. 1836, აღწ. 1, ს. 159, ფ. 37-45; იქვე, აღ. 2, ს.38, ფ. 3-13.
15. აფხ. ცენტრ.სახ. არქივი, ფ.-ი, 39, აღწ. 1, ს. 16, ფ. 91.
16. საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები, 45. სხდომა, 1919 წლის 2 აგვისტო, ფ. 13.
17. იქვე, ფ. 17-23.
18. საქ.ცენტრ.სახ.ისტ.არქივი, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 863, ფ. 391.



**შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის
მონაწილის დღიური (1970 წლის ზაფხული)**

1970 წლის 26 ივნისს ქ-ნ ნინო ბერძენიშვილთან შეხვედრისას სრულიად მოულოდნელად დადგა ჩემი შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ჩარიცხვის საკითხი.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა მეორე დღეს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის სახელზე ასეთი განცხადება დაწერა: "გთხოვთ ჩარიცხოთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლად ისტორიული გეოგრაფიის კაბინეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იური სიხარულიძე. ექსპედიციის ხელმძღვანელი ნინო ბერძენიშვილი, 27.VII - 1970 წ."

სამი დღის შემდეგ ამ განცხადებაზე დადებითი რეზოლუცია გაჩნდა და მეორე დღეს სოხუმს გავეშვებავრე რკინიგზის სამმართველოს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის (რ. ვეზირიშვილის) დახმარებით.

ჩემს კუპეში აღმოჩნდა ქიმიის მასწავლებელი, თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი ვალერიან საჭაია (სამამულო ომის მონაწილე), გულს უჭიოდა და ძლიერ უჭირდა სიტყვ. "სოფელს არაფერი ჯობს, თვალი დაუღვგეს გაჭირვებას, თორემ ახლა კაკი წამოვა თბილისში", - თქვა მან გაცნობისთანავე და მცირე პაუზის შემდეგ დასძინა: "ორი შვილი (ასულები) ქუთაისში სწავლობს, მესამემ (ვაჟმა) - ეს-ეს არის დაამთავრა და მინდა სასოფლოზე ან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძოს სწავლა".

უნივერსიტეტი გაიხსენა. ჯერ ჩვენი ქიმიკოსები, მერე, როცა პროფესია მკითხა, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილიც მოიგონა. დიდად აფასებს მათ დამსახურებას, უფრო სიმონს იცნობს, ჩიტაიაც ახსენა. ამას წინათ ჩხოროწყეში მოუსმენია მისთვის... სადგურ რიონში ჩავიდა, ვერ დაგივიწყებო, მისამართიც ჩაიწერა...

ოჩამჩირის სადგურზე ქართული წარწერაც აფხაზური ფორმითაა ("ოჩამჩირა"). თვალში საცემია, რომ არის თუ არა ესა თუ ის საგეოგრაფიო სახელი აფხაზური, მაინც ამ ვნის ბუნებას უფარდებენ.

სოხუმში პირველად სასტუმრო "აფხაზეთს" მივამერე, მაგრამ ჩვენებს ვეღარ მივესწარი, ველზე გასულიყვნენ.



ქალაქში მცირე ხეტიალის შემდეგ სახელმწიფო მუზეუმში შევიარე. რევოლუციური მოძრაობის ექსპოზიციიდან სრულიადაა გამორიცხული ისტორიკული ქართული მეცნიერებიდან არის პორტრეტები - ნ.მარის, ს.ჯანაშიას, ნ.ბერძენიძელის.

მუზეუმის ეზოში, პატარა ჭიხტრში შევიძინე მ.თრაქშის შრომების მეორე ტომი (გამოდის ოთხ ტომად) და მ.ბლაღბას - "ნესტორ ლაკობა" (რედ.დ.სტერუა, 1965).

ბოტანიკური ბაღის შესასვლელში ლაკობას ბიუსტი დგას (იქიდან 15-20 მეტრის დაცილებით, სადაც დაკრძალეს 1936 წლის 31 დეკემბერს).

ნამუდღღევს ჩემს სახლიკაცს გიორგი სიხარულიძეს ვეწვიე. ის 1928 წლიდან იმავე სახლში ცხოვრობს, სადაც ნესტორ ლაკობა ცხოვრობდა (ყოფილი კაგანოვიჩის ქუჩა, ახლა ლაკობას 32). გიორგი ნესტორის თანამშრომელი (ბელალტერი) იყო და ბევრი რამ ახსოვს მისი ცხოვრებიდან.

გიორგი 1918 წლიდანაა სოხუმში და მრავალი რამის მოწმეა ამ ქალაქში: ძველი გერული მეეტლეები, რევოლუციამდელი სოხუმი, ლაკობა, ლადარია, მგელაძე... სოხუმის გამშენიერება, სტალინის ხშირი ჩამოსვლა...

3. VII. დილით წიგნის მალაზიები შემოვიკრიბინე. იური ვორონოვის წიგნი ("Археологическая карта Абхазии") მაინტერესებდა, მაგრამ ამაოდ (ჯერ არ მიგვიღია).

11 საათზე ექსპედიცია განთიადისკენ (გაგრის რ-ნი) გაემშურა, სადაც ძველი ქვისანის ძეგლებია მოსახილავი. გაგრამი შევჩერდით. ქ-ნ ნინოს ახლობელი უნდა ენახა (ის გაგრის სატყეოს დირექტორის მოადგილეა და მისი დახმარება გვესაჭიროება განთიადში დასაბინავებლად).

შინ დაგვხვდა... ვალოდია როსინსკი; წმინდად ლაპარაკობს ქართულად, ქართული პატრიოტია. ლამისყანაში დაბადებულა (დუდა-ბენამიელის ქალი), როსინსკი კარგად იცნობს აჭაურობას. მე მისი ავტობილით მივემგზავრები. გზაში მისახელებს მდინარეებს, მთებს, მიმითითებს შენობებზე... სტალინსაც შეხვედრია ერთხელ ქუჩაში, შიშისგან კინალამ აეარია მომივიღაო, ხოლოდნაიარტყაზე ცხოვრობდა, მაგრამ იქ არავის ლებულობდა, ამისათვის სოჭში მიდიოდაო...

განთიადში მელქონიანის ოჯახში დავბინავდით, როსინსკი ეკან დაბრუნდა; ექსპედიციის ხელმძღვანელი მაშინვე მხარეთმცოდნე გუმილევსკისთან გაემშურა, მე კი განთიადის გაცნობას შევედღეკი.

განთიადის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე (ხუხუა) ამ მხარეში ახალი კაცია. 1947 წელს დაუმთავრებია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და აქ გაუნაწილებითათ სამუშაოზე. ერთხანს აგრონომად მუშაობდა, შემდეგ თავმჯდომარედ... ეს რამო-



დენივე წელი სადაბო საბჭოს თავმჯდომარეა.

საბჭოს მდივანი ქალია (ხეციშვილი). მისი წინაპრები განთიადის რეგიონში ამდელი მკვიდრნი ყოფილან.

განთიადის წარსულიდან მხოლოდ ის იციან, რომ "პილენკოვ" ერქვა. ვინ იყო ეს პილენკოვი, ან სხვა რაიმე, არ უწყვიან.

ამ მხარის მოსახლეობის შედგენილობა ვკითხე. - სომხები, ქართველები, რუსები, მოლდაველები და სხვაო. ყველაზე მეტია სომხები.

ადგილთა სახელები არ იციან, მხოლოდ სოფლის სახელებს ასახელებენ: წალკოტს-შირინფა ერქვაო, სამუფს აჩმარდა, ხეივანი, კელტბანი... მდინარეებიდან "შეხადირკა", "ლიასტა" (წინათ ბარანოვკა), ფსოფ...

ძეგლები მოვიკითხე - ციხის ნაშთი არ არის. ბერძნების ეკლესიაში სახანძრო რაზმია, ერთი დიდი ეკლესიის ნაშთი სასაფლაოზეც არის, იყო კიდევ რუსების პატარა ეკლესია, რომელიც ომამდე დაინგრა და ქვები მოსახლეობამ გაზიდაო.

გამოვემშვიდობე მასპინძლებს და ეკლესიების დასათვალისწინებლად წავედი. ბერძნების ეკლესია ახალია, დიდაა, დიდი მრველიც მყოლია. იქიდან წამოსულმა, სასაფლაო ვკითხე ერთ მოსწაულე გოგონას, რომელიც ქართველი გამოდგა, თუმცა ქართულად ლაპარაკი უჭირდა (მიზეზად ის დამისახელა, რომ "შინ მეგრულად ვლაპარაკობთ, ხოლო სკოლაში რუსულად").

- რატომ სწავლობ რუსულ სკოლაში, ქართული სკოლა არ არის? - ჩვენს კეთხეში სულ რუსები არიან, ქართველი ორი კომლი ვართ მხოლოდ. თანაც რუსული ენა აქ უფრო საჭიროა. ის რუსეთის უმაღლესი სასწავლებლისაკენაც გვიხსნის გზასო.

ჩემმა შეგონებამ შევატყვე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა რუსული სკოლის მოსწაულეზე. ამასობაში მის ეზოსაც მივებახლოვდი, მიმოითითა სასაფლაოზე და დამემშვიდობა.

ცენტრალური გზის პირას, ოდნავ შემალლებულ ადგილას, შემონახულია ადრეფეოდალური ხანის უზარმაზარი (სამნავიანი) ტაძრის ნანგრევები. კედლები მეტწილად სრულადაა შემორჩენილი. პინგოროვყა მას "ძველქართული ხეროთომოდერული სტილით ნაგებ ტაძარს" უწოდებს, (გიორგი მერჩულე, გვ.153), ვ.ფაჩულია ამაზე დემს და მხოლოდ ამ ძეგლის თარიღს (VI-VIII სს.) მიუთითებს (По древней, но вечно молодой Абхазии, 1966, გვ.192 ("საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები"-ს სიაში ეს ძეგლი VI-VII საუკუნითა დათარიღებული (1959, გვ. 134).



ეს ეკლესია ისეთივეა, რაც პეტრას, ეშნარის და სხვა ამ ხანის ბაზილიკები.

რა ერქვა ამ პუნქტს, ამბუე პირდაპირი ჩვენება არ გაგვაჩნია. არანეტ-ანთნასის ცნობებით, ეს პუნქტი მდ. აბასკის მიდამოებშია, თუმცა არც პირველს და არც მეორეს აქ რაიმე დასახლება აღნიშნული არა აქვთ; უნდა ვიფიქროთ, რომ ნავსადგური არ იყო და უბრალო სოფელი არ აღუნიშნავთ. ადრეფეოდალურ ეპოქაში კი ეს უკვე მნიშვნელოვანი ადგილია, რასაც ეს ტაძარიც ადასტურებს.

ველია ჩელები (1641) აქ "ზანდა"-ს ასახელებს (Зап. ...ист и др., IX, გვ. 174), რაც "ცანდა"-ს სახენაცვალი ფორმაა (ამავე სახელით იწოდებოდა მდინარეც, რომელსაც ახლა ხამფესეს უწოდებენ). "ცანდრიფმ"-ის გადამახინჯებაა მსხილმასშტაბიანი რუკის „Сандрипш“ (ასე იწოდება ამ რუკაზე ხამფესეს ერთი ტოტი (მარცხენა) ხეში წელზე).

XIX საუკუნის II ნახევარი. მუშაჯირობა. 1867 წელს რუსული მოსახლეობის გაჩენა და გენერალ პილენკოვის (შაიბლვისპირეთის ოკრუგის უფროსი) გვარის დამკვიდრება სოფლის სახელად, საბჭოთა ხელისუფლებამ ამას "ზარია" და "განთიადი" ამწობინა...

უბრუნდები უკან. დაბის ცენტრში ახალი წესრიგისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სამო საფლავზე ობელისკია. მახსენდება 1921 წლის 19 თებერვალი. დემოკრატიული საქართველოს ვერც იმ "ფარმა" უმკვლა, რომელიც 1920 წელს ააგეს და ვერც უცხოურმა ზომალდებმა, რომელიც მათ ლამქარს (8 ათასამდე მეომარი) უჭერდა მხარს. წითელი არმიის ნაწილებმა, რომელსაც აქტიურად ემხარებოდნენ აჭანყებელი აფხაზები და სომა-ტყუაფესეს წითელგვარდიელი რაზმები, გატყვეს "დემოკრატიული რესპუბლიკის" წინააღმდეგობა და ნამუადღევს დაიკავეს პილენკოვო.

4. VII. ხეივნის N2 რუსულ სამეალო სკოლას, სადაც მუშაობს ნიკოლოზ გემილევსკი, საკმაოდ მდიდარი მუზეუმი აქვს. დღეს დილით მოიყვანეს გემინ შეპირებული მხარეთმცოდნე და დაეიწყეთ მუზეუმის გაცნობა. მუზეუმის ჩვენთვის საინტერესო განყოფილება, უმთავრესად ქვისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლებისაგან შედგება. მომდევნო ეპოქები აქ თითქმის სულ დაეიწყებულა.

განთიადის ქვის ხანას აქამდე მხოლოდ ნ.ი. გემილევსკისა და ი.ი. კორობკოვის სტატით ("Местонахождение памятников каменного века у села Хейвани - Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях ин-та археологии, III, исследование памятников каменного века, Москва, 1967, გვ. 91-10) ვიცნობდი. მუზეუმში უამრავი მასალაა თავმოყრილი.



ქ-ნი ნინო და ლეიზა (წერეთელი) დიდი ინტერესით ეცნობიან ძეგლებს (გეორგი/ ხუბუტია დაბევერებაზე წაიდა).

ჩემი ყურადღება მიიპყრო არქეოლოგიურმა რუკამ, რომელიც გეომილევისკის მუზეუმში შეუდგენია. იგი ადღერისა და გაგრის რაიონების სანაპირო ტერიტორიებს მოიცავს. მასზე ციხეებიც არის დატანილი და ეკლესიებიც, დოლმენებიც და პირველყოფილ ადამიანთა სადგომებიც, სამაროვნებიც და სხვ. ეს რუკა გადაუღია ი.ვორონოვს და შექტანია თავის წიგნში ("Археологическая карта Абхазии"). სანამ მე რუკას ვეცნობოდი, გეომილევისკი ქ-ნი ნინოს ესაუბრებოდა და თან შთაბეჭდილებათა წიგნიდან უკითხავდა ადგილებს. შემდეგ საუბარი ძეგლებს შეეხო და მხარეთმცოდნეს აქარად ეტყობოდა უკმაყოფილება, რადგან ქ-ნი ნინო ხშირად სხვაგვარ მოსაზრებას სთავაზობდა - Лев Николаевич (Соловьев) так сказал мне, Игорь Ильич (Коробков) так определяет, Крупнов так говорит და სხვა. აეტრიათა მოშველიებით ცდილობდა იგი დაეცვა თავი, მაგრამ ამაოდ...

შთაბეჭდილებათა წიგნის პათოსს არც ვინმე გ.ჭუბუჩიანის ის სტატიაც ("Советская Абхазия", 2.V. 1969) უღებს ტოლს, რომელიც მუზეუმშია გამოკრული.

გეომილევისკი ეროვნებით ბელორუსია. ჩემი გვარი გეომილევიცა, "სკი" სკოლაში დამიმატესო. ახლა 80 წლისაა, 13 წელია პენსიაზეა. ცხოვრობს ადღერის რაიონში, იქვე მასწავლებლობდა, (ასწავლიდა ბოტანიკას, გეოგრაფიას). ბოლო დროს ამ სკოლას დაუახლოვდა თავისი შვილიშვილის (გალინა მენჩიხის ასულ ჰიბერტის) მეოხებით, რომელიც აქაა მასწავლებლად.

გეომილევისკიმ თავისი შარშანდელი მძიმე ავადმყოფობა მოიგონა და დასძინა: ხეივანელები დიდ პატივს მცემდნენ, ადღურელები კი სრულებით არ მაქცევდნენ ყურადღებას. აქ ფურო პარტიემია ამგვარი მუშაობა, ხელს მიწყობენ, მახალისებენო. მუზეუმში იქაც დაეაარსე, მაგრამ არაეითარი გამოხმაურება არ ჰქონიაო.

აქაურ ისტორიის მასწავლებლებს ვმღერის. არც ამგვარი მუშაობისა ესმით და ვერც ძეგლებში ერკვევიანო. ერთ ასეთ მასწავლებელს მოსწავლეებმა მშვენიერი ნეტელესი უჩვენეს. მან კი იგი უბრალო ქვად მიიღო და გადააგდოო.

სასკოლო მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ხაშუფეს ხეობას შევეყვი. ხაშუფეს მდინარესაც ეწოდება და სოფელსაც (მდინარის ორივე მხარეზეა). გზაზე ერთ სომეხს წამოვეწიე, რომელმაც ზოგი რამ მომითხრო:- ოსმალეთიდან მოსულან ჩვენი ძველებიო, ხაშუფეს დიდი სოფელია -სომხებით დასახლებული, ამ-მარდამიც სომხები არიან, ძველად ფურო ბევრი იყვნენ, ახლა შედარებით ცოტანი

არიან, რადგან ბარში ჩამოსახლდნენ, მაგრამ ვინც დარჩა, ჩვენზე კარგად ცხოვრობენ, ყველას ავტომობილი ჰყავსო.

ციხე ვკითხე. "შერდ" - ი არის, მაგრამ შორსო.

როგორც იყო მივაღწიე ციხეს. კულტურის ძეგლთა სიაში მისი ასაკი "ადრეული შუა საუკუნეებით" არის განსაზღვრული (გვ.134). ვეთაჩუქია კი ამ ციხეს ერთგან "ანტიკური ხანით" ათარიღებს (მისი დასახ.ნაშრ. გვ.16), ხოლო სხვაგან - VIII-X საუკუნეებით (იქვე, გვ.194). არცერთი მათგანი არ არის სწორი. ვინც კი რამდენადმე მაინც ერკვევა დასახლების გეოგრაფიაში, მისთვის ძნელი მისახვედრი არ არის, თუ როდის უნდა აგებულიყო ამ სერზე "ციხე", ხოლო თუ როგორ ვითარდებოდა, ამაზე თვით ძეგლიც მიგვანიშნებს.

ამ ციხის პატრონთა ვინაობის შესაცნობად საყურადღებო საგეოგრაფიო სახელი გამოიყოფა კომპოზიტი "ხაშუფსე". უკანასკნელი წყლის აღმნიშვნელი და ფართოდ გავრცელებული სიტყვაა, ხოლო პირველი "კაიშდ"-ის სახენაცვალი ფორმა უნდა იყოსო თითქოს.

5.VII. დილის 6 საათზე უკვე გზაზე ვიდევით. მცირე ხნით მიქელ-რაიფს შვეჩრდით.

მიქელ-რაიფში სასოფლო საბჭოს სახელია, სოფელს კი სალხინო ჰქვია. აქაც სომხები სახლობენ.

პირველყოფილი ადამიანის კვალის მძებნელები მამინვე ყანებში გაიფანტნენ. იქვე ახლოს, ერთი კაცი თამბაქოს პლანტაციაში მუშაობდა და იმას გამოვესაუბრე. ესეც სხვასავეთ ოსმალოს სომეხია, მაგრამ გვიან (1928) მოსულა (ლენინაკანის გამოვლით). კეთილი კაცია. არ მომეშვა და საუბრეზე მომიპატიოა.

ამ გულკეთილი მასპინძლობის შემდეგ ფსოუს სათავეებისაკენ გავეშურე.

კარგა ხანს ეტკებოდი ფსოუს ხეობის მშვენიერებით და ნაშუადღევს აიბგასაც მივაღწიე. ჩემი აიბგელი მასპინძლები პენსიონერი ივანე კლიშინოვი და მისი მეუღლე ჭანი მარინე იყვნენ. ისინი აიბგას 1947 წელს ამოსულან.

აიბგა ხუთია. პირველი და მეორე აიბგა ფსოუს მარჯვენა სანაპიროზეა, ხოლო დანარჩენი - მარცხენაზე.

ყველაზე მეტი მოსახლეობა პირველ აიბგაშია, მეორე აიბგაში დღეს აღარავენ ცხოვრობს, ხოლო სხევში მეტწილად სომხები არიან.

აიბგა იმ ჩერქეზული ტომის სახელია, რომელიც აქ ცხოვრობდა მუშაჯირობამდე. მასპინძლებმა აღვიღთა და მდინარეთა ასეთი სახელწოდებანი დამისახელეს: "ზელანი", "ტურინა" და სხვა. ორივე ახალია, რესების შერქმეული.



ასეთივეა "ბეჟი", "ბეზიმენნაია" და "კრეპოსტნაიაც". ფსოუს მარცხენა შენაკადისათვის "ბეჟი"-ი თავისი სისწრაფის გამო შეურქმევიათ, "კრეპოსტნაიაც" კლდეების გამო, რომელიც ციხეს მოაგონებს ადამიანს.

ერთ კლდეს "მონასტერიც" ჰქვია, მის ქვაბებში რევოლუციამდე რუს ბერებსაც უძვოვრიათო. ნიკოლოზ შეოვრეც ყოფილა თითქოს აიბგაში ეტლით, მონასტერზე აგარაკის აგებას აპირებდაო, "შეფის" გადასავალიც ("ცარსკი") ამიტომ ეწოდაო.

"ზელანის" მთაზეც არისო გადასავალი ("კრასნაია პოლიანასკენ"). გადასავალი "ტერინოზეც" ყოფილა (მაიკოპისკენ).

ეკლესია მხოლოდ პირველ აიბგაში იყო (დიდი, ქვისა, 1940 წელს დაუნგრევიათ). სიძველეებიდან ბევრი რამ ჩნდება მიწის მუშაობის დროს (მეტწილად ძველებური ქერქლების ნაშთები). განსაკუთრებით უხვად ჩნდებოდა ძველი ნაშთები, როცა განთიადის სატყეოს გზა გაშვავდათო.

აიბგაში მებოსტნეობის მუერნეობაა: სთესენ სიმინდსაც, ხორბალს, ბარდას და კარტოფილს. ხილი თითქმის ყველანაირია, არის ყურძენიც (იზაბელა), მაგრამ ღვინოდ მაინცდამაინც ვერ ვაყენებთ, რადგან დამწიფებას ვერ ასწრებსო. ბევრია კაკალი, ხარობს თხილიც.

ფსოეში საკმაოდ არის კალმახი, ბეჟშიც არის; წინათ უფრო მეტი იყო, მაგრამ ახლა მეტყვევნი თუ მათი მუშები წამლავენ წყალს და თევზი მცირდებაო. არის დათვი, მგელი, გარეული თხა, ჭიხვი, ირემი და სხვა ცხოველები, ფრინველი ნაირნაირი.

მოსახლეობა: პირველ აიბგაში 100-მდე კომლიაო, მესამე და მეოთხეში (ერთი ბრიგადაა) - 48, ხოლო მეხუთეში - 20 კომლიო.

გამოღმა მხარეს მხოლოდ შორიდან მოვაველ თვალი და იმავე საღამოს დაეტოვე აიბგა. ჩემი მასპინძლის მეზობელი აეტომობილით მიდიოდა ლესელიძეში. აეტომობილს მართავდა ასე 22-23 წლის სანდომიანი ქართველი ჭაბუკი - გაბედავა. ქართული ესმოდა, მაგრამ მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდა. ცოლი, აიბგელი რუსის ქალი, თან ახლდა. "ლაზის" დიდ კაბინაში ორი ქალი კიდევ იჯდა ბავშვებით. მჭლოლიცა და სხვებიც ჩემდამი დიდ თავაზიანობას იჩენდნენ. მისმა მეუღლემ და ერთმა ახალგაზრდა გოგონამ ჭერ ქართულად იმღერეს "თბილისო", ხოლო შემდეგ - რუსულად. ლესელიძეში ღამის თორმეტის ნახევარზე ჩამოვალწიეთ...

6. VII. დღეს თბილისის მივემგზავრები (ოჯახური მდგომარეობის გამო).



ქართული
ზოგრაფიული

ვინაიდან აფხაზეთის პრობლემატიკა დღეს ძალზე აქტუალურია, კრებულის გამოცემაში დახმარება გაგვიწია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ.

ქ-25.976.

ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა:

ცეკაეშვირის შ.პ.ს.

„კოოპოლიგრაფპრესის“ სტამბაში.

თავისუფლების მოედანი 7.